


ՊՐԵՄ



ՀԱՌԵՆԱԼՈ ՝ՊՐԵՄ՝ 15 ԸՆԴՈՒՆԱ

№ 2 (41)

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՆԱԳՈՎՈՐՈՒՄՆԵՐ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՆԱԳՈՎՈՐՈՒՄՆԵՐ

2019



Բառկուտեցու
ալյավանդրոց
քաշկոնու
յրտու լուսու 50
յարտապահութանը

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა
The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რანა
ნუხუ ძამუაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფია ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა რაეკლიშვილი, მერის პირველი მოადგილე ბატონი გიორგი თუშიშვილი) მხარდაჭერით.

ჟურნალ „ოლეს“ საიუბილეო ნომრის გამოცემაში
განეცნული თანადგომისათვის ულრემს მადლობას მოვახ-სენებთ შ.პ.ს. „ერპანტინის“ დირექტორს ბატონ ზურაბ ფილიშვილს.



გარეკანი, ივნისი, სულხანი, ლიტერატურული ჟურნალი №2(41), 2019



გამოლის საქთელი ქართული ჟურნალი



„ოლეს“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

შურალი „ოლე“ – 15

2. მილოცვაში. ირაკლი ქადაგიშვილი, რომ მეტრეველი, შოთა ნარეკლიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, არჩილ თხლაშვილი, ბალათერ არაბული, ვანო ჩხიცელი, ფიქრის ყუშიტაშვილი, დავით თელორაძე, ავთანდილ ყურაშვილი, ავთანდილ ბერიძე, გიზო თავაძე, ზალ ბოტკოველი, რეზო ადამია.

ალექსანდრე პუშკინის ერთი ლექსის 50 ერთაშორისობაში

8. ალექსანდრე პუშკინი. „მე თქვენ მიყვარდით...“ ლექსი

გაყვალა გონიშვილი იუგილარია

20. ფარნა რაინა. ლექსი

21. ხალ ბოტკოველი. ცისარტყელების ბინადარი

ესე

28. რაზოადამია. ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე პეტრუ

მხატვრული ლიტერატურა

42. ფარნა რაინა. კატრენები

69. ლანა გაველი. ნათესავი. მოთხრობა

71. გარიბ კოვანივალი. ლექსები

74. ვაჟა მთარამვილი, ევა კვათალიანი. პოეტური დუეტი. ლექსები

78. როლად გიორგაძი. დისო, დისო... რომანი

83. ნინო ქაშუაშვილი. ლექსები

85. ნინო არსენაშვილი. ჩემი სამშობლო.

ლირიკული პოემა

88. თინა თინ მრალაშვილი. მინიატურები

91. ნუნუ ქაშუაშვილი. საბავშვო ლექსები

გავვარგის ერთი ეკიზოდი

95. როინ ჭიკაძე. ტკბილ-მწარე ბავშვობის სიკეთანი დღეები

97. პადილი სულაძე. ფიქრი

99. გაია ღიაკონიძე. ნათელა

თარგმანი

101. იური პაული. ზღვაოსანი სინდბადი. მოთხრობა

კულტურული ცხოვრების ეროვნია

104. გურამ ლოჩანაშვილი – 80

104. მხატვარ სერგო ასლანიშვილის საიუგილეო ღონისძიება

გარეკანის პირველ გვერდზე

სოფიო ზელიძის ნახატი

დაისტადა

გამომცემლობა „მერიდიანი“

1



ოლე, №2, 2019



გეამაყეპით

მინდა ჩემი ღრმა პატრივისცემა გამოვხატო ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“-ს შემოქმედებითი გუნდის მიმართ. მისასალმებელია, რომ ჟურნალის დაარსებიდან 15 წლისთავზე მერგო პატივი, ჩემი გულნრ-ფელი დამოკიდებულება გამომეხატა თითოეული იმ ადამიანის მიმართ, ვინც უდიდესი ენთუზიუაზმითა და რუდუნებით დგანან ქართული სიტყვის სამსახურში და ენერგიას არ იშურებენ საზოგადოების ლიტერატურასთან დაახლოების საქმეში. ვულოცავ „ოლე“-ს თითოეულ თანამშრომელს, რომელიც უშურველად იღწვის და ერთგულად ემსახურება ქართული ლიტერატურული ჟურნალის შექმნას. მეამაყებით და გისურვებთ კიდევ მრავალი საიუბილეო თარიღი გეზეიმოთ შემოქმედებით საქმიანობაში.

2



ილაკლი ქადაგიშვილი

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული

ნარმატეპეპს გისურვეპთ

თხუთმეტი წელია თვალყურს ვადევნებ (ცხადია ვკითხულობ) ლიტერატურულ ჟურნალებში მეტად საინტერესოდ გამორჩეულ გამოცემას, რომლისთვისაც ლამაზი სახელი „ოლე“ დაურქმევიათ.

„ოლე“ მწერალთა ასოციაციის „ლიტერატურული კახეთის“ გამოცემაა. აյ საინტერესოდ არიან წარმოდგენილი კახელი მწერლები, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჟურნალი არ არის მხოლოდ რეგიონული; არა, იგი ზოგადქართულია. რედაქცია ახერხებს, რომ წარმოადგინოს ზოგადი მასალა, ძირითადი ადგილი დაუთმოს მწერლობას; წარმოაჩინოს ახალი სახელები და გააცნოს სრულიად საქართველოს. ჟურნალი ბეჭდავს თარგმანებს, ინფორმაციასა და რეცენზიებს; წერილებს სხვადასხვა საკითხებზე. „ოლე“ სრულიად დამსახურებულად ქართველი მკითხველის ყურადღების არეალში მოქმედია.

ერთი სიტყვით, გასული თხუთმეტი წელი ჟურნალმა მაღალი ლირსებით გაატარა. ბარაქალა მის შემქმნელ კოლექტივს.

გულნრფელად ვულოცავ ჟურნალ „ოლეს“, მის მთავარ რედაქტორს, მთელს რედაქციას დაარსებიდან თხუთმეტი წლის იუბილეს. ვისურვებ, რომ წარმატებები იყოს ლიტერატურული ჟურნალის მარადიული თანამგზავრი.

როინ გეორგევიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

გილოცავი!

ადგილობრივი თვითმმართველობა მუდამ ზრუნავდა ლიტერატურული პროცესების განვითარებაზე თელავის მუნიციპალიტეტში. ამის ნათელი დასტურია მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ უკვე ტრადიციად ქცეული, ნაყოფიერი თანამშრომლობა თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რაც გამოიხატება როგორც ერთობლივ ღონისძიებებში, ასევე ჟურნალ „ოლე“-ს წარმატებულ ფუნქციონირებაში. ეს არის ჟურნალი, რომლის მემვეობით მკითხველი ეცნობა როგორც აღიარებული პოეტების, მწერლების, პუბლიცისტებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაშრომებს, ასევე ახალ სახელებს, რადგან ჟურნალმა „ოლე“ არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვალა გზა ლიტერატურაში.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მინდა მივულოცო დაარსებიდან 15 წლის იუბილე ჟურნალ „ოლე“-ს სარედაქციო კოლეგიას, მის თითოეულ ავტორსა და მკითხველს, ვისთვისაც ძვირფასია ლიტერატურა და ვუსურვო ახალი, საინტერესო პუბლიკაციები და ერთგული მკითხველის სიმრავლე.

შოთა ნარეკლიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის მერიი



„ოლეს“

ძვირფასო მეგობრებო!

დიდი სიყვარულით გილოცავთ თქვენი მშვენიერი ჟურნალის დაარსების მე-15 წლისთავს.

თქვენი ჟურნალი ერთი ხელის თითებზე დასათვლელ თანამოქმედთან ერთად ოაზისად იქცა უდაბნოდ ქცეულ ჩვენს სათაყვენებელ სამშობლოში მათვის, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სიტყვა, ქართული სულიერება, ყოველივე ის, რამაც შეგვანარჩუნებინა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა.

ჟურნალი „ოლეს“ მართლაც რომ ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხეა თელაველი ლიტერატორებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა შემოქმედთათვის, რომლებიც ახლა იწყებენ მნერლური, ნარევლიანი გზით სიარულს.

როგორ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო „ოლეს“ შემოქმედებითი კოლექტივის თოთოეული წევრი, განსაკუთრებით კი ჟურნალის მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი, რომელიც მოწამებრივი ერთგულებით ეზიდება მის წილ ჯვარს და ყველაფერს აკეთებს სამისოდ, რათა კახთა სატახტო ქალაქში ქართული სიტყვის პრიმატი ბატონობდეს.

უფალს ებარებოდეთ, ჩემო ძვირფასებო!..

3



თემურ ჩალაგაშვილი

საქართველოს მნერალთა კავშირის თავმჯდომარე

გულითადად გილოცავთ

„ლიტერატურა ხალხის ჭუა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი და ჩვეულებაა, – წერდა ილია ჭავჭავაძე. ხალხის გონება და ფიქრი კი, მართლაც არასოდეს ცდება – ლიტერატურა საზოგადოების ფორმირების ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია. ის ერის ტყივილის, მისი მწუხარების, ერთმანეთთან ჩვენი სათქმელის ჩამოყალიბების შეუცვლელი შესაძლებლობაა.

სწორედ ლიტერატურის სიყვარულმა გააერთიანა, ჩვენს ქალაქში, „ლიტერატურული კახეთის“ გარშემო შემოკრებილი მწერლები, რომლებიც უკვე 15 წელია ჟურნალ „ოლეს“ გამოსცემენ. მისი შინაარსის, ლიტერატურული ნაწარმოებების, პეტლიცისტური წერილების გაცნობისას, თვალსაჩინო ხდება, რატომ პქვა ჟურნალს გიორგი ლეონიძის გენიალური ლექსის სახელი. ჟურნალის გამომცემლებს უყვართ საკუთარი მკითხველი, აფასებენ და პატივს სცემენ ყველა გემოვნებისა და ინტერესის ადამიანს, გზას უკაფავენ ლიტერატურაზე შეყვარებულ ახალგაზრდებს. თხუთმეტი წელი ისტორიისათვის თვალის ერთი დახამხამებაა, ლიტერატურული გამოცემისათვის კი მთელი ეპოქა. როგორც თანამედროვე ეპოქის პირუთვნელი შემფასებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესზე. გისურვებთ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ისმოდეს თქვენი ხმა და შეგეტანოთ თქვენი წვლილი ქვეყნის განვითარებაში.

მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა იმ ადამიანის სახელით, რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარს.

პატივისცემით,
არჩილ თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკურებულოს თავმჯდომარე

ვულოცავთ!

5 წელი შეუსრულდა მნერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ჟურნალ „ოლეს“, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული გამოცემაა და ემსახურება არამარტო კახეთში მცხოვრებ მწერლებს, ხელოვანებს, ლიტერატურის მოყვარულებს, არამედ ეს ჟურნალი სრულიად საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას წარმოაჩენს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, რაც, ჩვენი აზრით, მისი მთავარი რედაქტორის, ცნობილი პროზაიკოსისა და მთარგმნელის აკაკი დაუშვილის და მნერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის, შესანიშნავი პოეტის ფარნა რაინას დამსახურებაა. ჟურნალში შეხვდებით საინტერესო რუბრიკებს: „სარწმუნოება“, „მხატვრული ლიტერატურა“, „დოკუმენტური პროზა“, „წერილი რედაქციას“, „თარგმანი“, „მწერლის სიტყვა“, „ესსე“, „წერილები“, „განსხვავებული თვალსაზრისი“, „კულტურული ცხოვრების ქრონიკა“ და სხვა, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ, როგორც პოეზიას და პროზას, ასევე ლიტერატურულ-სამეცნიერო ხასიათის ტექსტებს, ახალგაზრდა მნერლების შემოქმედებას, კახეთის ლიტერატურულ-კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ წენრილებს.

თელავი №2, 2019



საქართველოს მწერალთა კავშირი და უურნალი „ცისკარი“ უურნალ „ოლეს“ თანამშრომლებს, გულშე-მატკივრებს, მკითხველებს, უურნალის მხარდამჭერებს და თანამდგომებს (უურნალის დაფინანსებისთვის განსაკუთრებული მადლობა უნდა მოვახსენოთ თელავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას) ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ, კვლავაც ერთგულად ემსახუროს თავის ულამაზეს კუთხეს – კახეთს და სრულიად საქართველოს!

პატივისცემით,
ბალათერ არაპული

პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე,
უურნალ „ცისკრის“ რედაქტორი

4



15 ნელის მზეაძაპუკი

უურნალი „ოლე“ თხუთმეტი წლის შესრულებულა!

ქართული მწერლობის ქომაგი თელავიდან აშველებს თავის ღონიერ ბანს ჩვენს ლიტერატურას და მეციხოვნესავით ფხიზლობს ქართული სიტყვის სადარაჯოზე.

თხუთმეტი წელი ბევრი არ არის, მაგრამ უურნალმა „ოლემ“ უკვე მოასწრო დაბრძენება და მის გარეშე ნარმოუდგენელია დღევანდელი სალიტერატურო პერიოდიკა.

უურნალის გამოცემაზე მზრუნველმა ადამიანებმა იციან – არცთუ იოლად სავალი გზებით მოვიდა დღემდე „ოლე“. მასაც ისევე უჭირდა, როგორც უჭირს მთელ ქართულ კულტურს, ნამდვილ ქართულ მწერლობას. გმირობის ტოლფასია მთავარი რედაქტორის აკაკი დაუშვილისა და უურნალის სარედაქციო საბჭოს წევრების თავდადება!

მჯერა ლვთისა და კაცის შეწევნით, არც ამის შემდეგ ჩაიმუხლებს თხუთმეტი წლის მზეჭაბუკი.

ვულოცავ „ოლეს“ შემოქმედებით კოლექტივს მოკრძალებულ იუბილეს – ვინც, სულს უბერავს, რათა უურნალის დანთებული ცეცხლი არ ჩაინავლოს და ჩვენი სათავეანო თელავიდან გაათბოს ქართული ლიტ-ერატურის გულშემატეკივარი.

ვალო ჩეიკვაძე

ეროვნული პრემიის ლაურეატი

გამორჩეული ხელცერის შურნალი

უურნალ „ოლეს“ 15 წელი შეუსრულდა და მაქს პატივი, როგორც ერთმა რიგითმა მკითხველმა, რომელსაც კარგად ახსოვს მისი დაბადება, (და ზოგჯერ ავტორმაც, რომელსაც გულლიად უთმობენ უურნალის ფორმატს წებისმიერი პეტლიკაციისათვის!) მივულოცო მას ეს ღირსშესანიშნავი თარიღი!

არსებობის 15 წელი თავისთავად უკვე ნიშნავს უამრავ საინტერესო ავტორსა და მკითხველს, პუბლიკიასა და გამოხმაურებას, ლექსს, პროზას, ჩანახატს, ესასეს, მოგონებას, კრიტიკულ სტატიასა თუ სამეცნიერო კვლევას, მილოცვასა და მიძღვნას. უურნალ „ოლეს“ უკვე თავისი გამორჩეული, ჩამოყალიბებული ხელწერა აქვს და საკუთარი ერთგული მრევლიც შემოუკრებია იმ ტაძარში, სადაც საკუთარი ქურუმებიც ჰყავთ და უამთაბრძნელებიც, მომლოცველნიც და მსახურნიც, აქ ძლიერ უყვართ ლიტერატურა და იციან მისი ფასი, სადაც უხმაუროდ, მოკრძალებით, უპრეტენზიოდ და საქმიანი ფუსფუსით ქმნიან ლიტერატურულ მატერიალს კახეთში, და განსაკუთრებით, თელავში, სადაც მოელიან და ახარებთ უურნალის ყოველი მომდევნო ნომრის დასტამბვა. აქ სახვითი ხელოვნებისა და სხვა სახელოვნებო ამბებისთვისაც იცლიან და გამორჩეულად უყვართ კეთილი სიტყვა, ზოგჯერ, აღმატებული ეპითეტი, ქათინაური, ხოტბაც კი, ის, ერთი სიტყვით, ყველა ის „კონტრაბანდული“ პროდუქტი, რაც ასე დეფიციტური გახადა ყოველდღიურმა რუტინამ და თანამედროვე „ყოფის აუტანელმა სიმსუბუქები“...

ვუსურვებ უურნალ „ოლესა“ და მის სულისჩამდგმელთ ნარმატებას, მკითხველისა და გულშემატეკივარის სიმრავლეს და ახალ სახელებს, რათა კიდევ დიდანს იშრიალოს და იხმაუროს დიდი გოგლას ნაკვალევზე ამოზრდილმა „ახოში საჩირდილობლად დატოვებულმა ხემ!“

ვიქრია ყუშიტაშვილი

თელავის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი



გილოცავის ურნალის საიუბილეო თარიღი

ბატონი ფარნა,

ბატონი აკაკი,

ვფიქრობ, არავის გაუკვირდება თუ ვიტყვი, რომ საქართველოს ფარიც და ჯაჭვის პერანგიც აღმო-სავლეთში კახეთი, ხოლო დასავლეთში აჭარა იყო. ამ ორ განაპირა კუთხეზე მოდიოდა მთელი სიმძიმე სამშობლოს დაცვისა. მიუხედავად ამ უზარმაზარი ფუნქციისა ეს კუთხები, განსაკუთრებით კი კახეთი ქართული ლიტერატურისა და კულტურის ჭაპანს ეწეოდა.

ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება უცნაური. ახლო წარსულში, თოხმოცდაათანი წლებიდან მოყოლებული, ყოვლის და ყველაფრის ნიველირება როცა ხდებოდა, შეწყდა გამოცემები ჩვენი უსაყვარლესი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებისა. ზოგირთი მათგანი დღესაც განისვენებს და ამ დროს თელავში, ერევლე მეფის სატახტო ქალაქში, მნერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თაოსნობით ფუნქციება ჟურნალი „ოლე“. მას შემდეგ 15 წელი გავიდა. „ოლე“ უნაკლოდ ასრულებს თავის დანიშნულებას. ის არა მარტო კახეთის, არამედ სრულიად საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს და მკითხველს აცნობს და აყვარებს ქართულ პოეზიას, პროზას, კახეთს ტკივილიანი წარსულითა და დღევანდელობით.

ჩემო ძვირფასო კოლეგებო, გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ ჟურნალის საიუბილეო თარიღს. დარწმუნებული ვარ „ოლე“ ყველა დროში უნაკლოდ და უხინჯოლ შეასრულებს თავის ფუნქციას. მე კი როგორც კახეთზე შეყვარებული ერთგული მკითხველი მიგულეთ თქვენს გვერდით.

5



დავით თეღორაძე

საქართველოს მნერალთა შემოქმედებითი
კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

თანამებრძოლი გზეშაბუკი

გვიხარია, რომ „ოლე“ თავის ფურცლების გვილოში ადგილს უთმობს არა მხოლოდ ჩვენი ბარაქიანი მხარის, უმშვერიერესი კახეთის მკვიდრ მნერლებს, არამედ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ ნიჭიერ მოკალმეთაც, ეს კი ის გზაა, რაც ასე სჭირდება ნებისმიერი ჟურნალის სახელსა და საყველთაობას, სჭირდება იგი თავად მნერლების ზრდა-განვითარებასაც...

მადლობა ეთქმის კახეთის მხარის დიდ-პატარა ხელმძღვანელობას, ასე რომ ესმით, ქართული მხატვრული სიტყვის ხელისშეწყობის მნიშვნელობა... უამისოდ ჩვენთანაც, მთლად გაუსაძლისობა იქნებოდა...

„ოლე“ ახლა 15 წლის ნამდვილი ქართული დიდებული ჟურნალია და რა იქნება იგი მაშინ, როცა „განთიადივით“ 132 წლის განხდება... ნეტავი, იმ დროს, იმ მნერლებს, იმ რედაქტორებსა და იმ საქართველოს (2136 წელი)...

მრავალუამიერ „ოლეს“, მშობლიურ მნერლობას და ჩვენს მამულ-დედულს!

ავთანდილ ურაშვილი

ჟურნალ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი

ამ სიყვარულით გევლოთ!

საქართველოში თითქოს მინავლდა ეგრერიგად აღტყინებული პატრიოტული სულისკვეთება, თითქოს ყავლი გაუვიდა ზნეობას, მორალს... მაგრამ დიდი ილიას გაკვალული გზით გვირაბს იქით მაინც დაჟინებით ილტების ქართველი კაცი და ეს ლტოლვა მარადიული სინათლის ძიებაშია, რადგან იცის, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ქართველი ერი ბევრჯერ დაცემულა და მკვდრეთით აღმდგარა, ვითარცა ლაზარე... მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართული სული, სალი კლდესავით შეუვალი, ფოლადივით იწრთობა და გადაშენება არ უწერია....

ქართული სულიერების სადარაჯოზე კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერთგულ მეციხოვნედ დგანან ქართველი მნერლები და პოეტები, – ჩვენი სალიტერატურო გამოცემები. ისინი თავიანთი „სულის პურით“ კვებავენ და უანგარო სამსახურს უწევენ ქართველ ერს, რამეთუ ერის ხსნა იმ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებშია, რაც ქართულ კულტურაშია გამოხატული.

ჩვენი სულიერების დიდ ჭაპანს, მათთან ერთად, ჩვენი საყვარელი იუბილარი ჟურნალი „ოლეც“ 15

ოქტომბერი №2, 2019





წელია უდრტვინველად ეწევა და ღირსეულად აგრძელებს იმ დიდ ტრადიციებს, რაც კახეთმა შესძინა სრულიად საქართველოს.

შურნალი „ოლე“ მართლაც გამორჩეული, მრავალფეროვანი და ორიგინალური გამოცემაა, რომელიც სწორედ იმ დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს, რომელიც ესოდენ სჭირდება დღევანდელ საქართველოს. ამ შურნალში დაბეჭდილ ავტორთა გულისთქმა, მთელი კახეთის და, მე ვიტყოდი, სრულიად საქართველოს გულისთქმაა; ჭეშმარიტად ეროვნული სულით დამუხტული შურნალის თითოეული ნომერი, ქართული კულტურის დიდი შენაძენია, რომელიც დროს უსათუოდ გაუძლებს და მომავალ თაობებს სულიერ საზრდოდ გაჰყვება.

ძვირფასო კოლეგებო, ბევრს ციდან ჩამოყრილი მანანები ჰორნია შურნალის გამოცემა, მაგრამ რამდენ შრომას, უძილო ლამეს იტენს, ეს ბევრმა როდი იცის. სწორედ ამიტომ, თქვენი დიდი ლვანლის საფასურად, მიიღეთ ჩვენი გულნრფელი მილოცვა და ღმერთმა ჰქნას, 15 კი არა, 150 წელი ისეთივე შემართებით გამოდიოდეს შურნალი „ოლე“, როგორი შემართებითაც ამჟამად გამოდის, – არც ღირსეული შემოქმედები მოგკლებოდეთ და არც ერთგული მკითხველები.

განსაკუთრებული სიყვარულით ვლოცავ შურნალის სულისჩამდგმელსა და დიდ პოეტს, ჩვენს ერთგულ მეგობარს, ფარნა რაინაულს, მთავარ რედაქტორს, შესანიშნავ მწერალსა და მთარგმნელს აკაკი დაუშვილს, სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრს და გვჯერა, თქვენი ასეთი დამოკიდებულებით კვლავაც შეძლებთ მომავალში საქვეყნო საქმეების კეთებას.

გლოცავთ, გვეიმედებით.

დიდი სიყვარულით, მეგობრობით,

ავთანდილ პერიძე,

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარი რედაქტორი

„მთანეუვავილა“ გილოცავი..

შურნალი ძეგლია!..

მითურო, კარგი შურნალი.

15 წლის გამხდარა „ოლე“, რომელიც კახეთის გულისგულში, თელავში იშვა და დღემდე, მთელი საქართველოს შურნალად იქცა.

გულისიფანცქალით ელოდები შურნალის ახალ ნომერს, როცა იქ, შენი ლექსი თუ მოთხრობა გეგულვის და ეს გულისფანცქალი მე არაერთგზის განვიცადე.

ჩემს ბიბლიოთეკას ამშვენებს „ოლეს“ ნომრები (სხვადასხვა წლების).

ვულოცავ შურნალ „ოლეს“ რედაქტორს, შესანიშნავ მწერალს და ადამიანს – აკაკი დაუშვილს თხუთმეტწლიან იუბილეს, ვულოცავ: რედკოლეგიას, ავტორებს, დამფინანსებლებს, გულშემატკივრებს, მკითხველებს.

ჩემო აკაკი, შურნალი „მწვანეყვავილა“, იმერეთიდან, ალავერდს გადმოდის „ოლესთან“!..

პატივისცემით გილოცავა

შურნალ „მწვანეყვავილას“ მთავარი რედაქტორი

„ოლე“ – სულთა ჩვენთა საჩრდილობელი

15 წლისა გამხდარა „ოლე“, კახთა სატახტო ქალაქში გამომავალი სალიტერატურო შურნალი.

თხუთმეტი წელი თითქოს არც ისე ბევრია, თითქოს საყმანვილო ასაკია, მაგრამ ვინც ჩვენი ქვეყნის — ქრისტესავით ჯვარცმული ქვეყნის ბოლო წლების ისტორია იცის, მიხვდება, თუ რა ჯოჯონეთურ გზას გამოივლიდა ქართული სულიერების ქურაში გამოწრთობილი ეს შურნალი თელაველი და არამარტო თელაველი მწერლებისა.

„ოლემ“ თითქმის შეუძლებელი შეიძლო. გაუძლო ყველანირ ზენოლას, არ აჰყვა იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების ცდუნებას და ერთგული დარჩა იმ ტრიადისა, რომელიც საქართველოს წმინდა ილია მართალმა დაუშვილა სამოქმედო პროგრამად — მამული, ენა, სარწმუნოება.

როგორ შეიძლება ლრმა მოწინებისა და პატივისცემის გრძნობით არ მოვიხსენიოთ „ოლეს“ შემოქმედებითი კოლექტივი, პატივისცემით არ მოვიხსენიოთ შურნალის მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი,



რომელიც მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ხელმძღვანელთან, ბატონ ფარნა რაინასთან ერთად შეუძლებელს აკეთებს და არამარტო თელაველებს, არამედ სრულიად საქართველოსაც არ აკლებს სულიერ საზრდოს.

მათი შემართებით, ვაჟაპობით, შეუდრეკლობით, მუხლჩაუხელობით აღტაცებულს მხოლოდ ამის თქმა შემიძლია:

ბარაქალა, ჩემო კარგო ადმინისტრო, თქვენს ქართველობას, თქვენს დიდ ქართველობას, ჩემთვის თქვენ მართლაც რომ საქართველოს, ქართული მწერლობის, მისი წარსულისა და აწმყოს მეციხოვნები ხართ, ის მეციხოვნები, რომლებიც ხშირად შიშველი ხელებით, მაგრამ რწმენით, ძარღვებში აფეთქებული ქართული სისხლით აგურ-აგურ აშენებთ იმ დიდებულ ნაგებობას, რომელსაც ჩვენი საესავი სამშობლოს მომავალი ჰქვია.

ღმერთი შეგენიოთ ამ დიდ საქმეში და თუ ერთი რიგითი ჯარისკაცი დაგჭირდათ ამ უთანასწორო ოშეი, თქვენს გვერდით მიგულეთ.

7

ზაალ პოტკოველი,

საქართველოს მწერალთა კავშირის
საორგანიზაციო განყოფილების უფროსი



თხუთმეტი ცლისააო ურნალი „ოლე“!

ჩვენი ეროვნული განძის – კახეთის ღრმა ქართული განუმეორებელი კოლორიტი ღმერთივით აღიქვა და ფერწერად ჩამოასხა გენიალურმა ფერმწერმა ნიკო ფიროსმანაშვილმა; ამ მხატვრულ საოცრებათა კუთხეს თავის დროს მოველინენ მსოფლიო დიდების ტენორი ვანო სარაჯიშვილი, მრავალწლიანი, სათუთად შენაძული კახური ღვინოსაკით ტანინ-არომატიანი გოგლა ლეონიძე და ჯვრ კადევ მზეს შემციმციმე მწიფე მტევანი, მწერალი გურამ რჩეულიშვილი. მათ გვერდითაა საერთაშორისო მნიშვნელობის რამდენიმე მეცნიერი, ფილოსოფიისი, ასტრონომი, მედიკოსი და სწავლული.

ცისფერი ოკეანის ზედაპირზე ლალად მოსეირნე საკვირველი გემების გვერდით მოულოდნელად გამოისეირნა შინდისფერმა, სპილოსძვლისფერ აფრიანმა უურნალ-ნავმა, ლიტერატურულმა „ოლემ“; თხუთმეტი ნელია, შეიტანა და შეაქვს სრულიად განსხვავებული ელვარება, რითაც კახეთისა და სრულიად საქართველოს უნიჭიერეს ხელოვანთ ვარსკვლავეთურად ასეირნებს ლაუვარდოვანი, თავისუფალი ღია ცის ქვეშ და უურნალის ავტორები, მთავარი რედაქტორისა და რედაქტორთა მეწინავეობით, უკვე საქვეყნოდ დაფასებულ-ცნობილნი არიან. ვინძლო, ამ მადლიანმა ალმანახმა მომავალში გენიები ალმოაჩინოს, თუმცა არც ამჟამად აკლია ბაჯაღლო ოქროები. მჯერა, სანუკვარი უურნალი „ოლე“ დიდ სიტყვას იტყვის საქართველოსა და მსოფლიო მასშტაბითაც, რითაც აღსრულდება და გახდება ქართულ სიტყვათა განძმენას-ველ-მატარებელი.

თქვენი რეზო ადამია,
მხატვარი, მწერალი

ნატვრის ხეო „ოლე“

15 ცლის იუბილარ ჟურნალ „ოლეს“.

ჯერ, თავიდან, მარტო იყავ,
ნატვრის ხეო, „ოლე“.
მაღე, ეროვნულ მკითხველების
გული მოყყოლე.

სიყვარული, სიხარული,
თუ, სიკეთის განცდა,
გეწვია და ღირსეული
სახელი შორს გასცდა.

უკვე, მარტო, აღარა ხარ,
ვინ დაგტოვებს მარტო? —
მწერლები თავს დაგხარიან,
ქვეყნის წინსვლას ნატრობ.

ჯერ, კი ყრმა ხარ, მაგრამ... სიბრძნით
ზეცას სწვდები, გულით,
სულ, გშვენოდეს: მოთხრობების,
ლექსთა თაიგული.

ცეც ძაბუკაშვილი

ოლე, №2, 2019





პუშკინის ეხთი
ღვესის 50 ქათური
თახბმანი

ალექსანდრე პუშკინი

* * *

Я вас любил: любовь ещё, быть может,
В душе моей угасла не совсем;
Но пусть она вас больше не тревожит;
Я не хочу печалить вас ничем.
Я вас любил безмолвно, безнадежно,
То робостью, то ревностью томим;
Я вас любил так искренно, так нежно,
Как дай вам Бог любимой быть другим.

А. Пушкин

პუშკინის ეს ლექსი დაიწერა 1829 წელს (ლექსის დაწერიდან გავიდა 190 წელი) და მკვლევართა ნაწილის აზრით მიღვნილია ანა ოლენინისადმი. ანა იყო რუსი სახელმწიფო მოღვაწის, ისტორიკოსის, არქეოლოგისა და მხატვრის ალექსანდრენინის ქალიშვილი.

(კონტაქტის მიზანი ანას უტროგდა და (კოლობა) სთხოვა.

აღნიშნულ პუბლიკაციაში ჩვენ გვაერთიანეთ როგორც აქამდე არსებული ქართული თარგმანები, ისე კონკრეტულად უურნალ „ოლეს“ ამ პროექტისათვის საგანგებოდ თარგმნილი ნიმუშები, რისთვისაც ავტორებს ულრძეს მადლობას მოვახსენებთ.

ერთი ლექსის ერთდროულად 50 თარგმანის გამოქვეყნება უპრეცედენტო შემთხვევაა ქართულ ლიტერატურულ პერიოდისაში.

პუშკინის ამ ლექს შედევრს ეხმანება, თანამედროვე პოპულარული რუსი მნერლის, იური ბუიდას მოთხ-რობა „ზოგაოსანი სინდაცია“, რომელიც „ოლე“-ს ნინამტბარ ნომერშია გამოიკვენებული.

უკრნალ „ოლე“-ს ეს პროექტი ეძღვნება ალექსანდრე პუშკინის დაბალების 220 წლისთავს.

* * *

მე თქვენ მიყვარდით: და ვინ იცის, ეს გრძნობა დიდი
იქნებ ჩემს სულში ჩარჩენილა, ვით ნათლის სვეტი,
მაგრამ მე თქვენი შემფორთება არ მინდა მითი,
და თქვენი გულის დალონებაც არ მინდა მეტი.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, უხმოდ, უთქმელად,
ხან მოკრძალებით, ხანაც ვიყავ ეჭვით ფარული,
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად,
რომ ღმერთმა მოგაცეთ ასეთიც სხვა სიყვარული.

თარგმნა პაოლო იაზილეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით და... შეიძლება,
კვლავ ვგრძნობდე გულზე მტანჯველ მარწუხებს...
ნუ შეგაშფოთებთ ეს სიყვარული,
თქვენ იგი დიდად ნუ შეგაწუხებთ...
ო, უიმედოდ მე თქვენ მიყვარდით
(უზენაესის ვინ უწყის მეტმა!)...
და შეგიყვაროთ სხვამაც თქვენ ასე:
ნაზად და წმინდად – ინებოს ლმერთმა!

თარგმნა ანა კალადეაპე

* * *

მე თქვენ მიყვარდით... სიყვარული ჯერ კიდევ იქნებ
მთლად არ გამქრალა და ჩემშია, ძვირფასო, ისევ,
მაგრამ ამაზე ნუ იდარდებთ, თქვენს ნათელ ფიქრებს
მე ხელმეორედ მღელვარების არ მივცემ მიზეზს...
მე თქვენ მიყვარდით უნუგეშოდ, ფარულად, უხმოდ
ხან უძლურებით და ხან ეჭვით ვიყავი საგსე,
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად და ისე უღვრთოდ,
რომ ღმერთს ვთხოვ: – ღმერთ, ნეტა სხვასაც უყვარდეთ ასე!

თარგმნა გიხეილ ქვლივიძემ

9

* * *

მე თქვენ მიყვარდით: სიყვარული თქვენი – ეგების
მინავლულ ცეცხლად სულში დღემდე კიდეც ვთინიე.
ამიერიდან მშფოთვარ ფიქრს ნუ გადაეგებით,
სულაც არ მინდა დამწუხრება თქვენი რითიმე...

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ: ენა დადუმდა
იჭვით, სიმხდალით ვერ გასმინეთ ხმა საესავი;
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე სათუთად,
რომ, ღმერთმა ქნას და, შეგიყვაროთ სხვამაც ჩემსავით.

თარგმნა გივი პაპაზარება

* * *

მე, თქვენ, მიყვარდით, თუმცა, – ვენდე ჩუმს და... ბრმა იმედს,
ეს სიყვარული, მთლად, არ ჩაქრა, – იწვის... ანთია...
მაგრამ... არ მინდა: დაგალონოთ, ჩემგან, რაიმე, –
არ მინდა: სევდით და წუხილით შეხვდეთ განთიადს...

უსიტყვო: კრძალვაც, ტანჯეცაც, ეჭვიც, ფიქრიც, გულს ვანდე,
მე, თქვენ, მიყვარდით, კვლავ, მიყვარხართ, ნაზი, ვით – ვარდი,
ღმერთმა ქნას, სხვასაც: ისე – განცდით, ისე – უყვარდეთ,
თავდავიწყებით, წრფელი გულით, მე, რომ მიყვარდით...

თარგმნა ვარნა რაინამ

* * *

მე თქვენ მიყვარდით... სიყვარულად ისევ იბარტყებს,
ის რაც, ჩემს სულში საბოლოოდ ჯერ არ ჩამქრალა...
და თქვენც, ძვირფასო, ნურაფერზე ნულარ იდარდებთ,
არ მსურს, რომ დარდი გაგიმრავლოთ წელთა ლაშეარმა...
თუმცა, კრძალვასაც სიფრთხილით და ეჭვით ვბედავდი,
შორით გეტრფოდით უიმედოდ, თანაც მღუმარედ,
მე რომ, სიწრფელე და სინაზე მქონდა თქვენდამი,
ნეტავ, იმგვარად, ღმერთმა ქნას რომ, სხვასაც უყვარდეთ!...

თარგმნა გადრი სულაპემ

ოლქა, №2, 2019





* * *

მე თქვენ მიყვარდით... გრძნობა არ გაქრა,
იქნებ არც არის ჯერაც გვიანი...
ვერ შეგაწუხებთ, თუმცა კვლავ აქ ვარ –
არ მსურს რითომე განალვლიანოთ...
მიყვარდით უხმოდ და უიმედოდ,
თქვენს მონას მკლავდა ეჭვი და ტრფობა...
სხვას შეაყვარე ჩემსავით ღმერთო –
ის, ვისიც მიჭირს ეხლა დათმობა...

თარგმნეს ვაჟა ოთარაშვილეა, ეკა კვანტალიანეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით. თუმცა, ახლაც, იმ ტრფიალების,
მინავლებული ნალვერდალი მითბობს გონებას,
მაგრამ, დაე, თქვენ ნუ იღელვებთ, ალარ ეგების,
არ ვისურვებდი რაიმეთი თქვენს დალონებას.
ხან დაგემონეთ, ხან ეჭვების ვიქეც სახიზრად,
ვემსგავსე მიჯნურს უხმაუროს და უიმედოს,
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე ფაქიზად,
რომ მსგავსი ტრფობით, ღმერთმა თქვენთვის სხვაც გაიმეტოს.

თარგმნა თამარ ფარსუკიძემ

* * *

მიყვარდით: იქნებ არც დამცხრალა ეს სიყვარული
სულში ბოლომდე და მაგონებს რარიგ მიყვარდით,
მაგრამ დე, ნულარ აგალელვებთ გრძნობა ფარული.
არ მინდა, რამის გახსენებით მოგგვაროთ დარდი.

მიყვარდით უხმოდ და უთქმელად, უსასოდ ასე,
ტანჯულს ხან კრძალვით ხან უთქმელი ეჭვით ფარული;
მიყვარდით ისე წრფელად, ნაზად თქვენით ალსავსეს,
დე, ღმერთმა მოგცეთ ისეთივე სხვა სიყვარული!

თარგმნა ნინო დარგაისალეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით: შესაძლოა, ტრფობა ფარული,
არ ჩაფერფლილა ჩემ სულში და მხოლოდ ისვენებს;
დღეიდან ნულარ შეგაშფოთებთ ეს სიყვარული,
რადგან არ მინდა ნალვლიანი გნახოთ ისევე.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, ჩუმად და მუდაშ
ხან მოკრძალებით, ხან ეჭვითაც ვიყავი სავსე;
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე სათუთად,
ღმერთმა ქნას, სხვასაც რომ უყვარდეთ ჩემსავით ასე.

თარგმნა ელგუჯა მარლიამ



* * *

მე თქვენ ძლიერ მიყვარდით: ალბათ, ახლაც მიყვარსართ,
გრძნობა ჩაუქრობელი, დარჩა სულის ტიხართან,
აღარ მინდა რომ მეტად სიყვარულზე დელავდეთ,
მინდა ლალად იცხოვროთ სულის ამოფრენამდე.

უნუგშოდ ვიყავი თქვენზე შეყვარებული,
უიმედოდ, ხან რიდით, ხან ეჭვებით ვნებული,
მე თქვენ ისე მიყვარდით, ისე წრფელად და ნაზად,
ღმერთმა ქნას, რომ სხვა უფრო გაგეგოთ ფიანდაზად.

თარგმნა ციური ევსებიშვილეა

11



* * *

მე თქვენ მიყვარდით. სიყვარულის ძალით შეძრული
ჯერ არ ჩამქრალა ჩემში ცეცხლის ნიშატი, ვხედავ,
მაგრამ მე თქვენი შეშფოთება არ მსურს, მერწმუნეთ,
მცირეოდენი შენუხება არ მინდა მეტად.

განგებამ უხმო, უიმედო გრძნობა მაღირსა,
ვდუმდი, ხან შიში, ხანაც ეჭვი მახლდა რადგანაც,
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე ფაქიზად,
რომ ღმერთმა ქნას და შეგიყვაროთ სხვამაც ამგვარად.

თარგმნა ანდრო პუაჩიძე

* * *

მე თქვენ მიყვარდით, სიყვარულს კვლავაც
გულში ვინახავ მყოფს უპასუხოდ,
მაგრამ გთხოვთ ეს ნუ გახდება, რამაც,
თქვენ უნდა გტანჯოთ ან შეგაწუხოთ.

მე თქვენ მიყვარდით და თავში აზრად
ეჭვიან ფიქრებს ვათრევდი მძიმეს,
მე თქვენ მიყვარდით იმდენად ნაზად,
ღმერთმა ქნას ისე უყვარდეთ ვინმეს.

თარგმნა კოტე ყუბანევიშვილეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით!.. შეიძლება, ეს სიყვარული
ჯერ არ ჩამქრალა ამ ჩემს გულში, ისევ ხმიანობს,
მაგრამ დაე, ნუ შეგაშფოთებთ გრძნობა ფარული,
არ მსურს რაიმემ დაგალონოთ, გასევდიანოთ.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, რიდით, მაღლულად,
ხან ეჭვი მკლავდა, მაგრამ ტრფობა მქონდა მხურვალე.
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე სათუთად,
ღმერთმა ქნას, ასე მომავალში სხვასაც უყვარდეთ!

თარგმნა ვასილ გულეურეა

ოქტომბერი, №2, 2019



* * *

მე თქვენ მიყვარდით, ეს სიყვარული
მთლად არ ჩამქრალა ჩემს ტანჯულ სულში
და მე არა მსურს სევდა ფარული
კვლავაც ბუდობდეს შენს ფაქიზ სულში.

მე თქვენ მიყვარდით, კრძალვით და ნაზად,
რომლითაც ცოცხლობს ფარული დარდი,
მე გისურვებდი, დე ტანჯვის ფასად,
სხვებს რომ უყვარდე, ვით მე მიყვარდი.

12



თარგმნა პიკანტი ფურაპელიშვამ

* * *

მე თქვენ მიყვარდით: სიყვარული, – კვლავაც შესაძლო, –
ჩემს სულში, ჯერ, მთლად არ ჩამქრალა, ტრფობით ვიწვი მე;
მაგრამ ის მეტს არ შეგაშფოთებთ, ალარ შეგაკროთობთ;
მე არ მინდა, თქვენ, დაგამწუხროთ, ოდნავ, – რითიმე...

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, ჩუმად, უთქმელად,
ხან რიდით, ხანაც, ვუხმობდი ეჭვს, ტანჯულს, – უხვადმდენს;
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად,
ღმერთმა ინებოს, რომ თქვენ, ასე, სხვასაც უყვარდეთ...

თარგმნა თინათინ მრელაშვილეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით. სიყვარული თითქოსდა ბედად
ჩემი სულისთვის ისევ მგონი ვერ იქცა უცხოდ.
ნუ შეშფოთდებით, ქალბატონო, რადგანაც მეტად
მე ალარ მინდა თქვენ რამეთი რომ დაგამწუხროთ.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, არ იყო შველა;
ხან შიში მყლავდა, ხან მიღრნიდნენ გულს ეს ეჭვები,
მე თქვენ მიყვარიდთ, ისე ნაზად და ისე წრფელად,
ასე უყვარდეთ კიდევ ვინმეს, ღმერთს ვევედრები.

თარგმნა მერაპ მეტრეველეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით, იმ სიყვარულს ჩემი სულისთვის
არ ჩაჰერობია, შესაძლოა, ყველა სანთელი,
მაგრამ ნურასდროს დაგანალვლებთ ეს, ღვთის გულისთვის,
არ მინდა წყენა მოგაყენოთ ჩემი სათქმელით.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, სიტყვის უთქმელად,
ვიყავ ხან კრძალვით გატანჯული, ხან ეჭვით სავსე;
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად,
რომ ღმერთმა მოგცეთ — ვინმე სხვასაც უყვარდეთ ასე.



თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით და ეს გრძნობა, ალბათ, ბოლომდე
არც მინავლულა, ძველებურად მიღვივის სულში,
მაგრამ თქვენ ნუღარ შემფორდებით, ჩემთან მყოლოდით
მინდოდა... დღეს კი, ნუ მოიწყენთ, ხელს დაბლა ვუშვებ...

მე თქვენ მიყვარდით, უთქმელად და... პო, უიმედოდ,
მოკრძალებითაც... არ დავმალავ, ეჭვებიც მკლავდნენ...
მიყვარდით მთელი გულწრფელობით, სინაზით... ღმერთო...
მინდა, იმ სხვასაც, ასე ძლიერ რომ შეუყვარდეთ.

თარგმნა ნიკა ჩერქეზიშვილება

13



* * *

მე თქვენ მიყვარდით, ამ სიყვარულს დღემდე ქედს ვუხრი,
გულის დაფარულ, ბნელ კუნჭულში ახლაც ვინაზავ;
თუმცა არ მინდა ამის გამო რომ დაგამწუხროთ;
მე ვერ მოვილხენ, თქვენ დარდიანს თუ დაგინახავთ.

მიყვარდი, ვიყავ უიმედო, დუმილით სავსე,
დამღლალა განცდამ – კრძალვითა და ეჭვით ვკვდებოდე;
მე თქვენ მიყვარდით, ამ წრფელ გრძნობას სდევდა სინაზე,
მსურს, რომ ამგვარი ტრფობა ისევ დაგბედებოდეთ.

* * *

მე თქვენ მიყვარდით, შესაძლოა, ამ სიყვარულის
კვალი სიღრმეში შეუმჩნევლად გულს კვლავ ატყვია.
დღეიდან ნუღარ დაგამწუხრებთ გრძნობა ფარული,
თქვენი წუხილი არასოდეს არ მინატრია.

მიყვარდით – გაქრა ყველა სიტყვა, ყველა იმედი.
ხან მოკრძალება, ხან ეჭვები მლრღნიდა მზაკვარი;
მიყვარდით ნაზად, წრფელზე წრფელად და მეტისმეტად,
გისურვებთ – მალე თქვენც გეგემოთ გრძნობა ამგვარი.

თარგმნა ნათია ორმოცაძე

* * *

მე თქვენ მიყვარდით: სიყვარული თქვენდამი, იქნებ,
ჩემს გულში ჯერაც არ ჩამქრალა და ღვივის კიდევ.
მაგრამ, დე, იგი ნუ აღგიძრავს სევდიან ფიქრებს,
რადგან არ მინდა შეგიშფოთო სულის სიმშვიდე.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, გამოუთქმელად.
თქვენდამი კრძალვით, ხან ეჭვებით ვიტანჯებოდი.
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად,
ღმერთმა ჰენას, ასე კვლავაც ვისმე შეჰყვარებოდეთ.

თარგმნა ვანო ცულუკიძე

ოლქ, №2, 2019





* * *

მე თქვენ მიყვარდით: სიყვარული ჯერ, შესაძლოა,
ჩემს სულში დღესაც სულ ბოლომდე არ ჩანაცლულა;
ამ სიყვარულის გახსენებას არ დაგაძალებთ,
არ მინდა თქვენი დამწუხრება უკვე ჩავლილით.

მე თქვენ მიყვარდით დაფარულად, სასონარკვეთით,
ხან სიმხდალისგან, ხან ეჭვებით გამწარებული,
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე სიწრფელით,
ღმერთმა ქნას, მსგავსი სხვაც გყოლოდეთ შეყვარებული.

* * *

მე თქვენ მიყვარდით, ეს ტრფობა ალბათ,
ჯერ არ ჩამქრალა ჩემს სულში სულმთლად;
თუმც ტრფობის ალით ალარ დაგდაგავთ,
არ მსურს მის გამო მიეცეთ ჭმუნვას.

მე თქვენ მიყვარდით ჩუმად, უსასოდ,
სიმხდალე, ანდა ეჭვი მტანჯავდა;
მიყვარდით ისე წრფელად, უმანკოდ,
ღმერთს ვთხოვ უყვარდე სხვასაც ამგვარად.

თარგმნა ოთარ ცისკაპემ

მე თქვენ მიყვარდით!

მე თქვენ მიყვარდით!
სიყვარული, ალბათ, სულში ჯერ კიდევ ცოცხლობს.
გთხოვთ, წუ მოიწყენთ,
მე არ მსურს, თქვენს გულს ნაღველი მოვცხო...
მიყვარდით ჩუმად, უიმედოდ,
მტანჯველი ეჭვი ახელებდა ჩემს ნაზ სიმორცხვეს...
ისე გულწრფელად, ისე ნაზად მიყვარდით, რომ,
ღმერთმა ქნას, ასე გატაცებით სხვანიც გეტრფოდნენ.

თარგმნა ლალი კუკავამ

* * *

მე თქვენ მიყვარდით, შესაძლოა იმ სიყვარულის
ჩემს სულში ახლა კიდევ ენთოს ოდნავი ალი,
მაგრამ არ მინდა ამის გამო გეტკინოთ გული
და თქვენს წუხილში რაიმეთი მე მედოს ბრალი.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, ჩუმად, უთქმელად,
ხან კრძალვა მძლევდა, ხანაც ეჭვებით ვიყავი საცსე;
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად...
ღმერთმა ინებოს, რომ თქვენ სხვასაც უყვარდეთ ასე.

თარგმნა ბაგრატ ოდიშელა



* * *

მე თქვენ მიყვარდით,
სიყვარული იქნებ ჩემს გულში
სულ არ გამქრალა, ჯერ კიდევ ფეთქავს,
მაგრამ თქვენ ნუღარ აგალელვებთ გრძნობები ჩემი,
ან ოდნავადაც არ დავარღვევ სიმშვიდეს თქვენსას.
მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, უსიტყვოდ, კრძალვით,
ხან რიდით ვიყავ შეპყრობილი, ხან ეჭვი მკლავდა.
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, იმგვარ სინაზით,
ღმერთმა ქნას, კვლავაც შეგიყვაროთ ჩემსავით სხვამან.

თარგმნა ლელა პაჭარავაშ

15



* * *

მე თქვენ მიყვარდით და ვინ იცის, ეს სიყვარული,
იქნებ, ჩემს სულში რიალებდეს ოდნავი ალით,
მაგრამ არ მინდა, ამის გამო, დაგწყვიტოთ გული
და თქვენი სულის შეშფოთებაც არ მინდა ამით.
მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, უხმოდ, მალულად,
ხან მოკრძალებით, ხანაც ეჭვით ვიყავი სავსე,
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად, ისე სათუთად,
ღმერთმა ინებოს, რომ თქვენ სხვასაც უყვარდეთ ასე.

თარგმნა გიორგი ხულონდავაშ

* * *

მე თქვენ მიყვარდით, სიყვარული, ვინ იცის, ეგებ
ჩემს დალლოლ სულში ჯერ სავსებით არ დაშრეტილა;
მაგრამ თქვენ იგი ამიერით ნუ აგალელვებთ,
არ მსურს რითიმე დაგამწუხროთ... გნახეთ კეთილად!
მე თქვენ მიყვარდით უიმედოო, სიტყვაუთქმელად,
ხან ჩემი შიშის, ხან ეჭვების იყვით წყარო;
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად,
რომ ღმერთმა ჰქნას და ასერიგად სხვამ შეგიყვაროთ.

თარგმნა ვახტანგ ლლონდება

* * *

მე თქვენ მიყვარდით: შესაძლოა, რომ სიყვარული,
ჩემს სულში კიდევ ჯერ არ იყოს სულ მთლად ჩამქრალი,
მაგრამ დე, მისგან ნუღარა გაქვთ შფოთი და წყლული,
არ მინდა, რომ თქვენს მოწყენაში მე მედოს ბრალი.

მე თქვენ მიყვარდით იუმედოდ, ენაუთქმელად,
ხან მოკრძალებით, ხან იჭვებით შეწუხებულსა,
მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად –
ღმერთმა ინებოს კვლავაც შეხვდეთ ჩემებრ ერთგულსა.

თარგმნა გრიგოლ ცეცხლაძე

ოლქა, №2, 2019





* * *

მე თქვენ მიყვარდით და სიყვარული
გულში დამქონდა, – ჩაუმქრალ ალად...
ალიცლიცებდა ნიავი, ნაზი
და, ახლა, მიგხვდი... რომ არ ჩამქრალა.

თუ, მეწვეოდა უიმედობა,
ისევ, იმედის მოძახილს — ვისმენ...
მე, ჩემს, სიყვარულს, სულ, გადავმალავ,
შევთხოვ ღმერთს, ასე უყვარდე ვინმეს...

* * *

მე თქვენ მიყვარდით, და სიყვარული
ჯერ არ ჩამქრალა გულში ეგების,
მაგრამ ნუ მისმენთ, ჩემი წარსული
განა ღირსია თქვენი ფიქრების.

მე თქვენ მიყვარდით განუსაზღვრელად,
ვიყავ ეჭვებით ნავადარი.
მე თქვენ მიყვარდით ისე გულწრფელად,
რომ ღმერთმა მოგცეთ სხვა ამდაგვარი.

თარგმნა ცუცუ ქაშუკაშვილეა

თარგმნა გიორგი (გუგული) ქავშრია

* * *

მე თქვენ მიყვარდით... ეს სიყვარული
ჩემს გულში ისევ უმწეოდ ღვივის,
მის გახსენებას ვერ დაგაძალებთ,
ვერ მოგაყენებთ დარდსა და ტკივილს...

მიყვარდით მხდალის სასოწარკვეთით,
უიმედობით, ეჭვით ვიტანვე;
მიყვარდით ისე გულწრფელად, ნაზად,
ღმერთს შევთხოვ, სხვასაც ასე უყვარდეთ...

* * *

მე თქვენ მიყვარდით, ეს გრძნობა, ვგონებ,
სულში ბოლომდე არც მინავლულა,
ამიერიდან ნუ შეგაშფოთებთ,
ვერ დაგამწუხრებთ, ვტოვებ მალულად.

ჩუმად მიყვარდით, მთლად უიმედოდ,
იჭვით თუ კრძალვით რამდენი ვივნე,
ჩემსავით წრფელად და ნაზად, ღმერთს ვთხოვ,
შეგიყვარებდეთ ერთხელაც ვინმე.

თარგმნა მაია დიაკონიძეა

თარგმნა ელისაბედ დვალეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით და... შეიძლება,
ეს სიყვარული სულში, კვლავ კრთოდეს....
მე არ ვაპირებ თქვენს შეწუხებას,
თქვენ იგი დიდად ნუ შეგაშფოთებთ.
მიყვარდით კრძალვით, – უიღბლო გზნება
იყო გულწრფელი, ნაზი უსაზღვროდ
და... გისურვებდით (იყოს ლვთის ნება!) –
ასე სათუთად, სხვამ შეგიყვაროთ.

* * *

მე თქვენ მიყვარდით, ბოლომდე თუმცა
არ ჩაფერფლილა ეს გრძნობა ჩემში...
არ შეგანუხებთ მე ამით, ნურცა
თქვენ დაიტანჯავთ თავს ოხვრა-ხვნეშით.

მე თქვენ მიყვარდით თავგამეტებით,
ბევრჯერ ეჭვებით ვიყავ ვნებული...
ეს სიყვარული განამეტები
სხვაში გეპოვოთ აყვავებული...

თარგმნა ციცილო მარკოზაშვილეა

თარგმნა მარიტა ეპრალიძეა

* * *

მე თქვენ მიყვარდით,
სიყვარული კიდევ იქნება,
სულს ვერ ვუხერხებ,
ჯერაც ღვივის ისევ ღადარი,
შენ ამაზე ნულარ იდარდებ
ბედად მერგო მე ეს სახადი,
მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ
მოკრძალებით, ნაზი ეჭვებით.
თუმცა სათუთად, წრფელი გულით
სხვა შეგიყვარებთ, ალბათ ჩემებრ
ნუ დაეჭვდებით.

* * *

მე თქვენ მიყვარდით, სიყვარულს ჩემსას
ალბათ ჩემს სულში ვატარებ კვლავაც,
სიმშვიდეს მე არ დავარღვევ თქვენსას,
არ შეგანუხებთ არამც და არამც.

მიყვარდით უტყვად და უიმედოდ,
მოკრძალებით და ეჭვით, თუმც ნაზად.
ისე მიყვარდით, მსურს დაგებედოთ,
შეყვარებოდეთ ნეტავი სხვასაც.

თარგმნა ლალი მიძაინა

თარგმნა გასო ხომარიგა



* * *

მე თქვენ მიყვარდით, ალბათ ეს გრძნობა
სულში დრომ სულაც ჯერ ვერ გააქრო.
მაგრამ გარნებით ეს ჩემი ტრფობა
არ შეგანუხებთ ანი არასდროს.

მე თქვენ მიყვარდით, გულწრფელად, ნაზად
ხან რიდით, ხანაც ეჭვით უწყალოდ.
მე თქვენ მიყვარდით ისე ლამაზად,
ღმერთმა ქნას ასე სხვამ შეგიყვაროთ.

* * *

მე თქვენ მიყვარდით, ეს სიყვარული
ჩემს სულში ჯერ არ გამქრალა იქნებ,
მაგრამ თქვენ ამით ნუ აღელდებით,
არ მსურს მიეცეთ ნაღვლიან ფიქრებს.
მიყვარდით უხმოდ და უიმედოდ,
შიში მიპყრობდა ეჭვებით სავსე;
მიყვარდით ისე გულწრფელად, ნაზად,
ღმერთმა ქნას სხვასაც უყვარდეთ ასე.

თარგმნა ნატო ფოფხაძემ

17

თარგმნა თელო ისაკაპევა

* * *

მე თქვენ მიყვარდით, ჩემს გულში ჯერაც
იქნებ კვლავ ბუდობს გრძნობა ფარული,
მაგრამ თქვენ მეტად ნუ შეშფოთებდით
ნუ შეგანუხებთ სიყვარული.

მე თქვენ მიყვარდით, უიმედობით
და ხანაც ეჭვით ვიყავ ვნებული,
ღმერთმა ქნას, თქვენზე ასევე წრფელად
სხვაც ყოფილიყოს შეყვარებული!

მიყვარდით

მიყვარდით. დღემდე ეს სიყვარული
არ ჩაფერფლილა, სულს მითბობს იქნებ,
მაგრამ აღარ მსურს, სევდა ფარული
ისევ მივაგო თქვენს ნატიფ ფიქრებს.

უიმედოდ და სიტყვის უთქმელად
მიყვარდით. გრძნობა ეჭვებით მწვავდა.
ასე ნაზად და ასე გულწრფელად
რომ შეგიყვაროთ, ღმერთს შევთხოვ, სხვამაც.

თარგმნა პუმპარ ჭუმპურიძემ

თარგმნა თამარ სამადაჭვილეა

* * *

თქვენ მე მიყვარდით: იქნებ ეს გრძნობა
ჯერ არ ჩამქრალა... ჩემშია ისევ;
მაგრამ ნუ ღელავთ — ამ სიყვარულზე
თქვენ ვეღარაფერს ვეღარ გაიგებთ.
მიყვარდით ჩუმად და უიმედოდ,
ხან მოკრძალებით, ხან იჭვით სავსეს
მიყვარდით ისე წრფელად და ნაზად
ღმერთმა ქნას სხვასაც უყვარდეთ ასე.

* * *

მე თქვენ მიყვარდით, ეს სიყვარული,
ვგონებ ჩემს გულში ჯერ არც ჩამქრალა,
თუმც არ ინაღვლოთ, არ მსურს გაგტანჯოთ
ამ გრძნობის გამო, მე რომ დამღალა,
მიყვარდით უხმოდ და უიმედოდ,
ვიყავ სიმორცხვით, ეჭვით ძლეული,
მიყვარდით ისე ნაზად, გულწრფელად,
როგორც, ვთხოვ უფალს, რომ სხვას უყვარდეთ.

თარგმნა თეიმურაზ ნადარეიშვილეა

თარგმნა ქათი პაყელეა

* * *

მიყვარდით მე თქვენ, ეს სიყვარული სულში მეღვრება
და ეს ზღაპრული გრძნობა უმანკო, სანთლად მინთია,
თქვენი წუხილი ამ მშფოთვარე მოთმინების აღარც მელევა
და დარდი ჩემი თქვენდამი ტრფობის ალბათ მითია.

მიყვარდით მე თქვენ ჩემს სხეულში სუფთად, ხალასად
და ხან მახრჩინდა ეჭვის სენი დაუნდობელი,
მიყვარდით ისე უსპეტაკეს გრძნობით, — ფაქიზად,
როგორც პატარას უფრთხილდება თავის მშობელი.

თარგმნა ირაკლი აზიაურეა

ოლქ, №2, 2019



* * *

მე თქვენ მიყვარდით და ვინ იცის, გულისგულს იქნებ
დღესაც მინათებს წმინდა სხივი გარდასულ დღეთა,
მაგრამ, ძვირფასო, ნუ აჰყვები უამურ ფიქრებს,
მშვიდობა სულის მოგანიჭოთ მოწყალე ღმერთმა.

მე თქვენ მიყვარდით უსასოო და უიმედო
მტანჯავდა ეჭვი, როცა გჭვრეტიდით ლალს და უდარდელს,
ერთი მაქვს სულთქმა და მაღალმა ღმერთმა ინებოს,
რომ ჩემებრ წმინდად და სათუთად სხვასაც უყვარდეთ.

18



მთარგმენტი უცნობია

* * *

მე თქვენ მიყვარდით, სიყვარული ჯერ კიდევ ალბათ,
არ ჩაფერფლილა გულში დღემდე იყავებს სივრცეს,
მაგრამ არ მინდა თქვენ იღელვოთ ეს გექცეთ დარდად,
ამიერიდან ალარ მოგცემთ მე სევდის მიზეზს.

მე თქვენ მიყვარდით უიმედოდ, მკლავდა სიჩუმე,
ზოგჯერ სიმორცხვით, ზოგჯერ ეჭვით ვიტანჯებოდი.
ასე გულწრფელად და სათუთად მე თქვენ გისურვებთ,
რომ ღმერთის ნებით სხვა ვინმესაც შეყვარებოდეთ.

მთარგმენტი უცნობია

* * *

მე თქვენ მიყვარდით: დღეს კვლავ გულით ვატარებ გრძნობებს,
იმ სიყვარულის ცეცხლი სულში ისევ ანთია;
მაგრამ თქვენ იგი ნურასოდეს ნუ შეგაშფოთებთ;
თქვენს დაღონებას ვერიდები რადგან ძალიან.

მე თქვენ მიყვარდით, უიმედოდ და ისე ჩუმად,
ხან მორიდება მტანჯავდა და ხან ეჭვი მკლავდა;
მე თქვენ მიყვარდით გულწრფელად და ისე სათუთად,
ღმერთმა ქნას, ასე შეგიყვაროთ ოდესმე სხვამაც.

მთარგმენტი უცნობია

* * *

მე თქვენ მიყვარდით, შეიძლება ეს სიყვარული
ჯერ არ ჩამქრალა, გულში დარჩა ისევე წმინდად,
მაგრამ ეს გრძნობა ჩემი მეტად ნუ გაგაოცებთ,
თქვენი დატანჯვეა არც მინდოდა, არც ახლა მინდა...

მე თქვენ მიყვარდით, ჩუმად, კრძალვით და უიმედოდ,
ჩუმი ეჭვები და მორიდება მტანჯავდა ძალზედ;
მე თქვენ მიყვარდით, ისე წრფელად, ისეთი გრძნობით
ღმერთმა ქნას, კიდევ ვინმეს უყვარდეთ ასე...

მთარგმენტი უცნობია



* * *

მე თქვენ მიყვარდით, – რაც ძალმის კვლავაც,
– მთლად არ ჩამქრალა სულში მალული;
ნუ შეგაშფოთებთ ეს გრძნობა რადგან,
არ ღირს თქვენს ცრემლად ეს სიყვარული.

მიყვარდით ჩუმად და უიმედოდ,
– ხან სისათუთით, ხან ეჭვით დაღლილს;
ნაზად, გულწრფელად მიყვარდით ერთობ...
ღმერთმა ქნას – სხვისგან კვლავ გხვდეთ ეს მადლი.

გთარგმენი უცნობია

19



მაყვალა გონაშვილი იუბილაჲია

20



კახეთის მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთისა“ და უკრნალ „ოლეს“ თანამშრომლები გულითადად გილოცავთ, ულამაზეს ქალბატონს, საიუბილეო თარიღს. გისურვებთ დღეგრძელობას, ამოუწურავ მთაგონებას, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებსა და ულევ ბედნიერებას.

მზეს კი,
ოუ, მზეობს –
შენოდენს?!..

ზენაარისეული ლირსებისა და
სათნოების გვირგვინოსან შემოქმედს –
მაყვალა გონაშვილს

ლმერთებთან
ბინას იკეთებ
ლექსით ანათებ –
შენ, ოდესა,
სიყვარული და
სიმართლე –
ეგრე,
ვის უნდა
შველოდეს?!..

მაგ გულს
ვამსგავსებ:
არილს, – ცის,
მზეც კი,
ოუ, მზეობს
შენოდენს?!..
სიქველეც,
სიბრძნეც,

არ ვიცი,
შენებრ,
ვის უნდა
შვენოდეს?!..

P.S.
ვინ – ქარია და...
ვინ – გმირი,
იცი:
საერო,
მთაგარი...
გამშვენებს ფიქრის
გვირგვინი, –
დიადი სხივი
თამარის...

ფარნა რაინა

7. IV. 2019



მაყვალა გონაშვილი იუბილაჲი

ზეალ პოტკოველი

მაყვალა გონაშვილის იუბილის დღის მიზანით გამოიყენება მარტინ გონაშვილის სახელის მიხედვით.

ამ გვეშველება მანამდე, სანამ საკუთარ გულში, საკუთარ სულში არ მოვიძიებოთ და არ აქმოვჩენთ არსებობა ამრიგეს ჩვენსას. თავად პოეტს კი მისი წილი ქრისტეს ჭაროთი და სამსჯული ფიცი ხანია სულში საგულფაგულოდ გადაუნხავს და ისე მიუყვება გოლგოთის გზას, თან თანამობეთ მოუწოდებს, ცაძრისაკენ მიმავალი გზა ეძიონ, მით უმეტეს, რომ საქართველოს ფედერაციის დღეს ჭეშმარიგად ლვოის კაწი - უნმინდესი და უნეფრესი იღია მეორე უფასს სათავეში. ლვოის კაწი, რომლის სიბრძნემ, გონიერებამ, ნინდახედულებამ არაერთხელ იხსნა საქართველო უნეფრენისაგან.

ზ. ზოგურელი

21



მაყვალა გონაშვილის იუბილის დღის მიზანით გამოიყენება მარტინ გონაშვილის სახელის მიხედვით.

ცისარტყელების პინალი

მაყვალა გონაშვილს საიუბილეო თარიღი შეუსრულდა.

ამ წერილს ერთადერთი დანიშნულება აქვს — მკითხველს აუხსნას, თუ რატომ უყვარს მის ავტორს მაყვალა გონაშვილის პოეზია და თავად ამ პოეზიის შემოქმედი.

მაყვალა გონაშვილის ლექსების პირველ კრებულს „ყაყაჩოების კოცნა“ ჰქვია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მისტიკურმა, ფერიულმა კოცნამ ისეთი კოცნი დაანთო, რომ მისი მხურვალება და სინატიფე დღემდე ლაიტმონტივად დაჰყვება პოეტის შემოქმედებას. არსთავამრიგემ თითქოს სხივით ნაქარგი ქალამნები ჩააცვა ფეხზე, გიშრის თმაზე ჯილა დაადგა და ისე გაუშვა პოეზიის ულრანებში სახეტიანოდ და თან მიანიშნა, რომ სახიფათო, ფათერაკებითა და ტკივილებით საგსე გზებით ევლო, თუ უნდოდა, მისი შემოქმედება ნაღდი პოეზიის ტვიფარით ყოფილი ყოფილიყო აღბეჭდილი. თუ რამ ჩაიბეჭდა სულში ამ მშვენიერმა პოეტმა, რომლის შემოქმედების გარეშეც უკვე წარმოუდგენელია XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პოეზია, ის ჩაიბეჭდ, რომ მისთვის

უპირველესი საფიცარი და საესავი მიწის ის ბელტია, სამშობლო რომ ჰქვია სახელად, ოცნებებით უხედნავ ქარებს ადევნებული ქვეყანა, კაცობრიობის მადლა და მირონს რომ წარმოადგენს — და კიდევ დედამიწის მარილს, რომლის გარეშე პენი და ელვარება მოაკლდებოდა ჩვენს ცისფერ, ულამაზეს პლანეტას.

ჯანსულ ჩარკვიანი, ქართული პოეზიის ჭეშ-

მარიტი მაესტრო, წერდა:

„მაყვალა გონაშვილის ლექსთა მშვენიერება, როგორც წვიმის შემდეგ ცისარტყელა, ისე გამოკრთა ცაზე... მე ვგრძნობდი, იმ ბავშვურსა და პირველყოფილ გულუბრყვილობას, რომელიც საფანელია ჭეშმარიტი პოეზიისა“. —

„რა უნდა იყოს ლამაზი ქალის მშვენიერი ლექსების გამოსარჩებაზე უფრო საამაყო, როცა იგი „სევდით სავსეა, როგორც ღრუბელი და თვით არ იცის, როდის ინვიტებს“. — ეს ფრაზა კი ქართული მწერლობის კლასიკოსს ჭაბუა ამირეჯვის ეკუთვნის, რომლის „დათა თუთაშხია“ ქართველობისთვის ბიბლიის სადარ წიგნად იქცა.

განა რაღა უნდა დაწერო ამაზე უკეთ, განა როგორ უნდა შეაფასო ამ დიდებული ქალბატონის შემოქმედება, რომ რამე ახალი და ღირებული წამოგცდეს...

მაყვალა გონაშვილი ხომ ათეული წლებია, რაც ფეხშიშველი მიუყვება ეკლიან უცნობ ბილიკებს და თან ათასი ჭორი, ტყუილ-მართალი მიჰყვება საპყარი მათხოვრის გუდასავით. არც კი ახსოეს, როდის და როგორ შეაჭრეს ფრთები, როგორ დაუხშეს

ზეცის კარები. სული დაბზარული ხორნაბუჯივით კბილით უჭირავს და მაინც არ ტყდება, არ ნებდება წუთისოფლის მდინარებას, მზის სხივებით ქსოვს ჩალისფერ დროშებს, კემსავს მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს, ბავშვივით ეთამაშება სიკვდილს, კაცისა და მიწის უღელში შებბული, და აქეთ გვებოდებება, აქეთ გვთხოვს პატიებას, ნუ გამინებრებით, თუ მარტის სულელ ამინდებს ვგევარო.

ოქტომბერი №2, 2019





მის სულში ხომ ყოველივე ისე მეორდება, როგორც ასი, ორასი, ათასი, მირიადი წლის წინ მეორდებოდა: ფოთოლცვენა, ქარი და წვიმა, სიყვარული და თავ-განწირვა, ერთგულება და ღალატი. ძნელია ყოვე-ლივე ამის ატანა, ამის გადახამშვა, მაგრამ პოეტია და უძლებს. რატომ? იმიტომ, რომ ისიც კარგად მო-ესენება, მის ნატერფალზე ცრემლები მზისფერ იე-ბად ამოინვერება ხოლმე და არნახული სურნელით აბრუებს გარემოს.

მაყვალა გონაშვილი ქართველი პოეტია, თხ-ემით ტერფამდე ქართველი პოეტი, ქართულ სი-ნიმინდეებში ჩაკირული პოეტი და რა გასაკვირია, გულის გულში ჰქონდეს ამოტვიფრული ილია ჭავ-ჭავაძის — წმიდა ილია მართლის სამება — მამული, ენა, სარწმუნოება.

ამდენმა ფიქრმა და დარდმა
უამიგით ხელი დამრია,
შენს წილხვედრ მხარეს მიხედე,
გვედრებ, ქალწულო მარიამ!

ევედრება ღვთისმშობელს, ევედრება ღვთიური მადლით სხივმოსილ მაცხოვარს და უფლის ხილვას დანატრებული სხივს მიშვევება ზეცილი სანახები-საკენ, წმინდა საუფლოსაკენ, მაგრამ ყველა კარი და დარაბა დახშული ხვდება. გამჭვარტლულ ცაზე როგორ გიპოვო, უზენაესოო, — ალმოხდება სასო-ნარკვეთილს. ეს ტრაგიზმით სავსე განცდა რეალ-ობისა ბევრ რამეზე დააფიქრებს პოეტს, თუნდაც იმაზე, რომ მისი საესავი სამშობლო, მისი საესავი ქართველობა ვერ ცხოვრობს ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს ღვთისმოშიში ერი, რომლისთვისაც უპირველესი ჭეშმარიტება უფლის ათი მცნება უნდა იყოს. ის რასაც ახლა დავწერ, შეიძლება მთლად არ ესადაგებოდეს ამ წერილის დანიშნულებას, მა-გრამ... ეს რა უამური უამი დაგვიდგა, ქართველები, როცა ერთი ხელით ვზღუდავთ (სრულიად სამარ-თლიანად) თამბაქოსა და ნიკოტინის მოხმარებას, ხოლო მეორეთი ვაკანონებთ თამბაქოზე მირიად-ჯერ მეტი ბოროტების მომტანი ნარკოტიკების ლე-გალიზაციას. ალბათ, ამიტომაც შემოგვწრა უფალი და კიდევ სხვა უამრავი ცოდვისა თუ ბოროტების გამო. მაყვალა გონაშვილი კი ეძებს გზას ხსნისას და მიდის იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ არაფერი არ გვეშველება,

თუ არ შემოაბიჯებს
ამ ქალაქში მზესავით
კაცი სხივზე მაღალი,
ძე – ცისა და მინის...

და კიდევ: არ გვეშველება მანამდე, სანამ სა-კუთარ გულში, საკუთარ სულში არ მოვიძიებთ და არ ალმოვაჩენთ არსთაგამრიგეს ჩვენსას. თავად პო-ეტს კი მისი წილი ქრისტეს კვართი და სამსტუალი დიდი ხანია სულში საგულდაგულოდ გადაუნახავს და ისე მიუყვება გოლგოთის გზას, თან თანამოძმეთ მოუწოდებს, ტაძრისაკენ მიმავალი გზა ეძიონ, მით უმეტეს, რომ საქართველოს დედაქლესისა დღეს ჭეშმარიტად ღვთის კაცი — უწმინდესი და უნეტა-

რესი ილია მეორე უდგას სათავეში. ღვთის კაცი, რომლის სიბრძნემ, გონიერებამ, წინდახედულებამ არაერთხელ იხსნა საქართველო უბედურებისაგან.

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ
ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსიათ
სიბრძნის სალარო,
რადგან თქვენ მყევხართ, მზის ნათელი
ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო!

მიმართავს პოეტი საქართველოს მწყემსმთა-ვარს და ეიმედება მისი, ემედება, რომ ღვთისშ-ობლის წილხვდომილი ქვეყანა გადარჩება, თუმცა ეჭვი მაინც ღრღნის და მოსვენებას არ აძლევს. აბა, რა მოასვენებას, როცა ხედავს, რომ საკუთარი ფესვები გადავჭერით, ფრთები მოვკვეთეთ ფუძის ანგელოზს, როცა „მოხვევია ჭიგის ვნებით ვაზის ნაცვლად უსურვაზი“, როცა ხომლის მთაზე ასულს ზვრების ნაცვლად საზამთროს ბალჩები ხვდება, იმ საზამთროსი, ყიზილბაშთა ჩალმიან თავებს რომ აგონებს. დიახაც რომ ძნელია და ტკივილამდე აუ-ტანელი იმის დანახვა, როგორ შემოხვევია ვაზს ეკალბარდი:

ჩვენო საგალობელო,
შენ ნათლულო მზისა,
ნინოს თმით დახლართულო,
ხეო სიწმინდისა.
გაჩუქურთმეთ ტაძრებზე,
ვით ღვთისმშობლის ხატი,
გვინათებდა სტრიქონებს
შენი ათინათი.

რამდენი სევდა და ვაუბაა ჩალვრილი ამ სტრიქონებში, რა მართალია პოეტი, როცა ხმამაღ-ლა აცხადებს, გადახსნილი მაქვს ყველა ჭრილობა, სისხლით კი არა, სევდით ვიცლებიო. აბა, სხვანაი-რად რა იფიქროს და მოიმქმედოს შემოქმედმა, როცა გონებადანისლული ქართველები მხოლოდ ხინკლის ოხშივარიდან შესცქერიან საკუთარ ქვეყ-ანას და ლამის ლოთის სიყვარულივით ჩაატიონ ჭიქაში ივერთა მხარე. სწორედ ამ დროს ხვდება ქა-ლბატონი მაყვალა, რომ მის გენში მისი დიდი წინა-პრეტების შემერთალი სული კივის და ბორგავს. დიახ, ცარგვალზე აცახცახებული ვარსკვლავების ხომლის ფონზე თრთიან და შფოთავენ წინაპართა წმინდა სულები და მოსვენებას არ გვაძლევენ, რადგან ამ ქვეყანაში ქარი რომ ქრის, ქარი კი არა, მამულის კვნესაა, წვიმის დროს კი წვიმის წვეტების ნაცვლად უფლის ცრემლი მოგორავს ტატონბზე... ჩვენს მი-ტოვებულ სოფლებს კი ერთადერთ ერთგულ ჭირ-ისუფლად ქარბორბალა შერჩენია, წალეკვით რომ ემუქრება ყველას და ყველაფერს. სწორედ ამის შემხედვარეს ალმოხდება მუნჯის კივილივით პოეტს:

ეს ლექსი არაა, ეს ჩემი ცრემლია,
ამდენ ხანს გულით რომ ვმალე,
როდის გათენდება, როდის გათენდება?
მალე, სანატრელო, მალე...





.....
ამირანს მტრის არა, ნათლის ჯინი სჭირს,
ყორანი დასწევია მერანს,
დღეს ნაწილ-ნაწილ გლეჯავენ საქართველოს,
როგორც მაცხოვარის პერანგს.
ყოველივე ამის შემდეგ, რა მორცხვად, რა საყ-
ვარლად წამოსცდება ავტორს:

ვაი, როგორ მომენატრა
მზეზე მოშრუკული შინდი.

და თქვენ ხედებით, ძვირფასო მკითხველო,
ამ მოშრუკული შინდის მონატრება უბრალო მონ-
ატრება არ არის, არც ბავშვობის მონატრებაა და
არც იმ უმშენეერესი მოგონებების მონატრება,
ხანდახან ძილსაც რომ გვიკარგავს ხოლმე, ეს იმ
საქართველოს მონატრებაა, როდესაც ქვეყანას მის
ბედსა თუ უბედობაზე ღრმად ჩაიფირებული ერ-
ისკაცები მართავდნენ, ქვეყნისათვის თავგანწირვა
რომ შეეძლოთ, რომელთა წმინდა სისხლიც უხვად
იღვრებოდა ყარაყორუმის უდაბნოებსა თუ შირაზის
ველზე... იმ საქართველოს მონატრებაა, ვაჟაც ვა-
ჟაცი რომ ერქვა და მანდილოსანს მანდილოსანი.
ხედავთ, რა შესძლებია პოეტს, ერთ სტრიქონში
ჩატიოს ვეება დარდი და ვაება, ტკივილი და სასო-
წარკვეთა მაშინ, როდესაც მზეც კი აღარ მზეობს,
უფლის ყვავილი.

ყოველივე ამას გრძნობს და ხედავს პოეტი,
გრძნობს, რომ დამდგარა უამი უჟამური უსიტყვო
კაცთა, რომ ჩვენი ცხოვრება ჩრდილში დამწიფე-
ბულ ხილს დამსგავსებია, უგემურსა და არაფრის
მაქნის. ყოველივე ამის შემხედვარე შემოქმედი
ვერ დარჩება გვერდზე და რინგის მსაჯივით ვერ
დაუწყებს ათვლას ნოკაუტში ჩავარდნილ საშიობ-
ლოს. ამიტომაც ეს ბრწყინვალე ლირიკოსი, სიყვარ-
ულისთვის და დიდი ადამიანური ბედნიერებისთვის
გაჩერილი სუსტზე სუსტი არსება, რომელიც ჭიან-
ჭველასაც არ დაადგამდა ფეხს, ჯაჭვის პერანგს
იცვამს, მუზარადს იხურავს თავზე და უშიშრად გა-
მოდის მშობელი ქვეყნის სადარაჯოზე. ქალბატონ
მაყვალას ბოლო წლების სამოქალაქო პოეზია გა-
კვირვებთ ფოლადისებური სიმტკიცით, შეუვალო-
ბით, პრინციპულობით და, რაც ყველაზე მთავარია,
სიმართლით, დიდი ადამიანური სიმართლით, რო-
მელსაც არათუ ვერ შეედავები, კრინტსაც ვერ და-
რავ.

მაყვალა გონაშვილის სამოქალაქო პოეზია
შიმშილით გასავათებული, ფიქრით გამოფიტული
თანამოძმებების გამოსარჩევებაა, რომელთაც სამშ-
ობლო ერთ დიდ ფსიქიატრიულ კლინიკად გადაქცე-
ვიათ და აღარ იციან ზვავში მოყოლებებმა რომელ
ერთ სატკივარს, რომელ ერთ პრობლემას უსაშვე-
ლონ. თანამედროვე დემოკრატია ხომ ნებადართულ
სიძულვილად ქცეულა ყოველივე იმისა, რამაც აქა-
მომდე მოგვიყვანა.

გზა აბნევია ფუძის ანგელოზს,
ჩამოქცეულა მაღალი ჭერი
და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს

ავტომატების აღვიძებს ჯერი...

სული შეგეკვრებათ, გული შეგეკუმშებათ ამ
ციკლის ლექსების წაკითხვისას. პოეტის მიზანიც
ეს არის, რომ გამოაფხიზლოს ლამის საღათას ძილ-
ში ჩავარდნილი ერი და ის საწვარა გამოაცალოს
პირიდან, რომლითაც მის სამუდამო მიძინებას
აპირებენ.

ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის,
ვდგავარ დალლილი სიმართლის და
სიცრუის კართან

და ვეძებ საზღვარს სიკედილსა და
სიცოცხლეს შორის.

გუშინ იყო თუ გუშინნინ, როცა ძლიერნი ამა
ქვეყნისანი ერთი ჯამიდან სვამდნენ, ერთი გობიდან
ჭამდნენ და მაინც არ ინდობდნენ ერთმანეთს ცეცხ-
ლისთვის, ქალისთვის, აბრუებდათ პირველკაცობის
უნი და სურვილი, სიტყვებს, როგორც გვირგვინს,
ისე ირგებდნენ თავზე ეს თვითმარქვას ქვებდ-
რომები, როგორ „უხდებოდათ“ ბრძენის მანტიები
გაზუღუქებულ მანქურობებს, რომლებიც მრუდე
სარეკების სამეფოში აცხოვებდნენ ერს, რომლის
ერთადერთ შეცოდებას ის წარმოადგენდა, რომ ქა-
რთველებად ვიშვით ამქვეყნად.

ამ ჩემს ტკივილს რას გაიგებს ჩვენი მეფე
ქართველითა ქართველისა შემმუსვრელი.

ამ სტრიქონების დაწერა ჩვენს უახლეს წარ-
სულში დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხო-
ვდა და ბარაქალა მაყვალა გონაშვილს, რომ ყველა
პარტიაზე მაღლა პატრია დააყენა. არც იმ ლექსის
დაწერა გახლდათ მათლად უხიფათო, „თოჯინების
სახელმწიფო“ რომ ჰქვია.

ვინ განიდათ თოჯინები
შესისთვალა მაცილებს?
თუ ხისა ხართ, როგორ აფრქვევთ
სიძულვილის ბაცილებს?

.....
თოჯინების სახელმწიფო,
სახელმწიფო თეატრი.

ამ თოჯინების სახელმწიფოში ყველაფერი იყ-
იდებოდა — სულიც, სხეულიც, სიყვარულიც, ერთ-
გულებაც, იყიდებოდა გროშ-კაპიკად, იყიდებოდა
ჩვენი სამშობლოც, უფლის კვართად გადაქცეული
სამშობლო და არავინ იყო განმკითხავი. და როცა
ყველაფერი იყიდება, უკლებლივ ყველაფერი, იქნებ
მართლა ბოლო გაჩერებას ვუახლოვდებით, რა
გვეშველება? რა გვეშველება, როდესაც მოგონი-
ლი გულწრფელობით, ლიქნითა და ფარისევლობით
ქადაგებენ ტელებიჭუნები, როდესაც ქვეყანა გაავ-
სო ტელე-ჯარმა, ტელე-გმირმა, ტელე-პოეტმა,
ტელე-პარლამენტმა. რაღა დაგვრჩენია ამ დროს?

მაშ, გამორთე ეგ ცრუ ყუთი,
ჩემო ბრძენო ერო.
ეკრანს მიღმა — დარდიანო,
ტელე — ბედნიერო!
აღარავის ახსოვდა (თუ — ახსოვს), მზე





რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ — მამა, ვარსკვლავები — დები და ძმები. აბა, რა გასაკვირია, თუ ამ დროს სიყვარული, თავგანწირვა, რწმენა, არც მეტი და არც ნაკლები, ერთ კუპონად ფასობს.

ქრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ შევლის წამლად და მალამოდ,
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
ჩემო დაფლეთილო ალამო.

მართლაც შემზარავი პანორამა გადაშალა ჩვენი უახლოესი წარსულისა, როდესაც ქვეყნა იქცეოდა და მავანნი, ხელისუფლებაში სასწაულებრივად მოხვედრილი შადიმანები, ყურს გვიხედნიდნენ იმით, რომ თურმე საქართველოს ისტორია მათი მოსვლის შემდეგ დაიწყო. ამაზე დიდი ცინიზმი და ნიპილიზმი წარმოუდგენელია და იმ მრუმე დიდი ლამის შემხედვარეს, მაყვალა გონაშვილს სწამდა, რომ თუ რამ იხსნიდა მის სამშობლოს, მისი ფესვები იხსნიდა, მიწაში მყარად ჩაკირული ფესვები, პაატა სააკაძის მოქრილი თავი, ქეთევან დედოფლის დაშანთული მკერდი და უსახელო უფლისციხელის ნაისრალი ზურგი...

იქნება, მართლა გაიხსნას ზეცა...

თენდება, სადღაც ყივის მამალი.

მაყვალა გონაშვილი მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის შეილია და ამ ქვეყნის შეილობა ბევრჯერ დააფიქრებს იმაზე, რომ ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს, დააფიქრებს იმაზეც, რომ ცხოვრება ძლიერ ჩამოჰვავს ზღაპარს და ჭინკა-ჭორივით დაძრნის სოფლად.

მე გამოვექეც შენს ზღაპრებს, პაპი,
გზად შევეჩეხე ჯადოქერებს, დევებს,
რად არ მასხსოვდა, ღმერთთან მორკანალს
ზღაპარშიც სჯიან, ზღაპრადაც სდევენ.

პოეტი მოუყვება გზანერილს, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, მოუყვება წუთივით მოკლე მარადისობის დალლილი, თვალებში ბინდჩაგუბებული მგზავრი, რომელსაც ის ემდება, რომ თუ აღესრულება და ცის სინარნარეს შეერწყმება, შეერწყმება სიმღერით და ესეც მისი ბედი იქნება. ტკივილისგან, დარდისგან, ვაებისგან სულ-შეძრული გაუთენებელ ღამებს ფხოჭნის სანთლის-ფერი მკრთალი თითებით, რადგანაც ხედავს, რომ უამი ისევ ერთი საცრით ცრის კეთილს თუ ბოროტს, მტყუანს თუ მართალს, როცა ღმილი რომ ღმილია, ისიც კი მავანთა სახეზე შემზარავ ლოკოკინას ლორნოვან ბილიკს აგონებს.

ერთხელ მოვსულვართ ამ ქვეყანაზე,
ღმერთმა გვიბოძა გზა, ერთი ციდა,
წამი არ გვრჩება სიყვარულისთვის,
სიძულვილისთვის? რამდენიც გინდათ.

წუხს იმაზე, რომ ხშირად ფუძის ანგელოზივით ჩამოქნილ სილამაზესა და შვენიერებას ვერ ამჩნევენ და სხვათა გარეგნულ ფოიერვერკებს ეთაყვანებიან. არადა, ფოიერვერკს ერთი ცუდი თვისება გააჩნია — მყისიერად იფერთვლება და ქრება. იცის, რომ ძნელია მოგონილი ბედიერებით ცხოვრება,

როცა ვნება რომ ვნებაა, ზოგჯერ დაფარულზე დაფარული, იმასაც სულ სხვა ქარებს უზიარებენ, როცა ალვის ხებად ბალბას და ქონდარს ასალებენ, ციცინათელებს კი — მზედ.

სხვა რა მადარდებს? — თეთრი მერცხალი ჩემს აივანზე ალარა ბუდობს და ჩუმი სევდა ისე ყვავილობს, ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო.

მხარზე ყავს შესმული ფუჭი ოცნების და ტკივილების ვეუანა ძერა, გადახსნილი აქვს ყველა იარა და უფალს შესთხოვს, პატიების მომმადლე ნიჭი, ტკივილები ეკლებად შემასხო. კიდევ ის უნდა, ვინ-მერ მუჭა გაზაფხული უსახსოვროს და დაეხმაროს, რომ როგორმე სიტყვით უწამლონ ამაოების ბაზარს.

როცა დარეკავს უამი განკითხვის, ცა სამაისო შვიდვერ იელვებს, რითი შევასებთ, ვიცოდე, მაინც, ამ გასაოცარ სიცარიელეს.

ერთი რამ დანამდვილებით იცის — ბედს არ უნდა მიენდო, თორებ ნაფოტივით აგათამაშებს წუთისოფლის მორევში და ბოლოს მოუსავლეთში გაგრიყავს და გაგინაპირებს...

ბატონებო, საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ მაყვალა გონაშვილის პოეზიაზე, მის მოქალაქეობრივ მრნამსა და პოზიციაზე. ერთი კია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონია, სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის დაბადებული ქალბატონი, რომლის პოეზიასაც სიყვარულის განცდა სულ სხვა პეტა და ელვარებას მატებს...

პოეტის ლირიკულ გმირს შეუძლია მოთიბული ბალახივით მხარგამლით განვეს მინდორზე და თავ-საიათი დამშვენებული დაელოდოს თეთრ ბედაურზე ამხედრებულ გულის სწორს. ცხოვრობს ისე, როგორც ცხოვრობენ მეოცნებე ქალები, მასპინძლობს დალლილ ქარებს და წვიმებს და ევას გეშით დაეძებს მარადიულ ნახევარს, კარგად იცის, რომ კაცი თუ ტკივილებით ფასდება, ქალს ლოდინის ნიჭი გამოარჩებს.

კოშკი ვარ, თეთრი კირით ნაგები და ზეცას წვდება ჩემი ფიქრები.

ამ ფიქრებში კი სიზმრის კაცისთვის შლის მთვარის ლოგინს, ნისლებად ჩამოლვრას აპირებს საყვარელი არსებისთვის.

და ჩემი ტრფობაც, არ გაგიკვირდეთ, მეცხვარე ბიჭის

დაგუბებულ მონატრებას გაეს,

როცა ბალახსაც აქვს ქალის სილბო,

როცა წყაროსაც აქვს ქალის სიტებო,

როცა ხებსაც აქვს ქალის ფორმა...

განა რისი გაღება შეუძლია მსხვერპლად სატრფოსათვის? შეუძლია სიყვარულის ქათიბი მოუქსოვოს, ფიფქერით დააკვდეს ხელსგულზე და კიდევ ის, რომ მოქათქათე ღრუბლის ფთილიდან ერთგულების ძაფი დაართოს. ის კი იგვიანებს, საეჭვოდივანებს და გულშეძრულ ქალს ისლა დარჩენია, დაიჩურჩულოს:



მე უნდა ვზიდო შენი ცრემლები,
მე მოღალატედ როდი ვშობილვარ,
აპა, მოვედი შენს დასახსნელად
შენი სიზმრიდან და ბავშვობიდან.

მოდის ყველა შეყვარებული და
უარყოფილი ქალის სახელით, მოდის იმ
მივიწყებულ საყდარში, რადგან სხვაგან
ვერ იძოვის სწორსა და ბადალს. იძირება
ცრემლებში და ახსენდება ის დრო, როცა
ქარის შეურულებაზე ვნებით კრთოდნენ
ფარდები, როცა ვნების პერანგი ლამის
ტანზე შემოეფლითა, როცა ყველა კარ-
თან მოსისხლე მტერივით ჩასაფრებული
ჰყავდა იმ კაცის სიცილი, რომლის გამოც
სულსაც მივცემდი ემმაქს შენი
შენი გულისოფის, მაგრამ
ამ ჩემს გზაწვრილზე
ეშმაკიც არ ჩანს.

როცა ყველაფერი თითქოს ჩავლილ-
ია, როცა თითქოს ყველაფერი დამცხ-
რალია, როცა ყველაფერი უბინოდ მო-
ჩანს სიმარტოვის და ღმერთის ჩეროდან,
როცა დავიწყების ლაფით ამოქოლილია
მოგონების ყველა ჩერო, მაინც თავს გამ-
ოყოვს წარსული და სიზიფეს ლოდებივით
დამძიმებულ სიტყვას ათემევინებს:

ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში,
სულ სხვანარი ქარები ქრიან.

ეს ქარებია, თავს რომ არ ანებებს და
გულს უკანავს, იცის, რომ

ქება ქარია, ალერსიც ქარი...
ისე ჩაივლის, რომ ნაკვალევს
არც კი დატოვებს,
მაგრამ რა ვუყო
ამ ტკივილის წითელ ყვავილებს?
ამ ტკივილებით გაჯერებული ღამეები იცრიცე-
ბიან და რიურაუისას ნატანჯი სული ცდილობს უმ-
რაა მდინარეს გაატანოს სიზმრად ნანახი თავდავი-
ნება, თუმცა
დავჭრებანდი, აღარ ვეპრძი ქარებს,
რა ხანია, სიზმრის აღარ მჯერა!
ვერ გავიგე, მაინც რად მგვრის სევდას
წარსულისკენ გადახრილი მზერა.

ვერ გავიგე, აცხადებს და ის კი ავიწყდება,
რომ სფინქსის გამოცანად ქცეული ეს კითხვა დღემ-
დე პასუხაუცემელი რჩება ყველასთვის...

ხომ გუშინ იყო, გუშინ იყო ის გაზაფხული
და მაინც როგორ, თი, როგორ მომნატრებია.
მაყვალა გონაშვილის ლირიკული პოეზია,
მზით, ქარიშხლებითა და ნიაღვრებით სავსე პოეზია
მეტად საპატიო ადგილს იკავებს XX-XXI საუკუნეე-
ბის ქართულ სატრფიალო ლირიკაში თავისი ქალ-
ური კდემამოსილებით, არტახებში გამომწყვდეუ-
ლი ვნებებითა და წვიმის თქორებით, ადამიანური



მაყვალა გონაშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, ზაალ ბოტკოველი

სიმართლით და გამოხატვის უბრალოებით...

მაყვალა გონაშვილმა კარგად იცის, რომ პო-
ეტი თუ ხარ, სული მაჩიტებით უნდა გქონდეს სავსე,
საზრდოდ კი ის სურნელი გყოფნიდეს, იმ ატმის
ხეს უნდა ჰგავდე, აყვავებულ ატმის ხეს, რომელსაც
მუდამ ამტკრევენ რტოებს, იმ ხეს, რომლის ჩრდილ-
შიც ნეტარებით მოისვენებს დაღლილი მგზავრი და
მერმე უკანმოუხედავად გაუყვება გზას, იცის, სად
იწყება და სად მთავრდება მისი სავალი, ლექსებითა
აქვს დაჭროფლილი სახე, სული კი მზითა და ლექსე-
ბით მოუჭედავს, ქართული სიტყვის ხოდაბუნებში
უყვარს ხეტიალი.

ვარ სევდით სავსე, როგორც ღრუბელი
და თვით არ ვიცი, როდის ვიწვიმებ,

ვფურცლავ ლექსიკონს, ვკინძავ ძველ სი-
ტყვებს,

გადავიწყებულს, როგორც სინმინდეს.

ამ სინმინდეებთან ზიარება, ქართულ სიტყ-
ვასთან გაუთავებელი ჭიდილი პოეტის არსებობის
გამართლებას წარმოადგენს და როგორ შეიძლება
არ დავუჯეროთ, როცა ასე საბრალობლად აცხა-
დებს:

თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,
დედასავით დამიბერდა.

პოეტია და უნდა ვენდოთ, როცა თავისიავს





ბულბულს კი არა, ქვეყნის ბედზე ჯაჭვით მიბმულ
ძალს ადარებს, უერთგულეს არსებას დედამიწის
გულზე, პოეტია და უნდა ვენდოთ, როცა ხმამალა
აცხადებს, რაც ამ მინაზე ეკალი ამოსულა, ყველა
მათგანი ჩემს გულს ატყვიაო. იმაზე არ წუნუნებს,
ჩემი წილი მზის სხივი, ჩემი წილი დიპა-ატლასი სხ-
ვას რატომ ერგო, მაშინაც უნდა ვენდოთ, როდე-
საც გულიდან აღმოხდება დიდზე დიდი ჭეშმარიტე-
ბა, ასჯერ მაინც უნდა წაიქცე, რომ მერე ერთხელ
მაინც ზეცად ამაღლდეო. ამისთვის იღვის ეს მშვე-
ნიერი პოეტი და ხშირადაც აღწევს მიზანს.

მაყალა გონაშვილის ლექსი უბატონი ქვეყნის — ქიზიყის მადლით და მირონითაა გაპოხიერბუ-
ლი, იქაური ხორმაკიანი მზის მხურვალება ამჩნე-
ვია მის პოეზიას, შირაქის ველის უსასრულობა
ასაზრდოებს მის ნააზრევს და ისიც სიყვარულით
პასუხობს მშობლიური კუთხის სანახებს, რომლის
ერთ მადლიან ბელტსაც თავად წარმოადგენს. მინის
შვილია და მინის თემა ისე ძალუმად, ისე უშუალოდ
და ძალდაუტანებლად შემოდის მის პოეზიაში, რომ
ზოგჯერ ვერც კი გაიაზრებ მის სიდიადეს.

ჯერ ამინილეს თვალები, მერე
მინის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს,
და მინა, როგორც დალლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსა.
დიახაც რომ შველა და ალერსი სჭირდება მი-
ნას — ჩვენს მარჩენალს, რომელზეც მიჯაჭვული
ვართ ჩვენი წარსულით, აწყოთი და მომავლით და
ვერაფრით ჩავუგდებთ ხელში საჯიჯგნად გადამ-
თიელთ. ჩვენი ქვეყნის ოკრო-ბოკრო გზები სულს
გვივსებენ ნათელით, თუ მშობლიურ მინამდე მივყა-
ვართ, ალთქულ მინამდე. ნახეთ, რა ნატიფი, რა
უშვენიერესი სტრიქონები უძლვნა პოეტმა მინას,
რომელიც თქვენი ნებართვით მთლიანად მომყავს:

ვით მშვენიერი პატარძლის კაბა,
მზემ მოისროლა ჭრელი მერდინი
და იწვა მინა, სურვილით სავსე,
მკვრივი კერტებით მიმოთხნილი,
ბალახის თმებში იბნევდა იქს,
გადახსნილიყ ცის ლურჯი კარი,
სხვაგვარი ცეცხლით იწვოდა მინა, —
მარადიული ვნება და ქალი.

ახლა ვერც ვიხსენებ, ასეთი ვნებითა და გა-
ტაცებით ვინმეს ოდა მიეძღვნას ჩვენი მარჩენალი
მინისათვის.

მაყალა გონაშვილს სხვათა სიკეთისა და სათ-
ნოების დანახვა შეუძლია, მათი ნიჭიერების დანახ-
ვა. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ვისაც შური
და ბოლმა არ აწუხებს სხვათა სიკეთეთა გამო.
მართლაც, რა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ასეთი
ბრწყინვალე სტრიქონების დაწერა:

გარდაცვალება კაცთა ხვედრია,
უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი.
შენ შეურთდი ზეციურ წიალს
და ისევ უფლის სახელით მღერი.
ეს ციტატა იმ ლექსიდანაა, საქართველოს მაფ-

შალიას — ჰამლეტ გონაშვილს რომ უძლვნება.

ბედნიერებაა, როცა ხედავ, როგორ იღებს
მკერდიდან გულს პოეტი და ცაზე მზედ ჰყიდებს.

ლომის ქე, ლომის ძმაო,
ლომი, ლომად ბერდები,
მხრებში როდი იხრებიან
შევერცხლილი ქედები.

როგორ უხდება ეს სტრიქონები ახლა უკვე
მარადიულ ნათელში მყოფ ჯანსულ ჩარკვიანს —
ჩვენს ჯანუკის.

მართლაც მშვენიერი ლექსი უძლვნა მეგობარ
პოეტს ლალი თოთაძეს, რომელიც მზის ცრომ-
ლივით დაიარებოდა მშობლიურ მინაზე, სიზმრის
პერანგებს ქსოვდა, ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ
ჯერ დაუკრევავი მისი მტევნები როგორ ნატრობდ-
ნენ აგვისტოს ხვატსა და მზის ტორებს.

და შეიკვეცავ სევდისფერ დალალს,
რადგანაც ქარებს ამაოდ სდიე,
შემოვა შემში მაღალი ღმერთი
და სასთუმალთან დაგინყობს იქბს.

არანაკლები სიმძაფრის ლექსით აღბეჭდა თა-
ვისი სიყვარული ზერა რომანაძისადმი — სიყრმის
მეგობრისადმი.

მანამდე უნდა იყო მორჩილი,
ლექსით და ლოცვით ლამის მთეველი,
მანამდე უნდა გაექცე პატივს,
როგორც დალლილი ნაზარეველი.

მანამდე, სანამ შურის ჯვარზე არ გაგარავენ,
სანამ ტალახის გუნდას არ გესვრიან მოშურნენი და
მუცლით მეზღაპრენი...

ჩემი მოკრძალებული აზრით, მაყალა გონაშ-
ვილი ერთნაირი ძალმოსილებით იმორჩილებს რო-
გორც სამოქალაქო, ისე სატრფიალო ლირიკის სა-
დავებებს, გვახედებს ადამიანის სულის ჩაბნელებულ
ხეგხუვებში, დაგვაფიქრებს ადამიანური ყოფის უმტ-
კივნეულეს პრობლემებზე და კიდევ სხვა უამრავ რა-
მეზე, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია, ცხოვრება სულ
ცოტა სამი ათასი წლის ისტორიის მქონე ერისა,
რომელმაც საკუთარი სისხლით დაწერა საკუთარივე
მატიანე და დღევანდლამდე მოიტანა. ვფიქრობ,
დღევანდლე გამოწვევებსაც გაუძლებს, გაუძლებს
ცრუმებისათა პარაშეს ღვთისმშობლის წილხვდომილ
მინაზე, რათა საუკუნეების მიღმაც ამაყად იფრია-
ლონ ქართულმა ბაირალებმა ფარნაგაზისა და და-
ვით აღმაშენებლის სულის სახად. ყოველივე ამაზე
მოვითხრობს მაყვალა გონაშვილი თავისი ლექსით,
თავისი პოეზით, ბეწვის სიდზე უხდება სიარული
ამ დროს, რომ სათქმელის სიმძაფრე და გამოხატვის
საშუალებები სინერგიის სადარ ჰამონიაში იყოს
ერთმანეთთან. მე რომ მკითხოთ, ამ ბეწვის ხიდს პო-
ეტი მინიმალური დანაკარგებით გადის, უფრო მეტ-
იც, ისე გადის ერთი ბეწვიც არ უვარდება თმიდან.
რას ვგულისხმობ და იმას, რომ ქალბატონი მაყვალა
პოეტია და სრულად აქვს გასიგრძეგანებული, რომ
სათქმელი, რაოდენ მძაფრი და მნიშვნელოვანი არ
უნდა იყოს, თუ პოეტურ საფანელში არ გაეხვა, თუ



პოეტურ ქურაში გულის სისხლით არ გამოიწრთო, შედეგი სავალალო და გულისმომკვლელი იქნება. პოეტი თუ ხარ, იმის გააზრებაც უნდა შეგეძლოს, რომ „ბოლოს სიკვდილიც მოკვდება სიცოცხლის გარდაცვალებით“, რომ

და როგორც ზანგ ქალს საყურე ერთი ფერად ყვითელი და სასწაული, რტონზე ეკიდა ფოთოლი მჭერარი, ვით სიმარტოვის დღესასწაული.

სულისშემძრელი შედარებაა, ბატონებო. მჭერარი ფოთოლი სიმარტოვის დღესასწაულს აგონებს პოეტს, იმ სიმარტოვეს, რომელიც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის მარადიული თანამდევია და რომლის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ის შედევრები, რომლებიც ჩვენს არსებობას შევებას ჰგვრის და სიცოცხლის წყურვილს უხანგრძლივებს...

პოეტია და იმის დანახვაც შეუძლია, როგორ უონავს გუმბათებიდან მზის მადლი.

აი, კიდევ ერთი მინი-შედევრი: ვით მშვენიერი პატარაძლის კაბა, მზემ მოისროლა ჭრელი მერდინი, და ინვა მინა სურვილით სასაქ, მკვრივი კერტებით მიმოთენთილი.

ამ ურუანტელისმომგვრელი სტრიქონების მერე უკვე აღარ გვიკვირს, როცა პოეტის ბაგე გადათ-იბული მინდვრის სურნელს აფრქვევს, როდესაც სარკეს ისე ჩასცექრის, როგორც გვალვისგან დამშრალ მდინარეს, როცა იმის დანახვა შეუძლია ცეცხლისფერ ვარდებს რა უსწრაფესად მოიყრის ტანზე შემგლისფერებული ზეცა, ყაყაჩოსავით როგორ

ტყდება შუქი.

ცა კაბასავით დამივიწროვდა, ვდგევარ მუხლამდე ღრუბლის გუბეში, წვიმის კიბეთი ჩამოდის ციდან სიგრილე — მიწის ჩუმი ნუგეში.

აი, ასეთი პოეტია მაყვალა გონაშვილი, რომელ-საც შეუძლია თქვას, რომ ნატერფალზე ჩემი ცრემ-ლები ამოდიოდნენ მზისფერ იებადო და დაგვაჯე-როს ამაში.

რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, ის გახლავთ, რომ პოეტი საოცარი სინარნარითა და სიჩაუქით იმორჩილებს ქართულ სიტყვას და მას არანაირ პო-ეტურ აქსესუარებზე არ ცვლის, არ აკნინებს. დიახ-აც, რომ თავანკარა ქართულის, უმშვენიერესი პო-ზიის პატრონია მაყვალა გონაშვილი და როცა იგი დაეჭვებით გვეკითხება:

როგორ გვონიათ, ვიპოვნი ჩემს თავს?

მეწევა ბედი? როგორ გვონიათ?!

პატიოსნად უნდა ვუპასუხო:

ქალაგარნო მაყვალა!

ბედის შენებისა რა მოგახსენო, როდის იყო ბედი ნამდვილ, ჩაკირულ შემოქმედებს ეწეოდა, აი, რაც შეეხება საკუთარი თავის პოვნას, დაუფიქრებ-ლად გეტყვი — შენი თავი, დიდი ხანია, რაც ნაპოვნი გაქვს, შენი ადგილი, შენი ნიშა ქართულ მწერლობა-ში, დიდი ხანია, ნაპოვნი გაქვს, უფრო მეტიც, თანა-მედროვე ქართული პოეზია წარმოუდგენელია შენი მზისფერი, მზისდარი შემოქმედების გარეშე.

ღმერთმა დაგლოცოს!

27



ფარნა რაინას შემოქმედებითი სალამო. თბილისის მწერლის სახლი. 2018 წლის 15 ოქტომბერი.

სხედან: ნანა რჩეულიშვილი, რევაზ მიშველაძე, რამაზ პატარიძე, ფარნა რაინა, მაყვალა გონაშვილი, ზაალ ბოტკოველი. დგანან: ვაჟა ჩირდელი, მაია დიაკონიძე, ნინო ლაჩაშვილი, ანა ერისთავი, ნუნუ ძამუკაშვილი, ბალათერ არაბული, თემურ ჩალაბაშვილი, ვანო ჩხილაძე, ბადრი ქუთათელაძე, რამაზ მეფარიძევილი.

ოლქა, №2, 2019





ରେଖା
ବ୍ୟାକ

ნიკო ფირმას მანაზ ჭავლილი უდიდესი ეროვნული სული-ერ-განძეული სიმღერები, ხალხთა მარადიული სულის მკურნალი და იშვიათი ფერწერული სამკაული რომაა, კოსმოს-ლუონიგან გვერძა. საზოგადოებრ და დოკუმენტე-ლონება კი ლინეარულად ვერ პატრიოტის ჩას. ნუ დავივი-ნებრო, კუთილება ვაჭარბება ივანე ჰესების თვისი კოლხ-ურ-მეგრული ოდა ნიკალას ფერწერული სურათების მუზეუმში რომ გარდაქმნა და ამდევგვარი ეროვნულ-ზე-კარური მოქმედება გვეაძლება ცველას...

၁၃၁

ნიკო ფირმის განვითარების და ინიციატივა

გენიოთ დამსხვრეული დრამა და ტრაგედია

სრულიად სევდიან-დაღვრემილი ნაწარმოები
მიგუძღვენი გენიალური მხატვრის
გარდაკვალებითან მესას წლისთავს

შეწირული ორაგულივით...

ნიკო ფიროსმანაშვილი თავისი შემოქმედებით, ზღვის ბინადარი ორაგულივით, საკუთარ გენიას შენირული მხატვარია. ორაგულები, როცა დაქვირითდებიან, ზღვიდან თუ დიდი მდინარეებიდან, ჯგუფ-ჯგუფად დაიძრებიან დანიშნულ ადგილას ქვირითის დასაყრელად. თევზური ინტუიციით შეუსავნებლივ მიერწყებიან მდინარის პრევენციარომდე, დაპატარავებულ კალაპოტში. ნელი სვლით და ცოცვით მიიჩნევენ ნინ, წყაროს თვალამდე. ამ მსვლელობისას გზადაგზა ტანის ფერიც ეცვლებათ – მუქი მწვანე, ციმცირა ზურგი და ვერცხლისფერი ფაფარი ზეცას ძეპყურებს, ხოლო თეთრი და მოვერცხლისფრო ქვირითისავსე მუცლით ერიალა და სსვადასხვა ფერის ქვებს თევზისეული სინაზით ელაციცებიან, იღნავ ეხახუნებიან. ასე ცოცვით ქვიდან ქვაზე გადადიან, და ისრულებენ სურვილს, როგორმე მივიღნენ წყაროს თვალამდე და მის სილრმეებშიც ჩაალწიონ...

რუს სანაპიროს მომ-
დგარი, წყურვილით აღტყ-
ინებული ჩალისფერი ირმები
კი, ბუნების ამ საოცარ მოვ-

ლენას ნუშისებური თვალებით, ნესტოებდაბერილ-ნი, ფრუტუნით მისჩერებიან...

დასასრულს, დაღლილ-დაქანცული ორაგულე-
ბი სიამით თუ ტკივილით ადგილზევე ფერად-ფერად
ქვირითს ყრიან და განწირულნი საკუთარ სიცოცხ-
ლეს ეთხოვებან... მაცხოვრივით თევზისეულ ვერ-
ცხლისაფერ ჯვარს გაეკვრებან და ასე გადაარჩენენ
ორაგულთა მშვენიერ მოდგ-
მას.



პაბლო პიკასო. ნიკო ფიროსმანაშვილი.
1914 წელი



სავსე ორაგულივით იარა მან ურთულესი გზა, ცხოვრების საწყისთან მისვლით შობა უმაღლესი რანგის ქვირითი და მარადიულობის უპირველეს წყაროებთან განუტევა სული...

ასე დაშრეტილი, ყველაფერგაცემული და წმინდანივით უპატიოსნესი მარტოხელა მხატვარი, შთამომავლობისათვის შენირული ურთულესი ორაგულივით, უპატრონოდ მიგდებულ სხეულად მიბარდა მიწა... ხოლო გენიალური შემოქმედს სულ მოწყვეტილი ღვთიური ნაყოფი თავის ერს უსასრულო დროით გადარჩენის ლოცვად შესწირა...

* * *

უსასრულოდ დუმილმყოფი-მიწისქვეშა, სიცოცხლე-უკვდავ ნათელმზიან და ზეციურ მარადიულ საქართველოს არნაული ფერებით ხილულად ხატავდა მოვლენა ნიკალა.

გამოცხადებით განკაცებული მაცხოვარი სულიერ-ხორციელად წარმოუდგენელი სიკეთე-სიყვარულით ახლოს იყო ადამიანებთან, რითაც შენობით მიმართავდნენ მხსნელს.

მხოლოდ მაგდაგვარი სრულყოფილებით გვაქს ურთიერთობა ნიკო ფიროსმანაშვილივით პლანეტის ნებისმიერ გენიასთან, რადგან მთავარი მოქმედ-მიუნვდომლობა მხილველი, ნათელი ღმერთია მათში. ნიკალას შემოქმედებაში რახან უშუალოდ უფალი მონანილეობდა, წმინდანური თვისებების ფერმწერი თავის ირგვლივ მიმდინარე დროს ვერ ეგუებოდა და დამოუკიდებელი უახლოესი პლანეტის დარად თავადვე გამოსცემდა სრულიად განსხვავებულ პიროვნულ უჩრდილო ჟამთასვლას და ამით ქართულ გამაოგნებელ განძთა სიახლე ეპოქას ქმნიდა; თითქმის გამორჩეულ უხილავ განზომილებამდე დასული, კოსმიურთვისებიანი საკუთარი დრო წმიდად მისივე იყო და ამ სახის ზეციურობიდან იბადებოდა და სიახლე შედევრები, მხოლოდ ეროვნული კი არა, მსოფლიოს განუყოფელი, მხატვრული მშვენიერების და მაღალ-მიუკარება სიღრმეში დაწვად გამაგალი ფარული გემოვნების, ინდივიდუალური გამორჩეულობით, უხილავ-შეზავებული ერთა შორის თვითმყოფადი ქართულისთვის დამახასიათებელი ფერ-კოლორიტ-სტილით და მთავარი მნათობიდან სხივნატყორცი, შემოქმედებითი გმირული გამბედაობით; თანაც უშუალოდ მოძრავი და ლალი, როგორც ნიავს ამოყოლილი სუფთა ზღვის ზედაპირი-სეული მწვანე ტალღები.

მზე-ვარსკვლავეთით და სავსე მთვარით ნასაზრდოებ ვაზის მწიფე მტევანია ფიროსმანი, რისგანაც სრულიად საქართველოს მაცოცხლებელი საამობადაგი ურნავს...

ადამიანი გენია, ანთებული პლანეტაა, მარადიული წვით...

ფიროსმანაშვილი ხორციელად თუ სულიერად მხსნელ იესოს შენირული ქართველი წმიდანივით დადიოდა ურთულესთვისებიან, დაუმილსაც ეს მიწა. სრულიად უცხო და გენის კუთვნილებით

საკვირველ კოსმოსს ატარებდა უკიდურესად დამუხტული.

ყველივე ეს პირადი ფანტაზია კი არაა, მხოლოდ სინამდვილეა, წარმოსახვით ნაგრძნობ-მოწოდებული ღვთისნიერ შემოქმედზე, დედამიწაზე, სივრცეში თუ დროში.

ნიკალას განსხვავებული ცხოვრებისა საზოგადოების ყველა რიგით წევრს უკვირდა და გრძნობდნენ ძალიან დიდ უცხოობას, ქვეცნობიერად თუ შეგნებით. ხოლო ნიჭიერ-ინტელექტუალი, გარემოს მოულოდნელობით გაოგნებული, თანვე სიახლისაგან შექნილი ინსტინქტით ხოტბას ასხამდნენ ამ უცხოდ მოარულ ჭეშმარიტებას და მის ღვთიურ გენიას. მატერიალურად უდარიბესი, მაგრამ ფიზიკურად უნაკლო ნიკალა ყოველდღიურად, შეძლებულ-მდიდარ თანამედროვებზე მეტად, ზღვარდაუდებლად ვარსკვლავეთური ფერწერული საოცრება განძით მდიდრდებოდა, რომელსაც ვერც ოქრო, ფული და ბრილანტი ოდნავადაც ვერ უტოლდებოდა. აი, ვისთან იყო უფალი ღმერთის და ზეციური ტოტებაყრილი შემოქმედებითი ენერგია...

ამ დღეებში, შუალამეს, მოურიდებლად გამაღვიძეს სულში გამჭოლმა ზენარმოსახვებმა და პირდაპირ მიბრძანეს: აიღე ქაღალდი, კაღამი და ყოველივე ჭეშმარიტი სინამდვილით ფიროსმანის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატეო, რაშიც ქართული უფლისმიერი სიტყვები და ზენარული შთაგონება ზედმინევნით დაგეხმარებაო. დიდმა ემოციამ და ჩემმა ცალკე აწრიალებულმა, თითქმის გახელებულმა სულმა მთელი სხეულით, გულით და გონებით ამანიოკა და ჩემში ნიკო ცოცხლად გაცხადებული დადიოდა. ძლივძლივობით გაფუძელი სრულიად მოულოდნელ ნერვიულ აგზნებით დატვირთვას. დიდება მზეს, უფალს და კოსმოსს. ეს ჩემი გადამრჩეული ლოცვაა და მთელი არსებით ვეთაყვანები. აღმატებულ უჩვეულო აზრების წერისას სულიერი ტკივილი თან მდევდა უმოწყალოდ. ორო! როგორი მძიმეა ამდაგვარი ფორიაქი, მისგან ხომ სრულიად განსხვავებულია სხეულებრივი ტკივა, რომელიც მიწიერ ტანჯვასთანაა გარდამავალი და პირდაპირ შეხებითი ჭიდილ-პროცესია. ხოლო სულიერი? უხილავ-კოსმიური, თითქმის და სივრცეში განფენილ-ლეგენდა-მითოსური უმძიმესი მოძრაობაა, მიუწვდომელი და განუსაზღვრელი სიმწვავით, სიახლე-შორეულის ხილვით და თანდაყოლილი სიამის შეგრძნებით, ისევე, როგორც თითქმის და ახალგაზრდა ჯანმრთელი დედა შობს პირველ შვილს თავისი გარდაუვალი ტკივილითა და ფარული ტკბობით...

ყოველი მძაფრი განწყობილება აქტიურ-მოქმედი ზემინიერი სიცოცხლეა...

დროის, სივრცის და კოსმოსის გარემოცვაში ნიკალა დამოუკიდებელი უძლიერესი ვარსკვლავეთური ფორმა-განზომილება იყო, უთულ ზეძალები მძლავრობდნენ გრძნეული მხატვრის იდუმალ ქმნილებათა თითქმის ფანტასტიურ შემოქმედებაში.





ნიკალა – ბაჯაღლო ოქრო – თვითნაპადი ბუნებრიობით, ზეციური მადლით ქმნიდა და უფლის უნაკლო იდუმალებას გულწრფელად ავლენდა. მნამს და ჩემეულ აზრებს თამამად გამოვთქვამ, რომ ღმერთივით წმიდა ხელოვანი გულლია უშურველობას გამოხატავდა ქვეყნისა და ერის წინაშე, რადგან მაცხოვრისეულ მადლს დღენიადაგ მზესავით ასხივებდა. ის კი, როგორც წერენ და ხატავენ ნიკოზე ზოგიერთი თანამედროვენი, პირადად არ მჯერა, რადგან თითქმის გამოგონილია ყველაფერი, დადი მხატვარი ხომ თავისი უიშვიათესი გენიით სავსე-მდოდარი, ზეძალათაგან კმაყოფილ-მდუმარე სიმართლე იყო და ზედმეტი არასასიამოვნო ცხოვრებისეული მოქმედებანი მის ხასიათ-ბუნებაში არ მოიხილვებოდა. უთუოდ მხოლოდ მატერიალურად უდარიბესი და უახლოესი გარემოსაგან არამომთხოვნი ხელოვანი თავისებური და შედარებით მარტოხელა, შეუბოვარი თვისებებით უმძიმეს სიცოცხლისეულ და შემოქმედებით ჭაპანს ეწეოდა. სხვა მხრივ შეუძლებელია, რომ შეექმნა მსოფლიო დონის ფერწერული შედევრები. სენსაციის აღმდვრელად ნიკალას გადამეტებითი მსმელის სახელიც გაუვრცელეს. მიზეზი შემდეგში იყო: მოსიყვარულე ბუნების ხელოვანი განსხვავებული ხასიათ-ემოციებით მუდმივად ხალხში ტრიალებდა და დაუნახავი თვალით მახინჯად აღქმულ იქნა უსახლვარი სევდიანი კაცის ჩვეულებრივი, თითქმის ველური გენის კეთილი ჩვეულებრივი მოვლენები, რისგანაც ემსგავსებოდა ღრმად მორჩმუნე შეწირულ განდეგილ ბერს. ისინი, ვინც ზედმეტად აზვიადებდნენ ყოველიეს, თავადვე ყოველდღე უზომოდ სვამდნენ და ნაყროვანებდნენ, ოღონდ ყოვლად უზრუნველყოფილ ჩაკეტილ უსაქმურ პირობებში. ქართული ნიჭის პირველადი სრულყოფილი მოვლენა, ნიკო ფიროსმანამვილი, ვარკსვლავეთური რჩეული იყო, მაგრამ ხორციელ-ფიზიურ უკვდავებას ვერ უბოძებდა ვერც ერთი სამყაროსეული ღვთისური გავლენა, რადგან ამქვეყნიურ გარდაუვალ შობა, ზრდა-სიბერე გარდაცვალების უმაცრეს პროცესს მხოლოდ გალაქტიკების ერთობლივი ძალა და დროთა სვლა უმაცრესი განაგებს. უშუალოდ და უსაზღვროდ კეთილ უფალს შეეძლო მხოლოდ, შემოქმედებითი უდიდესი უკვდავება ებოძა და იქმნა კიდევაც...

ყოველი ჩვენგანი სხეულის უმცირეს უჯრედად დამდე ხომ განუყოფელი ნაწილია კოსმოსის, მაგრამ ვინ როგორი დონითაა მასთან ჩართული, მეცნიერულად არც ისე ადვილი მისაგნებია; თუმცა გამოცდილი თვალისოვის ზოგადად ხილულია, რა თქმა უნდა, იშვიათი ამა ქვეყნისა მიუწვდომელ მთლიანობასთან გიტარის სიმივით არიან ანყობილი მზიურ ჰარმონიად. თავად ნიკალა უთუოდ მაგდაგვარი განყენებული ნერვ-კაპილარის ჟღუალობა და ორგანულობა იყო უმდიდრესი პლანეტარიუმისა...

ჩვენი თხრობა რბილად ითხოვს, ბრძენთა გამონათქვამი მოვიშველი: „ჭკვიანი მუშაობს, გენიოსი ქმნის“ (შანი).

ამიტომაც იყო ნიკალა წმიდად მოსული და სახალხო ფერმწერი, ღმერთივით კეთილი – ქმნიდა და ფერ-ტონ-ხაზთა ჯადოსმიერობით, ველური მამალი შაშვის გაზაფხულზე უწყვეტ – ტკბილ გალობასავით თავისუფალ რეგსტ-მუსიკალურ სივრცეში მაამებლად იფანტებოდა, იმდენად, დილის მზის სხივივით ვრცელდებოდა, რომ დედაქალაქიდან შორს, სამეგრელოს ერთ-ერთ მთიან ულამაზეს სოფლამდე სიამით ჩააღნია და... (ეს მოხდა ფიროსმანის, როგორც უიშვიათესი მხატვრის, აღმოჩენა-აღიარებამდე).

ნიკო ფიროსმანაშვილის თანამედროვე, ღრმადმორნმუნე-ლვთისკაც ივანე კეკუას, ისეთივე სარდაფ-დუქანი ჰქონია ძველ ქალაქში, როგორც რამდენიმე სხვადასხვა ეროვნების თბილისელს. თავისი გენეტიკური წარმომავლობითი მდგომარეობიდან გამომდინარე, კეთილმა ღვინით მოვაჭრემ მამაპაპისეული გვარი საგანგებოდ კიკვაძედ გადაიკეთა. მეგრული წარმოშობის მეღვიწესთან თბილისელი განებივრებული მომხმარებელ-მოქეიფენი შესაძლებელია ნაკლებად მისულყვნენ, რადგანაც მათი ურთიერთობა დონისეს ეროვნულ კულტთან იყო დაკავშირებული, ხოლო შორეული ისტორიული უბედურებიდან გამომდინარე, ძველი კოლხეთის მრავალმხრივი სახელი და დიდება დიდი ხნის წინათ, მიმქრალიყო მინისქვეშეთის და ზეცის ბუნდოვან სივრცეში და ამჟამად მხოლოდ არქეოლოგიას ექვემდებარება.

უკვე სანში შესული მარტოხელა მხატვრის ქართულად გამგებ უსახლოეს მეგობარ ბატონ ივანეს თურმე მშობლიური კუთხის ნოსტალგიამ მწვავედ შეუტია და სევდიანად გადაუწყვეტია, თავის მშობლიურ სოფელ ეკს დაპრუნებოდა. შემდგომ მშვიდად ეწვია თურმე უცხო და ფასებმიუწვდომელი სიმდიდრით. ნიკოს ნაჩუქარი ათამდე სხვადასხვა ზომისა და თემატიკის უნიკალური ფერწერული ტილო სოფელში უვნებლად ჩაუტანია, შემდეგ წინაპართა უძველესი კოლხურ-მეგრული წაბლის ხის ხუთოთახანი ოდა, სამი ბუხრით, აივანწერებული-მიან ორნამენტით და რიკულებით დამშვერებული – გონსულიერად წარმოვიდგინოთ მზის შეუქე ხის ოქროსფრად მოცინციმი ძველკოლხური სასახლე, ეგზოტიკური ოდა – ნიკო ფიროსმანაშვილის შედევრ სურათების სოფლის საკვირველ მუზეუმად რომ მოუწყვია: ეპოქის სხვადასხვა ფენის და ხასიათის ძველი თბილისელების თუ მრავალ სტუმარ-მეგობრებთან გადალებული, უამრავი ისტორიულ-დოკუმენტური ფოტოალბომიც ჩამოუტანია. მისაღებ, მწიფე რეანითელისფერ ზალაში მუდამ, მრგვალ მომცრო, მწიფე წაბლისფერ მაგიდაზე მოკრძალებით ელაგა ანტიკვარული ნივთები – ვერცხლის დოქი, თხელი, ძველისძველი, ღვინო საფერავისგან ნაცრისფრად ჩამუქებული ფიალები და ძვირფას სტუმრებს დასავლეთური ცოლიკაურის მომწვანო გამჭვირვალე ღვინით და თბილისური ყაიდის „ზაქუსკით“ ისტუმრებდა. ნებისმიერ გენიას და თა-



ვად ნიკალას გამაოგნებელ შემოქმედებას იმ დონის ვარსკვლავეთური მაგიური სხივთა მიზიდულობის მაგნიტური ძალა ჰქონია, რომ ადამიანები, ხელოვნება გაეგებოდათ, ესმოდათ თუ არა, თვითნებურად – დიდი და პატარა, ბატონი ივანეს მეზობლები თუ ახლოსოფლებიც სურათების დასათვალიერებლად უწყვეტ ნაკადად ჩამოდიოდნენ. ერთ მშვენიერ, სხივნათელ დღეს სენაკის ყოფილი მაზრის მწერალი, აზნაური ნიკო ადამია უმცროს შვილთან, მიხასთან, ერთად სტუმრებია ბატონ ივანეს. მეგობრული ურთიერთობით და დიდი ხელოვნების მადლის ზიარებით ვარსკვლავიან-მთვარიანი ზღაპრული ღამე გულჩამწვდომად სიამით ერთად გაუტარებიათ.

ნიკო ბატონი საქვეყნოდ ცნობილი, ღრმად განათლებული მწიგნობარი იყო. იმ ღამეს, ნიკალას შემოქმედებით ამაღლებულს და მეცხრე ცაზე გაჭრილს, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, შეუდარებელი ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის და მრავალ ქართველ თუ უცხოელ მწერალთა ნაწარმოები და, აგრეთვე, მეგრულ-ლაზური ტკბილობმოვანი ლექსები ზეპირად წაუკითხავს. ამ უზარმაზარ ხელოვანთა გვერდით სახალხო მოვლენა ფალავანზე, ნესტორ ესებუაზეც ჰქონიათ საინტერესო საუბარ-მოგონებები და მამაკაცური მშვენება, თბილისური ყარაჩოხელები და კოლორიტული კინტოებიც არ გამორჩინათ. მათ უჩვეულო სერობას საოჯელ ეკის ორი მასწავლებელიც ესწრებოდათ და აგრეთვე ძველი, ქანდაკებასავით ნაძერინ სახის ნააბრაგალი, მწერლის მოგვარე უკვე ასაკოვანი და ფრიად საინტერესო პიროვნება, ხალხში განსხვავებული კაცურაცობის გავებით; თუ კითხავდნენ მას, ვის ებრძოდიო, უხეირო დროს, მოქრილად პასუხობდა თურმე...

მდინარე წაჩეურას კალმახივით ალაგ-ალაგ მზის სხივებამომსრიალე ცინცხალი ალიონი ნიკალას სურათების და გრიალური ქართველი თუ უცხოელი მწერლების მოგონების გარემოცვაში შემობატონდა მადლასხმულ ხალისიან დილას; კეპუების საპატიო სტუმარი, თავის ყმანვილითურთ, უაღრესად ნასიამოვნებ-კმაყოფილი შავ-ლურჯი, ქართული ხალიჩებით განყობილი ფაეტონით სენაკში გამგზავრებულა; ამ კუთხის ნააბრაგალს კი მწერლისთვის სამასოვროდ უძველესი, ვერცხლის ქარქაშიანი სატევარი გაუტანებია...

თითქმის ნებისმიერი, ვინც იხილავდა ნიკოს ეკისეული უნიკალური კოლექციის ფერწერას, უსიტყვოდ გარინდულნი და ერთ მუშტად შეკრულნი



ისე შეჰყურებდნენ, როგორც უცხო ზეციურ-მხსნელ ხატ-მოვლენას.

უძველესი ქართულ-კოლხური მიწა კი, ისტორიითა და არქეოლოგიური ნიმუშებით გაჯერებული, თავისთვის მდუმარედ ფუსფუსებდა და ვინ იცის, მოვლენა ფიროსმანის შედევრები როგორ უსხოვარდონდელ წარსულს ახსნებდა...

სოფლის ეკლესიები და ფერწერული უძველესი სალოცავი ხატები, რელიგიური რწმენა-ცოდნა-განათლების გარდა, მრევლთა უმეტესობას მხატვრული ფერწერული სურათების აღქმაშიც ეხმარებოდა მაგ ქრისტიანულ სხივოსან დროში და უკვე სახელოვან სოფელ ექმი ორი მართლმადიდებლური ეკლესია მოქმედებდა. მორჩილ მრევლად ქცეული ხალხი ძალიან ახლოს იყო სალოცავებთან. ამიტომაც ბატონი ივანე კეჟას ოჯახში ხშირად მონადინებით დადიოდა თითქმის ყველა სოფლელი, თავადი იქნებოდა, აზნაური თუ გლეხი, ნიკო ფიროსმანშვილის ნახატების დასათვალიერებლად და უცხო მოულოდნელობისგან, როგორც მოგახსენეთ, გაოგნებული ვერ გარკვეულიყვნენ, რომელ ზეციურ თუ უფლის მიერ მოვლენასთან ჰქონდათ სულიერი შეხება. უთუოდ ყოველ მათგანში მყოფი ის იდუმალი, ეროვნულ-პიროვნული შინაგანი ხასიათის და ფერფირმისული სახის სულიერი ინტუიცია ნიკალას ფერწერაში მზესავით იყო გაცხადებულ-ანთებული. როგორ ერთ მუშტად შეკრავს ხოლმე დიდი ხელოვნება სხვადასხვა ზნეობისა და ხასიათის ადამიანებს. უთუოდ მაღალი შემოქმედება კველაზე დიდი და ეფექტური საშუელებაა ხალხთა გამთლიანებისა და სულიერად გასპეტაკებისა...

არიან ადრული და ბოლო საუკუნეების თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული მხატვრები და მოქანდაკები, რომლებიც თავიანთ შედევრებს უფრო პირადი აზროვნებით და გარემო სივრცისგან ნაბოძები წარმოსახვებით ქმნიან. ბუნების თვით-ნაბად არქაულ ფორმათა ღვიძლი შვილი ნიკალა





ყველა მათგან უაღრესად განსხვავებული და სუფთა ნიავთგანწმენდილი გულმართალი ხალასი გენიაა. მხატვარმა დედაბუნებასთან ერთობლივად შექმნა ყველასგან განსხვავებული პირნათლად აღალი, ინდივიდუალური სტილ-ფერთა შედევრები. ირგვლივი გარემო, კოსმოსი, ქართული რეალურ-ირეალური სამყარო და ღვთიური მეხსიერება ქმნიდა ფერმწერის ფუნჯით საოცრებებს. ნიკალა, თავისი ზეციურობით სავსე, იქსო ქრისტესავით უწყინარი ყოვლის და ყოველთა კეთილ-მოყვარული იყო და ფერთა მეოხებით ბულბულივით ხმოვან-უდერად საამო; ჩვენგან უახლოეს მინიერად რომ გამოვხატოთ, ნიკა ფიროსმანაშვილი მოვლენაა, წმიდანურ-ზნეობრივი არსება, უერთგულესი მონადირე გვიანი შემოდგომის ჩალისფერი მწევარივით და წმიდა გიორგი კაპადიოკელის მარადმორჩილი, ჭვეინან-მსრბოლელი თავადვე ყოველივეს მიმხვედრ-შემსრულებელი თეთრი რაშივით გახლდათ. რათა მათ, პატრონთათვის თავდაუზოგავ ბუნებრივ შრომა-მეცადინეობის მერმე უახლოეს მეგობართაგან ნამცეცისოდენა სამაგიერო არასოდეს მოუთხოვიათ, რაშიც მზისა და მთვარის ზნეობრივ ვარსკვლავეთური ხასიათ-პირდაპირობაა...

ნათქვამია, ზედმეტი სიმდიდრე-ფუფუნება სულიერად რყვნის ნალდ შემოქმედს, მაგრამ ნებისმიერ მოვლენილ ხელოვანს აუცილებელი და ყოველდღიური პირობები უანგბადივით სჭირდება ისე, როგორც შენირულ წმიდანებს.

როგორც მოგახსენეთ, დიდი ნიკალა ქვეყნისან, საკუთარი ერისგან და უახლოესი გვერდით მდგომი ხალხისგან ზედმეტს არასოდეს არაფერს ითხოვდა, პირიქით, ქვეყნიურ ბოძებულ უმდიდრესობას მხოლოდ მზესავით უანგაროდ ყველას გასცემდა... არაა მართალი, მავანნი რომ წერენ თუ ეკრანებზე აჩვენებენ ცის ფრინველივით კეთილ-მგალობელი ფერმწერისგან თითქოსდა ფიზიკურად ანრიალებული ალიარება-ჯილდოებს ითხოვდაო, უმართებულოა – ამდაგვარი ხელოვანის შეკოდებებით მკითხველს თუ მაყურებელს იზიდავენ, რადგან იციან, ადამიანთა უმეტესობა სევდისკენაა მიდრეკილი. უთუოდ ნიკალას სულს ისიც არ აღლვებს, რომ მისი განსასვენებელი ადგილი არსად არ არსებობს – როგორც ზემოთ გიამბეთ, ნიკალა ხომ სრულიად საქართველოშია ხორციელ-სულიერად მარადიულად შეკავშირებულ-ჩაფლული... როგორც თამარი, რუსთველი და კოლხი მედეა: ყოველი მათგანის მაცხოვრისეული ყოფნაა ყველგან...

რაც ნიკო ფიროსმანაშვილმა კაცობრიობას და საქართველოს უსახსოვრა, შეუფასებელია. უთუოდ მხოლოდ ერთი სურათის ფასი ხუთ მუზეუმს აუშენებდა ნიკალას, მაგრამ სიმართლე ხომ დამარხულია და ვინმე დიდ არქეოლოგს ელოდება...

ადამიანის ამ ქვეყნიდან გარდაცვალებით გასვლა კოსმოსური განახლება ხომ არაა, მძიმე და რთული!?

ველური ნებით ფუტკარ-მხატვარი, ამ უჩვეუ-

ლო სახის სიკეთითვე ამდიდრებდა თავის ქვეყანას და სრულიად მსოფლიოს... ნიკო ფიროსმანაშვილთან ფერთ წარმოსახვათა საკვირველი უცხო მოვლენა იმდენად დიდი და მოზღვავებული იყო, რომ მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება სიახლე-მოულოდნებლათა გარემოცვაში გაატარა; დიდ ხელოვანს თავისი თავი ბოლომდე არ ჰქონდა გათვითცნობიერებული, თუ არა, უთუოდ როგორმე იხსნიდა დამოუკიდებელსა და განსხვავებულ უსასრულობისფერ გენიას უსულებული და მასთან შედარებით ბევრად დაბალი ზნეობის საზოგადოებისაგან.

სამწუხარიდ, უბადლო ფერმწერის თანამედროვეებმა კი ახალშობილივით შემვეღ მხატვარს (თავისი შედევრებისეული სიმდიდრე უკლებლივ უკვე გაცემული ჰქონდა) სიცოცხლეშივე და სიკვდილის პირას მისულს სულიერ-მატერიალური პატივი ჩვეულებრივ ადამიანურადაც არ აღირსეს, და მგალობელი სათნოდ მიმქრალი შავბუბულიანი შაშვივით გაძარცულ-გაშმარ თავის ბუდეშივე უმოწყალოდ ჩატოვეს. თუმცა ამ ლეთივგაჩენილ მგალობელ ფრინველს ცისქვეშეთური საუფლო ბუდე ჩვენს სასახლეებსა და ქარვასლებს ბევრად ურჩევნია... მოვლენით გარდამავალი მხატვრის გარდაცვალების შემდგომ ცხოვრებისეული წვრილმანებით დაკავებულებმა საკუთარი კი არა, მიახლოებითი სამარეცარ მიუწინეს, იმას კი ვერ მიხვდნენ ის უბედურები, შემოქმედ უფალმა თბილ-კეთილ მოსიყვარულე ნიკალას სამარე-აკლდამად თუ პირამიდად, როგორც მოგახსენეთ, სრულიად საქართველო მიაკუთხა. ტყუპისცალივით იგივე ბედი ენია ადრეული ხანის საოცრება შემოქმედს, გენიალურ რუსთაველსაც. ეჭვგარუშე ნაფიქრალია, სადაცაც ქვეყნიერების ზეენარულ კანონ-ნუსხაში კოლხურ-იძრიულ სივრცეს მედეა, რუსთველ-ფიროსმანისეული მიწა ჰქია...

რამდენიმე წელი პარიზში, საფრანგეთის მიწვევით შემოქმედებით მივლინებაში ყოფნისას, სხვადასხვა მუზეუმებში შედევრების წინ მდგარმა, დავწერე ნანარმოებები უდიდეს მხატვრებზე, მოქანდაკეებზე; ყოველ შედევრთან სილრმისეულად ურთიერთობას ვამყარებდი და გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა (ამიტომაც გავძედე, ლიტერატურული ნანარმოები შემექნა ფიროსმანზე), მათგან რამდენიმეს მოვიხსენიებ: ლეონარდო და ვინჩის მარადიული ქმნილება „ჯოკონდა“, მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონება“, მოვლენა ფერმწერი ვან-გოგი, მხატვრული გემოვნების სიმბოლო მოდილიანი, რენუარი, ტიციანი, პიკასო, კანდინსკი, მოქანდაკე როდენი, ბურდელი, მური, უბადლო ფერმწერი მატისი, ხუან მირო – ოცდაშვიდ თუ მეტ მხატვარზე შევქმნი ესები და გამოვეცი კრებული ერთ წიგნად: „შედევრები და მარადიულობა“. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს აქ ვერ მოვიხსენიებ, რადგან ვშემობ, არ დავაზიანო ჩვენი მნიშვნელოვანი ნანარმოების ფაბულა-არქიტექტორნიკა. უმჯობესია, მეგობრებო, მივყვეთ ფიროსმანის შემოქმედებით მთლიან სულიერ სხეულთა უნაზესი და კონკრეტული, უკიდურესად



მეტყველი ორგანიზმის ძირეულ განხილვა-გაშუქებას. დამოუკიდებელი ხედვით, გონებით, სულიერად ნელ-ნელა შევდივარ ფერმწერის ურთულეს სილა-მაზისულ ფერადოვან უნაზეს ლაპირინთებში და შეძლებისდაგვარად ვეცნობი ფერთ-ლაქებით მო-ბრილიანტებულ სულჩადგმულ უშვენიერეს ტონ-ალურ სივრცეს. წმიდათაწმიდა უხილავი ქართული ხასიათ-კოლორიტით და ყოველი ფერის ულერადო-ბით თუ წიუანსური გარდამავლობით. რამდენადაც უფრო ვუახლოვდები ნანარმოებთა ცოცხალ ორგა-ნიზმში, უფრო მეტად ვლინდება უღრმესი ხალხური უძველესი ფილოსოფიის წარმოუდგენელი მისტიკა – უძირო, რომელიც სივრცისმიერი ეროვნული ცისა და მიწის უნაკლო მისული ფერებით იწერება და ფერთა ურთიერთთამამი ჰარმონიით იძერწება. ისევ და კვლავ ვცდილობ, ქმნილებათა მიუწვდომლობაში თავდადებით ჩავაღწიო, ყოველ ფერწერულ წიუანსს სათუთა გრძნობით მოვცერო და ჩემ წინ მატუ-ლობს თვალთვონების და ნერვიული ხედვის უცხო ნათება, მერმე, რაც შეიძლება ვაძალებ თავს და ისევ იმატა ცისარტყელას შუქთა სიკაშკაშებ, შემდეგ უკალურესად აენთო გენის უმთავრესი მზე და მის-მა მოძალებულმა სხივებმა მოურიდებლად უკანვე დამახვინა, უკვე შეუძლებელი იყო გონებრივი ხედ-ვაც და ვტოვებ ნიკალას მრავალშრიან შემოქმედებით მიუვალ, მართლაც ღვთიურ სივრცეს: აი, ამდავ-ვარია, მეგობრებო, ჩვენი გენის სულიერ-ხედვითი, შემეცნებითი და გამომხატველობითი ფერთდაბ-ინდული სურათის სხეული, რომლის თავიდან ბო-ლომდე ჩანვდომა თავად ავტორსაც გაუჭირდებო-და, რადგან თურმე ღმერთი ყოფილა მთლიანობაში პატრიო-მიმხედვარედ მასში დასახლებული. ნიკა-ლას შემოქმედება მიუწვდომლად წრიულია და ნუ გაოცებთ, შედით მის სივრცეში. თუ უძლეურობას იგრძნობათ, მშვიდად თქვენც გაეცალეთ... ქვეყნიერ-ების მარადისობის უფალს და მის განძს კი ვერავინ ეახლება, რაც გინდ ნიჭიერ-თამამი ვიყოთ, თუნდაც ღრმად მორწმუნებიც. ჩამავალი და ამომავალი მზის განწყობილებისაა ხელოვნების წებისმიერი სახეობის შედევრი, თითქოსდა ახლოს ხარ მასთან და ძლიერი სურვილი გაქსა უფრო მეტად მიახლოებისა, მა-გრამ უსაზღვრო მიუწვდომლობა და შეუძლებელია მისთვის ყოველმხრივ თვალის გასწორებაც კი, რო-გორც უფალთან, და მაინც ღმერთის უფრო მეტად წარმოდგენითი მიახლოებითი პოვნა-ხილვა ზოგა-დად ყველა შედევრშია შესაძლებელი: თითქოსდა თუ სინამდვილეში ილუზიურია მისი უდიდებულესობის რეალური სახება ჩვენთვის. მხოლოდ ხელოვანის სა-ოცრება ნაწარმოებებში წება-ნება ისვენებს უფლის უდიდესი და აღმატებული ორანი, რომელიც იქაც იდუმალ უსასრულო მოძრაობაშია. დაახლოებით ამდაგვარის სამყარო – უფალი, მზე, ვარსკვლავე-თი და ხელოვნების წებისმიერი ქმნილება შედევრი... ცხრა წეტარებითი სიცოცხლეც არ გეყოფა, გე-ნიალურ ნაწარმოებს ბოლომდე რომ ჩანვდე. მაგ-ალითისთვის, ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი შემს-

რულებელმა, უნიჭირესმა პიანისტმა ათასჯერ რომ დაუკრას ინტელექტუალური მაყურებელ-მსმენელი საზოგადოების წინაშე, ათასმეერთედ მაინც იტყვის ერთგული და პატიოსანი მუსიკოსი, ამ კონცერტზე, ალბათ, უფრო მივუახლოვდები კომპოზიტორის მი-უწვდომელ გენიასო, მაგრამ ისევ...

ასჯერ და ორასჯერ რომ წავიკითხოთ ნი-კოლოზ ბარათაშვილის მოვლენა-ლექსი „მერანი“, აქაც თითქოსდა სამყაროს სულიერ სიბნელეში მი-უწვდომლობისგან მშიერნი დაფარფატებთ. აი, ამ ფორმისაა უფალ ღმერთის ნებისმიერი ქმნილება. და გული ნუ დაგნედებათ ჩვენეულ უძლურებაზე: იტყვიან, ადამიანი ყველაფერში და ყველაფრის მიმართ ძლიერიაო, მაგრამ სამყაროს, ვარსკვლავე-თის, კოსმოსის და უფალთან მიმართებაში მთლიან სუსტი და ძალაუნებურად მორჩილი ქმნილება-არ-სებაა...

ეტყობა, ზოგ უმთავრეს შემთხვევაში მხოლოდ წარმოსახვები არ გვყოფნის, ალბათ, ის ძალიან შორეულიდან გვეგზავნება, რომელსაც აზრომი-უწვდომლობის განმარტებები არ ახლავს. რა კარ-გი იქნებოდა, უფალი რომ გამცნობდეს ჩვენთვის აუცილებელ ურთულეს ინფორმაციას, როგორც „ათი მცნებით“ ზნეობრივად სამუდამოდ და უსას-რულოდ რომ გაგვამდიდრ-გაგვანათლა. უზომოდ ბედნიერები ვიქენებოდით, ნიკალასავით გენიათა ქმ-ნილებებიც ძირითადად ღვთიურად განეხილ-გაერ-ჩია ჩვენთვის და მთავარი ენყალობა. ეჭვს გარეშეა, ამ ქვეყნად უაღრესად განათლებულები ვიქე-ბოდით, მაგრამ აქაც მხოლოდ უზენაესის იდუმალე-ბათა საიდუმლო მოუსვლელობაა, ცის ხმა გვამც-ნობს, ალბათ, ასეათ საჭირო...

ახალგაზრდობიდან ფიროსმანზე ბევრს ვკითხ-ულობდი, ხშირად დავდიოდი მუზეუმში; განსა-კუთრებულად ქართული ფრესკებით, ორნამენტით, ჩუქურთმებით, ხატ-მინანქრით, საოცრება ნაქარ-გობით, ჭედურობით ფიროსმანაშვილით და გუდი-აშვილით ვიყავი გატაცებული, მთელი არსებით ვე-თაყანებოდი როგორც უძველეს ქმნილებებს, ასევე მათ ფერწერულ გენიას. უკვე პროფესიონალი მხ-ატვარი სოფლად რომ ჩამოვდიოდი მშობლიურ ქვ-ელისუაკში, თითქმის ყოველდღე ირგვლივ გარემოს პეიზაჟების სახატავად დავდიოდი – ავტობუსით, სატვირთო მანქანით, ურმით თუ ფეხით. ვხატავ-დი როგორც სენაკის რაიონის სოფლის მოტივებს, ასევე მარტვილისას. სიხარულით მახსენდება, სანამ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გავხ-დებოდი, მანამ სწავლა დავიწყე სოხუმში, სამხატვ-რო სასწავლებელში. ერთხელ, ფიქრებში ჩართულს, ცხელ აზრად მომივიდა, ძველისწავის მთებს გაღმა მდებარე სოფელი კვარჩლალი დამეხატა. უთენია ავდექი, თითქმის ბნელობა, ავიღე „ეტიუდნიკი“, ჩემ მიერ დამზადებული საშუალო ზომის ტილო და გავემურე ფეხით. გადავიარე საუნაგეროს მთა, შევედი ადამიერისა და გუნიების სოფელში (ამჟამად, საუბედუროდ, ნასოფლარია იქაურობა),





მაგრამ ვერც ერთმა მოტივმა ვერ მიმიზიდა და შეუსვენებლივ დავადექი უცნიბი ეკისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკს. იქიდან თითქმის ხუთ კილო-მეტრზე მეტი ვიარე. მაშინ სოფელი ეკი პირველად ვიხილე და ძალიან მომენთა თავისი მიმზიდველი ზომიერი მთა-გორებით, ლამაზად მონაცემილი ეზოებით, ოდებით; ზოგან ყავრით იყო გადახურული. სხვადასხვა ზომისა და მოცულობის კერის კვამლისგან გამუქებულ-გაშავებული სამზადისები, თითქმის ყველა ისლით მჭიდროდ დაფარული: ამ შევიდ სოფელში მზე ლალობდა დღეს და ბოლოს ერთ-ერთ ულამაზეს ეზოტიკურ ეზო-სახლეართან შევჩერდი, მფლობელისგან ნებართვის აღების შემდგომ მოტივი შეძლებისდაგვარად დავხატე; სწავლის დასანყისშივე ხომ ჩემში იჩინა პეიზაჟისტის ჩევეულებრივმა ნიჭმა და ძალიან არ გამჭირვებია. ამ ფართომინდვრიან ეზო-კარიან ოჯახში სამოდ მოფუსფუსე მასპინძლები – შესანიშნავი, აღაულა-ჟებული სახის ენერგიული მამაკაცი ბატონი სამსონ კეუუა და სანდომიანი შეხედულების ქალბატონი



ნინა დღის ბოლოს თბილკაცურად გამიმასპინძლდენ და დამაპურეს კიდევაც...

იმ დღეს ღმერთმა ასე ინება, როგორც მომავალ მხატვარს, უნდა მეხილა ის იდუმალი სოფელ-ადგილმდებარეობები და უშუალოდ გვარად კეუუებს ვაჭუმრებოდი, რათა ფიროსმანაშვილის შორეულ ტრაგიკულ ლეგენდას ფარულად უკვე აქედანვე შევხებოდი და ღვთის ნებითაც სამომავლოდ მართებულად წარიმართა ყოველივე.

მის მერმე წლები გადიოდა, კვლავინდებურად ჩემი კუთხის სოფლების ისტორიული ძეგლებით, ოდებით თუ თანამედროვე მოტივების ხატვით ვიყავი გატაცებული. უფრო ზაფხულობით, თბილისიდან შობლებთან ჩამოვლით შევბულებით, იმუქად ხელოვნების მუზეუმში აკადემიკოს შალვა ამირან-აშვილთან ვმუშაობდი მხატვარ-რესტავრატორად. ერთ-ერთ მზიან ზაფხულს სოფელში ვარ ჩასული, ხან ვთოხნი ჩვენი ეზოს ყანას, ხშირად კი ვხატავ

და მშობლებმა მითხვეს, ჩვენმა მეზობელმა ნინუცა ბარკალაია-ანთელავამ სახლ-კარი გაყიდა, ეკელებმა, შესანიშნავმა სალხმა, კეუუებმა შეიძინეს და ხშირად ცოლ-ქმარი შენ თბილად გიხსენებენო. რა თქმა უნდა, მერმე სიხარულით შეეხვდი მათ. ახალ-მოსახლეებს ახლო მეზობლობა დავულოცე და უკვე დრომად ასაკოვან ჩემს ეკელ ყოფილ პურმარილიან მასპინძელს ვეკითხები: ბატონი სამსონ, ფრიად საინტერესო და ისტორიული თბილისელი მიუკტანი ივანე კეუუა რა იყო თქვენი-მეთქი? – მკვიდრი ბიძაშვილია ჩემიო, რომ მითხვა, ავლელდი. ბატონი ივანეს შესახებ თუ მომიყვებით როდისმე, რომ გთხოვოთ-მეთქი. – კი, შემოგევლეო, – მიპასუხა, – ის ხომ შენი კოლეგის, დიდი ფიროსმანის მეგობარი ბრძანდებოდა, იმ შეუდარებელი მხატვრის ათამდე სურათი ჩვენთან ინახებოდა ეკშიო.

შემდეგ ისევ განვლო გარკვეულმა დრომ. დიდი პატრიოტისა და მასულიშვილის, მერაბ კოსტავას გარდაცვალების მერმე ეროვნული მოძრაობიდან წამოვედი და შევუდექი – შემოქმედებასთან ერთად

– ჩემი სოფლის, კომუნისტებისგან გავერანებული მაცხოვრის სახელობის გუმბათოვანი ეკლესიის აღდგენას, რაშიც უდიდეს თანადგომას მიწევდნენ უნმინდესი ილა II და ქორეპისკოპოსი, მეუფე კონსტანტინე (მელიქიძე). რაონის ხელმძღვანელობა და ძველისენაკელების აქტიური თანამშრომლობაც უთუოდ საქებარი იყო, ეკლესიისთვის და ჩემთვის... ერთ მნიშვნელოვან დღეს ას წელს მიღწეული სამსონ კეუუას თავის ჭიშკართან შევხვდი. მოხუცი ყოჩაღად გამოიყურებოდა. მივესალმეთ ურთიერთს. – კარგი გამარჯვება იყოს, ბაბა, შენიო, მომმართა. ბატონი სამსონის

სახლ-კარი ჩვენგან სამასი-ოთხასი მეტრითაა დაშორებული. კაცური მორიდებით ვთხოვე ღიმილით მდიდარ ბატონ სამსონს: – ხვალ ოჯახში გვეწვით, ეზოში კარგ ყვავილნარს დაგათვალიერებინებთ და თანაც მოგონებები ჩავიწეროთ ნიკო ფიროსმანაშვილსა და საქებარი ივანე კეუუას ურთიერთობის თაობაზე-მეთქი. – კი, შურიგე (სულო), გესტურებით – ხალისით მომიგო.

მართლაც, მეორე დღეს მოვემზადეთ ოჯახი: ასაკოვანი დედა მინადორა ხორავა, შვილები, მედეა და მაია, ნანი – მეულე და გახარებულნი შევეგბეთ ეზოში მოციქულივით დინჯად შემოსულ ბატონ სამსონს. ლამაზად მოპირკეთებულ ჭასთან, ყვავილების ხეივნში, ხის ჩრდილში ჩამოესხედით. იქვე ტაბაკი და მოკრძალებული სუფრაა გამლილი გამჭვირვალე გრაფინში ორნახადი არყით, პატარა ჭიებით და მამაპაპურად დავილოცენით. ჩვენი ეზოს ბინადარი ნაგაზი მოშორებით, მუშმულის ხის





ქვეშ იწვა და ყურაცხვეტილი თვალს არ აშორებდა სტუმარს. ამ დროს ბატონი სამსონი მეუბნება: ცოტა ხანს დამაცადე, რეზო! და მაყურებინე ამ ვარდებზე, სული რომ მოვითქვა, ბიჭოო! – ჩემთვის საყვარელმა ბერიკაცმა მუხლებზე ასწლოვანი და-კოურილი ხელის მტევნები მშვიდად დაინწყო და დინ-ჯად შეუდგა სულმდიდარ ეროვნულისა და ფრიად საინტერესო, გარდასულ დროთა ამბის მოყოლას, რასაც სიტყვისიტყვით გთავაზობთ.

– შვილო, რეზო! ცნობილი და კარგი კაცი იყო ივანე კეკუა. ადრე გარდაიცვალა, დიდ სამამულო ომამდე; საფლავის ქვაზე ანერია ზუსტი თარი-ლი, რომელიც შემდეგში მოსანახულებელია. მისი ამ ქვეყნიდან წასვლის მერმე ოჯახში დარჩენილა რძალი, გარდაცვლილი ძმის მეუღლე. ივანეს ძმას ერქა იოსები. სამი ძმა გარკვეული დროის განმავ-ლობაში ერთად ცხოვრობდა. იოსების შვილიც უდ-როვდ გამოეცალა ოჯახს და ქვრივი დარჩენილა მარტიდმარტო.

კეკუების ოჯახი სოფელ ეკში მაშინ შეძლე-ბულ მოსახლედ ითვლებოდა. ბატონ ივანე კეკუას ედგა სრული ოდა ხუთი რთახით. სამზარეულო, დიდი მოცულობის. იქვე მარანიც, ბეღელი ქვედა (ჯიხურით) და ბაღუ – ხულა, სამ მომცრო სათავ-სოდ გადატიხურული. მაშინ მათი ოჯახი ცნობილი იყო კეთილ და პურმარილიან ხალხად და საკმაოდ ეკლესიურ-მორწმუნენი იყვნენ. უახლოესი სალოცა-ვი გახლდათ ეკის იოანე ნათლისმცემლის სახელო-ბის ეკლესია – ბაზილიკა. ივანე კეკუა თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა 60 წლის განმავლობაში ელიზავეტინსკაიას ქუჩაზე – ეს სახლი შემდეგში მოსაძენია. ძველ თბილისში იდგა ხუთისართულიანი სასახლე, სადაც ბატონ ივანეს ჰქონია სამი რთახი თავისი კორიდორით. ივანეს შვილი არ ჰყავდა და ძმიშვილი ლვილი შვილივით გაზარდა, რომელიც შემდეგ მუსიკალურ სასწავლებელში მუშაობ-და ბუღალტრად. იქიდან გადავიდა შვილებით და ივანეს ეკში წამოსვლის შემდეგ გადასახლდა ჩერნი-შეგსკის №17-ში. მერე მათი მდგომარეობა ჩემთვის გაურკვეველია ურთიერთკავშირის შეწყვეტის გამო. ბატონი სამსონ კეკუას მოგონებიდან ყურადღებით ვინწრ, რომ ივანეს გაზრდილის ოჯახშიც ინახებოდა თურმე ნიკალას სურათები. დიდად მოწონდათ ჩვენ-თან, ხალხში, ფიროსმანის ნახატები და ძალიან ბევ-რნი მოდიოდნენ სანახავად. ეკის სკოლის მასწავლე-ბელი, წარმოშობით ქუთაისელი, ბრეგვაძე კოლია, ღრმად მოყვარული ყოფილა ნიკალას ნამუშევრე-ბის. მას სურათების დასათვალიერებლად ხშირად მოჰყობდა მასწავლებელ-მოსწავლები და ინტელი-გენციის წარმომადგენლები. ეკის მაშინდელი ადგი-ლობევით ექიმი, ხუნკუა აპოლონი, სილოვანის ძეც ძალიან შეყვარებული იყო ფიროსმანის სურათებზე. ასე რომ, ყოველდღე ხალხი მოდიოდა ჯგუფ-ჯგუ-ფად ამ დიდებული ნახატების სანახავად.

როგორც ბატონი სამსონი გვამცნობს, სა-ნამ ბატონი ივანეს ცოცხალი იყო, იმ პერიოდში

სოფელში სურათების მოპარვის მცდელობები არ შენიშნულა. ივანეს სიკვდილის შემდეგ მისი ძმის ქვრივს ვინმე ჩიქობავა, წარმოშობით უბრალო გლეხი ჩაესიძა, რომელიც არაფრით არ აღემატე-ბოდა კეკუების გვარს. და კიდევაც მის ხელში სახლ-კარი ულვთოდ მოიშალა. უვარგისი ჩაიძე-ბულის უყურადღებობასა და უყაირათობაზე დღე-საც მსჯელობენ სოფელში, საუბედუროდ, ოჯახის დაწვასა და სანძრის გაჩნაზეც. ბატონი სამსონი იგონებს, სურათები დაახლოებით რვა, შეიძლება მეტიც ყოფილიყო. ამ დიდი, ულამაზესი მეგრული ოდის სამ რთახში ყველა ნახატი ლამაზად ყოფი-ლა გამოფენილი და დარბებიანი კარ-ფანჯრებით საიმედოდ დაცული. ბატონ ივანეს ჰქონია იმ დროის ამსახველი მრავალი ფოტოკოლექცია, ალბომები და თავადაც ჩამოუტანია ფოტოაპარატი. ძველებურ ოჯახს რომ უხდებოდა, ისეთი ავეჯით ჰქონიათ განყობილი სახლი. პირადად ივანეს ნიკალასეული კოლექციოდან ჩხეიძის პორტრეტით ძლიერ დაინტ-ერესებული ვიყავი, ჰყვება ბატონი სამსონი. ჩხეიძ-ეს ჰქონია თეთრი წვერი, ჩხხა-ახალუხი ცმია და მხარზე მოხურული თეთრი ნაბადი და ამ სურათს შორიდან რომ შეხედავდი, ნაბადის მორთულობა ოქროსავით ბზინავდაო, მაგრამ ჩიქობავას უხეირო-ბით, – უცებ სახე შეუწესდა მოხუცს და ამჟამადაც დაუვინცარ წყრომას გამოხატავს ბატონი სამსონი – კეკუების სოფლის მუზეუმ-ოჯახი ხანძარმა რომ შთანთქა, შეგნებულად სოფლის საზოგადოებას საერთო გლოვა გამოუცხადებია და ეროვნული გან-ძის დალუპვის დონეზე განუცდიათ (უფრო დიდი იშ-ვიათობა რა უნდა დაღუპულიყო). ბატონი სამსონი გულისწყრომით ყვება, იმ უბედურების მომტანმა ხანძარმა მხატვრის რამდენიმე სურათი, ჩვენდა სამ-წუხაროდ, შთანთქაო, მაგრამ ზუსტ მონაცემს ვერ მოგცემ, რადგან ჩიქობავს მფლობელობის ჟამს ყველაფერში ჩახედული არ ვიყავი. ამ კაცის უზ-ნეობას ახლო ნათესავი ბატონი სამსონ კეკუა, რა თქმა უნდა, უკიდურესად გაულიზიანებია. მძიმედ ამიოსუნთქა ბრძენმა მოხუცმა და ყვება: ბოლოს, სახლის სახურავის უვარგისობის გამო, რომელიც დაძველებული ყავრით იყო გადახურული, აწვიმდა. ბატონ სამსონს რამდენჯერმე შეუთავაზებია, ყველა სურათი ჩემ სახლში გადავიტანოთ თუ არა, საუბედ-უროდ, გაფუჭდებაო, მაგრამ ჩიქობავას, იმდროინ-დელი სახლის პატრონს, ცივად უარი უთქვამს და დაუყოლებია, რა მნიშვნელობა აქვს, ჩემთან იქნება თუ შენთან. ეტყობა, ეს ნახატები დიდად არაფერს წარმოადგენდა მისთვის.

ფიროსმანის შემოქმედების უმძიმესი მზელ-რუბლიანი ბედი სამეგრელოშიც გაჰყავა.

ნიკალას სურათები ბატონ ივანეს სენაკის მაზრაში მატარებლით ჩამოუტანია, ნახატები სა-გულდაგულოდ შეხევეულ-შეფუთული ყოფილა და საკუთარი თავივით უვლიდა თურმე მთელი სი-ცოცხლის განმავლობაში. იმ პერიოდში ბატონი ივანეს სახლში დიდი წვეულებებიც იმართებოდა და





სურათები ყოველმხრივ დაცული იყო. ცოტა ხნით შეჩერდა, ჩაფიქრდა ბატონი სამსონი, მერმე მიყვება თვით ბატონი ივანეს მონათხრობს: პირველად დიდ მხატვარს ასე შეხვედრია: ბატონი ივანე იმუამად თბილისში შეძლებულ ვაჭრად ითვლებოდა. ჰქონდა დიდი სარდაფუ-სამიკიტნო და ვაჭრობდა შერეული ლვინის მასალით, იქნებოდა კახური, იმერული თუ ჭაჭის არყო. ერთ მშვენიერ დღეს მაღალი აღნაგობის, სქელი, ჩამოშვებული შავი ულვაშით, ხმელ-ხმელი, სანდომიანი სახის, კეთილი, მორჩილი გამომეტყველების კაცი ჩემთან დინჯად შემოვიდა და მეგობრულად მთხოვა ერთი ჩარქება ლვინო. მეც არ მიღალატა გუმანმა და პატივისცემით ალალად მივართვი კახური და „ზაჟუსაც“. მის მერე ჩემთვის ცნობილი გახდა, ეს კაცი იყო მხატვარი, რომელიც თავისი ბრწყინვალე ადამიანური სიკეთით ყველას აყვარებდა თავს. როგორც ივანეს გადმოცემით მახსოვს, ფიროსმანი იყო უსწავლელი, მაგრამ უჭყვიანესი, ბრძენი კაცი და ხატვისას საოცრებებს ქმნიდა, რითაც ყველა განციფრებაში მოვყავდითო. შემდეგ ნიკალა ხშირად შემოდიოდა ჩემთან. და მეც მეგობრულად, უფრო ნათესაურ დონეზე ვუმასპინძლდებოდი. ზოგჯერ ძმაკაცურად ყველაფერში მეხმარებოდა კიდევაც. რომ გავიგე, ნიკო სამხატვრო მასალების ნაკლებობას განიცდიდა, ხანდახან გარკვეულ თანხსაც ვაძლევდი, რათა შეეძინა საჭირო ფერები, მუშამბა და ჩარჩოები. მის მერე უფრო დაინყო ჩვენი ახლო მეგობრობაო. – მე რითი გცე ჰატივი, ჩემო ივანე? შემიძლია მხოლოდ სურათები გაჩქურო, – მითხო ნიკალამ. მან არ დაიშურა და თავის საუკეთესო რამდენიმე სურათი დროთა განმავლობაში მისახსოვრა. ასე დიდხანს გრძელდებოდა ჩვენი კეთილკაცური მეგობრობა. ბატონი სამსონი, რომელიც თითქმის ასი წლისაა, სრულიად სალი გონებით იგონებს, ივანესათვის ყველაზე ძვირფასი თბილისური მოგონებანი ფიროსმანამვილთან შეხვედრა-ურთიერთობით განისაზღვრებოდა, სიკვდილამდე მხატვარი ნიკალა იყო მისი კაცურკაცობის კულტი და საოცრებათა მოგონების წყარო...

მხატვარი ფიროსმანი ისეთი სანდო კაცი იყო, რომ ზოგჯერ სავაჭრო სარდაფის გასალებსაც უტრისებდი, რათა ჩემთვის საიმედო პიროვნებად ვთვლიდი და თავად ივანეც ხომ კეთილშობილი და შეგნებული მეგობარი ბრძანდებოდა, დაუმატა ბატონმა სამსონმა. ას კაცად ლირდა ივანეს სუფრასთან თამადობა. მისი სიტყვამოუბრობა შეშლილსაც მოაჭყვიანებდა. ერთ-ერთი ქეიფის უამს ლვინომორეული ახალგაზრდა, ეტყობა, შარიანი, გაჯიქდა, მაგიდიდან გადმოხტა და რომელილაც სუფრის წევრის დაემუქრა გაშიშვლებული ხანჯლით. მაშინ ბატონმა ივანემ მიმართა ლვინისაგან ტვინამდვრეულს: თქვენ, ყმაწვილო, ახლავე ჩაგეთ ხანჯალი ქარქაშშიო. სახელი რა გქვია, სტუმარო?! მას უპასუხნია: – ჩარიქა, ბატონი! ბატონ ივანეს ხუმრობით მიუმართავს: ბიქმ, ჩარიქანი კი არა, კრუ-

შეკანიც არ ყოფილხარო. ასეთი თბილი იუმორით და თავისი მაღალი ავტორიტეტით დაუშოშმინებია ლვინისგან გახელებული კაცი. ამდაგვარი მრავალი სხვა საინტერესო შეხვედრა ჰქონია და ბატონი ივანე განუსხვავებლად ერთნაირად პატივს სცემდა და გულისხმიერად ექცეოდა ყველასო. ალბათ, ამ-იტომაც აირჩია დიდმა ნიკალამ სამეგობროდ ივანე კიკვაძე-კეკუა.

ბატონი ივანეს გადმოცემით, ნიკალა სოფელ ეკში არასოდეს ჩამოსულა. ხოლო მხატვარზე მოგონება-ფიქრები, ქება-დიდება მირზაანის დონეზე სოფელ ეკშიც გახლდათო...

ივანე და ბატონი სამსონი მკვიდრი ბიძაშვილები ყოფილან. ბატონი ივანე გარდაცვლილა 78 წლის ასაჟში და სამახსოვრო საფლავის ქვა ბატონ სამსონს გაუკეთებია ბიძაშვილისთვის. ივანეს დაკრძალვის დღეს ბევრი თბილისელიც ჩამოსულა, რომლებიც კეთილად იგონებდნენ გარდაცვლილს, კეთილი პატრონის სიცოცხლის უამს ოდა-სახლში ნიკალას ყველა სურათი მაღალ დონეზე დაცული და მოვლილი გახლდათო. მერე ამ შედევრების ბედი გამრუდდა. ბებია, მამის დედა, როცა სოფელში დაქვრივებულა, ჭირზე ივანეს კახური ლვინო გამოუგზავნია თურმე კასრებით და ასე ეხმარებოდაო ახლობლებს: სოფელ ეკში ოცდაოთხ ივნისს ტარდებოდა დიდი რელიგიური ზეიმი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და ივანე განსაზღვრულ დროს ყოველ წელს საჩუქრებით ჩამოდიოდა. ასევე სახლში ჰქონია ჩასახედი უცხოური პარატი და სხვადასხვა ზომის ყუთებით ჩამოუტანია თავისი დროის თბილისური და მსოფლიო მოვლენების გამომსახველი დაბაძოზიტების მსგავსი სურათები.

მხოვან ბატონ სამსონ კეკუასთან მოკლე საუბარი ჩავინერე ძევლსენაჟში 1997 წელს 25 ივლისს.

რა თქმა უნდა, ბევრად მეტ მოგონების ჩანერა შეიძლებოდა, მაგრამ მოვერიდე ასი წლის ადამიანს და მშვიდად თავის სახლამდე მივაცილე. შვილო, რეზო, – მითხო გამოთხვებისას, – მომავალში კიდევ ვისაუბროთ მაგ თემაზეო. მეორე ზაფხულს სოფელში რომ ჩავედი, ბატონი სამსონი ალარ დამხვდა – სამწუხაროდ, გარდაცვლილა, იმ ქვეყნად პრანდებოდა, მარადიულობაში...

მზე, თავისი უსაზღვროობიდან გამომდინარე, უდიდესი ფუნქციონერია სისტემისა. უფალი კი მის ირგვლივ უკიდეგანო მოაზროვნე სიყვარული და სიკეთეა. ორთავეში, ცალ-ცალკე, სრულიად განსხვავებული სიცოცხლეა და უზარმაზარი სიბრძნი-სეული ძალაა, ამიტომაც ისინი სამყაროში ძალიან ხშირად ურთიერთდამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ კოსმიური მთლიანობის პარმონია არ ირღვევა. ღმერთი უთუოდ მრავალ სხვა, ფუნქციურ უსასრულობის თვისებასაც ფლობს, რომლებსაც ჩვენ ვერანაირად ვერ ვწვდებით და მეცნიერულადაც ამოუხსნელია ყოველმხრივ.

ნარმოიდგინეთ, მეგობრებო, მსოფლიოს ხელოვან გენიოსთა ცხოვრების ისტორიაში ეპიზოდურად





როგორი ურთიერთმსგავსებებია.

ალორძინების ხანის ტიტანი მხატვრის და მრავალმხრივი მეცნიერის, ლეონარდო და ვინჩის გენიალურ-გრაფიკულ ნახატებს, ფანტასტიკურ მეცნიერულ აღმოჩენებს თუ ტრაქტატებს, შესრულებულს ქალალდზე, რომელიც წარმოადგენდა პლანეტის უზარმაზარ სიმდიდრეს, ჭყაუათხელი თუ ჩლუნგი შვილობილი ყველის, ხორცის, გაფცევნილი კვერცხის თუ სხვადასხვა სამომზმარებლო საოჯახო პროდუქტების შესაფუთად იყენებდა და ასე შეუგნებლად ანადგურებდა. აგრეთვე მოვლენა ვან გოვის, ბოლო საუკუნეების ფერმწერი მზის ერთერთ შედევრს, რომელიც ჩვენთვის გაურკვეველი პიროვნების ოჯახურ საკუთრებას წარმოადგენდა, შემდეგ საქათმის კარის მაგივრად რომ იყენებდნენ. ოჯახის უვიცმა პატარა ბავშვმა ტილო-ნახატი იქიდან ჩამოხსნა, ხეს მიაყუდა და სათამაშო მშვილდისრით სროლისას სამიზნედ იყენებდა. წუთიერად შეეჩერდები ისევ ფრიად პატარა, შაგრამ დიდმნიშვნელოვან წარსულის თბილისურ მოგონებასთან. პაპუნა წერეთელმა – ბატონი პაპუნა იყო მეცნიერი-ხელოვნებათმცოდნე, ფერწერული სურათების კეთილმოყვარული, გადამრჩენელ-შემგროვებელი, საზოგადო მოღვაწე და აკაკი წერეთლის ახლო ნათესავი – გამაოგნებელი შემთხვევითი ამბავი მიამპო ჩემთან სტუმრობისას: – ხელოვნების მუზეუმის სახელოსნოში. შვილო! გთხოვ, კარგად დამიგდე ყური. – დიახ! ბატონი პაპუნა, მივუგე. ერთ დღეს ადრე დილით გავედი სახლიდან, ოჯახურ საქმეზე მივდიოდი და ვხედავ, შუახის ქურთის ქალი მარდა გვის ქუჩას, ხელში პატარა ჭუჭყიანი მუყაოც უკავია, რა თქმა უნდა, შეგროვილი ნაგვის ასაღებად, რაზეც რაღაც მუქ-ნათელი, წითელ-ყვითელი ფერები შევნიშნე. ქალბატონთან ახლოს მივედი, ის ისევ განაგრძობდა თავის საქმეს და ვთხოვე, თქვენი მუყაო გაიმეტეთ და მე დამითმეთ-მეთქი. ეს ხომ ძველისძველი გაფუჭებული მუყაოა, რათ გინდა, აჲა, წაიღე, კაცო! – მითხრა და ხელში მომაჩეჩა. რატომლაც მაშინვე გუმანით მიგხვდი და ვგრძნობდი, უკეც ჩემს საკუთრებად ქცეული ფიროსმანის ნახატი მეევა. უმაღ დავბრუნდი სახლში. სურათ-ნახატი ფრიასილად გავასუფთავე და ფიროსმანაშვილის „კრუხი წინილებით“ აღმოჩნდა, შემდეგ შენს ძმაკაცს, რესტავრატორ გიორგი მაქაცარისა კარგად გავაჩნდინე და ის ახლა ჩემი კოლექციის სრულყოფილი ღირსება და მშვენებაა, შვილო რეზო! – კმაყოფილი ღიმილით მითხრა. ამ ამაღლვებელ მშვენიერ ამბავს ყველას უყვებოდა საოცრად კეთილი პაპუნა. მის მერმე ბევრმა წელმა განვლო. დღეს წიკო ფიროსმანაშვილის სურათი „კრუხი წინილებით“ ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს და მილიონი დოლარი ღირს თუ მეტი არა...

არ დავაყოვნოთ და განვაგრძოთ თხრობა. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში თხუთმეტ წელინადს ვმუშაობდი, როგორც მოგახსენეთ, ჯერ მხატვარ-რესტავრატორად, მერმე გადამიყვანეს ახ-

ალი ქართული ხელოვნების განყოფილებაში, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიშვილთან, უფროს მეცნიერ მუშაკად და პარალელურად მუდმივი გამოფენის დარბაზების ექსპოზიციასაც ჩვეული კორექტურით ვაკონტროლებდი. იმ წლებში ჩვენთან ბევრი ხელოვნებათმცოდნე მეცნიერი და მხატვარი მოდიოდა. აგრეთვე, ხშირად გვევეოდა ხოლმე ღრმად განათლებული, უნიჭირესი, ფიროსმანზე გადაგებული და დიდი მხატვრის მირზანის სახლ-მუზეუმის დამაარსებელ-აღმშენებელი, შემდეგში გენერალური დირექტორი, ბატონი ანზორ მაძლარაშვილი. ზოგჯერ დინჯად მობრძანდებოდა მეცნიერ-აგდემიკოსი ვახტანგ ბერიძეც; იშვიათად, მაგრამ გამოცხადებასავით შემოვლიდა ბატონი ლადო გუდიაშვილი, გენიალური მხატვარი და ჩემი პირადი მასწავლებელი. შემდეგ, თხოვნა-მოლაპარაკების შედეგად, ერთი თვე სახელოსნოშიც მობრძანდებოდა, რადგან დიდი მხატვრის ფერწერულ პორტრეტზე ვმუშაობდი, ბედმა გამიღმია და უწყვეტად ერთი თვე ყოველდღე, დანიშნულ დროს, მუზეუმში მსტუმრობდა. ბატონი ლადოს მეუღლეს, აღელვებულ დიდ ქალბატონ ნინას უკვირდა, ბატონი რეზო, ლადო როგორ დაგთანხმდა პოზირებაზე!? ეს ხომ პირველი შემთხვევაა. ამასობაში მე ღმილით ვდუმდი. ბატონი ლადოს ხსენებული ფერწერული პორტრეტი, ტილოზე შესრულებული, ამჟამად ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში ინახება სოფელ მირზანში. როგორც გიამბეთ, მათგან მრავალი საუბრიდან დამამახსოვრდა უამრავი მნარე ან კარგი მონათხრობი ნიკო ფიროსმანაშვილზე, თუ რამდენი ნახატია დალუპულ-განადგურებული, ზეთის ფერებით მინაზე შესრულებული, თხელ მუყაოზე, თუნუქზე, იმათგან მხოლოდ ერთი გადარჩა, მაგრამ კოროზისაგან როდემდე ვიხსნით, გაურკვეველია, რადგან უბრალო რკინის მასალისგანაა დამზადებული. აგრეთვე, გაქრა უნიკალური მხატვრობა კედლებზე, ბევრი საუკეთესო აპრა და შედევრ-ნატურმორტი, რამდენიმე მათგანი თუ გადარჩა, მაღლობა ღმერტებით და იმ ბრძენ-სიკეთით სავსე ადამიანებს, ვინც იზრუნა ფიროსმანის ნახატების აღმოჩენა-გადარჩენაზე.

ბატონი ივნეს გარდაცვალების შემდეგ – ღმერთივით კაცს უთუოდ გულმა უგრძნო და – სოფელ ეკში სტუმრად ჩასულა მხატვარი, კოლექციონერი და ფიროსმანის სურათების შემგროვებელი, ჩვენთვის სათაყვანებული კირილე ზდანევჩი, საეჭვო მდგომარეობაში არსებული ნახატების მოსანახულებლად. სიცხიანი ზაფხული ყოფილა, სენაკიდან მთაგორიან სოფელ ეკამდე შევიდო თუ რვა კილომეტრი მარტოს ფეხით უვლია. როგორლაც მოუხერხებია და შედარებით პატარა ზომის ორი მუშამბაზე შესრულებული ფერწერული სურათი შეუძნია, აღბათ, ბატონი სამსონის მოგონებებში გულ-წყრომით ნახსენები ჩასიძებულ ვინმე ლოთი ჩიქობავასაგან. ერთ-ერთი მუშის პორტრეტი, ფეხოსან ფიგურას ზურგით შეშის მორები რომ მიაქვს, ამჟამად ინახე-





ბა ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში, კახეთში, სოფელ მირზანში. მეორე თითქმის იმავე ზომის ნახატის თემა ერთნაირია? დასაზუსტებელია, ხელოვნების მუზეუმის კოლექციაშია დაცული.

ამ საოცარი და უკეთოლშობილესი ამბებიდან გამომდინარე, ყველა ქართველი ვეთაყვანებით და ვემადლიერებით ზდანევიჩის გვარს.

2006 წელია. შუაგულ პარიზში, ინვალიდების სახლთან ახლოს, გალერეისტ ვალენტინა კალინინას ატელიეში პარიზელ მხატვართა შერეული გამოფენაა, აქ ჩემი ოთხი სურათიც იყო ექსპონირებული. ანსამბლ „მზიურის“ ყოფილი მომღერალ ნაირა ბოლლაშვილთან და მის ფრანგ მეუღლესთან რამდენიმე წელია ვმეგობრობ. შესასვლელ დარბაზში ქალბატონ ნაირასთან ერთად ვდგავარ და ვსაუბრობთ. ამ დროს სალონში შემოვიდნენ მშვენიერი ქალბატონები. კეთილშობილმა ნაირამ მოკრძალებით მოიწვია ისინი და ჩემი თავიც წარუდგინა, მერმე ერთ-ერთზე მეუბნება, თქვენს წინაშეა კირილე ზდანევიჩის ქალიშვილი, რომელიც პარიზში ცხოვრობსო. რა თქმა უნდა, ჩემ წინ იმ წუთებში მშვენიერება იდგა, როგორც წმიდანი, რადგან ის ჩვენი კირილე ზდანევიჩის შვილია. იმ დღესაც გალერეაში გამაცნეს გენერალ დუდაევის უერთგულესი პირადი დაცვის უფროსი და სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ.

დავუბრუნდეთ ბატონ კირილეს. წარმოდგენილი მაქვს, მხატვარი და ფიროსმანის აღმომჩენი, უაღრესად გამარჯვებული და მდიდარი, სამეგრელოდან თბილისში რომ ჩამოვიდოდა ნიკალას ორი სურათით და სიახლე ამბავსაც ხომ ჩამოიტანდა, ფიროსმანის სურათ-შედევრები უკვე იყიდება სოფელ ეკშიონ და შეძენის რამდენიმე მსურველიც გამოჩენდებოდა, ეჭვს გარეშეა, ბატონი კირილეც გაემგზავრებოდა ხელმეორედ, მაგრამ უბედურება და სტიქიური მოვლენები ქვეყნად თავიანთი ეშმაკეული თარიღით მოქმედებენ. საუბედუროდ, უკვე ფერფლად ქცეულიყო ფიროსმანის უნიკალური შედევრები, რითაც სამუდამო სევდა და წუხილი შავ ფონად მოეფინა ქართულ, ისედაც ნანამებ, მინას. სამეგრელოში, როგორც თბილისა და კახეთში, ბოლომდე ვერ უპატრონეს დიდ ნიკალას – ვერც ან გარდაცვლილი ბატონი ივანე კეკეუს მაღალმა სიკეთე-მადლმა გვიშველა და ვერც ნააბრაგალის საგანგებო ყურადღებამაც, სამწუხაროდ, თავადვე დრომაც მნარედ დაიგვიანა...

თითქმის ყველა გენის პირში სულიერ შემოქმედებას თავისი მნარე და ღირსეული ბედი გამაოგნებლად თან სდევს: ფიროსმანის ურთულესი და უშძიმესი ცხოვრება შემოქმედებაშიც ხომ სუფთა, კამკამა ბუნებრივ ტბაზე მოწმენდილ ცასავით ირეკლებიდა და ნორმალურ არსებობას არ იმეტებდა უახლოესი გარემო.

თუ შენ, ადამიანო, სხვისი ტყივილიც გტყივა და მასავით განიცდი როგორც ეროვნულს, ასევე პიროვნულს, მაშინ ხარ მაცხოვარივით სიკეთით

სავსე, თუ არადა, უკეთურობა გფლობს...

როგორც ბოროტებას მოაქვს ტანჯვა, ასევე დიდ სიყვარულს და მშვენიერებასაც ახლავს მოუსვენრობა, ხიფათი, უმძიმესი შემთხვევები და, ხშირად, უბედურებაც. ამქვეყნიური გაუსაძლია მრავალმხრივი ტვირთია ნებისმიერი გენიალური ხელოვანის და მეცნიერის ცხოვრებაც.

სიცოცხლის ბოლოს ნიკალამ წამებულ, უმზეო, კაცთაგან გამეტებულ მარტოობაში დალა სული და ისე გამოეთხოვა წუთისოფელს. სარწმუნოა, მდუმარედ მინებებულს პირადი სიკვდილი მძიმედ არ განუცდია. ლეონარდო და ვინჩის და „ჯოვანი-დასი“ არ იყოს, მხატვრის შედევრები კი თავისთვის იდგნენ არხეინად, მარადიული სულით სუნთქავდნენ და ირგვლივ დროსა და სივრცეს ღმერთივით ფლობდნენ, ნიადაგ პლანეტის საგამოფენო დარბაზები ელოდა ლუვრიდან დაწყებული. ნიკალა უკვე მინად იყო ქცეული, ხარბგაუმაძლარის, ასევე უხვად გამცემის, რომელიც მუდამჟამს სამაგიეროს ითხოვს ნებისმიერ ცოცხალთაგან, ძალიან ძეირად ღირებულს: არავითარი შეღავათი მისან. აღებ-მიცემის დიდი ოსტატია პლანეტის ძირითადი მარად ცოცხალი მასა...

რატომძაც ნიკალას უმეტეს სურათებში მარტოობის განწყობილება სევდითა და ურვითაა დატვირთული, თუმცა რა გასაკვირია...

ღმერთივით წმიდა, მართალი, შეწირული ნიკალა თავისი ბუნებით კოსმოსის ჩამოსხმული ცოცხალი, ნერვისისხლიანი, გულ-გონ-ძლიერ სულიერი უკეთილშობილესი ფორმა-მოდელია, აქედან გამომდინარე, მიუწვდომელია ამ გენის მთის მწვერვალივით დაბინდული ბუნება. ჩემებული ხედვით თუ ჭეშმარიტად სულიერი მართალი შეგრძნებით, ნიკალას უმეტესი ფერწერული შედევრები უნიკალურ ხატთა თვისებებისაა. სურათში მონაწილე ნებისმიერი ცოცხალი არსების თვალები კი კეთილშობილურ-წმიდანურია.

ფერწერის ხელოვნების ისტორიაში, უძველესი-დან დღემდე მოყოლებული, მსოფლიოში რამდენიმე მხატვარი გამოკვეთილად თვითმყოფად ურთულეს მიუწვდომელ-ღვთიურგებოვნებიანია, ყოველი მათგანის სურათის, ნახატის რიტმული ფერი, ურთიერთშერწყმული ფორმა, ჰარმონიულად გამდინარე გარდამავალი ხაზი, რომელსაც ახლავს ანდამატური გრძნობა, მუსიკალურ-პოეტურია და ნანარმოების მთლიანი განწყობილება? დამე წყნარი მდინარის ზედაპირზე მოთამაშე მთვარის გამოსახულებასავითაა.

ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერული ქმნილებები კი რაღაც მაგ ფორმის-სახისმიერი ნანარმოების, ღვთიურ ელემენტ-გემოვნებაზე უფრო ძლიერი სიცოცხლით სავსე ბუნების მდუმარე შიდა ფარულ-დიადურ-მოკრძალებული სამყაროა, უხილავ-მიმალული, მაგრამ სადღაც ბობოქარი, იდუმალ სურნელოვან ბინდმოცული ულრმესი კოსმიურობასა; ამ შემთხვევაში თუ არ მოვიშველი უშორესი და





უთვალსაჩინოები უსაზღვრო მაგალითი ასეულობით ათასწლოვან წარსულში მიმავალისა, ვერ მივუახლოვდები ფიროსმანის გენიაზე მთავარ სათქმელს.

პლანეტის ფარული უბედურება-ტრაგედიაა, რომ საპარის ბუნებრივი გამოქვაბულის ნეოლითური ხანის შედევრ-ფრესკები ქვესკნელურ სიბნელეში იმყოფებოდა მილიონობით წლის განმავლობაში; ხოლო ზოგადად მისი არსებობა შეიძლება შევადაროთ ზეციურ განძთა მარადიულ მეხსიერებას, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა. და მაინც, საპარის ფრესკები უშველეს გენიათაგან უსასრულობის შემნახველი ფონდების მშვენიერებითი მოზიდვაა, მიწიერებისა თავისი ადამიანური ალალ-მართალი თემატიკით. ეჭვგარეშეა, რომ ის კოსმოსისა და უფლის გრძეული განძეულია, რაც სამყაროში და ჩვენს პლანეტამდე ღვთიური ძალებით დაუსრულებელ გადაადგილებებს დაემორჩილა...

როგორც მოგახსენეთ, საპარაზე ჩაკირულ ქვა-გრანიტებად ნეოლითური ხანის მსოფლიოში მხოლოდ უმზეო ერთაგანი ბნელეთური მუზეუმი, ისტორიამდელი ხელოვნებისა. უდიდეს ლოდთა კედლოვანი გამოქვაბულის განმარტოებით მხატვრობაში. განსაკუთრებით და გამორჩეულად ვერ ვიმსჯელებთ იმ უნიკალურ ფრესკად აღვლენილ, კლდე-მიწისქვემა ნახატ საოცრებებზე, ასევე მის რომელიმე მხატვრულად გამოკვეთილ სახე ნიუანსურ თუ მკვეთრ იდუმალ თვისობრივ ლირსებებზე, რადგან ყოველივე თითქოსდა არაჩვენეულ-ადამიანურ შედევრებში, როგორც საოცრება გონდამაპნეველი ვარსკვლავეთური ქმნილებისათვის თვითმყოფადურად დამახასიათებელი წარმოუდგენელი კონკრეტული უთამამეს დინამიკათა ხაზ-ფორმა-პროპორციათა გამოვლენითი ყოვლად მიუწვდომელი მთლიანობაა – უსაზღვრო შემოქმედებითი თავისუფლებით. ამ ნახატებში ნავარდობს ღვთიური მიუწვდომელი ნიჭი და ადამიანთა პირველყოფილი უშუალობა, სადაც ადრეული და ჩვენი საუკუნის ხელოვნების ყველა მიმდევრობის შემადგენელი მოლეკულები ტრიალებს, ანუ ქმნილების მარადიული სიახლეა.

აქედან გამომდინარე, ამ უხსოვარდროინდელ სარკოფაგისულ ჩაუქანებულ კლდოვან ნახატებში, როგორც საოცრება ვარსკვლავეთური მოვლენისათვის, მკვეთრ-განსხვავებითი წარმოუდგენელი უცხო მიწიერი ერთიანობა და ველურ-წმინდანური ინტუიციისმიერ ფორმათა ღვთიური თამამ-სტილიზირებაა როგორც ადამიანების სხეულების, ასევე ცხოველ-ფრინველთა.

შესაძლებელია, ბევრ თანამედროვე ევროპელ უდიდეს მხატვარს შემოქმედებითი დონით თუ ბუნებრივ-გაბედულ ფორმათა გამომზატველობითი პირდაპირობითაც ჩრდილავდეს, რადგან იქ, იმ ბნელეთის ფრესკის შექმნის მომენტებში პირველყოფილ შემქმნელ შეგირდთან ერთად მთავარი მონაწილე უფალი უმთავრესს მიუთითებდა. შედარებისთვის – მაისის თვის მოწმენდილ ცაზე სავსე, ვერცხლად

ქცეულ მთვარეს რომ უყურებ, უზომოდ გიზიდავს, სულიერად გამშვიდებს, გამაღლებს და სიცოცხლეს გაყვარებს, შინაგან-შემოქმედებითი აზროვნების ჰარმონიას გიმდიდრებს და საამო რომანტიკულ ოცნებებში შეჰყავხარ, რითაც მთლიანი შენი სხეულ-შემადგენლობით გარემო-ჭუჭყისგან იწმინდები; ამ სახისაა ბუნებისმიერი ორთავე, მოძრავი და უძრავი შემოქმედებითი სახება. მეორე მშობლიურ მონათესავე ნაპირზე არიან ისეთი დიდი და გამორჩეული მხატვრებიც, რომელთა ზემოთ ხსენებული მხატვრულ-ზეციურ-შემეცნებითი სულისმიერი გაურკვევლი შრებიდან ნერწყმდენი გემოვნება წვიმის შემდგომი მზის სხივებივით მოედინება. მაგალითისთვის, დავიწყოთ ეგვიპტური კედლის მხატვრობით: სანდრო ბოტიჩელი, ელ გრეკო, ამედეო მოდილიანი, ხოკუსაი, სპარსული მინიატურები, მატისი, პიკასო, ლადონ გუდიაშვილი და რამდენიმეს დასახელებაც შეიძლება. ხოლო ფიროსმანისეული მდუმარე, შორეულიდან ამომავალი თავდახრილი მშვენიერება დაახლოებითი შემოქმედებითი მიერობაა, როგორც დაგისახელეთ, საპარას გამოქაბულის მილიონ წლებმონისლული, მარად ცოცხალი ნახატები. ასევე სხვადასხვა კონტინენტის არქაული, უძველესი ხანის კულტურა-ცივილიზაციების უნიკალური ქმნილებანი როგორც ქანდაკებაში, თანვე მხატვრობაშიც, მოვყვეთ ადრეულიდან გვიანდელისკენ: აცტეკების, მაიას კულტურა, იანკების, შუმერული, უძველესკოლებური, ეგვიპტურ-ასირიული, ანტიკა-კლასიკა და ასე შემდეგ, თანამედროვე მოძრავნადე: კანდინსკი, სალვადორ დალი, მოქანდაკე მური, ხუან მირო, მარკ შაგალი, კაზიმირ მალევიჩი, ჯეკინონ-პოლაკი. მეგობრებო, არ გადაგტვირთავთ, ისე, შუა საუკუნეებიდან მოყოლებულს რამდენიმეს დავასახელებ: მაზარი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, რებრანდტი, ველასკესი, გოია, ელ გრეკოში კი უთულ მკვეთრად ხაზგასმული მთის წყაროსთან გამავალი ნიავივით სულიერ-ანდამატური გემოვნება თითქოს უხილავად მოედინ-გაედინება; დარბაისელი გენია ტიციანი, დელაკრუა, კრანახი, ბრეიელი, გოლბეინი, ბოსხის ზღაპრულ-მითოსური სამყარო; შემდეგ კვლავ ნამოვიდეთ ჩვენი საუკუნისკენ: სეზანი, გოგენი, ვან გოგი, რენუარი, დეგა, მანე, მონე, პისარო, ტულუზ ლოტრეკი, ვლამინკი და ფიროსმანი; დანარჩენები თევზე მოიგონეთ და ისიამოვნებთ...

ნუ გვაკვირვებს, მეგობრებო, ამდაგვარი შედარებები, რადგან მეცნიერულადაც მტკიცდება, რომ ათასობით წლის შემდეგაც მეორდება გავლენითი ფორმა-სხივებით ნალით ბუნებრივი და მართალი ნაწარმობები, განურჩევლად სტილისა და ფორმისა, ასევე ფუნდამენტური აზრების, მაღალი მხატვრული სახე-შინაარსით და ყველგან მყოფი მუსიკალურ-პოეტური ბერებით, რადგანაც საკვირველი მთლიანობაა მათში ვარსკვლავეთისა ნებისმიერი უსასრულობის მრავალ დროსთან ერთად. კოსმოსი ხომ სტიციურად მარადიულობის





უწყვეტი დინებაა; ხოლო თემათა განახლებულობით, ვინც სრულიად სიახლე მხატვრულ ქმნილებას აღმოაჩენს, ის უკვე ზეგენია. უთუოდ ნიკო ფიროსმანაშვილი თავისთავადობის, გამოკვეთილი ინდივიდუალურობის დამოუკიდებელი მიუღწევადი ხელოვნების შეუდარებელი მეუფეა... მილიონობით წლებიდან მოყოლებული თუ რამე უმნიშვნელოვანესი შეუქმნია ადამიანს, ხელოვნებაში ყველასგან მრავალმხრივ გამორჩეულია და მხოლოდ ერთად-ერთი განუმეორებელი სახეა უკვდავი შედევრებისა. აქედან გამომდინარე, უფლება მაქს, თამამად ვთქვა, რომ ნიკალა მართლაც უზენაესთა შემოქმედი გვყოლია ქვეყნად მთლიანობისა.

ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ „ჯოკონდაზე“, ამ ღვთისმიერ ქმნილებაში შედევრის უმთავრესი და განუზომელი ნიშან-თვისება იმის იქითაა, რითაც ხარ აღტაცებულ-დატყვევებული, პლანეტაზე უპირველეს ხელოვნების ქმნილებას, ანგელოზის ფრთებგაკრულს, უფლის ცრემლიც რომ არ აკლია და სრულიად ნამცეცა ზედმეტს, მინიერ-ზეციურსაც რომ ვერ უპოვნი. აქვე აღვინიშნოთ ანტიკური ხანის ერთ-ერთი სათუთ საოცრებათაგანი, პრაქსიტელის აფროდიტე, შემდეგ მზე-ვარსკვლავი ვენერა მილოსელი და ღმერთი ფიდიასი – და მეუფეთ-მეუფება ქანდაკებისა. ანტურ ბურდელის ბეთჰოვენის ბიუსტთა მეცხრე სიმფონიისული ზეციურსახება, როდენის უზარმაზარი წონა სივრცეში „მოაზროვნე“, დესპოს უმშვინიერესი ქმნილებები, ისევ ვან გოგის ფერწერული ავტოპორტრეტები. მათში ხომ ვერაფერს შეამჩნევთ ოდნავადაც ცალკე ნანილგამოყოფილს. კოსმიური სრულყოფილებისა და მთლიანობის მხოლოდ უძლიერესი, უახლოეს-შორეული ნათება იფრქვევა მათგან. ვიმეორებ, მაგ ზეციურ დასშია ზეცისული ნიკო ფიროსმანაშვილის სრულიად მონოლითური ქმნილების უნაკლო სულიერების ფერწერული მოდუდუნე ჯანსაღი ორგანიზმი. ლეონარდო და ვინჩისა არ იყოს, ნიკალას ნებისმიერი სურათ-ნახატი შედევრია და თითოეული ნანარმოების ყოველგვარი იდუმალი მომაჯადოებელი განზომილებიანობა ერთ მიუწვდომელ დიდების მწვერვალზე მთამსვლელის მუხლებით და ხელის მტევნებით აზიდული და ღვთიურ-საოცრებათა უმცირესი მხატვრული მნიშვნელობის ელემენტიც ზეციურ სიდიადეს ემსახურება.

როგორც მილიონობით წლის წინანდელ სრულიად ველურ ტანშიშველ მხატვართან, ასევე წიკო ფიროსმანაშვილთან ერთად მაღალი ღმერთი დღენიადაგ ხატავდა და კოსმიური სიყვარულით ერთობოდა... ამ შემთხვევაში, მეგობრებო, ურთულესი თემით წარვდექი თქვენს წინაშე. ყოველივე ზევით გამლილ-განხილული გენიათა ფერ-ხაზ-ფორმათა წარმოსახვითი მოვლენები მხატვრული სიზუსტით ლიტერატურულად რომ გააშუქო, უფალივით უნდა იყო ხელოვნებათმცოდნე და ფილოსოფიურად მოაზროვნე ჩამნვდომი მწერალი. უთუოდ საკირველი აზრია, მაგრამ ყოველგვარი ხელოვნების

შედევრი სულიერი უკუსვლაცაა გალაქტიკისა და უფლის უსასრულობისაკენ...

ხელოვნების მოყვარულო და კეთილო მკითხველო, ამ შემთხვევაში ჩემი მიზანი გახლდათ შედევრთა ორ უძლიერეს ფონდებით დაჯგუფებათა სულიერ-სისტემურ გრძნობათა უხილაობითი ჩვენება, რომელია მათგან უფრო მიუწვდომლობა, ძნელი დასადგენია, რადგან მათივე მხატვრულ ქმნილებათა გარემოცვაში არსებობს სულიერი და გონებრივი იდუმალოვისებიანი სულ-გონ-ოცნები-სმიერად დამათრობელი გემოვნება. აი, ამ ზეციურ მზისფერ გალერეაში არან გადანანილებული ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების გენიები. თქვენთვის პირადული სულიერი სახის რომელი თვისებაა შინაგანად ახლოს, თავისუფალი ნებით მასვე ეახლებით, მერმე ურთულეს მოვლენა მეორესთან იმავე მისწრაფებებით გამოცხადდებით, ოღონდ გონებრივიდან სულიერთან ტონალური გადართვით, მაგრამ ორივესთან ერთად ურთიერთობით როდესაც ხელმძღვანელობით, იდე-ალური ბრძენი დამთვალიერებელ-გამგებ-შემფასებელი ხართ. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნების მიუვალ ნანარმოებებთან პირისპირ შეხვედრისას მრავალმხრივი ემოციურ-შეგრძნებითი სირთულეები არ აგდებათ უსაზღვრო სიამოვნებასთან ერთად...

ვიმეორებ, ახალშობილი შიშველი ბალლივით მხოლოდ მატერიალურად უდარიბესმა მხატვარმა განუსაზღვრელი ღირებულების შემოქმედებითი ნიჭის სულიერი სიმდიდრე დაუტოვა სრულიად საქართველოს და მთლიან კაცობრიობას: ხელოვანთა შორის წმიდა ნიკო, ფერწერი, თვით უფრო ღვთივ შენირვა იყო ზეციური. უზენაესსა და გენიოსს შორის, ჩემი ზოგადი გაგებით, საკვირველი განსხვავებაა. უფალი, თითქოსდა გერვენება, ერთი მიუწვდომელი სულის მქონეა თავისი უკიდევანობით. გენიოსს კი ორი უნაკლო სულიერება ახლავს, საკუთარი და მისგან შექმნილი შედევრებისა – თითოეულად ყოველ ღვიძლ ქმნილებაში თანაბრად გადასანილებული; თუმცა უთუოდ გაბედულად, ბოდიშის მოხდით გადავთქვამ და სამყარისული მრავალსულიანობა ორივეშია. წუ გიყვირთ, მეგობრებო, ეს ცნება. თუ ქალი, ბავშვის მომლოდინე, ორსულიანია, მაშინ უფლისა და გენიოსის მრავალსულიანობა ზეციური გაგებით გონმტკიცედ დამაჯერებელი ფაქტია.

თავისთავადი და მნარედ კრიტიკულ-ბბორგავი ბუნება ყველაფერს შობს, შემდეგ მიყოლებით შლის და სპობს. ამ სახის დინება მუდმივია, აქ გახლავთ მისი განვითარების საიდუმლოებათა სხვადასხვა პროცეს-დონე და წარსულ-ანმყო-მომავლის ამსახველი სიძეველე-სიახლეები. ადამიანმა და მისმა გენიამ თავისივე მონაპოვარნი თვითონვე თავდადებით უნდა იხსნას-შეინახოს, რადგან ბუნება და კოსმოსი წმიდათანმიდა მტრული ურთიერთგანწყობაა. ეს ორი საპირისპირო პოლუსი როგორც ბუნება-კოს-



მოსშია, ასევე ადამიანებშიცაა.

უკიდურესად დადებითად გვაშინებ, ნიკალა, რადგან შენეული სიმაღლე სუყველა გენიოსისგან განსხვავებულია და არნახული უსასრულობით მიუწვდომელ-ნრიულია.


აქვე არ გამოვრიცხოთ ჩვენდამი მიმართებაში დროის ყოველმხრივ მიუდგომელი სტიქიური უმკაცრესი პრინციპები, ის ცალკე მისდათავად მონაწილეობით სვლაში შობს, ზრდის, ამწიფებს, აბერებს და გარდაცვალებით ისტუმრებს მთლიან ქვეყნად როგორც ცოცხალ არსებებს, ასევე საგნებს, ნივთებს და ხელოვნების ნებისმიერ ნიმუშს; სევდის მომგვრელად თუ საკვირველ მომლოდინედ რელი-

ვაჭარმა ივანე კეპუამ თავისი კოლხურ-მეგრული ოდა ნიკალას ფერწერული სურათების მუზეუმიად რომ გარდაქმნა და ამდაგვარი ეროვნულ-ზეკაცური მოქმედება გვეამაყება ყველას... ამხელა ისტორიულსა და მშვენიერ დიდ ქალაქში კი ფიროსმანის სურათების მუდმივი გამოფენისათვის ცალკე საკადრის სახლს ვერ ვიმეტებთ. არადა, თბილისში რამდენიმე კეთილმოწყობილი შენობა-სასახლე საქართველოსთვის მცირედსარგებლიანი საქმიანობისთვისა განკუთხილი და თითქმის შეურაცხყოფილი ოთახ-დარბაზების სამართლიანი საჩივრიანი წივილ-კიოლი ცის სიღრმეებამდე გადის... საჰარის გამოქაბულის უნიკალური ფრესკები ხომ მარადიულ სიბნელეშია ჩაკეტილი; არანაკლებ მდგომარეობაშია გენიალური ფიროსმანის ეროვნული შედევრ-განძიც, რადგანაც ფონდების ხანგრძლივ პატიმრობაშია მოქცეული. არადა, რა ემართება ქართველ ხალხს, ღვთის წყალობით შექმნილ სულიერ სიმდიდრეს და მარადიულ დიდებას საკადრისად არ პატრონობს, თანამედროვე ნალდ ხელოვანთ კი ახლოსაც არ იკარებს; ერის ამაზე დიდი წყევლა განა არსებობს?!

მსოფლიოს უიშვიათესი მუზეუმის, ლუვრის, არსებობის ისტორიაში მხოლოდ მწვერვალ-გენიოსების პერსონალური გამოფენები მოწყობილა, რემბრანდტი, ტიციანი, ბოტიჩელი, რუბენსი, ვანდეიკი, ველასკესი, დელაკრუა, გოია, ნიკო ფიროსმანაშვილი და კიდევ რამდენიმე. პირადად ერთ დროს რემბრანდტის, ტიციანისა და ბოტიჩელის გამოფენების ხშირი სტუმარი გახდა. ყოველივე ეს დიდი მოვლენა ხომ ოქროს გასაღებია ნიკოს ქმნილებათა სამომავლოდ კეთილად წარვმართავ ლია საგანძურში შენახა-შენარჩუნებისადმი. როგორც შემოგჩივლეთ, ამდაგვარი გულგრილი უკადრისი მოქმედება იგივეა, ქვეწად უძიროდ გადაშენებისა, გადაგვარება-გაუცხოება და ავთვისებიან სიკვდილ-გარდაცვალებისგან მომრჩენელ წამალს შეუგნებლად რომ არ უნასავდე და პატრონობდე საკუთარ ერს და კაცობრიობას.

აქვე მინდა დავასრულო ჩემი გულმართალი გარჩევა, მოგონება, მოთქმა-წუხილი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებასთან მიმართებაში – ამ საშინელ და მრავალ უმძიმეს სტიქიურ თუ ადამიანურ ბედ-პროცესთაგანს, საუბედუროდ, ვერ გაჰქიცევია თბილისი და ვერც მისი კახეთ-სამეგრელო.

და მაინც, საბოლოოდ უფალთან და შედევრებთან მებრძოლი დრო! დრამა და ტრაგედია დამარცხებულია...



გიებსაც, მხოლოდ უფალს არ ეკარება არაფერი... ამდაგვარ გარდუვალობებთან დაკავებირებით ადამიანმა დროულად უნდა გამოსტაცოს ხელოვნების ქმნილებანი ყოველთა წამშლელ-მომსპობს, ნებისმიერი მეცნიერული მიდგომით და აურაცხელი სიმდიდრე-ოქროც რომ მიახარჯოს, წარმოიდგინეთ, კაცთა მოდგმას ძალებს, ისეთი საოცრების მარადიულად შენახვა, როგორც ვენერა მილოსელია ან ლეონარდოს „ფილინდა“, ბიბლია, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, და ადამიანური კომედია... ხოლო ძნელზე ძნელ-იდუმალებაა წარმავალ რელიგიათა შენარჩუნება, ანუ როგორც ჩამავალ მზეს ვერ შეაჩერებ და სამწეხაროა... დედამინაზე ომის ნებისმიერი მოქმედება ხომ დამდუპველია რელიგიათა, კულტურა-ცივილიზაციების და ყველაზე უტყუარი გამხელილი გამომჟღავნებაა ადამიანის უბოროტესი ბუნებისა.

ნიკო ფიროსმანაშვილი უდიდესი ეროვნული სულიერ-განძეული სიმდიდრე, ხალხთა მარადიული სულის მკურნალი და იშვიათი ფერწერული სამკაული რომაა, კოსმოს-ლვთისგან ვებონა. საზოგადოება და დღევანდელობა კი ღირსულად ვერ პატრონობს მას. ნუ დავივიწყებთ, კეთილმა





ଓଡ଼ିଆ

კატლენები

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ୍ସିଟି...

დასაბამიდან –
ავი ქარი,
ყოველთვის,
ქროდა,
ძალმომრეობა –
ბევრჯერ... ძალას
ჯიუტად
ვერ თმობს...
უფალი განსჯის, –
ყოველივეს,
დადგება დრო და.
ააჩიზე*
მეტ ლირსებას
დატოვებს –
ვესტმო** ...

* სმელთაშვაზღვაში, კუნძულ კორსიკაზე
პატარა ქალაქი, სადაც დაიბადა ნაპო-
ლიონ ბონაპარტი.

** თუშეთი, — რაინაულების, პატარა,
საგვარეულო სოფელი, სადაც მე და-
კიბადი.

కుండ యుండ్రాలు...
ఔరంగాలు... కుంజు నృత్యాలు...

ଶୁଭ୍ରମୁଖଙ୍କୁ
ମୋଦିଲ୍ସ...
ମୋଦିଲ୍ସ...
ଫୋ ଫୋଲ୍ସ:
ଶାହୀରେ,
ତ୍ରୁଟିକୁଣ୍ଡାଳ,
ଲାମାଠି ଝାନଗପାଦ...

בְּשָׁנָה וְשָׁנָה

ଶ୍ରୀଶେଖରଙ୍ଗିଲ୍ଲେବ
 ପ୍ରାଣିତ, - ଏକତିତ, -
 କୋରମଦ୍ଦିନ,
 କୋଷାତିକ
 ଅ... ପିଲାଇ ଲୁହାଫଳ...
 ଶ୍ରୀଶେଖରଙ୍ଗିଲ୍ଲେବ,
 ରାଜଗବ - ଲମ୍ବାରିତା,
 ଦିକ -
 ପ୍ରାଣ୍ୟ ଲୁହାଫଳପିଲା,
 ଠିକ -
 ଲମ୍ବାରିତା ଲୁହାଫଳପିଲା...

ପ୍ରକାଶକ

უფალზე –
ბრძენი,
ქველი,
დიადი,
არა ყოფილა...
და... არც იწერბა...

12. IV. 2

ଏକ୍ଷେମିଳ
ଏଲୋ...

ବାଠିରିପୁ ଫା ସାହିମ୍ବେପୁ,
ଫ୍ରାନ୍ତେଶ୍ବିତ,
ତୁମ୍ଭିତୁମ୍ଭା,
କାଳସମର୍ପଣାପୁ
ଗାଲିତିଦା,
ରାନ୍ଧାରାନ୍ଧିତୁ, ମହିଳୀଖିଲୁ –
ଚକ୍ରବର୍ଣ୍ଣିକୁମ୍ବେ,
ଏରତ୍ୟାରତିକୁମ୍ବେନ
ଗ୍ରୁହିକିରାଙ୍ଗୁ –
ତୁମ୍ଭାଲୁଙ୍କି...
ଦନ୍ତେଲିଲା ପୁନ୍ତରିନା, –
ଜୁନ୍ଦେଲ୍ଲେଖିଲା:
ତୁମ୍ଭିରିପୁ ଫା
ଗାନ୍ଧିତିଦାପୁ, –
ରାନ୍ଧାରିଲ ଆଜୁବା
ଫ୍ରେଡାମିନିନା –

ატომის
ალი?!

P.S
დღეს, –
ძალადობას –
ვინ არ ფიქრობს?! –
მაჩვენეთ, –
ერთა:
ვისლა აქვს –
ლწინა.

სიყვარული
და... ვის სწამს –
ღმერთი?!...

14. VIII. 2018

ამ მოლოდინში –
ფართის სუსტობა
გრძელებულა...
—

მსოფლიო ობი
თუ, იქნება, –
რიგით –
მესამე,
იტყვიან, მერე
იყო...
მაგრამ...
არა იყო, რა...
მაგრამ...
ვინ იტყვის?...
ვინ დარჩება?...
თქვენი
კვერცხსა მე,
ამ მოლოდინში
დარდის ცეცხლ
გადაგვიყოლა.

1

გვინდა, რომ ვიყოთ:
ბრძენი, —
ქველი,
წრფელი,
უბრალო...
და... არასოდეს:
გვემული მზით,
გვიტულ დარიბით...



გადაგვარჩინე,
გადმოგვხედე,
გვიხსენ, უფალო, –
გთხოვთ,
გეხვეწებით,
გევედრებით,
გემუდარებით!!!!..

24. VI. 2018

როგორ – არასდროს!!!!.*

თავქარიანი რამდენია?!..
და... ენით –
ყბედი?!..
და... აზრზე მეტად,
უაზრობამ –
ბევრით გაგვასწრო...
როგორც – არასდროს,
დღეს მანუებს:
პლანეტის –
ბედი,
ყოფნა-არყოფნის
ზარი რეკავს, –
როგორც – არასდროს!!!!..

*2018 წლის აპრილში, უენევაში, შეი-
არაღების საკითხში, გაეროს წარმომად-
გენელმა იზუმი ნიკამიცუმ განაცხადა:
ბირთვული იარაღის გამოყენების სა-
ფრთხე იზრდება და... ეს საფრთხე აშფო-
თებს მთელ კაცობრიობას....

მე ვჩუქნი:
ყველას, –
ჟალაროს
სიზრძნის...

ვინ –
სატანური
სურვილით
იბრძვის, –
სურთ:
ტახტ-განძისთვის
სამყარო
ფლითოონ...
მე ვჩუქნი:
ყველას –
სალაროს
სიბრძნის...
და... არჩევანი
მათზეა, –
თვითოონ...

17. III. 2018

ლამის...

მგლობას,
დათვობას,
პლანეტაზე –
არავინ უკლებს...
ვინ,
რა მოიგო
ბოროტებით?!..
მთქმელი ვარ –
ამის...

როცა, –
სამოთხე უნდა იყოს:
ცხოვრება, –
უკვე,
შუღლით და
ხვეჭით,
ჯოვოხეთად
ვაქციეთ, –
ლამის...

17. IX. 2018

ხილვა...

მთელი პლანეტა
როგორ გადავრჩეთ?!..*

რისხვის,
წარხოცვის
ცეცხლს ჩამოყრის
ძირს –

სანამ,
ცა – ნამს,
და...
მანამ, სანამ,
შემოგვწყვება –
სიცოცხლის
ღმერთი,
ჩვენი პლანეტის
კატასტროფით
გავქრებით –
სანამ,
ხელისუფლებით,
პარლამენტით,
ხამს ვიყოთ –
ერთი...

1. P.S.

რა ძალა გვიხსნის
გაქრობისგან?!..
და... მოვა –
ან – სით?!..
ან, – გადარჩენის,
ერთადერთი,
თუ, არის –
შანსი?!!..

2. P.S.

ძალმომრეობა:
სანამ ზეობს
და... სანამ –
ქუფრობს,
საშური
საქმე –
არ არსებობს, –
არც ერთი,
უფრო...

3. P.S.

საბედისწერო
დროის სუნთქვა
წლებმაც კი
იგრძნეს,
როგორც –
არასდროს,
საჭიროა:
ღვთიური –
სიბრძნე...

4. P.S.

დემოკრატია,
რომ არ იყოს:
ყულფი და...
მახე...
და... ყველამ,
ყველამ,
შეირჩინოს –
საერო
სახე...

5. P.S.

სიკეთისა და...
ჰუმანიზმის –
დავლოცოთ
რთველი,
აზრსა და
სიბრძნეს ზეიმობდეს:
სამზეო, –
მთელი...

25. II. 2019

* მეცნიერები ვარაუდობენ, რომ: ჩვენს
გალაქტიკაში, კონკრეტულად ჩვენს
პლანეტაზე, უკვე, ორი ცივილიზაცია
დაიღუპა და... ეს, – მესამე ცივილი-
ზაციაა, რომელმაც, შეიძლება, წინა –
ორი ცივილიზაციის ბედი გააზიაროს,
კაცობრიობა თუ, დროზე, არ მოეგება
გონიერება.





შუმთავრესზეეუ –
შუფრო,
შთავარი...

ვეღარ მოშუშდა...
ვეღარ მორჩა –
ხალხის იარა, –
აუდებელი:
ყველას,
ყველას
ნატვრის მთა არი...
დედამიწაზე:
შუღლი,
ქიშპი,
მტრობა კი არა,
სიყვარულია:
უმთავრესზეც –
უფრო, მთავარი...

7. 1. 2019

რაჭომ?!.
რაჭომ?!.
რაჭომ?!.

რაჭომ ვერ სწვდება:
სიბრძნის
მზე – ყანას?!..
დაქცევის მიზანს
რაჭომ მოვნებდით?!..
რაჭომ გვექცევა
თავზე –
ქვეყანა?!..
რაჭომ მომრავლდნენ:
ფულის მონები?!.
რაჭომ?!..
რაჭომ?!..
რაჭომ?!..

10. II. 2019

მტერი...

სამტროდ –
უკან,
არვინ იხევს, –
შინაური,
გარეული...
ვინ –
შიგნიდან
გვიტეხს ციხეს,
ასჯერ მეტი –
გარე უვლის...

25. II. 2019

როგორჯ, არასდროს, –
ისე ჩანს:
ყველა...

დღეა, თუ –
ღამე?..
მზეა, თუ –
ელავს?..
სიმართლეს გეტყვით:
თუნდ, ჰყითხოთ –
მძინარს...
როგორც, არასდროს,
ისე ჩანს –
ყველა, –
დღეს –
ჭეშმარიტი ქართველი
ვინ არს?..

18. IV. 2019

თავისუფლერის –
ლოზუნგებით,
ფროშით,
სახელით...

ძალმომრეობით
გვიბრმავებენ –
თვალებს, –
ახელილს,
პასუს ვინ აძლევს –
ოკეანედ,
სისხლს,
ცრემლს დაფენილს...
თავისუფლების –
ლოზუნგებით,
დროშით,
სახელით,
თავისუფლების წინააღმდეგ
იბრძვის რამდენი?..

12. XI. 2010

ა აპატიერს –
არვის,
არაფერს...

დრო ბევრს მოიკვეთს
ხალხთა
თემიდან, –
მზე, ვინაც:
მურეს,
სვარეს,
ალაფეს...
ყველაფერს განსჯის:

დროც და...
თემიდაც, –
არ აპატიებს –
არვის,
არაფერს...

19. XI. 2018

სულის მზე –
ერის...

გადავეყრებით:
ზოგჯერ,
შავ დროს,
მზაკვარს და...
ელამს, –
სულის მზეს
ერის –
ებრძვის მტერი,
ადინოს მტერი...
იცოდეს უნდა:
ერმაც,
ბერმაც,
ყველამ და...
ყველამ,
მწერლობა არის –
სულის ხატი,
სულის მზე, –
ერის...

15. XI. 2018

რაჭომ?!..

თითქოს, –
ყველა – თვლემს,
ყველას – სძინავს,
ყველა – ფუფალობს?!.
მეფობს – წყვდიადი, –
ენატრება –
ეგზომ,
მზე – ყანას...
რაჭომ მგონია:

ჩემო ხალხო,
ბრძენო უფალო,
თითქოს, –
დაყრუვდა...
და...

დაბრმავდა, –
მთელი,
ქვეყანა?!..

12. IV. 2019

ამოდი, ხალხო,
ქვეყნებიდან!!!..

დაცარიელდა –
ქვეყანა და...
ლუკმაც კი
უჭირს, –
ჯოჯოხეთური
ცხოვრება, რომ
უკიდებს ალებს...
სანამ:
შიმშილი?!..
ხოლო,
ზოგს კი –
უსკდება
კუჭი...
ამოდი, ხალხო,
ქვეყნებიდან!!!..
ამოდი, მალე!!!..

21. IV. 2002

ჟეშმარიტებას
ვინაუ ლალაჭობს...

ჟეშმარიტება
ვიცით, – ერთია, –
სიბრძნის,
სიკეთის
და... მზის ღალადო...
ჟეშმარიტება,
რადგან – ღმერთია,
მას –
ვინც ღალატობს,
ის –
ღმერთს ღალატობს...

19. X. 2018

სიმართლე...*

უსამართლობით, –
იძვრის მიწაც
და... რისხვა ერთვის,
უსამართლობით, –
ხდება, მუდამ,
ალმურის დება...
სიმართლე არის:
სინდისის და
ნამუსის ღმერთი,
იმდენჯერ ვკვდები,
რამდენჯერაც –
სიმართლე კვდება...

28. VIII. 2018

* „სამართლიანობა ხელმწიფების საფუძ-
ველია, უსამართლობა – ომისა... (ლაო ძი)

არრა არსებობს –
სიდაზუ,
უფრორე, მეტი...
ოკეანები –
სიბრძნის,
აზრის,
ვაცურებ მე ტივს,
ვეთაყვანები... და...
ვადიდებ –
მზესულით მდიდრებს...
არრა არსებობს:
სიდიადე, –
უფრორე, მეტი,
ჭეშმარიტება,
სიცოცხლე და...
სიკეთე, – ვიდრე...
26. III. 2019

უფალო!..

უფალო,
ძირს, რომ
არ ვეგდოთ
ქვისებრ, –
მიგვალწევინე –
ერთობას, –
ნეტარს...
არ დაგვიბნელდეს
გონება, –
ისე,
თავზე ვიფიქროთ, –
მამულზე
მეტად...

20. X. 2018

საჭეომპუროზელი...
საჭეომპურობელი,
ვინც –
საზღვრავს საზრისას:
შეგხვდებათ –
ბრძენიც,
მელაც და...
დათვიც...
მწამს:
ჭვრეტაც... საქმეც...
ფიქრიც... და... აზრიც...
ეპოქებს, ვინაც –
წინასწარ,
გათვლის...

3. IV. 2019

უძლევი
ძალა...
სიბრძნეს:
ვინ – სხივად,
ვინ – ჯვარცმად და...
ვინ თვლის –
გრძნეულად,
ცხოვრების წყარო:
ვინ – ლაუვარდი,
ვინ კი –
ქუფრი სვა...
უძლეველობას
ვინც ფიქრობდა,
ყველა –
ძლეულა,
უძლევი ძალა
არ არსებობს, –
გარდა –
უფლისა...

20. II. 2019

ნაჭვრავ, ჩემო ფა...
ოწერავ, ჩემო!!!..
თუკი, რამ,
ითქმის –
სიყვარულად,
ყველაფერს ვჩემობ, –
ქართული –
ხიბლით
და...
ქართული –
ამაყი ჩვევით...
ქვეყანავ, ჩემო,
ნატვრავ, ჩემო,
ოცნებავ, ჩემო,
მიიღე – ძლვენად:
მზესული და...
მზეგული ჩემი!!!..

5. III. 2019

რაჭომ არ ეჭმის?!..
შუღლით და
სისხლით –
საუკუნე
რამდენი მიწა?!.
აშვებულია, –
ვერ დააბეს, მაინც –
არესი?!.
აზანზარებსო:
ბრძნული სიტყვა –





ცასა და მინას,
თუ, –
აზანზარებს,
მაშინ... ვინძეს –
რატომ
არ ესმის?!..

4. III. 2019

*(ბერძნ.) ბერძნულ მითოლოგიაში – ომის დმერთი, – ზექსისა და ჰერას შვილი; რომაული მითოლოგით – მარსი.

ფემიკრატია...

ფუჭმა თამაშმა, –
ბოლოს,
რომ არ მოგვიღოს –
ბოლო...

და... ჯოჯოხეთი
რომ არ გვქონდეს –
არ – რით და...
არ – სით,
დემოკრატიის –
ჩვენ,
არ გვინდა:
თამაში, –
მხოლოდ,
ჩვენ გვინდა ნალლი:
მიზნით,
სიტყვით,
საქმით და...
არსით...

16. XII. 2018

უუმტკიურს, –
მარაფისადა...

ვიყოთ:
ერთხორც,
ერთსულ, –
ერთად,
დარად – ძმისა,
დარად – დისა...
შინ – თაფლად და...
რისხვად –
მტერთა,
უუმტკიცეს, –
მარადისად...
12. IV. 2019

არ მიყვარს,
არ მწამს...

უსიყვარულოდ,
უსიკეთოდ,

არ გაეხსნი –
წამნამს,
არ მიყვარს,
არ მწამს –
არსით ვინც ჰეგავს:
ამაო
ქართა...
არც – ერთი წუთით
და...
არც – წამით,
სიცოცხლე
არ მწამს:
მზესიყვარულის,
მზესიკეთის,
მზეგულის
გარდა...

23. II. 2019

ქურუმი –
ლექსის...
სიცრუის ზეცა,
როცა –
ქუხს,
ელავს,
ქურუმი ლექსის,
მზესიტყვა დაძარ!..
ორივე თვალით, –
ხომ, ვხედავთ, –
ყველა,
ვინც –
სწვავს და... ანგრევს
სიმართლის ტაძარს?..

6. IV. 2019

სიწორხლე და...
სიკვდილი...
სიკვდილ-სიცოცხლის
უბერავს ქარი, –
მზითა, თუ –
ღამით...
ოდით და... ახლაც...
ზოგის –
სიცოცხლეც
სიკვდილი არი,
ზოგის –
სიკვდილიც
სიცოცხლე გახლავთ...

3. IV. 2019

სიყვარული...

სიყვარულია:
ნეტარეთი, –
ბალიც
და... ზვარიც,
დასაპამიდან,
რასაც – ყველამ,
ვასხით ოცნება...
სიყვარულს არ აქვა:
არც – ასაკი
და... არც –
საზღვარი,
იგია:
მზის და...
უკვდავების –
ასხივოსნება...

12. III. 2019

მე, თუ, –
მკითხავენ...

მე, – თვითონ,
სიკვდილს დავადებდი:
სიკვდილის
ბოქლომს,
რომ...
ბედნიერი ყოფილიყო –
სიცოცხლე, –
ლალი...
რაც სიმდიდრეა –
პლანეტაზე:
განძი და...
ოქრო,
მე, თუ, –
მკითხავენ,
ერთი წამის –
სიცოცხლედ
არ ღირს...

3. III. 2019

ფირფი ჭილაო...
ტახტიც და...
განძიც,
როდი არის –
დიადი ჯილდო?! –
ჯილდოც და
ჩინიც,
ფასი არის, –
ხანდახან –
წინვის...

სიდიადეა:
ქვეყნის,
ხალხის
ტკივილი ზიდო,
ქვეყნის და
ხალხის სიკეთისთვის,
ვინაც –
მზედ
იწვის...

16. III. 2019

ხომ ვიწოდ, –
ყველამ?..

დევს –
ხელისგულზე, –
ყველას მიზანი, –
მიუშვა, ვინაც –
ვნების სადავე...
არც –
მკითხავი უნდა,
და... არც – მისანი,
ხომ, ვიცით ? –
ყველამ,
სად აქვს
სათავე?..

17. III. 2019

რამდენი – იწვის?!.
რამდენი – კვდენა?!.

თავიდან, –
როცა –
არ ფიქრობს
კაცი,
მოუწევს... მერე...
ალმურის დება...
დაუდევრობის –
სასჯელით, –
მკაცრით,
რამდენი – იწვის?!.
რამდენი – კვდება?!.

13. III. 2019

გვითხარით:
სანამ?!.

სანამ – მონობა?!.
სანამ – ხვეჭა?!.
ბედის კივილი?!.

სანამ – შიმშილი?!.
შარი?!.
სისხლის,
ცრემლის რუები?!.
სანამ – მოთმენა?!.
სანამ – ტყვია?!.
სანამ – ტკივილი?!.
სანამდე ვიყოთ:
ქანდაკები?!.
ბრძები?!.
ყრუები?!.

P.S.

გვითხარით:
სანამ?!.
სანამ?!.
სანამ?!.
ქრება – მოთმენა!!!..

11. III. 2009

ნატორა...

მე დავაჩიქე
დღრის –
კენტავრი
და... მსურს:
შევთხოვო –
სხივთა
მთოველ ცას,
შემაძლებინოს, –
ვნატრობ,
ნეტავი,
ჩემი სიცოცხლე –
შენთვის
მომეცა...

8. III. 2019

ზაფონი ფა...
მონა...

არ მყვარებია –
ბრძა ტონი, –
ხან –
ბრძენს და...
ხან კი –
ონავარს...
ვარ:

სიკედილისა –
ბატონი,
სიყვარულისა –
მონა ვარ...

11. III. 2019

მითხარ, –
რა უნდა
ელაპარაკო?!.

ვინც განუდგება
ნებას –
განგების,
თუნდაც, –
რომ სთხოვო
შველა – ბარაკონს,

თუ, –
არ იქნება –
უფლის
გამგებიც,
მითხარ, –
რა უნდა
ელაპარაკო?!.

9. III. 2019

ხირზვილი – იმას!!!..

ხომ ვხედავთ? –
ზოგთა:
ფულის – წარლვნას?!.
და...
ფულის – წვიმას?!.
ორ პოლიუსად, –
გადაღობილ:
ღატაკებს,
მდიდრებს?!.
სირცხვილი – იმას!..
კრულვა – იმას!...
და...
ფურთხიც – იმას!..
ვინც –
თავზე, უფრო,
მეტად ფიქრობს,
მამულზე –
ვიდრე!!!..

29. III. 2019

შენ უნდა გეპურას:
ფროის –
საფავე...

გაფრენილ ჩიტებს
დღეებიც
ჰგვანან, –
ვერ ვმართავთ, როცა –
აზრის
სათავეს...





	ნებაზე უნდა მიუშვა, – განა?!..	შკულელერი...	რაჭომ?!..
	შენ უნდა გეპყრას: დროის – სადავე...	ესეც, ხომ, არის – დიდი იარა?! – არ მასვენებენ დარდის – კელები... ადამიანთა, მარტო, კი არა, არიან: ქვეყნად, დროის – მკულელებიც...	რატომ ჰელიათ ზესული – ციდა?!.. შორს ვუმზერ კოსმოსს, – სამზერს და... რა შორს!.. ძირს ჩამოვიტან ვარსკვლავებს, – ციდან... ზღვას, ოკეანეს – ნამში, დავაშრობ...
16. III. 2019		31. III. 2019	
	თუ – ფიქრობს, ახლა, ნეტავი, ვინმე?!..	საკონკრეტო – ასკურ...	7. X. 2018
	ცა-მიწა იწვის: ოდით, ფიქრებად, სულ, – მტრობით ვივნეთ, თუკი, რამ, ვივნეთ... მზის ქვეშ, – მიწაზე, ხვალ, რა – იქნება?!.. თუ – ფიქრობს, ახლა, ნეტავი, ვინმე?!..	ცა – სიყვარულის სიკეთით ასჭერ, უფლის თვალი და წყალობა – დიდ არს... სულით მდიდარი სჯობია – ასჯერ, უფლებით, ჩინით, და... ფულით მდიდარს...	სიბრძნეთა სიბრძნე... სიბრძნეთა სიბრძნე – ერთი, მინდა ვთქვა: ხალხთა, ერთა: თუ, დაივიწყე – ღმერთი, არ ეხსომები – ღმერთსაც...
30. III. 2019		2. IV. 2019	
	ველარ მორჩა: ამ წხოვრების – ჭოჭოხეთი...	იმპერიები ალიგავნენ...	1. X. 2018
	სულერთია, – ავსულთათვის; ჯოჯოც... ღმერთიც... და... უბერაგს ბოროტების – ქარი, – მწველად... ველარ მორჩა: ამ ცხოვრების – ჯოჯოხეთი... და... პაჩიკოს გარმონივით გაიწელა...	ძალმომრეობით – ყველა, თავის მზის ნათელს მარხავს, უსამართლობა – ცოდვის ცეცხლით, თვითონვე, იწვის... დაადასტურა: დრომ, ცხოვრებამ, – რამდენჯერ, თალხად?!.. იმპერიები ალიგავნენ, – პირისგან მიწის...	აი, – მთავარი – ის არი... ვინ – ღამის, ვინ კი – მზის არი, ვინ აიცილებს – ვის ტყვიას?.. აი, – მთავარი – ის არი: ხვალისთვის, რასაც იტყვიან... 26. IX. 2018
21. IV. 2019		1. IX. 2016	

შენთან ვარ,
როგო...*

სიცოცხლე ჩემი –
ზე – ცამდე,
ასწი,
შენს სულის კოსმოსს
ყოველ წამს –
ვლოცავ...
ამზევებული ვარ –
შენით,
ასწილ...
და... ბედნიერი, –
შენთან ვარ,
როცა...

2. X. 2018

*პრიტანელ მედიკოსთა სენსაციური
განცხადებით საყვარელი ადამიანის
გვერდით ყოფნას – ინფარქტისაგან და
სიკვლილისაგან ხსნაც კი შეუძლია.

იწოდეთ უნდა...

იწოდეთ უნდა:
ავის,
კარგის, –
წერტილი ათვლის,
თუ, რამ,
ხდება და...
ან, მოხდება,
განსაჯეთ, –
თავად...
ზოგჯერ, –
არწივი დაეშვება
სიგრცემდე ქათმის,
ქათმი – ცაში, –
არწივამდე,
ვერასდროს
ავა...

5. V. 2018

აგერ!!!...

აგერ – სკამი...
აგერ – ფული...
კარიერა?!..
აგერ – სახლი?!
ინტრიგებზე
აგებული,
ბოლოს, –
ბზეთავს
ქვაზე ახლის...

31. VIII. 2018

რად მოდის
ახე?!

რაია – ცუდი?!.
და... ეგზომ,
ცუდი?!.
არსთა
არსიდან –
რად მოდის
ასე?!.
სანამდე იყოს
სოფელი, –
ნუთის:
მორიელებით,
გველებით
სავსე?!

4. IX. 2018

არაფერი –
არ შერჩება
არვის...

რა მაოცებს? –
ვითარ – სივრცე, –
ანაფრენი:
მზის,
მთვარის და...
მირიადი –
ქარვის...
არ იციან:
ანტი-მანტი, –
არაფერი,
არაფერი
არ შერჩება –
არვის...

3. IX. 2018

ჭირილი...
დღრო –
ბევრი დევის
ნაფეხურს წაშლის,
წაშლის –
სუყველა,
სასვით მქარგველა...
ერთი ტკივილი
წამყვება –
ცაში, –
მამულს
რა ცოტა
სიკეთე ვარგე...

2. IX. 2018

კარიერიზმის
ჟოფი...*

მოესწრო, ვინაც –
თავად, –
დროის სატანურ
ფოფინს...
ფარული:
ომი...
დავა...
სიკვდილი...
ცილის –
თოფი...
და... იყო „ცეკა“ –
ავად, –
კარიერიზმის
ცოფით...

P.S.
ვაძლევდით –
სისხლს,
ცრემლს,
არ – სულს, –
კაენის მზაკვრულ
წარსულს...

3. IX. 2018

*ზურაბ მაისურაძის წიგნის: „აღსარება
სიცილის ღმერთთან“, ანარეკლი.

რაჯ უნდა
იყოს...

უძნელესია –
შენმა ზემ
გრიყოს, –
დაგადნოს, თვითონ, –
დუღილმა,
ბორკვამ...
უუწინარეს, –
რაც უნდა
იყოს,
შურმა და...
ბოლმამ –
არ უნდა
მოგელას...

პარაფოქსი...

მიმოვედებით, ხან –
ოკროს,
ბოკროს, –
როდესაც... ბუმბულს
დავეძებთ –





ქვაში...
ჩვენ –
სკორეს
თუკი დავარქმევთ
ოქროს,
თვით, – ოქროს
რაღა ვუწოდოთ, –
მაშინ?!..

7. IX. 2018

ჟრინ...

ვინა ვართ?..
რა ვართ?..
რა – სხვა და...
რა – მე?..
ქარაფშუტობას –
გზა
სიბრძნით
ვუწვი...
შემრცხება –
თუკი,
როდესმე,
რამე,
ჩემი თავისა
შემრცხება, –
უწინ...

10. IX. 2018

მართონი...

თუ, –
სტრიქონებში
სიბრძნე არა თოვს,
არ არის –
მზის და...
განცდის
დამდენი...
განგება მართავს –
ლექსის მარათონს
და... იჭაჭება –
ფუჭად,
რამდენი?!..

27. VIII. 2018

როდის?!

რემინისცენცია და
პერსევერაცია –
გალაპტიონის...

დრო, რომ ზეობს –
დაზაფრული, –

დაზაფრული
რო დის,
ვიცი... მოვა –
გაზაფხული,
მოვა, მაგრამ...
როდის?!.
26. II. 2019

ყსინდისობის:

არის –

მწვერვალი...

ლექსია: ზოგთა, –
თითქოს,
ჰა... და... ჰა...
სინდის-ნამუსის –
ვფიცავ,
ვწერ – ვალით...
ეს, – კონკურსები –
ზოგჯერ,
ხანდახან,
უსინდისობის:
არის –
მწვერვალი...
1. IV. 2019

ვფიცვ...

თუნდ, –
ერთი წამით,
სულ, –
ერთი წამით,
რომ გავიფიქრო –
სიკეთის
ვნება,
ვფიცავ:
მზეს,
უფალს,
და და
ძამი,
მე – თავს
არ მივცემ:
სიცოცხლის
ნებას...
10. III. 2019

ხან...

ხან, –
გვიწევს, – ეგზომ,
თმენა – ჭირთა,
ვაი და...
ვუი...
უფალი სწყალობს:
უფრო,

მეტად,
ლირსებით მდიდრებს...
ხან, –
დამარცხება –
სასწავლია, უფროორე, –
ჭკუის,
გამარჯვება და...
გამარჯვების
ზემი, – ვიდრე...
3. III. 2019

სიყვარული...

უსიყვარულოდ:
ვჭქებით,
ვქრებით, –
ცივი და
ქუში...
ტკივილს,
სევდას და...
ჯვარცმულ ფიქრებს
ვიშენებთ სახლად...
თუ, –
ჭეშმარიტი სიყვარული
გვეწვევა –
გულში,
სიყვარული, ხომ –
სვედიადი
სიცოცხლე გახლავთ...

7. III. 2019

სიწოზტლე, თუა, –
სიწოზტლე ერქვას...
მოვუხმოთ:
სიბრძნის,
სიკეთის ერქვანს,
არ უნდა მოვკედეთ:
სიკეთილით, –
ორით...
სიცოცხლე, თუა, –
სიცოცხლე ერქვას, –
არ უნდა ვიყოთ:
ცოცხალი
მძორი...

8. III. 2019

გული რაფ კვდერა, –
ოხერი?!

ხალხურ კილოზე

დღეს, –
საქმის დროა,
საქვეყნო,

მატების,
არა – კლებისა...
საქმე მწამს –
საქმის დასტური,
არ – ფუჭი, –
არაკებისა...

P.S.
როცა ვუყურებ
ჩემს მამულს,
ეს გული –
რაად კვდებისა?..
რომ... ვერა ვარგე –
სიცოცხლით,
არც –
წასვლით
დააკლდებისა...

28. X. 2000

უკვდავება...

ვრცელ, სამზეოზე
სიყვარულის –
დამთესს და...
დამტევს,
შავებმა –
შარით მოუნდომეს
კოცონზე
დაწვა...
მაგრამ... სიკვდილი –
ვერსაიდან,
ვერ შესწვდა
დანტეს
და... აკლდამაში,
დანტეს ნაცვლად,
სიკვდილი
დაწვა...

6. III. 2019

აროდეს გავრცლი...

სიცოცხლე –
თუმცა,
წამებით მიდის, –
წლების,
თვეების,
დღეების ძარცვით...
მე – ჩემს:
სიყვარულს,
სიმართლეს,
სინდისს,
მილიარდებზე –
აროდეს გავრცლი...

28. II. 2019

როგორს, პეტეფი –
გაფრენილ ყაჩჩას...

მამულზე –
ტკივილს,
დარდს და ფიქრს
ვისევ,
ვშვილთავ...
სიმშვიდე –
არა და... არ ჩანს...
სიმშვიდეს ქვეყნის –
შეენატრი, –
ისე,
როგორც, პეტეფი –
გაფრენილ ყაჩჩას...

2. III. 2019

რამდენია –
ფეხაფეხული
ტუალეტი?!

გაგვიმრავლდა:
დათვი...
მგელი...
მელა...
ვირთხა...
ფულზე ფიქრობს, –
მარტო,
ძილშიც,
ტურა – რეტი...
მე, თუ, მკითხავთ,
და... სიმართლე
თუ, გსურთ, –
გითხრათ,
რამდენია –
ფეხადგმული
ტუალეტი?!

5. III. 2019

ზენიტი განწყის...

უუნეტარესს
განვიცდი ზენიტს, –
ხატავს, როდესაც –
ბუნება
აპრილს...
როდესაც –
სხივთა
წვიმაა ზენიტ,
ხოლო, –
მიწაზე –
ხალიჩა ზღაპრის...

P.S.

ცულა დგება
როცა –
სამყაროს სცენის, –
სიცილის მზის, თუ –
ნისლების აფრის...
დრო მოდის, როცა –
კაეშნის ცვენის
და... სიყვარულის
გიზგიზის, –
მძაფრის...

უუნინარეს...

უმალ შეატყობთ, –
სასიკეთოდ,
ამ ორ ცვლილებას –
გამოცდილებით
ცოდნა რომ არს
განძი, – სრულიად,
ვინც –
არ ეყრდნობა:
ცოდნასა და
გამოცდილებას,
ბრძნეთაგან თქმულა –
ის, –
უთუოდ,
განწირულია...

P.S.

საქმე წინ მიჰყავს
ამ ორ ძალას, –
ამ ორ ცვლილებას:
უუნინარეს, –
ცოდნასა და...
გამოცდილებას...

ვიწოდეთ უნდა...

უმთავრესი
რა არის –
ყოვლის?
ფასი – ავ-კარგის, –
დარის,
ქარის,
წვიმის, თუ –
თოვლის...
უკეთესია – უკეთესზე, –
რომელი,
რომლის?
ძებნით –
სიკეთის სიდიადის,
კოსმოსზე
მოვლით...





1.P.S.
სიმართლე არის –
სიდიადე, –
ნინარე – ყოვლის,
სიყვარულია –
სიდიადე, –
ნინარე – ყოვლის,
სიკეთე არის –
სიდიადე, –
ნინარე – ყოვლის,
ღირსება არის –
სიდიადე, –
ნინარე – ყოვლის.

2.P.S.
სულის მზე არის –
სიდიადე, –
ნინარე – ყოვლის,
გულის მზე არის –
სიდიადე, –
ნინარე-ყოვლის,
ზედიადია –
მათ, თუ, ვხედავთ:
მზესავით მოვლილს...

3. III. 2019

ფანტაზია...

ზოგს წებავს:
ფუჭი
ფანტაზია –
პაერზე წეროს,
და... უცნაური ოცნებებით,
სურვილი ეწვის, –
სურს –
დასაჭრად,
ცის გუმბათზე,
მისდიოს წეროს,
მღელვარე ზღვიდან
ამოილოს –
თრითინას ბეწვი...

12. III. 2019

ვინ?!..
დაერცალეს, როცა –
სისპეტაკე,
დრო შავად
მოდნა...
ეს, – ასე იყო...
ვფიცავ:
ამ გულს,
ამ მინას,

ამ მზეს...
ფეხვეშ გაიგდეს –
სიმართლე და...
სინდისიც...
ცოდნაც...
ხომ გვახსოვს ყველას:
რით?!.. და...
ვისით?!..
ვინ ისხდნენ
სკამზე?!..

P.S.
ვინ იყვნენ:
მართლა,
გულით,
საქმით –
კომუნისტები...
და... ვინ კი –
ეშმას
სულგამძვრალი
კლოუნისტები...
ვინ?!..

15. III. 2018

ფირფი სული...

ვის –
ღამის სული
და... ვის კი –
მზის ჰყავა,
მწამს,
ეს აზრია –
სიმართლით,
სრული, –
სიდიადეზე
თუ, დავძრავთ
სიტყვას,
დიადს ქმნის –
მხოლოდ,
დიადი
სული...

25. XII. 2018

სახაფილოება ფა...
საჭირალოება...
უფრო დიადი
სხვა რა არის? –
ცოდნით რომ
უფლობ...
და... არ იტყვიან:
მწყემსი სჯობსო –
ნახირის,

ჯოგის...
სასაცილოც და...
სატირალიც
რა არის, –
უფრო?! –
დღეს, –
დოქტორი და...
პროფესორი
რო არის –
ზოგი?!..

9. IX. 1999

თუ, რამეს ვტირი, –
ახლა...
ვის –
სინდისი აქვს
დახლად...
და... დროა,
ვითარ –
ტირი...
თუ, რამეს ვტირი, –
ახლა,
ჩვენს შეცდომებზე
ვტირი...

22. XII. 2018

ნუთუ?!..
თითქოს, –
სიბრძნის წილ,
ბნედა ვიწამეთ?!..
და...
ვეღარ გვწვდება:
უფლის,
მზის ცხრილი...
ნუთუ, –
ამ, –
უვრცეს,
დედამიწაზე:
გაქრა – ღირსება,
გაქრა – სირცხვილი?!. ..

3. III. 2018

მხოლოდ ფა...
მხოლოდ –
შენით...
შენზე ფიქრს, –
არ მსურს –
ნამიც
ავყარო...



უფალი არის
ამის თავდებად...
შენიოთ იწყება –
ჩემთვის,
სამყარო...
და... ისევ,
მხოლოდ,
შენიოთ მთავრდება...

16. III. 2018

ფრონა:
მხევეჭლის,
ყაჩალის,
ქურდის...

ვის ახურია, –
მითხარით,
ახლა,
თავზე:
სინდისის,
ნამუსის ქუდი?!.
არის –
სირცხვილის ტყვიების
დახლა...
დროა:
მხევეჭლის,
ყაჩალის,
ქურდის...

20. I. 2002

ხელისუფლება –
ალხი და...
მალხი,
ვის უნდა –
ცრუ და
მთესველი
ალხა?!.
ხელისუფლება
თუ, არის –
ხალხის,
ცოცხლობდეს
ხალხით
და... იყოს –
ხალხთან...

21. I. 2007

XXI საუკუნის

მონორქა...
ვამბობ, –
სათქმელად,
რასაც –
გული თვლის,
მე –
ვერ ვიქცევი:
ლოდად და...
ხედა...
დღეს –
პლანეტაზე,
ლუკმა
პურისთვის,
ნებაყოფლობით,
მონობას
ვხედავ...

13. II. 2019

სანამ?!..

სანამ: ვითარ,
ჯორის ტლინკვა?!..
სანამ:
ყვავი – ცრუ?!.. პარია?!..
სანამ:
მზის ქვეშ,
პოლიტიკა,
„გიუ” –
თავისუფალია?!..“

2. II. 2019

„რევოლუცია” –

საქართველო, –

ვარდების...

სატანამ, მიწყივ, –
სატანობით,
თვითონვე ივნის...
ვარდებმაც დაგვცეს –
სატანობით, –
ვინ – სხვამ?!.. და...
რის – სხვამ?!..
დაამხეს, როცა –
ალი-ბაბა,
ვუმლერ – ჰიმნიც,
მაგრამ...
სპექტაკლი რომ დაგვიდგეს,
ვიქეცი –
რისხვად...

11. IV. 2007

ენერგია წოლნა...

ენას ვიყენებთ –
სათქმელის
ლანგრად,
და... სიბრძნეს ვუხმობთ, –
აზრის –
ზარნიშად...

ენების ცოდნა –
კარგია,
მაგრამ...

იგი –
ცოდნას და...
სიბრძნეს
არ ნიშნავს...
7. III. 2019

გასაკვირველი...

გასაოჯარი...

იოპან ვოლფგანგ
გოეთეს

შენს სიბრძნეს
ლოცავს:
ჩლუნგიც,
უგრძნესიც, –
ლამის, მოესხას
ქვასაც – მოცხარი...
„ფაუსტით“ იყავ
და... ხარ –
უბრძნესი, –
გასაკვირველი,
გასაოცარი...

8 IV. 2019

სულელი...

ვართ ბედნიერი:
ცამ, თუ,
აზრის –
მოგვმადლა ძღვენი,
უაზრო სიტყვა –
სიჩერჩეტის
და...
სიბრძნის –
ზღვარს შლის...
სულელი –
სანამ,
ჩუმად არის,
ჰერიათ ბრძენი,
თუ, დაძრა ენა –
სიჩერჩეტის,
ბანაობს
ზღვაში...

4. IV. 2019





ნუოუ?!..

მწერი მწერლებით –
მზის სანთელი
რატომ გვიქრება?! –
ლაქუც-ქიცინი:
ხალხს,
ქვეყანას,
ყველა დროში ვნებს...
ასე – ყოფილა,
მაგრამ...
ნუთუ...
ასე – იქნება?! –
დაფნით, რომ რთავენ:
განა – ლომებს?!..
მეფის – გოშიებს?!..

13. IV. 2010

ნუოუ... და...
აჟკერ,
ნუოუ?!..

ტალღად არ ვლივართ,
ნუთუ, – პინდისა?!..
ნუთუ, – ვიქეცით –
ალად, – ნასებო?!..
ნუთუ, – სინდისი,
ნუთუ, – სირცხვილი,
ნუთუ – სიმართლეც
ალარ არსებობს?!..

10. IV. 2019

ნეტვ...
გაუცხოება არის –
ნიგნთა...
და... დროის –
ღლეტა...
სადღაა –
ცოდნის მოწყურება?! –
გულს, რაც
მძიძნის...
საქართველოშიც
დააწესონ –
სასჯელად, –
ნეტავ,
სასჯელის ნაცვლად,
ნაკითხონ –
თუნდ, – ერთი
ნიგნი...*

15. II. 2019

*თურქეთში, სასამართლოს
მიერ, დასჯის ერთ-ერთი
საშუალებაა – დამნაშავეს
მიესავონ ნიგნების კითხვა.

სახარება და...
ზირდია, ვითარ...

უფლისგან, რაიც –
მიწით და...
ცით არს,
მარგალიტებად
ვამძივებ, –
ახლა...
სახარება და...
ბიბლია,

ვითარ,
მზეპოეზია –
ზესიბრძნე
გახლავთ...*

8. IV. 2019

*რასაც პოეტი ღვთის
შთაგონებით წერს,
ყველაფერი მშენერია“.
დემოკრიტე
„ლექსების თხზვა
ღვთისმსახურებასთან
ძალზე ახლოსაა“.
ანატოლ ფრანსი

ნოუნუნას –
კაჭა ჰეგონია:
ლომი...

დავითის სიბრძნეს
აროდეს ვჩემობ,
მაგრამ... თუ –
აზრთა:
ბრძოლაა,
ომი,
ერთს ვიტყვი, –
მხოლოდ,
კარგებო, ჩემო,
ნოუნუნას –
კატა ჰეგონია:
ლომი...

1. IV. 2019

მე ქეფს

სიყვარულს მოვუხრი, –
მარტო...

ცხოვრება, თურმე,

ყოფილა –

ქარი, –

ვის – მზემდი

ასწევს,

ვის – ცრემლით

ალტობს...

ქედს არ მოვუხრი

სიკვდილსაც, –

არ-რით,

მე ქედს

სიყვარულს მოვუხრი, –

მარტო...

24. III. 2019

ვიწ...

მიწამ – მიწას

გული მისცა,

გული მისცა

ცამ – ცას,

შენ, რომ:

ტყვიად მესვრი

სიტყვებს, –

ამ საუბრით,

ამ წამს,

გავა დრო და...

ვიცი, ბევრჯერ,

დაასველებ –

ნაწამს...

14. III. 2019

ზენიჭი...

ვლოცავთ,

ვესწრაფვით:

ციდან – აისებს, –

იმედით,

რწმენით –

ამო ცვლილების...

წელთა მზე არის –

სიდარბაისლე, –

ზენიჭი:

ცოდნის,

გამოცდილების...

2. IV. 2019



մինօնքոն...

րագրոմ զրարշետ:
ծոռճոյութ?!.
ծոռըցոտ?!.
րագ յնձա աեսնա?!

միևնույն դա...
մոցավուս?!.
մինօնքորոտ, –
տպոյ,
զամապոնք, –
թողոտ,
ալյապոնքա –
նամդապոնք, –
թողո...
4. IV. 2019

րագոմ?!.
րագոմ?!. ֆա...
րագոմ?!.
յայսանամ –

յարարաբութ
րագրոմ օարա?!.
րագրոմ յնամա?!.
դա...
րագրոմ յոյնուր?!.
օմուրոմ... րագան –
տազուտ կո արա,
ոյյոյրոնքնեն:
յանձնութ...
մուլունու... դա...
յոյնութ?!.
2. IV. 2019

րա յժայլութ?!.
միջ հիացայրենք –
մարագուսագ?!.
նյուտոյ,
մրցալու քուս?!.
դաց վարտ:
րա ոյյոյրուտ?!.
րա սպուտ?!.
րա ցնուտ?!.
րա ննուտ?!.
րա մնարուտ?!.
րա յժայլութ:ամ յայսանս, –
մըլոնքնութ?!.
ար զուպո,
դաշունաբար:
դարճուտ մոխարժյուլու,
դարճուտ
դամնարու...
15. V. 2012

րագ առ ոյսան?!.
րագ զեր միտքոնեն?!.
առ յըմուտ?!.
րագոմ?!.
նյուտոյ, – առ օցուս:
յըրուսածքոմ,

ցայրոմ,
նագոմ?!. –
քյշմարութենա վտյա:
մեասեց,
տոյ, նեծազտ,
սրուլու –
րագ առ օցուան?!.
րագ զեր միտքոնեն?!.
առ յըմուտ?!.
րագոմ?!.
դաց, –
յնինարյուս,

Յլանցութաչյ,
մուրուս –
ոյուլո!!!...*

12. III. 2019

*Տանամ յոյլու, մեռլուգ,
սակելմինոյուս երլի առ
մոյյէցքա, մոնատմուլոնքելոնքա
դա մոխոնքա առ մոռուսոնքա...

Տագ առօ?!.
զոն առ յընրացավուս

սայմյուս, –
նամթայենենք?!. –
րոմ օյուս –
յոյլուս
դա... մինու
սաճարո?..
դեմոյրագուս
զոն առ
աշյենք?!.
մացրամ...
մոտեարուտ –
մանց, –
սաճ առօ?!.
3. VII. 2018

գահաճանան...

մյ, – րասաց վոյյոյրոնք,
ուս, րոգու չեցաց –
յըրալու
նոնցենք?..
ամ –

ոյյոյրոնք, –
դարճուն,
դալյունքս... եմորագ...
ցանցութ,
մինչացս մթյ...
դասանանու, յըթոմ,
նոցո –
մինու յըյը
ոնցյուս,
եռլու, – նոցո կո,
դագուուցյ –
մալլա, –
մոնածյ...
31. XII. 2018

Տյայումա...

Տյայումաս յըյըյենք –
ոգուտ,
նոցյար,
անալուց... յըյըյուց...
նոցյ, –
Տյայումենք,
ծեգուսներագ յըյըյա, –
ծոլլուս...
տացուս Տյայումաս
անարյուս –
յըյանու,
ծորդյուն,
առ անարյուս, –
արասուցյ,
սուլյուն, –
մեռլուգ...*

26. VIII. 2018

*„տացուս Տյայումենք յըյըյենք առ անարյ-
են, մեռլուգ.“ Կուպերոնի

յամայոն, –
կլույշ...

Տականեց,
Տույեց,
Տոյզարյուլուց –
Գառու դամայուս,
Տոյլուս նարմնպմեցյուլս
դա... նարմեռուցյուլս –
մյ,
Բյեմոն,
Յուլոյց...
զոն տյա?!. –
մոնածյ, րոմ դաշունաբ,
առ վար ամապո?!.
55





გულის მზითა და...
ქართველობით –
ვამაყობ, –
ძლიერ!!!..

14. XI. 2018

სტალინი-კონკ –
სახელით თუშის*

წასული წლები
ხსოვნაში
ელავს,
კარგია ხსოვნა, –
ფრთებს –
ისევ,
თუ, შლის...
სტუმრობდა კობა –
ერეკლეს
თელავს, –
თექით და
ქუდით,
სახელით –
თუშის...

27. VIII. 2018

* „ამხანაგი კობა გაგვაცნო ლევანა ძამუ-
კაშვილმა, როგორც – თბილისიდან ჩამო-
სული თუში. მას ტანზე ეცვა თუშური
თექა, თავზე ეხურა თუშური ქუდი, ფეხ-
ებზე ეცვა პაჭიჭები“... (თენგიზ სიმაშვი-
ლის წიგნიდან „თელავი“.)

სტომს...

ხან, – დრო –
ამაო თამაშით
გვართობს...
და... ვფიქრობთ –
დროში
ბედი ერევა...
სჯობს, –
ჩვენი თავი
ჩვენ, თვითონ,
ვმართოთ...
და...
დროს წავართვათ –
ბედნიერება...

24. XI. 2018

ჩემო, ძვირფასო...

ჩემი ფიქრები:
ხან, –
ცას სწვდება,
ხან, –
დადის მთა-მთა,
ხან, –
ღრუბელია, –
საავდრო და...
ხან, –
მზედ კისკასობს...
მინდა, რომ იყო –
ჩემთან,
როგორც –
საკუთარ თავთან, –
ჩემო, ოცნებავ,
ჩემო, ნატვრავ,
ჩემო, ძვირფასო...

11. XI. 2018

ფიფგორი ფა...
შამქორი...
სანამ?! – დარდით:
ბნედა,
წვა და...
აგონია?!..
სანამ?! – დარდით:
სულიც,
გულიც – მტკივანი?!..
ქვეყნის მართვა –
ზოგს, –
ქეიფი
რად ჰეონია?! –
კაბინეტი,
დივანი და...
მდივანი?!..

P.S.

მართვა –
ვინ თქვა:
იოლი და...
ადვილი?!..
დიდგორი და...
შამქორია, –
ნამდვილი...

23. V. 2008

თუ...

მე –
სიყვარული
ვქსოვე, ვითარ,
ჯაჭვის

პერანგი,
და... რასაც გეტყვი,
მარადისად,
ნეტავ, გახსოვდეს...
დღეს,
თუ,
დამკარგავ,
ველარ მნახავ,
ვერსად,
ვერა გზით,
ველარ შემხვდები,
ვერ მიპოვი, –
ველარასოდეს...

17. XI. 2018

შვილი...

ხორნაბუჯს ჰკითხეთ,
გნებავთ –
ხანდთას,
ხიხანს და
ხერთვისა,
ვინ –
შვილით მზეობს,
ვის კი, –
ჭირის უწევს –
ატანა...
ნეტარებაა შვილი, –
ზოგი,
ვითარცა –
ღმერთი,
ნურავინ მიწყენს,
რომ ვთქვა:
ზოგი არის –
სატანა...

21. XI. 2018

თუკი გრამთ –
ღმერთი...

მაწვალებს კითხვა, –
დღედაღამე...
და... ეგზომ,
ცხარი, –
კითხვაც და
განცდაც,
ფიქრიც, ლამის,
ზე-კოსმოსს
ერთვის...
მგლის მეგობარი,
ვით იქნება –
ბეკევა?!..
ცხვარი?!..



თუკი გწამთ –
ღმერთი,
ამიხსენით,
მითხარით, –
ერთი?!..

6. XI. 2018

ხომ, ხდება?!..

თუმც, –
ვისმენთ ძრახვას:
მიწის და
ცისიც –
ავსულთ ათასი
ხრიკის და
ფანდის,..
ხან, –
ცხოვრებაში,
ხომ, ხდება –
ისიც:
საქვეყნოდ, –
ფანდი,
რომ გადის –
ბანდის?!..

17. XII. 2018

ხომ გახსოვთ?!..

ხომ გახსოვთ?!.
განძი
ვინ, რა გზით,
მკინ?..
დრო, როცა იყო –
სინდისის
ღეჭვის...
ზეობდნენ:
სიბრძნით,
ღირსებით –
კი არ?!..
ქვეყნის და
ხალხის –
ძარცვით და
ხვეჭით?!..

23. III. 2019

შეგონება...

გულზე –
ტკივილს და...
ურვას, რომ
ვისევთ,

მგელს –
რატომ ვაძლევთ
დავის უფლებას?!..
მგლისთვის –
ალვირი სჯობია, –
ისევ,
ალვირაწყვეტილ
თავისუფლებას...

24. II. 2019

უფლის ტაძარში
მზესავით შეხვალ...
ლექს-სანთელი –
მანანა ჯიბლაშვილის
მარადიულ ხსოვნას.

სული –
სპეტაკი,
ღვთაებრივი, –
აროდეს ივნე...
უფლის ტაძარში –
სხივოსანი,
მზესავით შეხვალ...
ცის ქვეშ, –

მინაზე,
თუ არსებობს,
ქალღმერთი, –

ვანმე,
უსათნოესი, –
ერთადერთი,
ეს, –
მხოლოდ,
შენ ხარ....

31. X. 2006

ადამიანი – ღორი...
დღეს, კვლავ, –
რამდენი,
ვანდალი არი:
უნილბოდ – ერთი
და... ნილბით – ორი, –
სახე აქვს –
რამდენს,
ადამიანის,
მაგრამ...
სული აქვს –
ნამდვილი ღორის...

9. XII. 2018

შეწომა ჩვენი:
ფაგვუშმა ფა...
ფაგვსვრის...

ბედა და
უფალს
ნუ ვემდურებით,
სიყვარულს –
მზე, თუ,
არ უძღვის
აზრის,
გზა ხდება:
ურვის, –
უბედურების...
შეცდომა ჩვენი:
დაგვცემს და...
დაგვსვრის...

13. II. 2019

ვიწოდეთ:
მართლის,
მარადის,
ერთი...

ვიცოდეთ:
მართლის,
მარადის,
ერთი:
რა გვშველის,
რა გვშლის,
რა გვტანჯავს,
რა გვსჯის?!..
გზა – სიყვარულის –
სიბრძნეა, –
ღმერთის,
გზა – სიძულვილის –
ქუფრეთი
ქაჯის...
14. II. 2019

ხან...

ხან, –
საშველი
არის – არსით,
ძმა – სად არი?!..
და – სად არი?!..
ხან, –
ცხოვრება
ხდება არსით –
ჯოჯოხეთის
დასადარი...
12. XII. 2018



ქართველი...

ქართველი მხნეა,
მამაცი, –
ოდით...
და... თანაც:
ბრძენი,
უპრალო,
სადა...
კოშკებით,
ტაძრით,
ქოხით, თუ –
ოდით,
მასპინძელს, –
მისებრს,
მონახავთ –
სადა?!..

1. X. 2018

ოფატოში –
ნეტავ,
ვინოა შეფის?!..

უკადრებელი, –
ცხოვრებაში,
რა აღარ –
გვკადრეს?! –
ცეცხლმოდებული, –
განცდის,
ყველა
ნერვით ვენთები...
თეატრში –
ნეტავ,
ვინდა შედის?! –
ხომ, ვბრძანე, –
ადრეც?..
მსახიობებად,
რადგან, იქცნენ –
პრეზიდენტები...

9. III. 2009

ლექსი
მე მნამს...

სიბრძნე, –
ვითარ,
მზით ნაქარგი
მნამს აული...
განა, –
ლექსის –
ნისლ-ღრუბელი? –
ცად რომ წასვეს?!..

ლექსი
მე მნამს:
პოეზიის
სასწაული,
არ –
რებუსის,
ინეგმების*
ბინდით საესე?!!..

9. IX. 2018

*ინეგმა, – ინეგმატიკური, გამოუცნობის,
საიდუმლოებით მოცული, ანუ, პოეზიაში
– იქის და იგრევი...

ძალიან მიყვარს
პარიზელები...

ძალიან მიყვარს, –
ლექტორი და...
რჯული, –
სულით
მზით სავსე
პარიზელები...
ტალეირანის –
არაფრით
ჯურის,
არც –
ფუშესავით
ფარისევლები...

P.S.
აქ, –
არვის უყვარს:
მონები –
ურვის, –
მსგავსი ქარის და...
ქარის მძევლები...

24. XII. 2018

იტალია...

ჩემი ფიქრ-განცდა
ამ მზის ცალია,
მსურს ავცდე –
გულზე,
კაეშნის დახლას...
მსოფლიო მიყვარს
და... იტალია –
ჩემი ოცნების
სამოთხე გახლავთ...

3. III. 2019

ხომ, ვიწით?..

ხომ, ვიცით, –
როგორ,
უსამართლოდ,
დასაჯეს ბრუნო?..
გულში –
გულვანი მინთია და...
ცეცხლს

ცეცხლი ერთვის...
ცხოვრების ეტლი –
უგნურთაგან,

უკულმა ბრუნავს...
ისიც, ხომ, ვიცით:
ხან, –
ათასებს,

სჯობია – ერთი...
9. II. 2019

ლექსი, როგა –
კაშტორ...

ტორტმანებს მინაც
და... ზეცაც, –
თითქოს...
ლექსი, როცა ვამბობ,
გული –
მზედ
მიცემს...
მინდა, რომ შუბლი –
ცვარ-ნამმა
ხვითქოს...
ლექს-ცეცხლით
ლამის
გადავწვა –
სივრცე...
3. X. 2018

მონები...

ეს მინა, რაიც –
მზეს, ირგვლივ,
უვლის,
ვინ ვართ? –
ვინ – ლამის
ვინ – მზის
გონებით?..
ვინ:
ტახტის,
სკამის,
ჩინის და...
ფულის?!..
ვინ – სინდისის და...
სიბრძნის
მონები?!.
31. III. 2019



თუ, რამ,
მწამე...

ღირსებამ, ოდით,
ჯვარცმით იარა,
მტერზე უმტრესი
ესია, –

ირგვლივ...

თუ, რამ,

მწამე, –

ქვეყნად,

მეფის კი არა,
დაიდგამს ვინაც –
ღირსების

გვირგვინს...

7. I. 2018

ყური დავუგდოთ –

ახლა,

რიცრონს...*

გული –
მამულზე ფიქრში

ილა,

ჩემო დეკავ და

ჩემო ცირცელო,

ვიცით –

რაიც თქვა

დიდმა

ილამ,

ყური დავუგდოთ –

ახლა,

ციცერონს...

30. VII. 2018

* „ჩვენთვის, – ძვირფასია: მშობლები,
შეილები, ნათესავები და ახლობლები,
მაგრამ... სიყვარულზე წარმოდგენა თავს
იყრის ერთ სიტყვაში: სამშობლო“... (ცი-
ცერონი)

რაჭომ?!..

ათასი – რაჭომ?!..

გენმა – ქართულმა
ჯოჯონეთის
კალო გალენა, –
რატომ ვაქრობდეთ?!..
რატომ ვკლავდეთ?!..
რატომ ვკრულავდეთ?!..
ანდა, –
რა ვუთხრა:
ისეთ – ყაჩალს,
ისეთ – გარენარს? –

ვისაც –
მამული
არ მოჰკიდებს
გულზე – ურუანტელს?!..
18. VI. 2018

არი –
სიწოზდოის...

ვარდია, სადაც:
იქ, არის –
ძეძვიც...
ჩვენ –
მოძრაობით,
სიკვდილს ვიცოხნით...
დრო გვებრძვის –
ჩვენ და...
ჩვენ კი
დროს –
ვერძევით...
ბრძოლა არსა –
ჩვენი სიცოცხლის...

24. VII. 2018

მეფე...

სხივებს:
ვის – სიბრძნე,
ვის – ტახტის
მზე გვვენს,
ვის – აზრის ძალა,
ვის – ძალა
ლახტის?!..
ვინ – სიბრძნით არის:
დიადი,
მეფე,
ვინ – მხოლოდ,
როგორც –
პორფირი,
ტახტის...

11. IV. 2019

კმარა!!!..

სიმართლის:
ჯვარცმა,
გოლგოთა –
კმარა,
სულნამებულთა
ბედით ვენთებით, –

არიან, სადაც:
ხალხის კი
არა, –
მგლების,
ტურების –
პრეზიდენტები...

22. IV. 2019

საზრისი...

რამდენს, –
ამ მზის ქვეშ,
მოხვეჭისთვის,
უწყდება –
ქანცი...
ძალას –
რამდენჯერ,
სიყვარულით,
ვერვინ ერევა...
ნურავინ მიწყენს, –
ტახტი,
ფული,
ჩინი და
განძი –
არ მიმარინა:
არასოდეს,
ბედნიერებად...

P.S.

უფალს ვთხოვ:
ღმერთო,
ჩვენს პლანეტას –
გაგება
მოეც, –
სათნოებაა:
გზა – უფლისა, –
„ანიც“ და...
„ჰოეც“...

10. VII. 2018

სანამდე?

სანამდე ვიყოთ:
სათელი, –
მტერთა?!..
ვილევით...
ვქრებით...
დღითიდღე...
თან-თან...
ხომ, უნდა ვიყოთ
მართალი:
ღმერთთან?..
მამულთან...





მერე? –
საკუთარ
თავთან?..
20. VII. 2018

აუზილერლად, –
ფაფებრა ფრო... და...

ვფლობთ, ვინაც, –
აზრის:

ქოხს,
სრას, თუ,
ოდას,
ჭეშმარიტება –
მზის თვალებს
ახელს...
აუცილებლად, –
დადგება
დრო... და...
დაარქებულის ყველას –
თავთავის
სახელს...
16. IV. 2019

ზოგჟურ...

იცოდე – სემ და
იცოდე – როჯერ,
ხან, –
იცვლის სახეს –
საქმეც, –
დიადი...
დემოკრატიის შუქურა,
ზოგჯერ,
დემოკრატიის ხდება –
წყვდიადი...

P.S.
არც – ვუმატებ და...
არც – რამეს, ვუკლებ, –
ათენმა,
სპარტამ –
გვასწავლეს, – უკვე...

4. VIII. 2018

ნუთუ?!.
ნუთუ და...
ნუთუ?!.

არც – ტელესკოპი,
არც გვინდა – ღუპა,
ნუთუ?!. და...
ნუთუ –

დღემდი ვერ ვხვდებით?! –
რომ –
საქართველოს,
ერს და...
ხალხს ღუპავს –
შემოგდებული
პრეზიდენტები...

13. VII. 2018

მიწყივ...
იოჭირ...

ყველა დაებმის,
რაიც არის –
დასაბამი და...
ვინაც მზაკვრობდა –
მალვით,
ანდა –
ყეფდის,
კიოდის...
ვინც –
თავს იტყუებს,
რაც კი მოხდა, –
დასაბამიდან,
გაურკვეველი

არ დარჩება –
მიწყივ,
იოტიც...
20. IX. 2018

ჰეშვარიტება...

მიწაზე, –
ვინ ვართ –
მზე და... ვინ ქრება?..
სიმართლის
რატომ ვიყოთ –
მქუფრალი?!..
ვერავინ მოკლავს
ჭეშმარიტებას,
რადგან, –
იგია,
როგორც –
უფალი...

27. IX. 2018

ხომ ხფერა?..

დროში, ხან,
მეობს –
ულირსი კასტა,
დრო... მერე –
იმათ ალიკვალს

მოგვის...
ხომ ხდება? –
გაშლილ
რიყეზე ქვას და...
ცაზე –
ვარსკვლავებს
ვერ ხედავს, –
ზოგი...

20. IV. 2019

ყველაზე
შეფერული...

მიზანი, ხან, ჰგავს –
დამსხვრეულ
მინას,
ცხოვრების წიგნით
დავრწმუნდი, –
კარგად...
ბედკრული არის –
ყველაზე, –
ვინაც –
ჭეშმარიტების
გაგებას
კარგავს...
30. IX. 2018

სუსველაფერი –
ჩვენა ვართ, –
თვითონ...

ჩვენ გვინდა –
ჩვენი სიცოცხლე
ფლითონ,
აღარ ისხამდეს
ყანა –
თავთავებს...
სუსველაფერი –
ჩვენა ვართ, –
თვითონ:
ჯოვანხეთის და...
ჭირის –
სათავე...
19. IV. 2019

გაზომე –
ასჭერ...

იცოდე –
მინაც ხედავს და...
სუნთქავს,
გონების თვალით



ცა –
მზემდი ასჭერ...
ანდერძად, –
უბრძნეს წინაპარს
უთქვამს:
გაჭრიდე სანამ,
გაზომე – ასჯერ...

7. IX. 2018

რა ვთქვა?! –
სიჭული
არ მყოფნის...

ქვაც კი ქვას
ველარ უკირავს, –
ვინ გახდა მონა,
ვის ზნესი?!..
ქვეყანას მოთხრის, –
თუკი, რამ:
ნარკო და...
სექსის ბიზნესი...

P.S.

დრო მოდის:
ყოფნა, –
არყოფნის,
რა ვთქვა?! –
სიტყვები
არ მყოფნის...

7. III. 2019

აროდეს,
არვის...

ციმციმებს, სანამ,
სხივები –
ქარვის,
არსებობს, სანამ,
მზესიბრძნის
ღალა,
არ აპატიებს:
აროდეს,
არვის,
დრო, –
ხალხისა და...
სიმართლის
ღალატს...

3. IX. 2018

სულ, –
სიყვარულში
მინდა დავხარჭო...

არ მნამს:
ცრუ – ვარდი,
ცრუ – მზე,
ცრუ – პალმა,
ცრუ – სიცოცხლე და...
საქმე – სახვანჯო...
ერთი
სიცოცხლე მომცა –
უფალმა,
სულ, –
სიყვარულში
მინდა დავხარჯო...
2. IX. 2018

მკვდარი...

ვის, რა დრო –
შეხვდა?..
ვის, რა დრო –
ასცდა?..
რამდენ ჯოჯოხეთს
ჰქონია –
რიგი?!.
დაკარგა, ვინაც –
სირცხვილის
განცდა,
დარწმუნდით, –
უკვე,
მკვდარია –
იგ...

1. IV. 2019

თავისუფლერა...

თავისუფლების
საზღვარს ეკვრის –
მინყივ,
სხვა ზღვარი,
იქით იწყება:
სისულელის –
ავი ქართა სვლა...
თავისუფლებას
აქვს ღირსების:
მიჯნაც,
საზღვარიც,
თავისუფლება
როდი ნიშნავს:
ზღვარზე გადასვლას?!

10. II. 2019

ქვეყანა კვდერა...

მრისხანეა და...
სადაც –
აზრიც და...
სიტყვაც –
ერთი:
ქვეყანა კვდება,
სადაც
ფულმა შეცვალა –
ღმერთი...

18. IV. 2019

თუ, არის –
უფრო,
მაღალი ჭილდო?!

ბევრია ჯილდო:
ალხის, თუ –
მალხის...
და... უკვირთ:
ქაჯთაც,
ეშმაკთ და...
ჯინთო, –
თქვით:
სიყვარულზე, –
ალალი
ხალხის,
თუ, არის –
უფრო,
მაღალი ჯილდო?!

28. VII. 2018

„მე“ ფა
„ჩვენ“...

ქეშმარიტების –
უნდა გვსურდეს
მზემდე ატანის, –
მითქვამს
ათასჯერ...
და... ვლალადებ
სიბრძნეს, –
უკლისად...
„მე“ არის:
ჩვევა – ბელზებელის,
ჩვევა – სატანის,
„ჩვენ“ არის:
სულის
სიდიადე
და... გზა –
უფლისა...

19. VIII. 2018





შიგვირს...
შპონებს...

საწყის –
სასრულით,
მიწით,
მზით... ციან...
ანთია, თუკი, –
აზრის
სინათლე,
მიკვირს,
მაოცებს,
რად, არ –
იციან?!...
რომ...
არასოდეს კვდება –
სიმართლე...

23. III. 2018

ჭვირთი –
წოდვისა...

რისხვის ისარი –
მიჯრით
მიესო,
იტვირთა ცოდვა –
ათას ერთი და...
მშობელმა ხალხმა,
როცა –
იესო,
გამოაძევა
ნაზარეთიდან...

17. VIII. 2018

იქო...

მშობელ ხალხს
უნდა აღევლინა –
მარადი
ლოცვა,
მაგრამ... გულგვამნი
დაემსგავსნენ –
ველურ
იელსო...
ნაზარეთიდან გააძევეს
უფალი,
როცა –
ლოცვა-კურთხევა
გაუგზავნა, –
მაინც,
იესომ...

25. IX. 2018

უზეფურება –
უფრო,
ის არი...

დრო:
ვისთვის –
ღამის,
ვისთვის –
მზის არი,
ყველა ეპოქა
იცვლის
იერსო...
უბედურება –
უფრო,
ის არი:
ისევ აკრავენ
ჯვარზე –
იესოს...

8. VI. 2018

უძნელესზეს –
უძნელესი...

საოცრებაა:
დაბლა – მიწის,
მალლა – მრგვალი ცის...
ბევრი, რამ, არის:
უძნელესიც, –
ჰკიოთხეთ –
მზის ვარდებს,
უძნელესია, –
უძნელესზეც,
თუკი, არ იცი:
ვინ –
უნდა გძულდეს,
ან, –
არ გძულდეს,
ან, – ვინ –
გიყვარდეს?!!..

16. IV. 2019

ჭახტი –
ყაჩალი...

ზოგია, ვითარ –
ჭერზე
ბრმა ჭალი,
ვისაც თვალები
ეშმამ აუბა...
ტახტზე, როდესაც
ჯდება –
ყაჩალი,

უფლის სახელით
იწყებს საუბარს...

10. X. 2010

ქართველოდ
ის მნამს...

ქართველად –
ის მნამს, –
კაეშნის მკვნეტი,
ვინც –
დარდით სჯობნის
ამ მიწის მკვიდრებს, –
მაშულზე
რომ აქეს –
ტკივილი, – მეტი,
ვიდრე – განძი და...
სიმდიდრე – ვიდრე...

16. IX. 2018

არ მნამს –
ქართველოდ...

ვერა გრძნობს,
ვინაც –
დღეის სატკივარს,
ვინ:
დაგვცა...
დაგვწვა...
გაგვცა...
გაგვთელა...
დღეს –
საქართველო,
ვისაც არ სტკივა,
არ მნამს –
ცოცხლად და...
არ მნამს –
ქართველად...

ვურ ფაიძინებს
ქართველი –
ლოგინში...

მომხდური –
საქმით და...
მიზნებით მზაკვრულით,
მზაცებლის –
სურვილით,
საზღვრებს, რომ
მოგვიშლის,
დარდზე და
რისხვაზე



ვიქებით გაკრული,
ვერ დაიძინებს
ქართველი –
ლოგინში...

აზი, საკირის
საჭირო
მედერა...

თვალიც და გულიც
აქვსო –
ლოდებსაც,
მგლებს –
ზოგჯერ,
თავი მოაქვთ
მტრედებად?!..
უსამართლობა ხდება,
როდესაც –
ასი საკირის
ცეცხლი
მედება...

30. III. 2010

ბოროტება
კმარა...
სიკეთისთვის –
სიცრუესაც
ვენაცვალე,
ხოლო,
ბოროტ სიმართლეს კი –
არა...

20. VI. 2018

ცრემლების
მორევს...
მოგვტირის,
როცა –
კლარჯეთი,
ტაო,
მოგვტირის,
როცა –
ტაშირი,
ლორე...

ვფიზვ...

ვერც –
ერთი, წამი,
ჩემს სხივს
ვერ აშლის, –
ვფიცავ:
ამ მიწას,
ამ მზეს,
დილის მადლა...
ყოველ –
სიტყვაში,
ყოველ –
ბგერაში,
ვდებ:
სიყვარულის
უკვდავ
თილისმას...

14. IV. 2018

აზრი...
აზრს უნდა –
მზისებრ,
ენთოს, –
მინაზე:
ამ ცის,
იმ ცის...
რა დიადია,
ღმერთო,
მაგრამ...
რა ცოტამ
იცის?!..

10. VI. 2018

1. P.S.
ფიქრებით ფიქრებს
ამ გულზე
ვფხოჭნი,
მზედ მენატრება
დავითის
დროცა...
მოგვტირის,
როცა –
ტუაფსე,
სოჭა,
და... საინგილო
მოგვტირის,
როცა...

სიკეთისთვის –
სიწოლეარ
ვენაცვალე...
სიკეთისთვის –
ზენა მოგვთხოვს
ყველას, – ვალებს,
დასაბამით, –

ფაშნაშვეა –
ათასკერ, –
უფრო...
ვინც დაამსხვრია
სიმართლის
მინა
არ დაიმალვის,
რაც უნდა
ფუფრონ...
ავს,
დამნაშავეს
არ დასჯის,
ვინაც,
დამნაშავეა –
ათასჯერ, –
უფრო...

2. P.S.
სამაჩაბლოს და
აფხაზეთს,
ახლა,
ვინც გვართმევს,
უდრის –
ტყველების
დახლას...

3. P.S.
რა დაგვრჩა?! –
კუთხე,
კუნძული,
არე?!..
ჩვენს –
ცეცხლში ყოფნას
დავტირი
მწარედ...

31. VII. 2018

ნაში ფა
საუკუნე...
ცხოვრება ამბობს
ამას –
და... დიდი სიბრძნეც,
ძამა, –
ნამს ვაქცევთ –
საუკუნედ...

63



ოლქა, №2, 2019





ხან, –
საუკუნეს –
წამად...

1. VIII. 2018

ვწუხვარ...

ცამ –
სიბრძნე, ვისაც
მიმადლა
უხვად,
სიფრთხილე უნდა,
ვით, – ქვაზე –
მინას...
მე –
რაიც ვიცი,
იმ ცოდნით
ვწუხვარ,
ბედნიერია,
არ იცის, –
ვინაც...
13. VIII. 2018

რაფ უნდა –
ფირ?!..

სულის მზე,
სულის სიდიადე
არ უნდა –
კარგო,
ვინც –
რასაც თესავს,
მასვე იმკის,
თუ, გწამს და...
იცი...
თუ, – უფლით მოდის:
სიყვარულიც,
სიმართლეც,
კარგო,
სიყვარულს, –
ნამდვილს
და... ქეშმარიტს
რად უნდა –
ფიცი?!..

16. IV. 2019

მაინჯ, – საფამდე?!..
მაინჯ, – როფემდე?!..

ას დარდს ვუსხლტები,
ახლა,
სხვა დამდევს...

და... ტკივილს უნდა –
მუდამ რომ მდევდეს...
განა, – როდემდე?!.
განა, – სადამდე?!.
მაინც, – სადამდე?!.
მაინც, – როდემდე?!.

14. VIII. 2018

შური...

ჰიპერკატრენი –
ვერლიბრით...
შური:
სიავის,
ბოროტების,
შური
სიბრძლის,
ნიშანიაო, – ამბობენ და...
ალბათ, ასეა...
ასე ჩათვალეთ,
იგი – ჩემში
მაინც, იძნევა...
და...
შურით სავსე,
გატეხილი,
ვდგავარ, – თავისით...

1. P.S.

არა! არა მშურს, –
არასოდეს,
ვფიცავ... საერთოდ,
სიმდიდრე – სხვისი,
ცოდნა – სხვისი,
და... სილმაზე...
არა! არა მშურს, –
არასოდეს,
ვფიცავ... საერთოდ,
ზევსობა – სხვისი,
პყრობა – ტახტის...
და... სიზვიადე...

2. P.S.

მაგრამ... მშურს, ხოლმე,
თუ,
სხვა არის:
ჩემზე უპრალო,
ალალი – უფრო,
წრფელი – უფრო,
უფრო – კეთილი...

ტკივილი...

ეს ტკივილი –
მინისა და...
არი ცის,
დაჭრილ მამულს
რად არავინ
ამთელებს?!.
რალა ვუთხრა?!.
და... რა სიტყვა?!.
არ ვიცი:
სულგაყიდულ,
გულგაყიდულ
ქართველებს?!.

16. IX. 2018

ურეფურება...

ცხოვრება არის –
ზოგჯერ,
ჯიქი და...
ჩვენ უფალს ვგავართ,
ხან კი –
ლონდრესაც...
უბედურება ხდება –
იქიდან:
განებივრებას ვიწყებთ,
როდესაც...

21. IX. 2018

სიმართლე...

სიმართლემ –
ავსულთ,
ყველას უყელა, –
სიმართლე მზეს ჰგავს, –
ცით, რომ
ინათლებს...
სიმართლე:
ვითომბ,
უყვარს სუყველას,
მაგრამ...
რა ცოტას უყვარს –
სიმართლე?!.
22. IX. 2018

ნეტავ!!!..

ქართველობის სახეს –
რომეო ფირცხელანს
ქარ-ცეცხლს რომ
უშვერ –



մաց, ցոլուս ցուցարև, պատճա-արպոտնոտ մինա րոթ – կոչուս, մեռլող, – վարտաշը գաղցին, – զոյուշազ, մաց, ցոլուս դա... մաց, ցոլուս կոչուլուս...	տպագու, – մուշեցո, րոմ: ար զար – մարտալու, հիշ տավս – մյու, – տպոտոն, ջազայրազ – չափարիշ...	ՀՀ – պատճաշը գա... սահմանայ...
P.S. Ռամազեն – ցուլմա դա սկամմա պայլա, – սոթմարմուց – մեռլող, տացու նրբս շուլուս... ենթազ, – Շեմսազուտ, Ֆյոնդես, – Սպայզելաս: սայարտաշը լուստրուս դամնարո – ցուլո!!!!..	23. IX. 2018	միննություն եղլո պաս նայուլուս, – միննության նշանային արու – ար-սրայլո... րա – շախլաշը դա... սասնայուլուս: որցովով, – կոմանուս, սանցուս-սասրայլո?!!..
1. I. 2019	գայթականություն – գայթականություն...	2. IX. 2018
սահմանաշը... գարուն...	ժյումարության եան, արուս – մապրու, մագրամ... սօնքմեյա, – ծցերապ կո – տոտո... մոտեսարուտ: մարմարության վու գաթրություն յացու?!! – գասաթականություն, ռությունսապ, – տպոտոն?!!..	առարանքա... ծրագրենեսո ծրագրենես սուբյուս – մարագուս մարտալս, յև սուբյուս գաելացու, զուտար – շուլուս սոնքնուս սաարո... ագամիանո – սակայտար տացս, ռության զեր մարտացս, արարանձա արուս ոցո, ածա, րա արո?!!..
23. IX. 2018	շախլաշը – լություն...	9. IX. 2018
13. IX. 2018	իզեն էարլամենքարություն տպ, – մարտլա, ցուպարս: մամուլուց, եալենուց, լությունուս, – մատո, րագ ար զարտ մություն?!. եոմ, մողանոնս – ուություն?.. եոմ, ցուպարս – ուություն?.. մամեն, – հիզեն, տպոտոն, րագ ար զարտ – ուություն?!!..	ալունք... ասյու արուս: թողան – արուս դա... թողան – մրճամսուց, – սուլ, ար անալություն: յեպինուս, եալենու – նյուուց դա... ռություն – ուունք, սաերացո մուցացու դա... ուունք,
մյու, – տպոտոն...	5. X. 2018	





ნინ – წასვი,
სატანავ,
შენი –
მეგობარი გახდება, –
იგი...
13. VII. 2018

შესაფლავე...

სიყვარულია, სადაც,
სხივი –
სიცოცხლის, –
იქ დის,
როცა, –
სიკვდილზეც,
უკვდავებას დგამენ –
ძეგლებად...
გალაპტიონის მესაფლავე
დასცინის –
სიკვდილს,
რადგან –
სიცოცხლე, –
სიყვარულით,
ისევ,
გრძელდება...

12. VI. 2018

სიჭუპა ფა...
საქმე...
სიკეთისათვის –
სიტყვის ქარით,
ვინ –
წამწამს არ ხრის,
და... როდი ცდილობს
მზით შეცვალოს –
დღეები
თალხი?!.
ვინ –
ვინ არ იბრძვის
დევიზით და
სლოგანით
ხალხის,
მაგრამ... საქმით კი, –
თქვით,
ვის ახსოებს:
ქვეყანაც,
ხალხიც?!.
5. VIII. 2009



ხომ ვიწით, –
ყველამ?..
ხომ ვიცით, –
ყველამ:
ვის – ყრუ-მუნჯი
და...
ვის – ბრმა უნდა?..
სავსეა მიწა:
სისხლისა და
ცრემლის
რუებით...
ხომ ვიცით, –
მისხლით,
მუშტის ქვეყნებს
ვისაც,
რა უნდა?..
უფლის წყალობით, –
არც –
ბრმები ვართ...
და...
არც –
ყრუები...

29. III. 2018

მოწის მტერი...

რაიც ხდება –
მზის ქვეშ,
ახლა,
რატომ გვიკვირს?!..
და... თვალები
რატომა გვაქვს –
ახვეული?!.
მოდის მტერი –
ფულითა და...
ნარკოტიკით, –
მამალმერთის
სამოსელში
გახვეული...

31. III. 2018

ვფირვ...
რად უნდა:
ბრძენი, –
მისანი,
მოგვი?!. –
ამ მიწას ვფიცავ
და... ზეცის –
ამ ჭერს,
სიცოცხლეს ზოგის
და... ყოფნას – ზოგის,

სჯობს –
სიკვდილი და
არყოფნა, –
ასჯერ...

15. V. 2018

როდესავ, –
აზრმარ ფაკარგა
აზრი?!.

ვეღარ გაარჩევ –
შინაურს,
ხიზანს...
დახლად ქცეულა
პლანეტა, –
ბაზრის...
და... აზრი
როგორ მიაღწევა
მიზანს?! –
როდესაც, –
აზრმაც დაკარგა
აზრი?!.

24. III. 2018

ყველამ იწოდეს!!!..

ყველამ იცოდეს, –
ვინაც მისდევს:
მინყივ,
ღვთის ნებას,
ვერ-რით აიტანს –
მონობას და...
მამულს
გათელილს...
ვინც ჰყიდის:
ნამუსს,
გულის მზეს და...
სულის –
ღირსებას, –
მხვეჭელს,
ქურდს,
ყაჩალს,
არასოდეს ჰქეია –
ქართველი...

22. VII. 2018

გულანთებული
ქართველი
მიუვარს...
მინდა, რომ
რწმენით ვძერწავდეთ –

მერმისს, –
ერთი რომ გვქონდეს –
საქმეც და
სიტყვაც...
გულჩამქრალ ქართველს
ვერ ვიტან, –
ვერვის,
გულანთებული
ქართველი
მიყვარს...

17. VIII. 2018

წხოვრების
წირკი...

რად ვერ ვისწავლეთ
გზა –
სიცოცხლის?!..
და... დროის
ზოგვის?!..
რად ველარ მოვრჩით –
უკუღმართი ცხოვრების
აღმართს?!..
საქმეს –
უკუღმა
და... უგულოდ
აკეთებს, –
ზოგი,
ლაპარაკით კი –
კორიანტელს აყენებს, –
წალმა...

16. VI. 2018

ლმერთის,
რომ იყო...

შურის და...
შხამის
იდებენ ალთა,
თუ, –
არ სურთ –
ხვითო
არ არის
ხვითო...
ლმერთიც,
რომ იყო, –
წინაშე თვალთა,
გხედავენ, მაგრამ...
არა ხარ, –
ვითომ?!

15. IV. 2018

ფა...
მზე და... წყვდიადი
არ არსებობს, –
აროდეს,
ერთად...
ხან, –
წალმა ბრუნავს,
ხან, –
უკუღმა,
ცხოვრების –
ჩარხი...
სადაც ხარ,
თუ, ხარ,
დაე, სწამდე –
მიწიერ
ლმერთად,
და...
წახვალ, სადაც, –
მონატრება მოგდევდეს
ხალხის...

19. VII. 2018

ფიქრი ფა...
საქმე...

ზოგი –
მომავალს, –
შეცდომებით,
თვითონვე, იქრობს,
ბოლოს, –
თავს –
დიდი სინანულით,
სიმწარით,
აქნევს...
უნინ – აკეთებს საქმეს, –
ზოგი...
და... მერე –
ფიქრობს...
როცა –
ფიქრია, უნინარეს...
და... მერე –
საქმე...

24. VII. 2018

უმჭრესი...
მოვა სიმართლით –
დროის
კარეტა,
რამდენჯერ იყოს
მუხა –
ნამუშლი?!

ვინც იმართება
აზრით, –
გარედან,
არის –
უმტრესი, –
ქვეყნის,
მამულის...

7. VI. 2018

სიღიაფე...

თან გავყვებით –
ყველა,
დროის ზღვის თქეშს,
წუთისოფლის
გრიგალთა და...
ქართა...
არა არის –
სიდიადე, –
მზის ქვეშ,
სიყვარულის
და... სიკეთის
გარდა...

14. VII. 2018

შოვრალს, ხომ,
ზოგი რამ,
ეპატიეტა?..

ფიქრების ზღვაში
მედება ალი,
მთვრალი
ამ განცდას
შევკრავ ტივეპად...
მე –
სიყვარულის
ღვინით ვარ მთვრალი,
მთვრალს, ხომ,
ზოგი რამ,
ეპატიეტა?..

16. VIII. 2018

მითხარით, –

რაჭომ?!

ვერ გავერკვიე, –
ვერაფრით,
ჯერაც,
ვაფეთქებ გულში –





ჩემს ფიქრთა
ატომს...
სიძულვილისთვის –
სასჯელი
მჯერა,
სიყვარულისთვის –
მითხარით, –
რატომ?!...

27. VII. 2018

პოეტი...

ავტოპორტრეტი

გალობდა, –
დარად ბულბულთა...
და... ჯადოსნურთა,
ებანთა...*
მაგრამ... ვინ იყო –
გამგები?!..
ტახტზე –
დრო იჯდა
ვნებადა...

P.S.

სურდა:
საუფლო,
საქვეყნო –
სიბრძნის
საუნჯე
ებადა...
წიგნზე... კალამზე –
ება... და...
შინ –

არაფერი
ებადა...

1. IX. 2018

*(რუსთ. 1122,3) ებანი, – XII ს-ის სიმები-
ანი, მუსიკალური ინსტრუმენტი.

სულ, მალოა! –
მზემფე,
სიჭყვის ალმო.

სულ, მალლა! –
მზემდე,
სიტყვის ალმო,
ხალხთა ტყივილი,
რადგან მარგუნე...
სიტყვა –
თუ,
ვერ ვთქვი:
გულთა მალამოდ,
თვითონ –
დავწვავ და...
გავანადგურებ!!!...*

10. III. 2019

* მსოფლიოში ცნობილმა, ფალკეულმა
მწერლებმა, ზოგი, – თავისი, ნანარმოე-
ბები, თვითონვე, გაანადგურეს.

არარაონგას
გავექნე მინდა...

ვადიდე,
ვლოცე:
მზე –
ნათლის მჩენი,
სიმართლეს,
სიბრძნეს დავტოვებ –
მინდად...
წამია, რადგან, –
სიცოცხლე ჩვენი,
არარაობას
გავექცე –
მინდა...

23. IV. 2019

ზენარს შევთხოვ...

რომ მოვიაროთ
დედამიწა, –
კიდითი კიდე,
სასწორი მივცეთ –
ავ-კარგისა:
ცა-მიწის მკვიდრებს,
ადამის ძენი,
თუ, არიან,
მზეგულნი, – კიდევ,
ზენარს შევთხოვ:
ვინც –
რას ვთესავთ,
იმასვე ვმკიდეთ...

24. III. 2019



სერგო ასლანიშვილი



ვენერა ფეიქრიშვილი

მხატვარი ვანო გოცირიძე





მხატვარი სოფიო ჭელიძე

მოდა. მერე ისევ ზევით ადიოდა და კიბეზე ჯდებოდა. შიგადაშიგ დგებოდა, სართულებს შორის იყურებოდა — ხან ზევით, ხან ქვევით...

ოფელია ლიფტიდან დინჯი ნაბიჯით გამოვიდა. შვიდი საათი ხდებოდა. პირდაპირ კართან მივიდა და ჩანთაში გასაღებს დაუწყო ძებნა. ელენე წამოდგა კალმა ჩალუნული თავი მისკენ სანახვროდ მია-

ბრუნა და მჭახე ხმით ამოთქვა:

- აჲ, მოხვედე?!
- კი, მოვედი.
- რომელზე დაგიმთავრდა?
- თორმეტზე...

ქალს მეტი აღარაფერი უკითხავს, კარი გააღდა და უეცრად ანკრიალებულ ტელეფონისკენ გაემარ-

თა. ელენე შებოჭილი მიჰყვა მის კვალს.

— ალო! ჰო, რა ვიცი. ახლა შემოვედი. ერთი საათი ველოდე ტრანსპორტს... არა, გენაცვალე, ტაქსების ფული სად მაქვს, აგერ წამალი დამიმთავრდა და ჯერ ვერ მიყიდია...

ელენემ საფულიდან ერთადერთი ათლარიანი ამოილო, საუბრის დასრულებას დაელოდა და ნათე-სავს გაუწოდა:

— ოფელია მამიდა, ხვალ წამალი იყიდეთ.

— რად მინდა გოგო! განა მართლა არ მა-ქვა! მომთხოვდა და იმიტომ ვუთხარი ასე! ჰო, კიდევ იცოდე, პარასკევს სოფელში ვაპირებ წასვლას!

ელენე ელდანაკრავით გაშეშდა. ოფე-ლიამ კი ტელევიზორი ჩართო, სტუმარს ზუ-რგი შეაქცია, ეკრანს მიაჩერდა და „პასიანის“ ყურებით გაერთო. მერე „მერვეკლასელის“ აპყვა და პროგრამის დასრულებამდე კარგად იმხიარულა...

პარასკევ დღეს, ელენე თავისი ბარგით წავიდა უნივერსიტეტში.

— სად ცხოვრობ? — შეეკითხა თანაკუ-ურსელი.

— მამაჩემის ბიძაშვილთან ვრჩებოდი დროებით, მაგრამ... დღეიდან უკვე აღარ ვიცი რას ვიზამ.

— წამოდი, ამალამ ახლობლის ბინაში წაგიყვან...

ელენე და ნესტანი დიდი დილომისკენ მი-მავალ ავტობუსში რომ ავიდნენ უკვე ბენდე-ბოდა. მანამდე სოლოლაკში წავიდნენ, მწერ-ალთა სახლში, ნესტანის ახლობელს ბაბუს ბინის გასაღები გამოართვეს. უბანში დენი დახვდათ გათიშვლი. გზად, თურქულ პურის საცხობში მოგრძო, წვრილი პური იყიდეს და შუაზე გაიყვეს. სადარბაზოში უკუნი სიბნელე სუფევდა. ზურგს უკან რკინის კარი ხმაურით დაიკეტა. ნესტანმა ფარდა გადასწია. მეტი გზა არ იყო, გამოვლილი მანქანების ფარების სინათლით უნდა ესარგებლათ. მორჩენილი

პური შეჭამეს და ტანსაცმლიანად მიწვნენ იქვე, სა-ვარძელზე...

დილაუთენია თანაკურსელის ხმამ გამოაღვი-ძა. მიწებებული ქუთუთოები ძლივს დააცილა ერთ-მანეთს.

— ავდგეთ! სადაცაა სახლის პატრონი მოვა, გასვლა უნდა მოვასწროთ.

საჩქაროდ ჩაღეჭეს სამზარეულოში წაპოვნი ხმელი პურის ნაჭრები იქვე, მაგიდაზე მდგარ კეტ-ჩუპში რომ ამოავლეს და ასე მოუწესრიგებლები შეერივნენ დილის სუსხით გაუცხოებულ სამყაროს.

ელენე, ჩანთით ხელში და გულთან დაგროვილი დარდის სიმძიმით მისდევდა სწრაფი წაბიჯით მიმა-ვალ მეგობარს...



ქამბა გაიყოლოა ფანტელერდა,
 გვლიოს ფრიალი და ურუქნტელი...
 ჩქმად გამტეპრა სიყვარული,
 ჩიტრზა, მოლიხუერი ჰუანტებით...
 ამა, დამიმტმდა ნორიკერი,
 ზერაც ხელისგულით ვერ ვეხერი...
 საჭალარ გრიალუერუნ საზეემოდ,
 ქოფორბის მხიარული ქვემეხერი...

ქ. კოზმიანიშვილი



* * *

აპა, დავდინჯდით...
დაგვაღინჯა ცხოვრებამ კარგო...
დროა ისეთი, ვინ შეგარჩენს ცაში ბოდიალს?..
არაფერია დაკარგული სულისთვის სარგო,
მეტი ფასი აქვს სამწუხაროდ, ბრიყვს და ცოდვიანს...
აპა, დავდინჯდით...
გადავყარეთ ფრთები, ფერადი...
სიზმრის რაინდიც რომ გვეწვიოს, დავრჩებით ნაცრად.
ოდესლაც გვნამდა თვალსაწიერს გადავსერავდით,
ახლა მზურები იცნებიდან შემოგვრჩა არცრა...
პოეზიაა
ერთადერთი სალბუნი დღეთა,
დროა ისეთი, ყველაფერი არივ-დარია...
სასაცილოა, დღემდე ზავი ვერ დავდეთ ბეჭთან,
ისე დავითინჯდით, ვირც გავმალეთ ფრთები, მარიამ.

სინათლე

ჩეტა ისე გყვარებოდი,
ჩვენი ამბავი ზღაპრულ ამბად დარჩენილიყო...
ჩემი სამოცი გაზაფხულის ნაცვლად
მხოლოდ ოცი გაზაფხული ყოფილიყო
და ისიც უსაოცრესი...
ნეტა ჩვენს დღეებს
ეპურბურათ კოცონბძივით,
მზესავით ებრიალათ,
წყაროსავით ელიკლიკათ...
ჩვენს გზასავალზე სიხარული ენძელებად ამოსულიყო...
ნეტა ისე ძალიან გყვარებოდი,
საგულდაგულოდ დამალული ფრთები
ყველა სულიერს დაენახა
და გაკვირვებოდა...
ატმის ყვავილების კაბით მეფრიალა,
თოთო ბალახების პუანტებით,
შენს მხარქვეშ შეყუულს
სამყარო დამეჩიმებინა...





ბედნიერება პეშვებით დამერიგებინა მარტოსულთა დასაპურებლად...

.....
 ნეტა ერთმანეთი ისე გვყვარებოდა,
 ლერწმის ფარატინა ქოხი,
 „ცულის ტარზე დატეულებს“,
 დედამიწიდან
 სიძულვილი
 ამოგვეძირკვა.

* * *

ისევ ავად ვარ
 და ძველებურად
 უკვე აპრილიც
 აღარ მახარებს...
 მდუმარედ ვუმზერ
 ჩემს გზასავალზე
 წლების ნამზითვარ
 დარდის ბარხანებს...
 ისევ ავად ვარ,
 ამ გაზაფხულმა
 დამიპყრო
 ყველა სენით
 და სევდით...

.....
 გნახე სიზმარში, –
 ვიდექით ქარში
 და უშენ-ჩემო
 აპრილებს ვხევდით.


* * *

აპა, ჩაიქროლა სიჭაბუკემ
 დროის ჩქაროსნული მატარებლით...
 ალბათ შენ ვერასდროს მიხვდებოდი,
 მე თუ გონარეულს მატარებდი...
 ალბათ გახსენდება სეზონ-სეზონ,
 ჩვენი უცნაური შეხვედრები...
 აღარ დავფრიალებ ქარის ფრთებით,
 აღარც ძველებურად მზეს ვედრები...
 უამმა გაიყოლა ფანტელებად,
 გულის ფრიალი და ურუანტელი...
 ჩუმად გამეპარა სიყვარული,
 ციცქანა, მოლისფერი პუანტებით...
 აპა, დამიმძიმდა ნაბიჯები,
 ზეცას ხელისგულით ვერ ვეხები...
 სადღაც გრიალებენ საზეიმოდ,
 ტრფობის მხიარული ქვემეხები...
 როგორ ჩაგვიქროლა სიჭაბუკემ...
 დროის ჩქაროსნული მატარებლით...
 გმადლობ, იმ ლამაზი დღეებისთვის,
 შენ რომ გონარეულს მატარებდი.



ჩემი მეგობრის ქამა

ჩემი მეგობრის მამას ღვინო უყვარდა...
მემთვრალე იყო, მთვარეს ადევნებული...
დალევდა და ცოლშვილს აწიკებდა...
დალევდა და სახლში ცეცხლის ენებს გველებით უშვებდა...
ჩემი მეგობრის მამა მაღალი და სიმპატიური იყო...
მეგობრების სული და გული...
სუფრების ენაკვიმატი თამადა...
დალევდა და ლექსებს კითხულობდა...
დალევდა და ჩემს მეგობარს აიძულებდა წიგნების
ხმიმაღლა კითხვას...
თვლემდა და უსმენდა... თვლემდა და უსმენდა...
შუაღამებდე...
მზის ამოსვლამდეც....
ჩემი მეგობრის მამა ომის შვილი იყო...
მეორე მსოფლიო ომის...
დათვრებოდა და უდედმამო ბავშვობა ახსენდებოდა...
დაჯდებოდა და ტიროდა...
გვერდით მოგვისხამდა და გვიყვებოდა,
როგორ ჭამდნენ თავშესაფარს მიკედლებულნი
უმ, დასრუსილ ჭინჭარს...
როგორ დატანტალებდნენ მშიერნი და შიშველნი...
ჩემი მეგობრის მთვრალი მამის
მეგობრის მეგობრებსაც გვეშინოდა...
დავინახავდით და შიშის მარწუხებში ვიბლანდებოდით...
წნორის ლერივით ათრთოლებულ მეგობარს
წრეს შემოვარტყამდით და ვმალავდით....
ჩემი მეგობარი ჩუმი იყო და სევდიანი....
სიცილის დროსაც კი შიში ედგა თვალებში...
ვთამაშობდით და უცაბედად გაფითრდებოდა...
სხეული ზამპარასავით ეკუმშებოდა და ფეხათრეული
შინისაკენ მიიღანდებოდა...
სახლში ჯოჯოხეთი უტრიალებდა...
სახლში ნაცემი დედა ხვდებოდა...
ატირებული და-ძმა...
ჩემი მეგობარი კოშმარში ცხოვრობდა...
ცრემლით იყო დაკემსილი მისი ბავშვობა...
მოგვიანებით, როცა აღარც დედა ჰყავდა
და აღარც მამა,
იხსენებდა ერთადერთ სანუკვარ დღეს,
ერთადერთ ბედნიერებას,
როცა შემთხვევით ფხიზელმა მამამ
გვირილების გვირგვინი საკუთარი ხელით დაუწნა და
ჩემი პრინცესა ხარო, ამ სიტყვებით
ულამაზეს, ნაბლისფერთმიან თავზე დაადგა....
ჩემს მეგობარს ტკივილიანი ბავშვობა ჰქონდა....
მამის ხელებით დანგრეული ბავშვობა.



Եմյօնս

ବ୍ୟାକ
ମତାନାମବୋଲି
ଜୀ
ପ୍ରାଣତାଳି

74



የሚከተሉት ሰነድ የሚከተሉት ሰነድ በመሆኑ እንደሆነ የሚከተሉት ሰነድ የሚከተሉት ሰነድ በመሆኑ እንደሆነ

ପ୍ରକାଶକ ହାତିଲି

ციკლიდან: „იას უთხარით ტურნეასა...“

ვაჟა-ფშაველასა და კეკეს (ეკატერინეს) სიყვარულის ისტორია

ვაჟა იოთარაშვილი

|

* * *

იას ჩემსავით ვინ ეტყვის
რა ტურთაა და ნაზია...
ამ დუნიაზე ის ერთი -
რა ევროპა და აზია...
მის სილამაზე შევხარი,
მის კულულათა მდელოსა...
ვისაც ვეძებდი, შენ ხარო -
ყაყაჩოს კაბა ემოსა...
მან გამიჩინა ხანძარი,
ბატონს მოვტაცე თვალწინა...
ზამთარი გამიპატარძლა,
მარტოსულ გამარწივა...

შენს ლიმილს ხატავს ჩარგლის მზე,
წიმის ნაზრობს, უმინ-მანდო.

କରୁଗ୍ରେଣ୍ଟ୍ ପାର୍... ମିନିଲାଇପ୍‌ଫଲ୍‌... ନେତ୍ରିକ୍‌ର୍‌...
ପ୍ରଶ୍ନକଣିତ ଗୁଣୀ ଶ୍ରେଷ୍ଠିତ ପ୍ରକାର୍...
ରାଯିଳ କ୍ରୂର୍ଗ୍ରେଣ୍ଟ୍ ନେତ୍ରିକ୍‌ ଲୋନ୍‌ହିନ୍-ଲୋନ୍‌ହିନ୍ତ,
ହିନ୍‌ବିଳ ପ୍ରକାର ଆସୁଥିବା ନିର୍ଦ୍ଦେଶର୍...
କରୁଗ୍ରେଣ୍ଟ୍ ପାର୍... ମିନିଲାଇପ୍‌ଫଲ୍‌... ନେତ୍ରିକ୍‌ର୍...
ପ୍ରଶ୍ନକଣିତ ଗୁଣୀ ଶ୍ରେଷ୍ଠିତ ପ୍ରକାର୍...
ରାଯିଳ କ୍ରୂର୍ଗ୍ରେଣ୍ଟ୍ ନେତ୍ରିକ୍‌ ଲୋନ୍‌ହିନ୍-ଲୋନ୍‌ହିନ୍ତ,
ହିନ୍‌ବିଳ ପ୍ରକାର ଆସୁଥିବା ନିର୍ଦ୍ଦେଶର୍...

3. നാടനാട്ടുള്ള

ଗ୍ରାମଶିଳ୍ପୀ ଦୁଇଲ୍ଲିକ ଅଳ୍ପତର ଉଚ୍ଚର,
ଶବ୍ଦଲୋକମିଶ ଏନ୍ତର୍ମ କୁଳଭୂଷଣକ, କୁର୍ରାରୀଙ୍କ ନିଶ୍ଚି...
ତାଙ୍କୁମିଳି ହିଥି ମନୋବ୍ୟୁଜ ଉଚ୍ଚର,
ଦ୍ୱାରାନ୍ତର୍ମ ଫକ୍ତକୁବ୍ଲିକ ନିଶ୍ଚିରିତିରି...

ე. კვანტიკლიანი

ვზივარ დევების ნადიმზე –
დარდით დაჭრილი არწივი...
სამშობლოს გულში გვიკლავენ,
სათელად ხდიან ღორისა...
ჯაჭვის პერანგში თრთის მკლავი
იღერილთა გორისა...

IV
* * *
ვარდიც შენა ხარ, იაცა,
დარდიც და მლერაც სულისა...
კეცეო, რად გაიოცე?
ნეტა რამ გაგაგულისა?
სანადიროდ ვარ... ყვარლის მზეს
ამხობს ხმაური ხირიმის,
შენი ცრემლები გავრითმე,
ეკაო, შენი ჭირიმე!
სულ შენ მიყვარდი, მიყვარხარ...
და მეყვარები მარადის!
ნუთისოფელი მიყავს ხარს –
მიწიდან ზეპის კარამითის...

Վ
* * *
արագցնե տղորո յազոլո
շեմս յըլնե ովրո մյշիա...
ազդցիքո, ազուզն-ինցուզլո...
տալամո և սուլ շեմո ծյշիա...
մոմացոնցըս շեխցեցրա,
մալարոկարու ճյշեանո...
առաջ ահեարու միհեառա.

ჩემი ჩხუბი და მუქარა...
უშენოდ ველარ ვისვენებ,
ტყე-ლრეში დავდევ ნადირსა...
ღანცს კანრავს ცრემლის სისველე,
შენთანამც წოლა მალირსა...

უშენოდ უდაბურია...
სიზმარში, შენი ხატება,
მზე გადაყრილი ავლრისა...
ცხადში, ნალველის მატება –
დროზე ვერ შეგხვდი დარდისავ...

VI

* * *

გულზე ჯავრის მაჯლაჯუნა მაწევს,
ნეტა ხომ არ დაგავიწყდი ქალავ...
ქარი ღრუბლით მთვარეს გააყანებს...
არაგვს დავლევ, მოვიქრიბო ძალა...
მთასაც სძინავს, ვარსკვლავებიც სდუმან...
ყურში მესმის: „როგორი ხარ ვაჟა?...“
გაილია ღამე ვით ცხვრის დუმა
და ჩარგალში უკვე ირიურაჟა...“

X

* * *

დაგლალე ეკა, ჩემი ჯავრებით
და უხიაგი ზოგჯერ ბუხუნით...
ჩარგლის თავს სხედან ნისლის მგზავრები
თუ თვალზე მაწევს სიზმრის უკუნი...
მიყვარხარ – გეტყვი ათიათასჯერ
და დაგიოცნი თვალებს ნამიანს...
გძინავს... გეხები ფრთხილად მაჯაზე –
რომ ფეთქავს ჩემი გულის ჩქამია...
შენ გენაცვალოს ვაჟა-ფშაველა,
ჩემო ცოლო და ჩემო იმედო...
მე, პოეტი ვარ... დავალ მთა-ველად,
რომ საქართველოს მოვედ-მივედო...

VII

* * *

შენ რომ ჩარგალში აგიყვან
თეთრონის ფლოქვის ცემითა...
მეტყვი: აქამდინ სად იყავ?...
ვარსკვლავს მოგიწყვეტ ცერითა...
ჩემს მკლავზე ჩაგეძინება...
ჩაგეხუტები მეცაო...
ციცინათელას მძივებით,
არაგვს მოურთავს ზეცაო.

XI

* * *

შენ მედარდები... უშენობა მწვავს და მაშტოთებს,
ამილახვართა კარ-მიდამოს ვზვერავ ნიადაგ...
უამი კი მიდის... და დლეები ჰეგავს ეშაფოტებს,
მე ოცნებების დასახსნელად კიბეს მივადგამ...
ჩარგალს კი სძინავს... განაბულა თითქოს

არაგვიც...

დღეს გადაწყვიტე მოგიტაცო ბატონის ჩუმად...
რაზიკანთა ბუმბერაზის ტრფობის არაკი,
უძოს მთის თავზე ამოსულმა მზემ მიჩურჩულა...

VIII

* * *

ჩარგალს ისევ უშენობა ათოვს,
მე კი ჯიხვებს ჭიუხებში დავდევ...
მწვერვალიდან ნისლი რძისფერ ქათიბს
ჭრელ ხურჯინით აუყვება ცამდე...
ნეტა ნიავს ჩემი ფიქრი მოაქვს?
თუ ჩარგალი და ჩარგლურა მნატრობს...
თითქოს აქ ხარ, მოეფარე გორავს,
უერთდები ოცნებების ტატნობს...
ვიცი მაგ გულს ჩემი კვნესა ესმის
და ერთ აკორდს იღებს ორი გული...
ხედავ?... ცრემლით იბადება ლექსიც –
მონატრების ცეცხლის თაიგული...

XII

* * *

„მიყვარხარ“... სიტყვა არ კმარა,
ისე ძალიან მაკლიხარ...
შენ მნათობი ხარ თაკარა –
ჩუქურთმად სხივი დაგრიხა...
მე სანადიროდ არ მივალ,
რისი ჯიხვი და არჩვები...
მოგვდევდეს მგლების არმია,
ჩვენ მაინც ერთად დავრჩებით!...

IX

* * *

რა დროს ვერ შეგხვდი დარდისავ,
ნამიღო უამთა დინებამ...
თმა-წვერს თოვლ ჩამობარდნისა...
ბუნებამ ასე ინება...
შემხვდი და გულში ჩასახლდი,
სულს შენთან ყოფნა სწყურია...
როგორც მიდამო ნასაყდრი,

XIII

ღამის მზე...

არაგვზე ვარ... მოიღრუბლა... იწვიმებს...
უშენობით გული სევდით ივსება...
რიყის ქვებზე წვიმას ლინინ-ლინინით,
ჩოხის კალთა აუკეცეს ნისლებმა...
ნეტა შენთან შვიდი შვილი მყოლოდა
და შვიდივე როგორც ლომის ბოკვერი...

75



ოლქა, №2, 2019



ქრისტეს ლაშქრის მეომარნი მხოლოდა,
თორემ გვიტევს მტერი ტიალ-ოხერი...
ჩარგალს შენი მონატრება აფხიზლებს

და არაყი სულს უმწარებს ფიალას...
ლექსი არის ვაჟასათვის ღამის მზე
და სამყარო პოეზიით ტრიალებს...

ეკა პვანტალიანი

I

* * *



76
არეულია სამყარო,
ველარ გავუგეთ ავ-კარგი...
ან ველარავინ გაგვყაროს,
კმარა რაც წლები დავკარგეთ...
ფარს ხმალი უნდა შემოვკრათ,
უშენოდ რა მიხარია...
თვალს სიზმარშიაც შენ მოგვრავ,
ბრძოლობ, თან მეტყვი: ხარ ია....
თუ ტურფა იას მამსგავსე,
ნულარ მიმტებ მთით ბარსა...
წვიმა ცრემლებით ამავსებს –
მოვა და გადამთიბავსა...

II

* * *

ლექსებით გავიკენწლავეთ,
რითმა შენათრთოლები...
ტრფობისა ცეცხლით მეც მწვავენ
მზისებრ ეგ შენი თოლები...
ზოგის გულს ადგას ნათელი,
ზოგის ყორნისფრად შავია...
პატარძალი ვარ ქართლელი
და მელოდება ფშავია...
შემოუძახებს მალიმალ
ჯიხვს მონადირის თოფია...
ნუ შფოთავ, არსად არ მიგალ –
შენ გეტრფის ლექსის სტროფია!...

III

* * *

მოსალამოვდა... ნაცრისფრად
გადაითერა ცარგვალი...
შორს გატყორცნილი ცას ისრად –
მთვარეა ნამგლის მაგვარი...
ახლაც შენს თვალებს ვიგონებ,
ტრფობისთვის სიტყვა არ მყოფნის...
უნდა მოვიგოთ დიდგორი!...
უნდა მოვიგოთ მარტყოფი!...

IV

* * *

მხარზე თმა ჩამომეშალა,
ზედ ყვავილები მანდილად
თითქოს მეზვევა მე შალად,
მთაში ვერ გიშვებ ადვილად...
ტრფობამ გაავლო კვალია
ვერ შეეხება ჭირია...
გულ იწვის როგორც კვარია,
გულს წამალივით სჭირია
შენი ნახვა და ალერსი...
დარდია მიჯნურთ ზვარაკი...
ხმალი კლდის ქიმზე ნალესი,
ვეფხის და მოყმის არაკი...

V

* * *

მთიდან არ წავალ არსადა,
ვწერე ლექსები ძმობაზე...
ხეესურთა სტუმრობასა და
მთიელთა მასპინძლობაზე...
სიტყვა ვაწვალო რაღაზე,
ლექსად ვარჩიე მოყოლა,
ნისლში გამოკრთის აღაზა...
ნადირს ჩამაქნის ჯოყოლა...
ძმობილი გაუჩინია,
მხარს ედგა ზვიადური...
ეტყვის ერთობა ჩვენია,
რას გვარებს აურზაური...
გამომელვიძა... გინატრე...
სიზმრად მოგდევდი კვალშია...
შატიოლს რიურაჟი იმატებს,
სატრფო სატრფოსთან ვალშია...

VI

* * *

მწვერვალებმა დილა აირეკლა,
თითქოს სხივით შემოალებს მზე კარს...
ან, ვერავინ მომაკარებს ეკალს!
განთიადზე წირვის ზარი რეკავს...
ნათალ ქვებში საყდრის ეზოს ბურუსას,
მიმოფანტავს ნელი სიო სისხამ...
მონატრებით მთებიმც დაბუროს,
ჯიხვის ყანწში ცოტა არაყს ისხამ...
პირჯვარს იწერ... აიკეცე ჩოხა,
ფაფახიდან წარბის მშვილდი შეჰკარ...
გული მტკიცა მოშორებით რომ ხარ,
თუმც უსიტყვოდ გიგებს შენი ეკა...



* * *

მრჩობლ უკან გამოგედევნე,
ღამეს მთა თოლებს უხრისა...
გზად მოგვდევს ღრუბლის გედები,
გაეპენენ ტოტებს მუხისას...
მთვარემ მზეს უთხრა სიანცით,
შენ ამოდიო... მე ჩავქრი...
მთის ლომს მოგყვები დიაცი,
მახურავს ტრფობის ლეჩაქი...

* * *

ისევ დარდით დაიბურა დღე და
კლდის ნაპრალში ეძებ ნიამორებს...
მიყვარხარო... ფიქრით შემომშედავ
და ცრემლები ერთვის სევდის მორევს...
გათოშილი ცეცხლის ალთან თბები,
სანთლებს ანთებ კლდესთან, ჯვრების ნიშში...
თითქოს ჩემი მოიხვივ თმები,
გულზე ფაფახს ისე იკრავ ძილში...
გვერდით შენი განუყრელი თოფი,
ნიავს მოაქეს სურნელება წინვის...
მთებს გაუმხელ როგორ გტკივა სტროფი,
როცა გული სიყვარულით იწვის...

* * *

რამ მოგიყვანა აქ პარში,
გულდაკოდილი ლომივით...
თოვლია ალბათ დამქაში –
მთაში ჭიუხვზე რომ ვივლით...
ტყუილად დაშვრა მოშურნე,
ტყუილად გაისარჯვაო...
მე, შენთან გამოვეშურე,
გვერდს დაგიშვენებ ვაჟაო...
ჩვენ სიყვარულმა შეგვმოსა,
სხვას შურმა ჩასცა ლახვარი...
შენ შემოგხარი ჩემს მგოსანს,
მტრად მოგვდევს ამილახვარი...
შემოგეჭდები ცხენზედა,
დამფარავს ნაბდის პირია...
ოთარნთკრში ჩემზედა
დედაბრებივით ტირიან...
გზაზედ შურის ქვა-ლორლია,
ქარი ფეხს იმტვრევს საპყარი...
ტრფობამ ხელები მოგვხვია,
სამთავისს გვლოცავს საყდარი.....

* * *

ჩამოწვა სიცარიელე,
ნისლს ჩამოპყვება ცვარია...

მთა კრთება, როცა იელვებს –
ბალლივით უმეცარია...
ეპე, მთებო!... ჩარგალო!...
გულს ლექსი დაუმარცვლია...
დაგვიჭრეს დანა-ჩანგალით –
მიწას ხელიდან გვაცლიან...
მოძმე გიმეტებს – მტერს ვჩივი?...
თუმცა შენს გვერდით ვლალდები...
ღმერთო შენ გადაგვირჩინე,
ეს მთათა იალალები...

* * *

მთას დაეფინა ღრუბლის ჩრდილები,
როგორც ფოთლები თელის და თუთის...
მე შენს სიყვარულს ვემორჩილები,
გულს მიძვენია ნატვრის ბებუთი...
ისევ შეგხვდები, ისევ გნახავ და...
არწივის მზერით შავ ლვინოს ისხამ...
ანგარიში გაქვს ამილახვართან –
არვის შეარჩენ ჯავრს მისხალ-მისხალ...



* * *

დიაც ვარ თუმც არ მიკვირსა,
მთად ხშირად ავდრის ხმებია...
ია... წითელი კლდის პირსა,
ზოგჯერ უნდობლად ხმებიან...
მთვარე ამოვა... მზე ჩავა...
შენთან რამ დამილამოსა...
ან ვინ დამჯაბნოს ბეჩავად,
ლექსებს მიამბობ ამოსა...
ფიქრი მიპყვება გზაწვრილებს
და შენს ბინასთან მიუხვევს...
კლდეში აქვთ ბინა არწივებს –
ერთად დავლაშერავთ ჭიუხებს...

* * *

მთაზე ავალ, რას მიქვია სერები,
კლდეს დავლაშერავ... გადავილი უფსკრულებს...
ფრენით ვივლი, განა სვენებ-სვენებით,
მონატრების წამი – ვით საუკუნე...
ეგ სახელი მინდა სულ ვიმეორო –
ვაჟავ!... სევდის სათავეა ბორბალო...
დარდები კი მოსჩეფს, როგორც იორი,
ზოგჯერ თერგის ტალლებივით ბორგავენ...
თეთრ გიორგის შევავედრე ფუძეო,
სანთლებს ვანთებ მოწინებით უძოსა...
არ დამტოვოს ღმერთმა შენთან უძეო
და ჩარგალში ერთად დაგვაფუძნოსა...



როლები გიორგაძე

78



მუზეუმის იურიდიკური და მუზეუმური მომსახურების სამსახურის მიერ გამოცემის შესახებ

სამსახურის მიერ გამოცემის შესახებ

— მაგრა, ამ ლეიტენანტის კარგი ნამოღვიყვანა, —
მიმართა მამათილის რძალმა, — ჩვენს შეფიცე გამოჩინ-
და, ჩვენი გულისფრის გზაზ გაიმოწყდა, — მადლიერების
გრძელების ვერ ფართოდა ატერიალურული ირჩე და
მინაურისფრო ფარლების სტუმარის ელგასავით ანთერ-
და. ულალომინის ფარლები კი ხან ჩახსნილ საკინძეს
ელაზრულოდა, ხან ნაზ და ფუმფულა თითქმის.

რ. გიორგაძე

დისო, დისო...

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 2018 წელი,
№1, 2019 წელი.

* * *

ულალომინი ზესტაფონს რომ მიუახლოვდა
მანქანა ხიდთან შეჩერა. სანვაკი საკმაოდ ჰქონდა,
მანქანაც გამართული იყო. ცხინვალში მეგობარ-
თან უნდა ჩასულიყო, რაღაც საქმეზე იბარებდა.
ჭიათურით გადავალ და სამ-ოთხ საათში ცხინვალ-
ში ვიქებიო, გაიფიქრა, მაგრამ მაინც ჭიქმანობ-
და, აქამდე ვარ ჩამოსული, მოდი, ჩემს კეთილისმყ-
ოფელს ვწახავ და მერე გავაგრძელებ გზასი. მანქანა
შემოაბრუნა და სოფლისკენ გაუყვა გზას. თავსხმა
წვიმამ წამოუშინა. წინ ორი მგზავრი შეინშა, ქალი
და კაცი. მიუახლოვდა და მანქანა შეაჩერა. თავიდან
ფეხებამდე გალუმპულიყვნენ და წყალი წურწურით
ჩამოსდიოდათ. გადმოვიდა, უკანა კარი გამოაღო და
ორივენი მანქანაში შეიძატიუა.

— ჩვენ ანი მაინც აღარაფერი გვეშველება, თქვენ
კი მანქანას მოგისპობთ. — იუარა მამაცამა.

— რა დროს ეგ არის, დროზე ჩასხედით, სანამ
წყალს არ წაულისხართ, — უთხრა ულალომინმა.

მანქანაში ჩასხდნენ. ცოტა ხანში ფეხებთან ტბა
დაუდგათ.

— ხომ გითხარი, მოგისპობთ მანქანას.

— მაგაზე არ ინაღვლოთ, მანქანას არაფერი მოუ-
ვა, თქვენ კი მგონი ფილტვების ანთება აგაცილეთ, —
წამოიწყო მხიარულად და შინაურული აგმოსფეროს
შესაქმნელად მოჩვენებითი პათეტიკით დაამატა: —
„ოდეს კაცისა და აქტივოსო...“ — და გალუმპული მგ-
ზავრები სარკეში კიდევ ერთხელ შეათვალიერა. ქალს
სლაური იერი დაპკრავდა, მომხიბელელ პირისახეს
კოხტა, უხილავი ხელმარჯვე ისტატისგან გამოკოპ-
ნიავებული პატარა ყურები უმშვენებდა, რომლებზეც
დავანებულ ისედაც მოციმციმე ბრილიანტის თველებს
წვიმის წვეთები კიდევ უფრო აციაგებდა. ხელჩანთა
გაეხსნა და ცხვირსახოცით ნაზად იწმენდდა სახეს და
თმას. მანქანაში ქალის თმის და სუნამოს გამაბრუე-

ბელი სურნელი დადგა... ულალომინმა ქალს ძლივს
მოსწოვიტა თვალი, მზერა გზაზე გადაიტანა და სიჩ-
ქარეს მოუმატა.

— გივი, სიკეთეს სიკეთით ვუპასუხოთ და ჩვე-
ნი კეთილისმყოფელი სახლში შევიპატიუოთ. — თქვა
ურუანტელის მომგვრული ღულუნა ხმით ქალმა.

წვიმამ თანდათან იქლო, ცაზე ელვა გაიკლაკნა,
რასაც გამაყრუებელი გრუხუნი მოჰყვა და მანქანა
გვარიანად შეზანზარდა.

— რა ძალა აქვს ბუნებას და რამდენად უსუსუ-
რია მის წინაშე ადამიანი. — ჩამოვარდნილი ღუმილის
გასაფანტავად წარმოთქვა გივიმ.

— აბა, აბა, ბუნება მბრძანებელიაო... რა დიდებ-
ულად აქვს ნათქამი ვაჟას. საქართველო არასოდეს
განიცდიდა გენიოსების ნაკლებობას, მაგრამ მათი
ბერის არ ესმოდა. გენიოსების დროს უსნრებენ და
შორს იხედებიან. ხალხი კი ყოველდღიურობითაა და-
კავებული, დღევანდელი დღით ცხოვრება ურჩევნიათ.
აკავის ჭიათურიდან ზესტაფონში შავი ქვის მადანი
უნდა ჩატანა, მაგრამ გლეხებმა ტვირთის გატარე-
ბაზე იმხელა ფული მოსთხოვეს, ამ საქმეზე უარი
თქვა. მგონი სწორადაც მოიქცა, შეიძლება გვყოლო-
და საშუალო დონის ბიზნესმენი, მაგრამ რა პოეტს
დაკარგვადით! მსოფლიო დონის პოეტს, რომელსაც
ნობელის პრემიის კანდიდატობაც კი შესთავაზეს, —
პატარა შეყვინების შემდეგ კი სიცილით დაამატა, —
ცხოვრება ნამეტანი მოსაწყენი იქნებოდა, ყველანი
რომ გენიოსები ვიყოთ. ბიზნესმენობა კი დიდი თავის
ტკივილია.

— მომიტევეთ, საუბარში რომ ვერევი, — განაზე-
ბული ღულუნა ხმით წამოიწყო ქალმა, — თქვენ რა
პროფესიის ბრძანდებით? — ქალს ფიქალივით თეთრ
სახეზე სინითლემ ტალღასავით გადაუარა.

— ბიზნესმენი ვარ, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი
არაფერი გამომდის. ხვალ რა იქნება, არ ვიცი, — ღა-
მილი არ შორდებოდა სახიდან ულალომინმა, — მგონი
დროა, ერთმანეთი გავიცნოთ. ულალომინმა თავისი
სახელი თქვა.

— თავმდაბლობა კეთილშობილების ნიშანია, რო-





მელიც ყველა სამკაულზე მეტად ამკობს ადამიანს. მე ირინე მქვია, – თქვა სახეშეფაკლულმა ქალმა. თან გაიფიქრა, „ნეტავ რა მემართება, რავა პატარა გოგოსავით გაეწითლდიო“. – პროფესიით პედაგოგი ვარ, ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი, ახლა უმუშევარი ვარ. ლიტერატურა ეტყობა თქვენც გიყვართ. საინტერესო ფაქტები მოგვახსენეთ.

– ლიტერატურა ჩემი დიდი გატაცებაა. ამ ბოლო დროს აპარატიმა გამიტაცა, მომწონს მისი თხრობის მანერა და სითამამე.

– ჩემს შესახებ სახლში გიამბობთ. აი, მივუახლოვდით კიდეც, – ჩაერია საუბარში გივი, – ხელმარცხნივ რომ ორსართულანი სახლია, იქ ვცხოვრობთ. დანარჩენი სუფრასთან ვისაუბროთ, უკეთ გავეცნოთ ერთმანეთს. მოგეხსენებათ, ღვინო ყოველგვარ დაძაბულობას ხსნის. აი, მანდ გააჩერეთ, რკინის ჭიშკართან.

გივი მანქანიდან გადავიდა, კარი ფართოდ გააღო და უდალთმიანი ეზოში შეიძატიუა. უდალთმიანმა – მხოლოდ რამდენიმე წუთით შემოვალ, მნიშვნელოვანი საქმე მაქეს მოსაგვარებელიო და მანქანა ეზოში შეიყვანა. გააჩერა, გადმოვიდა, ირინეს სწრაფად გაულო კარი, გადმოსვლაში დაეხმარა, თამამად შეათვალიერა და გახევდა. ქალს სველი კაბა ტანზე შემოტმასნოდა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა გვერდზე რომ გაეხედა. ქალმა კაცის შეცებულება შენიშნა, მკერდზე დაიხედა, სიცივისგან წამობერილ ძუძუს თავებზე ხელი დაითარა და ალელვებულმა წინკარს შეაფარა თავი.

უდალთმიანი მანქანას მიყრდნობოდა. თვალი მოსწყვიტა კოხტად მოვლილმა კარ-მიდამომ. მოზრდილი ეზოს შუაგულში ქოლგასავით გაშლილიყო უზარმაზარი ცაცხვის ხე. მის გარშემო მრგვალი მაგიდა იდგა – ეტყობა, სტუმართმიყვარე ოჯახიაო, გაიფიქრა. ეზო სავსე იყო სხვადასხვა ხეზილით. ჭიშკრიდან ცაცხვის ხემდე მობეტონებული ბილიკის კიდეები თეთრად შეფეთქილი, ირიბად დახსრილი აგურებით იყო მოპირკეთებული. ბილიკის აქეთ-იქით ნაირფერი ყვავილებით შემცული კონდარი ხასხასებდა, ყვავილებზე წვიმის წვეთები ცრუემლებივით ეკიდნენ და მზის ყოველ გამონათებაზე თვალისმიტქრელად ციალებდნენ. შორს, ეზოს ბოლოში, მოკრიახე ქათმებს მამალი დაფოფნიებდა. იქვე გაფხორილი ინდურები ბალას წინკიდნენ და ყოველ გაფაჩუნებაზე უსიამოდ ლოყლოყებდნენ. საიდანლაც პატარა, გრძელებწვიანი ძალი გამოცუნცულდა და ფეხებზე დაყნოსა.

– არ შეეგძინდეს, გაცნობის ერთგვარი რიტუალია. ნეტავ ძალივით ერთგულება ადამიანებსაც შეეძლოთ, – თქვა სამზადისიდან გამოსულმა გივიმ.

ძალი უდალთმიანის ფეხებს მოსწყდა, ეზოს ყეფით შემოურბინა და ენაგადმოგდებული კვლავ მის ფეხებთან დადგა. კუდს აქიცინებდა და თან თვალებში შეჰერებდა, თითქოს მისი აზრების ამოცნობას ცდილობდა.

– ხედავ, გაგიშინაურდა, უკვე თავისიანად გთვლის.

„ვაი, რომ ძალებიც ცდებიან“, – გულში გაივლო უდალთმიანმა.

პარმალზე გამოსულმა ირინე კაცები შინ შეი-

პატიუა. გივიმ ულალთმიანს ხელი ბეჭებზე ახლობელივით მოუთათუნა და სახლში შეუძლვა.

გამორჩეულად დასამახსოვრებელი მასპინძლობა გაუწიეს უდალთმიანს. დიდი ხნის უნახავი მეგობარივით თავს დაფოფნიერებდნენ და ნაირ-ნაირ კერძებს სთავაზინბდნენ. არ მოგერიდოთ, თავი ისე იგრძენით, როგორც საუთარ ოჯახშიო, – უმეორებდნენ ნამდაუწუმ.

უდალთმიანი თავაზიანად იღიმებოდა და ფიქრობდა: „ეს რა კარგი ოჯახი ჰქონია გივის, ტებილად მოუბარი მამა, სათნო და კეთილი დიასახლისი. ნეტავ როგორ მოასწრეს ასეთი სუფრის გაშლა“.

– მამა, ამ ღვთისნიერმა კაცმა წამოგვიყვანა, – მიმართა მამათილს რძალმა, – ჩვენს ბედზე გამოჩნდა, ჩვენი გულისთვის გზაც გაიმრუდა, – მადლიერების გრძნობას ვერ ფარავდა ატკრციალებული ირინე და მონაცრისფრო თვალებს სტუმარს ელვასავით ანათებდა. ულალთმიანის თვალები კი ხან ჩახსნილ საკინძეს ელაციცებოდა, ხან ნაზ და ფუმფულა თითებს.

ცოტა ხნის შემდეგ სტუმარმა ოჯახის წევრებს ბოლიში მოუხადა, უდრობის გამო მეტს ვერ დაყყონდები, აუცილებლად უნდა წავიდეო. არადა, სუფრა და მომხიბელელი დიასახლისი არ ეთმობოდა. დამრიგებლის სიტყვებიც გაახსენდა, – შენ უნიჭო არა ხარ, მაგრამ თუ ემოციებს არ აჰყვები და სიტყვებს გაუფრთხილდები, შეიძლება შენგან კაცი გამოვიდესო.

– სხვა რა გზა გვაქვს, – გაიღიმა გივიმ, – მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კიდევ გვენვევით.

სტუმარიც დაპირიდა, აუცილებლად გეწვევითო. ირინემ მოინყინა, არ ეთმობოდა სტუმარი. მისი წასვლის შემდეგ კი ხმამაღლა განაცხადა:

– როგორი საქმიანი კაცია, ზრდილი და თავაზიანი. რა დახვეწილი მანქები აქვს, მოერიდა და ზედმეტად ალარ შეგვანუხა. ზოგიერთივით მომაბეზრებლად კი არ მოიქცა, სუფრიდან რომ ვერ მოგლეჭ. მასპინძლის ოჯახს კარგა მანძილზე რომ გამორდა, მანქანა გააჩერა. ფიქრობდა, შეევლო თავის დამრიგებლთან, თუ პირდაპირ ცხინვალში გადასულიყო. შინაარსინი, იღბლივი და გამოვიდა. სანმ კარგი კატი მოგდის მანამ უნდა გააგრძელო თამაშიო. ბოლოს მაიც მისვლა გადაწყვიტა, მანქანა მოაბრუნა და დამრიგებლისკენ გასწინა.

კარგად შეხვდა. გამოპკითხა, როგორ მიდის პრატყიის საქმეებით. ყველაფერი დაწვრილებით უამბო. დამრიგებელთან, თუ პირდაპირ ცხინვალში გადასულიყო. შინაარსინი, იღბლივი და გამოვიდა. სანმ კარგი კატი მოგდის მანამ უნდა გააგრძელო თამაშიო. ბოლოს მაიც მისვლა გადაწყვიტა, მანქანა მოაბრუნა და დამრიგებლისკენ გასწინა.

კარგად შეხვდა. გამოპკითხა, როგორ მიდის პრატყიის საქმეებით. ყველაფერი დაწვრილებით უამბო. დამრიგებელთან, თუ პირდაპირ ცხინვალში გადასულიყო.

შინაარსინი, იღბლივი და გამოვიდა. სანმ კარგი კატი მოგდის მანამ უნდა გააგრძელო თამაშიო. ბოლოს მაიც მისვლა გადაწყვიტა, მანქანა მოაბრუნა და დამრიგებლისკენ გასწინა.

— მიდი, სანამ ხელსაყრელი ამინდია ინადირე, სულ ასე არ იქნება. ყნოსვა კარგი გაქვს, ამ პატარა საქმეებით გამოცდილებას შეიძენ, მე ჯერ შენგან არაფერი მინდა, მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. ფულის გემოს გაიგებ, გაერთო. სადაც ფულია, იქ ქალებიცაა. ქალები კარგი ინფორმატორები არიან. ნათევამია, ვინც ინფორმაციას ფულის, ის ყველაფერს ფულის. ინფორმატორები მოიძიე, მათზე ფული ნუ დაგენანება. ფულს დიდი ძალა აქვს, შეუძლებელს შეგაძლებინებს, ყველა სურვილს





აგისრულებს, ფული მიწიერი ლმერთია. მაგრამ არსებობს დაუნერელი კანონები, რომლის გადაბიჯებასაც საპელისნერო შედეგები მოაქვს. ერთხელ და სამუდამოდ ჩაიჭედე თავში, მეგობრის ცოლისკენ არასოდეს გაგექცეს თვალი, ღალატი და ორპირობა უსასტიკესად ისჯება. წადი ახლა, ეგ მანქანა მოიშორე, წინ დიდი საქმები გველის.

გასულისას კი დაადევნა:

– მონინაალმდეგეს ზურგი არასოდეს შეაქციო!

ულალთმიანმა მხოლოდ გამოხინისას ჩააღწია ცხინვალში და ჯარის მეგობარს, ვოვა ჯიო-ევს მიადგა სახლში. მიუხედავად რთული მდგომარეობისა, დიდებულად შეხვდნენ. ვოვას მეგობრებიც შეიკრიბნენ, კარგადაც მოილინეს. მოიგონეს ჯარის ამბები, ნაწილიდან გაპარვა და ღამის სხვა თავ-გადასავლები. მერე საქმეზეც გადავიდნენ.

– ვოვა! ტყუილად არ დამიძარებდი, ხომ იცი, არავერზე დაგზარდები, რით შემიძლია დაგეხმარო?

– შენთან დასამალი რა მაქვს. შავი ბიზნესი გვაქვს, სიგარეტი იქითაც გაგვაქვს, – ზურგს უკან გაიშვირა ხელი, — აქ „ვაისროისზე“ დიდი მოთხოვნაა, ჩამოტანაში დაგვეხმარე.

ულალთმიანმა დაუფიქრებულად უჟა-სუქა:

– ერთ კვირაში გექნებათ. — მერე ნამოდგა, გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან მივიდა, ეზოში გადაიხედა და სევდანარევი ხმით თქვა. — ხომ არ იცი, რა ჩიტია, ასე საწყალობლად რომ გალობს?

ვოვას გაუკვირდა, რა დროს ჩიტიაო.

— არ ვიცი ძმაო, ჩიტებში ვერ ვერკვევი.

— თითქოს რაღაც დაკარგა, როგორ შენუხებული დახტის ტოტიდან ტოტზე. — მცირე პაუზის შემდეგ ფანჯარას მოშორდა, სკამზე ჩამოჯდა, ჯიბიდან სიგარეტი ამილო და სანამ მოუკიდებდა ბიჭებს მიმართა, — მეც მჭირდება თქვენი დახმარება.

ბიჭები სმენად იქცნენ. სანთებელამ გაიკვესა, ულალთმიანმა ღრმა ნაფაზი დაარტყა, დაკლაკნილ ბოლს თვალი გააყოლა და დინჯვად გააგრძელა:

— ეს მანქანა მძიმე ტვირთად მანქვს, როგორმე უნდა მოვიშორო.

მეტი აღარ უსაუბრიათ და სახლიდან გავიდნენ. მთლად იოლიც არ გამოდგა მანქანის გაყიდვა, მაგრამ დღის ბოლოსთვის ვოვას ახლობლების მეშვეობით ვიღაც ჩრდილოეთი მიჰყოდეს. კმაყოფილი იყო ულალთმიანი.

— სულ ვამბობ, არ არსებობს უსაშველო სიტუაცია, ჭკვიანი კაცი გამოსავალს ყოველთვის იპოვის. ახლა რაც შეეხება სიგარეტს, თქვენ ფულს ჩემსასაც დავამატებ და მოზრდილ პარტიას ჩამოგიტანთ. ხომ ხედავთ რა რია-რიაა, ეშმაკიც ვერ გაიგებს ტვინგახურებულ პოლიტიკოსებს თავში რა მოუკათ, — მერე

მოულოდნელად გადაიხარხარა, — იმედია, არ გადამაგდებთ და ჩიმს კუთვნილს მომავდით.

ბიჭებიც ახორხოცდნენ, აუცილებლად გადაგაგდებთ, ახლა მოსული პონტიაო. ერთმა მათგანმა, რომელიც გაუშინაურდა, უთხრა:

— იქნებ ერთი ორი დღით კიდევ დარჩენილიყავი, კარგ დროს გავატარებთ, ჩინებული ლვინო გვაქვს და არც გოგოების ნაკლებობას ვუჩივით.

— ახლა მაგის დრო არ არის, — წარბშეკვრით თქვა ვოვამ.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

სტუმარმა კი უპასუხა:

— ჩემო მეგობარო, არის დრო ქვების შეგროვების და არის დრო ქვების სროლის. — გაიგეს თუ არა ნათქვამის მნიშვნელობა, ამაზე არც უფიქრია და მასპინძლებს გამოემშვიდობა.

ბიჭებმა სტუმარი გამოაცილეს და თბილისისკენ მიმავალ ნაცნობ მძლოლს გააყოლეს.

ულალთმიანი ქალაქში რომ შევიდა უკვე კარგად ბენელონდა. თალხით შემოსილი აჩონჩელილი კორპუსები უნდოდ და ნალვლიანად გამოიყურებოდნენ. ქალაქის უბნები მორიგეობით ინთებოდნენ. მხოლოდ სამთავრობო დაწესებულებები, რეინიგზის მიმდებარე ტერიტორია და მთაწმინდის ანდა ანათებდა მუდმივად. უშუქობით გაწამებული მოქალაქეები, რო-





გორც მაშველ რგოლს, ისე ჩამოჰკიდებოდნენ რკინიგზის ხაზს. ელექტროსადენები გორდიას კვანძივით აბურდულიყო რკინიგზასა და კორპუსებს შორის. აბა, რას ვამბობდი, მოხერხებული კაცი გამოსავალს ყოველთვის იპოვის-მეთქი. ბნელოდა ქალაქში და ბნელოდა კაცთა გულებში. პარვისა და ტაცების დრო დამდგარიყო. კაპიკებად შეგეძლო დიდალი ქონების მოხვეჭა. გაქნილი და თვალთმაქცი ადამიანები ჩალის ფასად იძნდნენ ხალხის ქონებას.

მერია და მომიჯვავე ქუჩები მუდმივად განათებული იყო. უღალთმიანი ტაბიძის ქუჩას მიუყებოდა და ორგვლივ ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. ბიძამისის სახლშიდე ცოტადა იყო დარჩენილი. ქუჩის კუთხეში სუპერმარკეტის აბრას მოკურა თვალი, რომელზედაც მოციმციმე სტრიქონები დასრიალებდნენ. აა, შემოდის ევროპა ბრჭყვიალებით. გაეღიმა, ადრე მოწესრიგებულ მაღაზიებს უნივერსამი ან გასტრონომი ენერა, ახლა კი – სუპერმარკეტი. სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი შინაარსია, ჩემო ძმაო. მოდი ერთი შევიხედავ, რა სუპერმარკეტია.

ჩვეულებრივი მაღაზია იყო, ლამაზად ჩანიკებული პროდუქტებით. გვიანი იყო და კლიენტებიც არსად ჩანდნენ. მაღაზის მარჯვენა კუთხეში რამდენიმე მაგიდა იდგა, ალბათ მსუბუქი სადილისათვის. „გვიანია, ბიძარების ოჯახი რატომ შევაწუხო, აქვე წავიხემსებო“, – გაიფიქრა. ფული იმდენი ჰქონდა, ჯიბეს უწვავდა. უღალთმიანის ყურადღება ზორბა ტანის ქალმა მიიცია. საკმაოდ მაღალმა, ძვალმსხვილმა და ხორციანმა. მიუახლოვდა და მიესალმა. ქალმა ეჭვიანად გამოხედა:

- ახალგაზრდავ, რით შემიძლია გემსახუროთ?
- წახემსება მინდა. გაქვთ რაიმე ხარისხიანი? ფასს მნიშვნელობა არ აქვს. ნამგზავრი ვარ, გვიანია და ახლობლების შენუხება მერიდება, – ღიმილად იქცა კაცი.

ქალმა მსხვილი, კუპრივით შავი წარბები მაღლა აზიდა და უკმერი სახით უპასუხა:

- ბატონი, შეურაცხოფას რატომ გვაყენებ, ჩვენ ყველაფერი ხარისხიანი გვაქვს.
- ქალბატონ, გამორჩეულად ხარისხიანი მინდა, გამორჩეულ-ად.

- ეკა! – დაიძახა ზორბამ, – საპატიო სტუმარი გვყავს, გამორჩეული ყურადღება მიაქციო.

მაღაზის სიღრმიდან საშულო სიმაღლის შავგვრემანი, ყელმოლერებული, ეშნიანი გოგონა გამოცრიალდა.

- ეკა, ამ ახალგაზრდას ყველაფერი საუკეთესო მიართვი.

ეკას გადაღლილი სახე ჰქონდა, სამუშაო დრო მთავრდებოდა, სახლში ნასვლას აპირებდა და მაინც-დამაინც არ ესიამოვნა გვიანი სტუმარი. მოჩენებითი მხიარულებით უთხრა:

- ყველაფერს ახლავე მოგართმევთ.

სუფრა მაღლე გაიძალა. კაცი შამპანურს დასწვდა, ფრთხილად გახსნა, მშეფარე სითხე ჭიქაში ჩასხა, ტუჩთან მიიტანა და სანამ დალევდა, ზორბას მიმართა:

- თუ თავხედობაში არ ჩამომართმევთ, იქნებ მოპრძანდეთ.

„რა ნაგლი ვიღაცაა. თავხედობას თუ თავხედო-

ბით არ უპასუხე, დაგასხდებიან თავზე. შენნაირებიც გვინახავს, ბიჭო! ვნახოთ ერთი, რა ჩიტი ხარ. კარგი, ვითამაშებ შენი წესებით, ვნახოთ, სარგებელი ვის დარჩება“, – გაიფიქრა ზორბამ და კაცს ტანის რხევით მიუახლოვდა, თან ეკას გასძახა:

– ეკა, შენც მოდი, ჩვენც ხალხი ვართ, დღის ბოლოა, გართობა უნდა კაცს, ნუ გავუტებავთ.

„დედა, ბიჭო! ქალია თუ დევქალი! ამას ორი კაციც ვერ დაიურვებს“, – გაიფიქრა კაცმა.

– ჩვენი გაცნობისა იყოს, – წამოიწყო უღალთმიანმა, – მოგეხსენებათ, ახალი ნაცნობობა ახალი ურთიერთობის საწინდარია, – ცოტა დაყოვნდა და იდუმალებით მოსილი, ზღვასავით უძირო თვალები მიანათა ქალს.

ქალს შეაურულა, – „ლმერთო რა თვალები აქვს“.

მეორე ჭიქის შემდეგ ეკა ადგა, მაღაზიაში შემოსულ კლიენტს მოემსახურა და მაგიდასთან ადარ დაპრუნებულა. ზორბა კი ბოლომდე სვამდა, უჩვეულოდ დაძაბულად გრძნობდა თავს, გაორებულიყო, რაღაც აფრთხობდა, ხან მოეშვებოდა და სითბო დაუკლიდა სხეულში, ხან კი ჯანყი – წამიერი სისუსტის გამო. ასეთ დროს ენაკვიმატობდა და ცინიკოსობდა. ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. ზორბა ფიქრობდა, „ამას მგონი ჩემი გამოთრობა უნდა. ვერ მოგართვეს, ყმანვილო, ვნახოთ, ვინ ვის გადაყლაპავეს“. კლიენტი კი ფიქრობდა, „ვიღაც მაგარი შებერტყყილი მამალი ქალია, მგონი ლირსეული მოწინააღმდეგება“. ერთმანეთი დიდხანს ზვერეს, ისაუბრეს, თითქოს გაშინაურდნენ კიდეც. კაცს რაც აინტერესებდა, ზორბას ყველაფერი გამოსცინცლა. ბევრ სიკეთესთან ერთად ლვინო გრძნობების ამშლელიცაა და პატივმოყვარეობის ნარმომჩინებელიც, თავმდაბლობის მტერი, ამპარტავნობის აღმზევებელი და ყველა ბარიერის დამანგრეველი.

– „სატუმარო დილით ოქრო ხარ, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტას დაგვიანებ, სპილენძად გადაიქცევი“, – წამოიწყო კლიენტმა საამო ხმით,

- უზომოდ მიყვარს ხალხური ლექსები, დიდი სიბრძნეა მათში. მართალია, მე კლიენტი ვარ, მაგრამ სანამ სპილენძად გადაიქცევი, დროა დაგტოვოთ. გმადლობთ დიდსულოვებისა და მოთმინებისთვის. ძალიან მომწონს აქაურობა, ყველაფერში მაღალი პროფესიონალიზმი და დახვენილი გემოვნება იგრძნობა, რაც თქვენი დამსახურებაა ქალბატონო, – მიმართა ზორბას.

ქება ყველას სიამოვნებს და არც ზორბა იყო გამონაცლისი. ქალს სახე შეეფალა. გაუკვირდა კაცს, ციგისხსლიანი მეგონა, ამას კი გაწითლებაც შესძლებიან.

– დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა არ იქნება, უსათუოდ გენვევით, ახლა კი ანგარიში, – და ჯიბისკუნ წაილო ხელი, – რამდენია ჩემზე?

- ბატონო, ხარისხიანი ყველაფერი ძვირია. – გაიღიმა ზორბამ და დანახარჯზე უფრო მეტი უთხრა.

კლიენტი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ არ შეიმჩნია, გაიღიმა და ერთი იმდენი კიდევ დაუმატა. ინფორმაცია ფული ლირსო, – გაახსენდა დამრიგებლი.

კლიენტი რომ გააცილეს ზორბა ეკას მიუბრუნდა:





— ვითომ შემთხვევით შემოვიდა? ხომ არ დაგვზერა, არეული დრო.

— რა ვიცი, რა მოგახსენო, სიტყვა-პასუხი კარგი აქვს, შესანიშნავადაა ჩაცმული. ეტყობა, არც უფულობას უჩივის, დაკვირვებულიცაა და ყურადღებიანიც. — უპასუხა ეკამ.

— ვნახოთ, ვნახოთ, მე კი რატომლაც მგონია, რომ თამაშობს. კიდევ გერგვევითო. ისე, მეც საინტერესო პიროვნებად მომწევენა, — ფიქრიანად თქვა ზორბაზ და ძლივს დაიმშვიდა ურულლაატანილი სხეული.

იმ დღის მერე ულალთმიანი, როცა ბიძამისთან მიდიოდა, ჯერ სუპერმარკეტში შეივლიდა. თანამშრომლებს დაუახლოვდა, ყველას სუფრასთან ეპატიუბოდა და ფულსაც გვარიანად ხარჯვადა. ქალალდის ბიზნესი მაქესო, ამბობდა. ბიზნესი ემოციებთან მწყრალად არის, ცივსისხლიანობას საჭირო, ყველაფერი დასწრებაზე. ბიზნესი, გარკეულწილად, თავის ტკივილია, მაგრამ წარმატებას დიდი სიხარული მოაქვს, საზოგადოებისთვისაც სასარგებლო პიროვნებად გაქცევსო. ქალალდის ბიზნესს დიდი მომავალი აქვს, ქალალდის გარეშე ვერც ერთი დაწესებულება ვერ იარსებებს. ეგ კი არა, დიდი სურვილი მაქვს ევკალიფტის პლანტაცია გავაშენო, მალე იზრდება და ხარისხიან პროდუქციას იძლევა. მოკლედ, ქალალდის ადგილობრივ წარმოებას უნდა მივყო ხელიო.

მისი ყურადღება ზორბასკენ იყო მიმართული და ქათინაურების სიუხვით ქალს სინითილეს გვრიდა. ერთი-ორჯერ პროდუქტების შეძნაში ფულითაც დაეხმარა. სასიამოვნომ და არა მომაპეზრებელმა ყურადღებამ, თავდამბლობამ, ხელგაშლილობამ, ტყბილისიტყვაობამ, რომელიც ქვასაც კი დაადნობს, მისი სხეულის შეფარვით ლაციცმა, ყველა ეჭვები გაუფიქტა ქალს და იმდენად მოხიბლა, თავიც დაკარგა და სარეცელიც გაიყო მასთან. და მგონი შეუყვარდა კიდეც. მუდმივად ვნებადაუკმაყოფილებელი უდალოთმიანმა ნამდვილ ქალად აქცია. გაიღვია ქალურობის ყველა საწყისმა და უინაშლილი სულ სარეცელისკენ ექაჩეროდა. ყურადღებაც მოუდუნდა. თანამშრომლებს რას გამოაპარებ. მუდმივად გალიზიანებული, კოპებშეკრული და ცინიკოს ქალი ყურადღებიან, მიმტევებელ და ალერსიან არსებად იქცა. სულ იღიმებოდა და საიცრად განაზდა. თვალებში სხივი ჩაუდგა, თითქოს მოციმციმე ვარსკვლავებს დაევანათ მათში.

მორიგი სუფრობისას მაღაზიაში უდალთმიანის ბიძა შემოვიდა.

— ბიძა, თუ რამე გინდოდა, გეთქვა და მოგიტანდი, — ფეხზე წამოდგა და სუფრასთან მიიპატიუა, — გაიცანით ბიძაჩემი, ჩემი დამრიგებელი და უსაყვარლესი კაცი. სწავლით კი მასწავლის, მაგრამ ჩემს გაუყებულ ტვინს ყოველთვის ნაყოფი არ გამოაქვს, — ახარხარდა უდალთმიანი და ბიძამისს ბეჭებზე ხელი მოუთათუნა. — ჩამოვექი, შე კაცო, არ იჩქარო, ახლა მაინც ხარ თავისუფალი.

ბიძამისი ჩამოვდა და სუფრას გაკვირვებული ათვალიერებდა. სასმისი შეუვსეს, დაგვლოცეთო. ლამაზი სახის ჭალარა კაცი ფეხზე წამოდგა, სუფრას გადახედა და დაილოცა. რამდენიმე ჭიქის შემდეგ თავდაპირველი უხერსულობა მოეხსნა. უკვირდა,

როგორ თვალში შესციცინებდნენ მის დისშვილს და ლიმმორეულმა შეკრებილ მიმართა:

— ნამეტანი ნუ დაუახლოვდებით და ენდობით ამ ყმანვილს, ღვთის პირიდან გავარდნილია და ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებული. არაფერი მოგატყუოთ და გაენოთ, — პატარა პაუზის შემდეგ მხრებანეულმა ფიქრიანი სახით გააგრძელა, — მომკალით და მაგის გაკეთებული საქმე, ყოველ შემთხვევაში მე, ჯერ არ მინახავს.

სუფრის წერვებმა გულიანად გაიცინეს.

— რას ბრძანებთ, ბატონო! ნათქვამია — ადამიანის სანთელი თვალიაო, მაგი მარტო თავისი კი არა, ჩვენი სანთელიცაა. მაგის ზღვასავით უძირო და შინაარსიანი თვალები მთელ სხეულს ანათებს და მისხალს არ ტოვებს დაეჭვებისას. ყველა წყაროზე კამკამაა, ნეტაც ჩემთვისაც მოეცა ღმერთს ასეთი თვალები, — ეკას ხმაში ნალველი გაუკრთა, — მერე გენახათ სხვა ქალების შურიანი მზერა. ასეთი ზეევეთილი და ზრდილი ახალგაზრდა ღმერთმა ნუ გამოგვილიოს. თილისმასავით არის ჩვენთვის. რაც დაგვიახლოვდა, მას მერე კლიენტა რაოდენობა გაორმაგდა. ის კი არა, უნდა ვთხოვოთ, დილით სანამ საქმეზე წავა, ჯერ ჩვენთან შემოიაროს, ოქროს ფეხი აქვს, იღბლიანი, — ზორბას შურით გახედა, ამ ძონძრობაში როგორ მაჯობაო.

გაუკვირდა ბიძას, მართლა ჩემს დისშვილზე ამბობს ამას თუ სხვაზეო, და შეფიქრინებულმა თქვა:

— ღმერთმა ქნას, ყველაფერი მასე იყოს, მაგრამ მე ჩემი გითხარით, გაგაფრთხილეთ, — დისშვილს ხუმრობით მუჯლუებუნი წაჰკრა და ჰკითხა, — მაინც რით დაუპრმავე ამ ხალხს თვალი? — მერე ფეხზე წამოდგა, — ახალგაზრდებო, მე დაგტოვებთ, კიდევ ერთხელ გადლეგრძელებთ და მშვიდობას გისურვებთ.

ზორბას არ გამოპარვია ეკას მიძნედილი თვალის უუფუნი. „უურე შენ, რა ცეცხლი მოსდებია. ფრთხილად, გოგონა, არ დაინვა, არაფერი შეგემალოს. ისე ბიძამისიც კაი სუმარა ყოფილა, არაფერი მოგატყუოს“, გაიფიქრა და უდალთმიანს სიყვარულით შეავლო თვალი.

როცა ლხინი მიინურა, დაიშალნენ და ქუჩაში გამოვიდნენ. უდალთმიანმა ზორბას ხელი გადახვადა და ჩასჩურებულა:

— მე რამდენიმე დღე არ ვიქნები, თურქეთში, საქმეზე მივდივარ. ამაღამ შენთან დავრჩები, დილით კი სისხამზე გავემგზარები. რაღაც უნდა გთხოვო. ხომ იცი, რა დროა, ტაციაობაა გზებზე, განსაკუთრებით გურიის მხარეს. საჭირო ხალხი უნდა ჩავრიონ და დამტებითი თანხა დამტებით დაგირუნება, — რაც გადანახული გაქვს უნდა მასესხო. იცოდე, არ დაგეარგება, პროცენტით დაგირუნება, — და ძალუმად მიეკრა.

ქალს ხმა არ ამოუღია. შეჩერდა, შემობრუნდა და უდალთმიანს თვალებში ჩახედა, ლამპიონის მკრთალშუქზე, უმანკო ბავშვის თვალებივით რომ ციმციმებდნენ. „სიცოცხლე რომ მთხოვო იმასაც მოგცემ. ვატყობ, ეს თვალები ბედისწერად მექცევა“, გაიფიქრა და გრძნობამორეული მოეხვია:

— ჩვენი ქონება რამ გაყო.

იმ დღის შემდეგ უდალთმიანი აღარ გამოჩენილა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



შენგა მხედვებოდი, შენგ!
 ოუმწევ სახეცს ვერა ვხედავდი,
 ზურგითან გრძნობდი,
 მოხეციალლეს
 განუწყვლ ძალლოთან,
 პარკის სილომეში.
 იმ შენჯირთან, შენს მსგავსებთან,
 ვიღებენდი ისევ ნვიძმში, ქარში,
 რომ ვყოფილიყვა ძევლებურთდ თავისუფარლი.

6. ճամփարքային



օՐԵԿՑՈՒՅԹ

...ვნახე პარიზი...
ორთქლიანი, სველი ქუჩები...
შემოვიარეთ შავი ქოლგის ქვეშ უკიდეგანო, განბანილი პერ ლაშეზი.
თითქოს ახლოს ვარ... გწვდებით... ვერ გწვდებით,
თუმც ვიზიარებთ ამ სიჩუმეს წვიმის წვეთებთან,
ვერ ვცნობ სახეებს, ძვირფას სახეებს წვიმადადებილთ.

ყოველ კაფესთან მეგებება მე შენი ლანდი,
შენც გიხარია ჩემთან შეხვედრა,
სალამიც თითქოს... ეხები ბერეტს,
ხელს გიწვდი ლამის და
მომლიმარი შენ მაშინვე უჩინარდები.

შენცა მხვდებოდი, შენც!
თუმცა სახეს ვერა ვხედავდი,
ზურგიდან გცნობდი,
მოხეტიალეს
გაწუნულ ძალლთან,
პარკის სილრმეში.
იმ შენნაირთან, შენს მსგავსებთან,
ვირბენდი ისევ წვიმაშიც, ქარშიც,
რომ გყოლილიყავ ქველებურად თავისუფალი.

და ვისაც ვწვდები, იმას თუ ესმის ნეტა ჩემი ხმა? როცა სცალია, ჩემს მეგობარს ურჩევნია სახლში დარჩენა. (მარტოს არ მიშვებს, ჩემი დაკარგვის ეშინა თუ გაციების?) სახლი – ეს ძეველი სასატუმროა იმ მუზეუმთან, კითლებს, რომლისას არ ამშვენებს შენი ნახატი.

გაზაფხულია...
ვალებ ფანჯრებს და წვიმას მოაქვს ისე მძლავრად
მინის სურნელი,
თავტრუ მეზვევა,
რაფას ვეყრდნობი,
ყვავილებს გვიცვლის მოახლე გოგო,
მან დაგვიტოვა ქორფა ნარგიზი,
ვნატრობ ზამბახებს ჩემი ეზოდან,
გაზაფხულზე და წვიმაში ვნახე პარიზი.

მე და ჩემი და ერთმანეთს ვითომ და თითქოს დედობას ვუწევთ...

მე და ჩემი და ერთმანეთს ვითომ და თითქოს დედობას ვუწევთ...
თითქოს ვთამაშობთ „სახლობანას“ „დედა-შვილობას“.
ის თავს კალთაში მადებინებს და თმაზე ხელს მისვამს,
მე მესივებს ვწერ დედას სიტყვებით და მისივე დასატენი მობილურიდან...

ახლა ერთმანეთს ექიმებთან დავყვებით უბრად და
სხვანაირად ვუფრთხილდებით ერთიმეორეს,
ჩაძინებულს ვაფარებთ უფრო თბილად ვიდრე ოდესმე.

84



ვცდილობთ გავყუჩდეთ, და ისე ვუგდოთ ყური გაზაფხულის ახალ ხმაურებს,
და ისე ვიგრძნოთ ყველა ფერი, ყოველი ხმა ყოველი დილის...
დილით დედასთვის მომლოდინე ბეღურებიც არ დავივიწყოთ,
ისევ ისე უდალატოდ რომ მოდიან და არ იციან...

ვსაუბრობთ ცოტას, უფრო ჩუმად ვართ, ეს ხომ უკვე ვთქვი... და
უბრალოდ „მზეში ვლივლივებთ“, როგორც დედას უყვარდა ყოფნა...

ვფიქრობთ იმ პირველ ყვავილებზე იქ რომ ვახარებთ...
თვალს ვერ ვუწისოებთ დედის თაროს, მის დაკეცილ თბილ-თბილ რამეებს
და ფოტოებს, ბოლო წლებში გადაღებულებს.

მოგონებების უძირო ჭავა მეცა ვგმანავ ჩემი დასავით,
არ ვიხსენებ, ვერ ვიხსენებ ხმამაღლა იმ დროს...
სახეს წვავს ცრემლი, გულს კი შიგნით სერავს ტკივილი –
ბავშვის ალალი, შეცვლილი ხმით ჩუმად ნათქვამი.

ეს ორმოცი დღე, მე და ჩემი და, ერთმანეთს რომ დედობას ვუწევთ,
ისე ცივა ჩვენს თბილ სახლში, ის პატარა კანდელიც გვათბობს.

ასე ვთამაშობთ „სახლობანას“ ახალ წესებით;
ცვლილებებია ერთად ყოფნის ძვირფას წუთებში:
სამის ნაცვლად ორი ლამბაქი,
სამის ნაცვლად ორი ფინჯანი...

* * *

ვეღარ აშენდა
ის ერთი სახლი
შენთვის და ჩემთვის.
უბრალო სახლი...
შენ თქვი:
„მე მინდა პატარა სახლი
პატარა ბალით“.
მე ვთქვი: „და კიდევ
უკან მდინარის ჩურჩული ლამით“.
ეს ერთი სახლი
შენთვის და ჩემთვის...
სახლის წინ სკამი

დაღლილი მგზავრით,
ერთიც ღიმილი
განვდილი წყალით.
ვეღური სვია
ყორეზე ადის,
ძალლიც მოგვებნის,
გვექნება თაფლიც.
როცა იქნება,
მაშინ იქნება,
ის ერთი სახლი,
პატარა სახლი,
შენთვის და ჩემთვის.



ნინო არსენავალი

ଶର୍ମନ୍ଦୟୁଲ୍ଲେଖିମା ଶ୍ରୀରଞ୍ଜିତ
ନୀଳକଣ୍ଠର୍ମିଳା ଫାଲୁପୁଣୀଲୋ ଶିଳ୍ପୀଲୋ,
ନୀତିଲାଭାଦ୍ର କ୍ଷୁଦ୍ରାକ୍ଷର୍ଜ ଶର୍ମନ୍ଦୟୁଲ୍ଲେଖିମା,
ରନ୍ଧି ମନ୍ଦିରପୁଣୀ ଗର୍ଭାଗ୍ଵିନ୍ଦିନନ୍ଦ,
ପୁଣ୍ୟମୁଦ୍ରା ପାଦଚକ୍ରପୁଣ୍ୟମୁଦ୍ରା
ଅଳ୍ପଦେଖିର ପ୍ରସାଦପୁଣୀତ ରନ୍ଧି ଅନ୍ତରକଣ୍ଠପୁଣ୍ୟମୁଦ୍ରା,
ଏହି ପ୍ରସାଦପୁଣ୍ୟମୁଦ୍ରା
ଶ୍ରେଣ୍ଟ ଶ୍ରୀରଞ୍ଜିତ ପୁଣୀଲୋ ଫାଲୁପୁଣ୍ୟମୁଦ୍ରା.

6. ሂሳብናስፈርማ



ჩემი სამშობლო

ლინიპული პოემა

სამყაროს შექმნის დღიდან არსებობს
მიწა, რომელზეც გასახლობ,
ადამიანი მქვია სახელად –
ადამის პირველსახე
და რასაც ვხედავ აქვე, ჩემს ირგვლივ
ყველაფერს ვარქმევ სახელს.
ედემში ვსახლობ, მომეცა
ფერითა მრავალფერით,
ბევრი ვძებნე და ვერსად ვიპოვე
მხოლოდ მე მსგავსი ჩემი.
დავეძებ ჩემს მსგავსს არსებას ვინმეს –
ისეთს, როგორიც მე ვარ;
მიმიხვდა ღმერთი, მომგვარა ძილი,
ნეკიდან მიშვა ევა;
დღეიდან, ალბათ, ყველა ცისკარი
ლამაზად გამეთევა, –
– ვფიქრობდი, მაგრამ, ვამე,
რაღას ფიქრობდა ქალი.
უცოდველ ქედზე მომკიდა
კაცობრიობის ვალი,
უფლის და ჩემი ვერ იყო,
ეშმას მიუპყრა თვალი
და აჲა, თვითონ უშმინეთ,
რას მიუბნება ქალი:

ერთ გვერდი

ევა: უკვე ედემში ვცხოვრობთ
მე და შენ,
ედემში გვიდგას უფლის
ზე — და — შე;
თვითონაც მოდის
და როგორც ბავშვებს
გვიყვება ამბებს,
ხალისით გვაესებს.
ედემში გვიდგას

უფლის ზედაშე,
მაგრამ დალევა აკრძალულია,
ეს, რა თქმა უნდა, ძალზე რთულია
და მოთმინებას უსავლობთ თანდათან
დიდხანს ვერ გასტანს ეს მოთმინება,
გამოილია... ო, რა ტყბილია
ეს აკრძალული და რაღაც ჩუმი...
დავლიერ შუმი.
სისხლმა იგრძნო და
გულის კარს მისწვდა;
პანგი მომედო, რული მერევა,
გონებაც, მგონი, სულ მთლად მერევა.
ახლა რაღა ვქნათ?!
მომეცი ხელი,
შენით ვარ ხელი;
ჩემი სახელი გიტყბილებს ბაგეს
და მეც საოცარ ზმანებებს ვაგებ.
ო, ადამ, ჩემო,
რა საოცარი ვიგემეთ გემო.
ადამი: დავეცით, მორჩა ყველა სიამე,
ახლა ტკივილი, ტანჯვა მქვია მე.
მე შენთვის ახლა ტკივილი მქვია;
რითი გიშველო, არა მაქვს ტყვია,
რომელიც ჯერაც არ შეგვიქმნია,
არც გვიძებნია, არ გჭირდებოდა.
ევა: სიზმარი იყოს ეს ყველაფერი,
რა იწნებოდა.

სსევ ედემში ვცხოვრობდეთ, ნეტავ!
ადამი: უგნურო ქალო, მაგას ვით ბედავ?!

ევა: ვაი, ტკივილი მეწყება შობის,
კაენი მოდის ნაყოფი ცოდვის.
ადამი: რამდენ ტკივილის გვინევს მოთმენა,
კაენმა სისხლით წაბილნა კერა
და გადიკარგა აქედან შორს, შორს;
მისას ვერ ვიგებთ ვერც მართალს,
ვერც ჭორს.
ევა: ღმერთმა შეუნდოს, თუკი გადარჩა,





ქართულ ტოპინიშვილის ლექსი

მაგრამ ძმის სისხლი ამბობს განაჩენს:

– წყეულიმც იყოს!

ადამი: იშვა სეითი – იმედი ჩვენი,
სულ სხვაგვარია: სათნო, კეთილი,
მსგავსი აბელის

და მას მოქანა უფლის საბელი
შობისას იქავ:

– ძირმორჩად იყავ შობად მაცხოვრის,
მწყემსის კეთილის სულიერ კრავთა.

.....

და ასე კრავდა ადამი იმედს,
ასე დაგბრუნდით სამოთხის კართან.

და უხმო მან ქუჯის –
ეგრისით მთავარს,
მეომარს ქებულს
და ქუჯი ფარნავაზს ეახლა თავად
მას მირონცხებულს.
აოტეს აზონი ქვეყანით ქართლის
ქართლოსის ძეთა;
სატახტო ქალაქად მეფემან ნათლის
ირჩია მცხეთა.

„შენ, ჰე, ფარნავაზ! ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი;
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი“.
ასე აქებდა მეფე ფარნავაზს
ორბელიანი – რუსთ ლენერალი.

ისე ცარსული

ბრონეულებმა შეიწოვეს წინაპრების
დაღვრილი სისხლი, –
სახედამსკდარმა ბრონეულებმა,
რომ მომავალი გადაგვირჩინონ;
ჩვენი ტკივილიც ბრონეულის
იქცა მარცველებად,
ჩვენი ტკივილი – თითქმის უჩინო.,
მერე შეიკრა ერთიან მუშტად
და ბრონეულად გარდაისახა.
ჰე, ქართველობავ,
ადამის და ევას ხნისა ხარ.
მოდიხარ ასე, პირველცოდვით
დამზიდებული,
სამოთხის დაკარგვის მერე
სასჯელად რომ მოგეიდა ღმერთმა.
შენ უწყი ერთმა: –
გადარჩენა ისევ ღმერთთან დაბრუნებაა,
შენ უწყი ერთმა.
უფლისკენ საგალს,
ღვთის გზას ახლა მიჰკაფავ ბრძოლით,
შენი დიდგორი,
შენი შამქორი და ბასიანი
უნდა მოიგო,
რომ მომავალი გადაარჩინო;
შენი ნარსული გახდეს საჩინო,
შენი უნარი, შენი ძალა გამოაჩინო.
ბრონეულებმა შეიწოვეს
წინაპრების დაღვრილი სისხლი,
წითლად ელვარე ბრონეულებმა,
რომ მომავალი გადაგვირჩინონ,
ყოველ გაზაფხულს
ალისფერი ყვავილით რომ ამობრნებინდება,
ამ ყვავილებით
შენ უნდა სთევა უფლის დიდება.
აწმყო და მომავალი
ჩემი სამშობლო –
ღვთისმშობლის ნაქსოვ
კვართშემოსილი,

ვარნავაზი

მზის სახედ ეჩვენა უფალი ფარნავაზს,
მირონ სცხო ჭაბუკს.
ნათელმან უფლისამ იმედი ამრავლა,
ფრთინვითა ჰერა ბუკს




ჩემი სამშობლო –
 მარადი ყანა შემოსული,
 ვენახი მტევნებშემოსხმული –
 ჩემი სამშობლო.
 ჩემი სამშობლო –
 ცისა და მიწის შესაყარი,
 ყოვლად შემკული და
 ბევრჯერ საპყარი,
 აღმოსავლისა და დასავლის
 გზაგასაყარი.
 ჩემი სამშობლო –
 ლოდი თავკიდეთა –
 მშენებლების დაწუნებული,
 ო, რამდენჯერ ჯვარზე ვნებული
 და ზეცაში ამაღლებული,
 თავის ძალაში დარწმუნებული,

ჩემი სამშობლო.
 ჩემი სამშობლო –
 კოსმოსისთვის „ლილე“, „ჩაკრულო“,
 დედამიწისთვის
 შვიდხმიანი მრავალუამიერ...
 ჩემო სამშობლოვ,
 ამაყო და მაინც ჩაგრულო,
 ტკივილიანი ჩემი რომ ხარ
 იმერ-ამიერ;
 ჩემო სამშობლოვ,
 მოთმინებით სავსევ პირთამდე,
 მიდი, ითავე,
 ამ სამყაროს გადარჩენა,
 ისევ ითავე!

2018 წელი, სულთმოფენიდან შობამდე

87



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ოქტომბერი, №2, 2019



თინათინ

მრელაშვილი

תְּנִינָה וְתִבְשָׁר

საოპერატოროდან გამოსული გიგა, ზოძოლის ველიდნ
გამოსულის ჰეგავდა, — მის სათხო სახეზე დიდ დაღლი-
ლობისა და, ასევე, დიდ კრაიოფილების წარებით....
ქირურგის საოპერატო ქუფი რომ მოიხდა, ყველა
გამსაკუთრებული გაორებით შეაჩერდა: თბი თოვლივით,
თეთრად გადატინგოდა...

က. ပို့ဆောင်ရည်



लिखा गया है कि यह विद्या अपने लिए बहुत ज्ञान और विद्या का उपयोग करके अपने लिए बहुत ज्ञान और विद्या का उपयोग करके

სიყვარული...

გიგა შინ ამღვრეული ბრუნდებოდა... პროფესიონალი კარდიოლოგი, ჩინებულ ოპერაციებს აკეთებდა. მთელი თბილისი მის მზეს ფიცულობდა, – არა აერთი, უიმედოდ მყოფი პაციენტი შემოუბრუნებია ამ ქვეყნისაკენ და სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალა ხელმძღვანელ განუცდევინებია. დღევანდელი ამბავი კი, მისთვის იშვიათი მოგლინა იყო...

ჩვეულებად ჰქონდა: ტყეპარკის წინ უნდა გაევლო და მგალობელ ფრინველთა ულურტულით დამტკარიყო, მაგრამ ახლა, იქთ არც კი გაუხედია, ფიქრებში გადართული, ისე გაემართა სახლი-საკენ... არც საჭმელი გახსენებია, – თავის სამუშაო ოთახში შევიდა და ლრმად ჩაფიქრებული დივანზე ჩამოჯდა.

ნათამი გაოცებით შეხედა ნარბებშეჭმუნილ მეუღლეს და გვერდით მიუჯდა. თვითონ – თერაპევტმა, – კარგად იცოდა ექიმის პროფესიის სირთულე და, რადგან გიგა არაფრის თქმის არ აპირებდა, ჰკითხა:

— რა იყო, მოხდა რამე?

გიგამ უხალისოდ უპასუხა:

— რამდენი ხანია ექიმი ვარ და ჩემს პრაქტიკა-ში, ასეთი შემთხვევა არ მძინობა:

დღეს, შატილიდან ჩამოსული, საშუალო ასაკის, ხევსური პოლ-ქვარი მოვიდნენ გასასინჯად.

კაცს – ანემია და მძიმე ხარისხის გულის უკ-
მარისობა აძვა, საჭირობას, საწარმალო ოპერაციას.

ქალი - მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც სუსტად არის, ჯიუტად მოითხოვს ოპერაციის დროს, ქმარს დღონორობა თვითონ გაუწიოს, რაც შესაძლებელია, მისი სიცოცხლისათვის საბედისნერო გახდეს. არსებობს გადარჩენის, მხოლოდ მცირე პროცენტი, — და მიუხედავად, დიდი თხოვნისა და, დაფიცებისა, მე არ ვაპირებ, რომ ეს სურვილი შეკვეთულობა.

ქმარიც ნინააღმდეგია მისი დონორობის და
ამბობს, რომ უკარს იტყვის ოპერაჟიზე, რათან,

ქალის სიცოცხლეს, თუ საფრთხე დაემუქრება, კატეგორიულად მოითხოვს მის სიცოცხლესაც წერ-ტილი დაესვას... და, თუ, ოპერაცია გაამართლებს, ღმერთად შეგიცნობთ და მთელი სიცოცხლე თქვენს ლოცვაში ვიქენებითო... მე კარგად მესმის მათი, ვა-ფასებ მათს, მართლაც გასაოცარ სიყვარულს... მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ ადამიანები, მთლიანად ვერ სხვდებიან და ვერ აცნობიერებენ გულის, თანაც, ასეთი რთული ოპერაციის დროს, საშიშროების ალბათობას და ვერ ხვდებიან, სიკ-ვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფნი, რა სირთუ-ლის ნინაშე აყენებენ თავსაც და ექიმსაც... ღმერთ-მა ქნას, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და მათი გულებიც სიცოცხლითა და სიხარულით აძგერებუ-ლიყოს, მაშინ, მეც დავმშვიდდები და, ჩემს თავსაც სიხარულის უფლებას მივცემ. ვნახოთ, რას მოგვი-ტანს ხვალონდელი დოლე...

ნათამაბ გიგას სიყვარულით ჩამოაყრდნო
თავი მხარზე და გულმხურვალედ თქვა: სრულიად
კეთანხმები, იმ, ქალის აზრს, – მეც აუცილებლად,
ასე მოვიძევოდი...

დღიულაადრიან, სამსახურში მიმავალმა გიგამ – ნათიას გადაულაპარაკა: წუხელ, სიზმარში, თეთრებით შემოსილი კაცი გამომტცხადა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: ოპერაცია კარგად ჩაივლის, მე, კი, მაინც, რატომლაც ძალიან ვწერვიულობს...

საავადმყოფოში შესვლისას, ქირურგმა, დერეფანში გამოსულ გაფიტორებულ ცოლ-ქმარს მოჰკრა თვალი, მივიდა, ხელი გადახვია და დაამშვიდა: კველათერი კარგად იძნებაო...

ოპერაცია კარგა ხანს გაგრძელდა... ავადმყოფს, მოულოდნელად ძლიერი სისხლდენა დაეწყო; საჩქაროდ, — საჭირო გახდა, დამატებით, კიდევ სისხლის გადასხმა. ავადმყოფი გონზე არ იყო, — მისი მეულლე კი დაუინებით მოითხოვდა თავისი სისხლის გაღებას და, მოუშედვავად იმისა, რომ გიგას ასე არ ჰქონდა გათვალისწინებული, თრო არ ით-



კაჩილოლობის გრძელივერა

მენდა და იძულებული გახდა, რომ გადასასხმელად ავადმყოფის მეუღლის სისხლი გამოეყენებინა...

საოპერაციოდან გამოსული გიგა, ბრძოლის ველიდან გამოსულს ჰგავდა, — მის სათონ სახეზე

დიდ დაღლილობასა და, ასევე, დიდ კმაყოფილებას წაიკითხავდით... ქირურგის საოპერაციო ქუდი რომ მოხადა, ყველა განსაკუთრებული გაოცებით შეაცემდა: თმა თოვლივით, თეთრად გადაპენტოდა...

უფლის წყალობით და ექიმის მაღალი პროფესიონალიზმით, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, სიყვარულმა და სიცოცხლემ გაიმარჯვა, მოხდა სასწაული და ცოლ-ქმარნი, ორივენი გადარჩენენ. გიგა ისე იყო გალალებული, კმაყოფილი და ამზევებული, სულ დავიწყებოდა თავისი გადათოვლილი თმები, იგი თანაგრძნობით შესცეკროდა გონზე მოსული ავადმყოფისა და მისი მეუღლის გადაფითრებულ სახეებს და მათს თვალთაგან ჩამოცვარულ სიხარულის ცრემლებს...

ხევსურეთიდან ჩამოსული ცოლ-ქმრის გულები უზომო მადლიერებით იყო საჭავა... იმ დღიდან, გიგა სასწაულთმოქმედად ინამეს და ის, მათთვის – სიცოცხლესავით ძეირფასი, სანატრელი, სანუკვარი და სათაყვანო ადამიანი გახდა...

იღიადე და იგარადისე...

სარკმლიდან გავცექრი მზით გალალებულ, თეთრად მოღალანე და მოკისკისე გვირილებს, ნარინჯის გულებით მოხატული და მზეს მიმსგავსებული, თავმომწონედ, რომ იმზირებიან და სიამითა და ნეტარებით ვიტსები... თვალწინ გამირბინა შარშანდელმა, შთამბეჭდავმა და ამაღლებულმა სურათმა:

დილით სამსახურში მივიჩქაროდი... ჩემს ქუჩასა და მის მოპირდაპირედ, მშენებარე სპორტული კომპლექსის ნაგებობას მუაზე ხევი ჰყოფს და მისი ნაპირების, ჯებირით გასამაგრებელი სამუშაოები მიმდინარებდა... უნებურად, ჩემი ყურადღება ხევის სანაპიროზე ამოსულმა, ორმა, მშვენიერმა გვირილამ მიიქცა, რომელთაც თავები თითქოს ნალვლიანად დაეხარათ. გულმა არ მომითმინა და ახლოს მივედი, მივეცერე და თან გავიფიქრე: საწყლებს, ალბათ იმისი ეშინიათ, რომ ხევთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებისას, მათი არსებობის ნიშანწყალიც აღარ დარჩება, — მოდი, ადგილს მოვუნაცვლებ და სადმე, სხვაგან გადავრგავო... თითქოს ჩანაფიქრს მიმიხვდაო, ერთ-ერთი გვირილა წელში გაიმართა, თავი მაღლა ასწია და საოცარი სილამაზითა და სინაზით შემომანათა. მიუხედავად იმისა, რომ ნიავი ოდნავადაც არ იძროდა, გვირილას ყვავილს ერთი ფურცელი მოსწყდა და მიწაზე დაეცა, მის ადგილს, კი, მშზინავი წვეთი აკიაფდა. გვირილას ფურცელი ხელში ავიღე

და გამეღიმა... რადგან, გვირილამ ერთი ფურცელი მაჩუქა, მხოლოდ, ერთი ნატვრის უფლება მაქვს; სანატრებელი, კი, ბერია, მაგრამ... ვინატრებ: მტკივან თვალში, — სინათლე ძველებურად დამიბრუნდეს-მეთქი... ფიქრი გამექცა და... რატომლაც, ხევის პირას მდგომი გვირილების უწუგეშო ყოფამ — ჩემი სათაყვანებელი სამშობლოს, საქართველოს ბედი მომაგონა — უფსურულის პირას მდგომარეს, გადაშენების საშიშროება რომ ემუქრება და... რა თქმა უნდა, მაშინვე, — საქართველოს გაბრწყინება, კეთილდღეობა და უკვდავება ვინატრე... შემდეგ, ორივე გვირილა, დიდი სიფრთხილით ჩემი სახლის წინ გადავრგე, ისეთ ადგილას, სარკმლიდან ხელის-გულივით რომ გამოჩინილიყო, რათა შემძლებიდა მეცქირა მათი სიხარულისათვის, თანაც, ორივე გვირილა ისე მივახუტე ერთმანეთს, რომ ის გვირილა, რომლის ყვავილსაც ერთი ფურცელი აკლდა, მეორე გვირილას ფურცლით შეივსო... ორივენი ძალიან ლამაზები იყვნენ...

ერთი წლის შემდეგ, ეს ადგილი, გვირილების თოვლით გადაიპენტა და, ზოგი მათგანი, — მათი ნინამორბედი, ერთმანეთს მიხუტებული, ორი გვირილის მსგავსად, ზურმუხტში მოლივლივე მოცეკვავე წყვილს დაემსგავსა...

მოწუსხულივით ვუმზერ სიცოცხლისაკენ მათს სწრაფვას, სიხარულს, და... ჩემი ნატვრა მახსენდება; ღრმად მწამს, რომ საქართველოსაც ეშველება,



გაბრწყინდება, გამრავლდება და, მარად უკვდავი იქნება... მზერა, ახლა – აღაზნის ველისა და კავკასიონის მთების უზადო სილამაზემ მომტაცა და

გულმზურვალედ წარმოვთქვი: იბრწყინე, იმზეგრძელე, იდიადე და იმარადისე, მამულო ჩემო.


პალ-მასკარადი...

ანა დიდხანს ტრიალებდა სარკის წინ. დღეს ბალ-მასკარადზე გიგას უნდა შეხვედროდა და სურდა ძალიან ლამაზი ყოფილიყო... კარგად მორგებული თეთრი კაბა, მეტად შვენოდა მის აშოლტილ ტანს, ხოლო წაბლისფერი თმა, თაფლისფერი თვალებს სინაზესა და სინატიფეს მატებდა. მართლაც, დიდებულად გამოიყურებოდა... კიბე საჩქაროდ ჩაირბინა, ქუჩა გადაჭრა და შუქით გაჩირალდნებულ შენობაში შევიდა.

გიგა შესასვლელთან ელოდებოდა. მარცხნივ გადავარცხნილი შავი თმა, ღია ყავისფერ თვალებს უმუქებდა და გიგას, ისედაც მოხდენილ აღნაგობას, უფრო ელეგანტურს ხდიდა...

მომაჯადოებელი, დამათრობელი მუსიკით გასხივოსნებულ დარბაზში, უამრავ მოცეკვავე წყვილს მოეყარა თავი. ანას თანაკურსელი ეკატერინეც აქ იყო, მეგობრებთან ერთად. ქერა კულულები შუბლზე ჩამოშლოდა და მის ცისფერ თვალებს საოცარ სილამაზეს მატებდა. გიგა, მასაც მოსწონდა, მაგრამ ცდილობდა არ გაემულავნებინა, რადგან, იცოდა, გიგას ანა უყვარდა და მისი სიყვარული უპასუხოდ დარჩებოდა...

პალ-მასკარადი დაიწყო... გიგამ და ანამ სიყვარულით ჩასჭიდეს ხელი ერთმანეთს და ჰაეროვნად დატრიალდნენ დარბაზში... იმდენი სითბო და ალერსი იღვრებოდა მათი თვალებიდან, იფიქრებდით: ქვეყნიერებას, გასათბობად ეყოფაო... ერთმანეთის ცქერით ტკბებოდნენ და მუსიკას აყოლილნი, რიტმული მოძრაობით დასრიალებდნენ დარბაზში. ნეტარების ბურუსში გახვეულნი, ვერც, კი, ამჩნევდნენ, როგორი მონუსხული მზერით მისჩერებოდნენ ირგვლივ მყოფნი. მუსიკალური ტაქტის დასასრულს, – მოცეკვავენი, მათ, გარს შემოერტყნენ, ანა ტაშის გრიალით ხელში აიყვანეს, – რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ბალ-მასკარადის დედოფლად გამოაცხადეს... მერე ისევ გაიძალნენ დარბაზში... ცეკვამ ზენიტს მიაღწია... მასკარადს ანა აცისკროვნებდა... ეკატერინეც ცეკვავდა, რამოდენიმე წყვილი შეიცვალა, მაგრამ უგულისყუროდ. ის, სევდიანად გასცემეროდა ამ, ორ, უბედინერეს მოცეკვავე წყვილს და, რატომლაც ძალიან სურდა ეს დიდი, მხიარული ზეიმი მალე დასრულებულიყო... ბალ-მასკარადს, კი, ბოლო არ უჩანდა...



ვატია



ჯუმბერ სახეიშვილი

მხატვარი ვანო გოცირიძე



საბავშვო ღიასები

ၬ၁ၬ၁
ပုဂ္ဂန်ပာဒဒေလို



ବ୍ୟାନିରୀଳକମ ଦୈତ୍ୟାଃ ପଥେକା ପ୍ରତ୍ୟକଣ
ଏବ ବ୍ୟାଲୋଗ ମହେତ୍ୱା - ମହିଳା,
ଜ୍ଞାନଶଳ୍ୟେରୀ ପାଠ - ମହାକାଵ୍ୟ,
କ୍ଷେତ୍ରକାନ୍ତେରୀ ଜୀବାନ.

კარგდება ყოთხოვა: მზე, ყოველთვის,
სიხარულეს ხერისხო...
ჩვენ, ყველანი: ხე, ყვავილი,
შეიტყობინ ვართ მზის.

6. ଦୟାମ୍ଭକୁଳଶ୍ରୀନିଲୀନ

91



წერა-კითხვა გისნავლე, —
მშობლიური ქართულის,
მთა-ბარის სიყვარული,
რომ... შეგ არის — ჩართული.

მამა-პაპამ დაიცვა —
ჩვენი დედულ-მამული,
ჩვენთან არის სიკეთე, —
გულებს შორის გაბმული.

მხრებგაშლილი, რომ იყოს:
ჩვენი მამულ-დელული,
უნდა ვიყოთ დამცველი, –
უნდა ვიყოთ ერთგული.

၁၃၂

ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს
სიყვარული ამკობდეს;
ზურმუხტ-ლალი ნუ მოაკლდეს:
ამ მთებსა და ამ კორდებს.

გული, მუდამ, ღილინებდეს –
იმედიან აკორდებს,
და მზის სხივებს გაეღვიძოთ
უღრუბლო კის ნაკონიერს.

ეზის შვილები

გვირილამ თქვა: მზესა ვგავარ
და გულიც მაქვს – მზისო,
ფურცლები კი – მოკრიალე, –
ქათქათელა ცისო.

ვარდმა უთხრა: მზე, ყოველთვის,
სიხარულსა სცრისო...
ჩვენ, ყველანი: ხე, ყვავილი,
შვილები ვართ მზისო.

କାନ୍ତିକରଣତଥିବୁଲାଙ୍କା ଗ୍ରହିତାତ୍ତ୍ଵବ୍ୟଳୀ

გაიღვიძია იამ და
გადახედა მიღამოს...
ახლა, – მერცხლის დანახვა
რომელ გულით მინდაო.

მოვდიგართო... ჭიკჭიკით
მერცხლების ხმა გაისმის,
გაახარებს ყველას გულს
გაზაფხულის აისი.

მოიკრიფა მზემ, – ძალა
და სხივები დარაზმა,
გაზაფხული სწვევია,
საქართველოს ლამაზად.

၁၂၀

ჩვენო, პატარა გოგო,
ჩვენო, პატარა ბიჭო,
გვეამაყები, მუდამ, –
მზის შუქით სავსე ნიჭო.

კარგი სწავლით და გარჯით,
აბა, ვინ გაგვახარებს?..
ვის ეყარება, – მეტად:
ჩენი, სამშობლო – მხარე.

სულ, იღიმილეთ, მუდამ
აროდეს დაგვიღონდეთ...
თუ, შეჯიბრია, იცით?
სავარაუდო - ძველი გქრონდეთ.



მზრუნველი ჩავჭრები

მარტია და, ამ ბელურებს,
ხომ არ შიათ, იქნებ?
ვუყრით – ხორბალს, პურის ნამცეცს,
ჭამენ – მწერებს, – ქინქლებს.

თუ, შემორჩა, სადმე, ხეხილს –
ნარჩენები ხილის,
და... აქვთ, თანაც, იმედები –
გაზაფხულის ხილვის,

92



რადგან, ჩვენი იმედი აქვთ,
რომ ვზრუნავთ და ვარჩენთ,
ბელურები და შავები
სამშობლოში დარჩინ.

ნიკას ავტო

მოუყვანეს ნიკას ავტო,
გაუკეთეს ფარები,
დაჯდა ნიკა — მანქანში
გააშუქა ფარებიც...

კეთილია ნიკა-ბიჭი, –
დაუძახა დობილებს,
სეირნობა, თუ, მოგინდეთ, –
უმალ შემატყობინეთ.

თუ მოდიხართ, მოქმიადეთ,
ჩაუქროლოთ ხეივნებს,
თოვვინებით მობრძანდითო, –
ყველას გაგასეირნებთ.

ჰა, დავქოქე ეს მანქანაც,
გოგონებო, იჩქარეთ!
კარგი, კარგი, გვასეირნე, –
თუ, დაიცავ სიჩქარეს.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

„ლამის ლამაზმანი“

ნაირფერი ყვავილი ვარ,
ნითელი და ყვითელი,
ღამით მღვიძავს, სანამ დილით
მოირთვება მზით ველი.

მზე რომ მოდის, თვალებს ვხუჭავ,
ღამე, კი, ვშლი, ბარათებს,
როგორც, მთვარე, ვარსკვლავები,
მეც ღამაზად ვანათებ.

„ლამის ლამაზმანი“ მქვია,
კიდევ – „დილა-საღამო“,
სიხარულით ვესალმები, –
როცა ბავშვებს ვნახავო.

გაზაფხული

გამოვიდა მზე – ცხრათვალა,
და ყვავილები დათვალა,
ენძელები, და იები
გაზაფხულის დაიები.

ერთი, ნახეთ, ფურისულა, –
ტყის ნაპირას რომ მისულა...
ნაკადულის რა ბანია...
მზეს მთა-ბარი აპარია

მხატვრები

ნიკა ხატავს – სახლს და ეზოს,
ზურა – ფისოს, ბროლიას,
დედამა თქვა: ნახეთ, სახლში,
რა მხატვრები მყოლია.

ოთხი დრო

გაზაფხულს, თუ, ზაფხულს
ფერთა მეჯლისს ვუხდით!
შემოდგომა? ნახეთ,
ფერებია, – უხვი.

ზამთარს, მხოლოდ, ერთი,
თეთრი ფერი მოსავს...
პატარები მაინც
ველით ზამთრის მოსვლას.



ლორია თუ ავტორია?

მთვარე ვნახე: ახალი, –
ბებომა თქვა ამ დილას;
ვედრო დაიკიდება, –
დარისაა, – ნამდვილად.

დარი მინდა, დარიო,
დახტუნაობს თანდილა,
გუშინ დაბადებული,
მთვარე ცოტა გაზრდილა.

ბებო, ბებო, იცი, რა? –
გავაკეთებ გრძელ კიბეს...
ცას შევუდგამ მთვარემდე, –
და ზედ ვედროს დავკიდებ.

ქარი და ნაძვები

დახეტიალობს ქარი,
დაჭიდებია ნაძვნარს,
ტოტები შეურხია, –
კენწეროებზე აძვრა.

ნათიამ უთხრა, ნეტავ
აქ, რატომ კარგავ, ძალას?..
სცადე, სიკეთე შეძლო
და შენ კი, რატომ მალავ?

ნაძვები ცოდო არი...
რომ მოიგლიჯოს, ის თქვი!
მამამ ასე თქვა, – გუშინ, –
გავმართავ, ქარის ნისქვილს.

93



შვინდის ხე

ჯერ შვინდის ხემ გაიღვიძა,
გააღვიძა სხვა ხეებიც,
ისევ ცივა, დაგვაცადე,
გააოცა სახეები.

შენ აყვავდი, როცა გინდა,
ჩვენ, – მზის სხივებს ველოდებით;
დაიმშვენა შვინდმა მკერდი, –
ოქროსფერი ყვავილებით.

ყმანცილები ბალს ვესტუმრეთ, –
გაზაფხულის ლამაზ დოლას,
ვხედავთ, – ნუშის, ტყემლის, ატმის
ყვავილებიც გამოშლილან.

თოჭინები

კესო კერავს თოჯინებს და...
ტანსაცმელი ტანთ ჩააცვა;
თოჯინები დაურგია:
მაკას, თიკოს, ციცოს, ცაცას.

გაიხარეს – მეგობრებმა, –
ლამაზი ჰყავთ თოჯინები,
დაუძახეს: ზურას, ნიკას, –
აუშენეს მათ ბინები.

თვალს ადევნებს თებრო ბებო,
ცრემლი მოსდის სიხარულის,
ბავშვობა, თუ, გაახსენდა, –
თოჯინების სიყვარული.

გაზაფხულის კონცერტი

მოდით, კონცერტი გავმართოთ,
თქვა და-ძმამ: ლილემ, ლუკამ,
ლილე — ფანდურზე, ლუკა-კი,
სალამურს ტკბილად უკრავს.

კონცერტი დაწყებულაო, –
ჩიტებმაც იწყეს ფრენა...
რა ჰანგებია, გულში, რომ,
მართლაც, თაფლივით დნება.

შემდეგ, – ბულბული აპყვა მათ,
ნარნარებს – იადონიც;
დღეს, ხომ, გაზაფხულს ვზეიმობთ,
კოდალამ ნახა დოლი.

რა ანსამბლია!.. უსმინეთ!..
სიოს ღიმილი ეკრა...
სიხარულისგან, ცაში,
მზებმაც დაიწყო ცეკვა...



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ოლქ, №2, 2019



წოდნე და პეტელა

პეპელა რომ დახატა,
ასე უთხრა, მას, ცოტნებ;
მარტო სამ დღეს რომ ცოცხლობ, –
მე ნახატით გაცოცხლებ.

აი, ეს პეპელა ხარ,
ყვავილზე რომ დაფრინდა,
იმ გაზაფხულს, ისევაც,
დაგხატავო, – თავიდან.

94



გაუხარდა პეპელას
და ყვავილებს ეფერა.

მაისის შალი

ბალი რომ დამწიფებულა, –
ეს, ჩიტუნებმა გვახარეს,
მაისში?!.. ასე ადრიან?!..
უკვირს — პატარა მახარეს.

ეს, ბალი არის — მაისის,
ეს, ადრეულა ბალია, –
ასე განმარტა ბებიმ, –
სხვა ბლებს ასწრებს და მალია.

მახარემ უთხრა: ჩიტებო,
არ მიეპაროთ ამ ბალსო,
ბოთო გაიგებს, ჩიტი ხომ,
მაინც მოგვიტანს ამბავსო...

– ჩვენ, საფრთხობელაც არ გვინდა,
ისეც არ მოვეპარებით;
რომ უთხრეს — გინილადებთო,
ჩიტებს უბრნებინავთ თვალები...

გამრკე შავშვერი

გადაიქარგა — მინდორ-ველი,
დაიფინა — ხალიჩები,
იმედია, – ბალჩა-ბალში,
უკეთესად გავირჯებით.

მოვამზადეთ: თოხი, ბარი,
და... სარწყავი, – პანანინა,
არ დასცხეს და არ მოსწყურდეს, –
ნარგავები ცვარზე ბრნებინავს.

პაპამ გვითხრა: რა კარგია, –
ახმიანებთ — კერას, ფუძეს,
ახლა, ვიცით, სიხარულით,
ვენახს გული როგორ უძგერს;
შემოდგომაც, მალე, მოვა
და მოგვართმევს ტკბილ-ტკბილ ყურძენს.

ჩიტუნების ანსამბლი

ბულბული და იადონი
რომ არიან მგალობლები;
უხარიათ, ყურს უგდებენ —
ბალჩა-ბალიც, ალუბლებიც.

მათ — ტოროლაც შეუერთდა,
აწერიალა სალამური,
რა ხმებია?! — შენყობილი, –
სანატრელი, საამური.

შაშვებმა და ბელურებმაც
შემოსძახეს, – უთხრეს ბანი,
ციყვი მოხტის ცეკვა-ცეკვით,
ცეკვა უნდა, აბა, განი!..

მოსეირნობს ყურცქვიტელა, –
ბაჭიებით, – იტებობს სმენას,
სად წავიდა შიში, ელდა,
რა კარგია, ერთად ლხენა.

ლილე

სიხარულით ხვდება ლილე
ყოველი დღის აისებს;
გულს სითბოთი, სიყვარულით
აივებს და აგვივსებს.

იცი, ლილე, რომ შენა ხარ,
მზის ქალლმერთის – სეხნია,
რა კარგია, და ბებიკოს,
გულწრფელად მოეხვია.

ერთი ნახეთ, როგორ მლერის
ცეკვაცს, ლამის, დალლამდე,
მხატვრობა სურს და ხატვაში
ათენებს და ალამებს.

ბებოს სიხარულია და
დედის გულის ვარდია,
ისე სწრაფად დარბის, დახტის,
ლამის სპორტსმენს ადრიან...

თოჯინასაც ისე უვლის
არ აკარებს ცივ ნიავს;
სახელიც კი შეურჩია
და დაარქვა ნინია.

თხოვნა მაქვსო ჩემს მშობლებთან
იხვენება რა ძალით...
იქნებ, ნატვრა შემისრულონ
ბევრი მყავდეს და-ძმანი.



Ծաշկագործություն

ט' ט' ט' ט'

...მძიმე წლები იყო, ამისა და ამისშემდგომი წლები, რომ „ვილავას შიოდა, ვილავას სკოდა... და ფრთ გადიოდა!“

...ରା ମନ୍ଦିର, କ୍ଷେତ୍ରମଧ୍ୟରେ ଶିଖିତାଙ୍କ ଶ୍ରେଣୀ ନିରାପଦ
ପୂର୍ବପର୍ଦ୍ଦର୍ତ୍ତା.

၁၀၅



ଓଡ଼ିଆ-ମେଳାରୀ କାନ୍ତପରିଷଦୀ ସିପାତିବାଜି ଫଲାଫଳ

„როინ ჭიკაძის ავტობიოგრაფიის ლაკონური და
მშრალი სტილი ვერ იტევს იმ ემოციებს, დარღვა
და ტკივილს, რაც ომის პერიოდში იბლობაში გა-
ტარებულ ბავშვობას ახლდა; ოთარაანთ ქვრივივით
გამრჯვე, მუხლჩაუსრელი, ოჯახსა და შვილებზე
გადაგებული დედა, პროფესიით პედაგოგი, სანიმუ-
შოდ ზრდიდა როინსა და მის ძმას – გივის. ქალბა-
ტონმა ელენებ შვილებს უმარბა არ აგრძნობინა.
ძმებს ბუნდოვნად ახსოვთ მამა, რომელიც ომის
დაწყებისთანავე ქერჩში დაჭრილიყო და ოჯახმა მის
სამუდამო განსასვენებელს დიდი მცდელობის შე-
დეგად ნოვოსიბირსკის ძმათა სასაფლაოზე მოგვი-
ანებით მიაგნო. – ასე ინყებენ ნინასიტყვაობას ჩემი
ერთ-ერთი მონოგრაფიის რედაქტორები აკადემიკო-
სი ავთანდილ არაბული და პროფესორი გიორგი გო-
გოლაშვილი. პირად საუბრისას კი გაკვირვებული
კითხულობდნენ: ქერჩში დაჭრილ ჯარისკაცს რა
უნდოდა შორეულ ციმბირშით, მას ხომ არასოდეს
არ უნატრია, „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა
ნინაპართ საფლავებს შორის.“ თუმცა ვინ უწყის,
„სადაურსა სად წაიკან, ბედო!?!“.

რაკი ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, მეც შევეცდები, გაგიხსენო ბავშვობის დროინდელი ორი-ოდე ეპიზოდი, თანაც ისეთი, რომელიც ჩვენი საა-მაყო პოეტისა არ იყოს, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის.“

მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი. ქვეყანა მოიცვა საყოველთაო სიძუღხჭირემ, რასაც, ცხადია, ჩვენი ოჯახიც ვერ გადაურჩა. პედაგოგმა დედამ პანია შვილები – „ბიჭი დიდი და ბიჭი პატარა“ (მ.აჭა-ვარიანი) – აღმზრდელობით-საჭმელობით დაწესებულებებში მიგვაბრა: მე – საბავშვო ბაღში, გივი – ბავშვთა ბაგაში.

ომისა და ომისშემდგომ პერიოდში პური მკაცრი ნორმირებით გაიცემოდა; შემოლებული იყო სატალინო სისტემა. საბავშვო ბაღში პატარებს ცხელ კერძს კი გვაქმევდნენ, მაგრამ მასზე მისატანებელი ჩვენი ნორმის პური სახლიდან უნდა მიგვეტანა.

აღმზრდელები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, სადღესასწაულო დღეებში პატარები რაიმეთი გაეხარებინათ და ბავშვების საყვარელ საჭმელს – ერბოკვერცხში შეძრანულ პურს – „ყიყლიყოს“ – გვიმზადებდნენ; ოღონდ წინასწარ ჩამოგვართმევდნენ ხოლმე ჩვენი კუთვნილი პურის ნაჭერს. ამ საერთო ნაკრებში უმეტესობა გაჭირვებულების შავი პური იყო, რამდენიმე ნაჭერი დალხინებულების თეთრი პურიც გამოეროდა; შეწვიას ეს პურები ერთ-მანეთში ირეოდა და ალარ განირჩეოდა, ვისი რომელი ან როგორი ნაჭერი იყო. ამით „ბოროტად“ სარგებლობდნენ სიკეთით სავსე აღმზრდელები და ამ ნუგბარის ჩამორიგებისას ლარიბებს „რატომდაც“ თეთრი პურის „ყიყლიყოს“ გვარგუნებდნენ. ამგვარი განაწილება რომ შემთხვევითი არ იყო და მიზან-მიმართულად ხდებოდა, გვიანდა გავაცნობიერე: ამ ერთი შექედვით უმნიშვნელო ფაქტით მულავნდებოდა და აღმზრდელ პედაგოგთა უდიდესი ადამიანური სითბო და მადლმოსილება: თეთრ პურს დანატრებულ ბავშვებს ვითომ შემთხვევით გვახვედრებდნენ შეძლებული მშობლების მიერ გამოტანიბულს.

ხომ წარმოგიდგენიათ, რაოდენ ბედნიერი იყო
ამ „უზრუნველყოფის“ ჩამდენი აღმზრდელი.
ეჭვგარეშეა, რომ უდიდეს შინაგან კმაყოფილებას
განიცდიდა ამ გაუმშელელი სიკეთისმქმნელი და
ალბათ იმ ღამეს არც კი ეძინა უსახელო უფლის-
კოსტელივებით სხივმოსილს.

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, მე სკოლის მონაცემები გავხდი, გივი – საბავშვო ბაღისა. მართალია, ომი ახალი დამთავრებული იყო, მაგრამ ეკონომიკური გაჭირვება კვლავ გრძელდებოდა, რაც განსაკუთრებით მძაფრად აისახებოდა შინმოუსვლელთა ოჯახებზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი ოჯახი იყო. მამით დაობლებული ძმები დავრჩით მასწავლებელი დედის ანაპარა. მიუხედავად მძმე სოციალური ვითარებისა, სახელმწიფო შექლებისდაგვარად ზრუნავდა უმამირდ დარჩენილ ბავშვებზე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ობოლ მონაცემებს ზოგჯერ





თითო ბულეს გვარგუნებდნენ ხოლმე. ვინაიდან სკოლა ახლოს იყო საბავშვო ბაღთან, როგორც კი ამ ბულეს მოვინაგრებდი, ავფოფხდებოდი ბაღის გალავანზე, შევეხმიანებოდი გივის და ჩემ კუთვნილ ბულეს ვაჩუქებდი ხოლმე; ერთხელაც, ნობათ-ჩაბლუჯული გავრპივარ ძმის გასახარებლად, მა-გრამ გივი აქ აღარ დამხვდა, დედას ადრე გაეყვანა ბაღიდან. შემრჩა ხელში ეს ნობათი. რაღას ვიზამდი, გაწილებულმა შევატრიალ-შემოვატრიალე, აქეთი იქით გავიხედ-გამოვიხედე, კარგა გვარიანად ჩავკბიჩე და... შევციბუნდი, გუნება წამიხდა. უნებურად იყითხავთ, ასე რატომ შეწუხდო. – რატომ-და, მე ხომ არასოდეს არც მეჭამა და არც დამიგემოვნებია

ეს ნუგბარი. ბავშვურ წარმოსახვაში კი ბულეკი უფრო გემრიელი და მაძლრისი მეგონა. თუმცა ამ გაბითურებას ვინდა დაგიდევდათ?! ისე ძალუმად დავაცხრი, ისე ღონივრად ვიქნევდი ყბას და ისე ვიღმურძლებოდი, კინალამ ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის („ტრაგედია უგმიროთ“) დამშეული პერსონაჟის ბეჭი გავიზიარე.

...მძიმე წლები იყო, ომისა და ომისშემდგომი წლები, როცა „ვილაცას შიოდა, ვილაცას სციოდა... და დრო გადიოდა!“

...და მაინც, ადამიანებში სიკეთის სხივი ნიადაგ ჭიატებდა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე



Ծաշմանծություն

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ერთი ადგილი მქონდა კიფევ აძლიერებული, ეზოს
პირდაპირ; კაცის წოხობა ფეხვერი მინაში რომ ვერ
ეცეოდნენ და მზეს ეფიზტეროდნენ; ხან მხხევრპლის
მოლოოდინში გატრუნებულ ნიანგებს მაგონებდნენ, ხან
მინაზე დანარჩენებულ მფრინავ ურჩხულებს, ხან კი,
უბრალოდ, მყხლის თავიზე, დათვის ტორებივით
დანკომილ შერიცარის დაკალიბილ ხელებს... მოხერა-
ებულად ვიჰური ამ უუნაურად დაგრეხილ ფეხვერზე,
ვიყურებოდა შორის, ძალიან შორის და ფრის ვერ
ველეობი, როგორც დაფარერი ზანდუჭი ჩაღავერულ
თავის ძველმარებს...

፩. ማግኘት



ପ୍ରେସରୀ

ფიქრი ბავშვობიდან მომყვება, ფეხდაფეხს
ადევნებული ძალლივით; აი, ისე, წინაც რომ
გადაგისწრებს და თვალს მაინც არ გაშო-
რებს...

რიყის ქვებს მოვიტანდით ხოლმე მინ-
დორში და კაკლის ხეების ჩრდილში მოვა-
ქუჩებდით; მერე ამ ქვებისგან კვადრატები და
მართკუთხედები იხაზებოდა, რასაც ოთახ-
ების დანიშნულება ჰქონდა, ამ ყველაფერს კი
„სახლობანას“ თამაში ერქვა; „ნამდვილი“ სახ-
ლის მადლს კი, ცოტა მოგვიანებით ვეზიარე,
დღემდე რომ ძველი ხმიადივით მომყვება...
მიწატკეპნილი, პალატიანი სახლი მახსოვს,
რიყის ქვით ნაგები, კედელთან მიღდგმული
საბუდრით, გაჭვარტლული ჭრაქითა და თახ-
ჩებით, ნივრის, ზაფრანისა, თუ ცეცხლის
სუნში შეზავებული სიძველის სურნელებით,
რასაც მუდამ შავით შემოსილი და მაინც მზ-
ესავით ნათელი ბებიის სითბო დაპირინებ-
და...

არამარტო ბებიაჩემი, მთელი სოფლის
ბებიები და ბაბუები ჩამრჩენია გულს, ნა-
ჯაფრები, მაგრამ მაინც სხივიანები, ენატკ-
ბილები... ახლაც ყურში ჩამესმის მათი: –
„არი, არი, არი... ღუტა, ღუტა, ღუტა... ბიშა,
ბიშა, ბიშა... დეთვი, დეთვი, დეთვი... წიპა,
წიპა, წიპა...“ მე ასეთი რაჭა მახსოვს... „კა-
ლოსიქითში“ ყოფნას არაფერი მერჩია... თვა-
ლი ტკბებოდა გვიმრის წითელ-ყვითელი ფო-
თლებით, კოპიტებით, ველური შინდებით,
მაყვლის ბუჩქებითა და თუნდაც, უბრალო
ლურჯი ნარ-ეკლით დაფარული ფერდობების
ცქერით, თავქვე რომ ეშვებოდნენ, რივნის
ჭალებისკენ... მზერით გადავჭრიდი მინა-
ტრებასავით გაწელილ სამანქანე გზას და
უზარმაზარ ტყიან ფერდობებს ავუკვებოდი

ზემოთ, ცისკენ, თუ უსასრულობისკენ...

ერთი ადგილი მქონდა კიდევ ამოჩემებული, ეზოს პირდაპირ; კავლის ბოხოხა ფესვები მიწაში რომ ვერ ეტეოდნენ და მზეს ეფიცეხებოდნენ; ხან მსხვერპლის მოლოდინში გატრუნულ ნიანგებს მაგონებდნენ, ხან მიწაზე დანარცხებულ მფრინავ ურჩხულებს, ხან კი, უბრალოდ, მუხლის თავებზე, დათვის ტორებივით დაწყობილ ბერიკაცის დაკოურილ ხელებს... მოხერხებულად ვიჯექი ამ უცნაურად დაგრეხილ ფესვებზე, ვიყურებოდი შორს, ძალიან შორს და ფიქრს ვერ ველეოდი, როგორც დედაბერი ზანდუკში ჩალაგებულ თავის ძველმანებს...

— სადა ხარ, სად?!.. — ამ ხმის გაგ-ონება გამიფანტავდა ფიქრების ბურუსს და ჩაქუსლული, ფლასტებადქცეული ფეხსაც-მელებით მივირბენდი ღოღნაშოსა და თხილის ხეებით დაბურულ ღობესთან, სადაც ძლივს ვამჩნევდი ყვავილებიანი, თეთრი თაგსაფრით თავნაკრულ ბიცოლას, დაფქვილული ხელებ-ითა და ჩვეული ქოთქოთით ღობიანებს რომ მანვითა:

- გამომართვი, დროზე!.. დამენვა
თითებიო...

– „თოვს, თოვს, ხოშკაკლავს,
მამაჩემი ღორს დაკლავს“ ... ეს სიმღერაც
ბავშვობიდან მომყვება...

ღორს თუ არა, ერთ ვარიას აუცილებლად
გამოვყენდით წირვას საახალწლოდ, ნაჯახ-
ის პირით შემოხაზულ წრეში თავნაკლული
რომ ფართხალებდა და სისხლისფრად ღებავ-
და თოვლის ფეხდაუდგამ სილამაზეს...

- გაიწიე!.. მდუღარე არ გადაგასხა!..
მეტყოდა დედაჩემი, მე კი მაინც ფინია
ძალლივით შევცილებდი ძველ, ალუმინის



ქვაბთან მიცუცქული და მიკვირდა, როგორ მოხერხებულად აცლიდა დედა სისხლით განებილ, ყავისფერ ბუმბულს ერთიანად გაფუფქულ ვარიას, მერე რომ ალაგ-ალაგ შერჩენილ ღინღლსაც მოურუნავდა და გამოსაშიგნად ფიცარზე დადებდა... სანამ, შუაზე გაფარჩხული ვარია ერბონასმულ, ცხელ ტაფაზე, ქვასანაყდადებული თავსახურის ქვეშ, შიშხინებდა, ბედნიერი გამომეტყველებით ვლოკავდი, ხმარებისგან გვერდებგალეულ კვატუშზე შემოგდესილ ღობიოს, როგორც

შოკოლადიანი ნაყინის ბრიკეტს, თან კი ცომს გსინჯავდი, – თუ ამოყვავდა მეთქი...

დიდი ხვეწნის შემდეგ, კვერცხის თქვეფასაც მე მომანდობდნენ... ვიჯექი პატარა ჯორკოზე, მუხლის თავებზე დადგმული თასით და ვთქვეფდი, ვთქვეფდი საბისკვიტე მასას, კვერცხის გულის კი არა, ლამის სისხლის გათეთრებამდე...

– „თოვს, თოვს, ხოშკაკლავს,
მამაჩემი ღორს დაკლავს“...
მე ასეთი რაჭა მახსოვს...



მხატვარი სოფიო ჭელიძე



Ծաշկագործություն

ესია
დიაკონი

მთელიმა სოფელიმა იყრიდა ამ ქალის ავი თვალის
შესახებ და თუ რამე კარგი ჰქონდათ, ეზოში არ
გამოიცანდნენ, ვიოომ ავი თვალისგან იჯარავდნენ.
შიგლოლაჩემისთვის ჩემზე ძერიფასი არავინ იყო, ჩარ-
აკებული მავშვია, ქალაქელი, ლამაზი, ემანდ თვალი
არ ეცნო და ნათელას დაინახავდა თუ არა, ეგრესი
სახლში შეიმარტინებდა. საფეხულს თუ არ შევფარდი,
ახლავე ნათელას დავუძახებო, მეტყოდა და მერ კვე-
ლაფერს ვყლავავდი, თვალი არ მეტეს, ავად არ გავხ-
დე, ჩავჭრებოთ როგორლა ვითამაშებ-მეთქი.

B. ഫൊറുന്നിട്ട്




ნათელა

ძალიან მიყვარდა იმერეთი. ზაფხულობით ჩემი და-ძმები უკრაინაში წასვლას ამ-ჯობინებდნენ, მე კი იმერეთის გარდა არსად არ მინდოდა დასვენება. ბიძაშვილებთან კარგ დროს ვატარებდი. სოფელი მთაგორიანი იყო, მდინარით, მთებითა და ტყეებით, უნიკალური ჰაერით. ბიცოლაჩემის გაკეთებულ ლიბიოს კი არაფერი სჯობდა, არ ვიცი, მწვანილს: პრასს, ქინძსა თუ სხვას ჰქონდა ასეთი გემო და სურნელი თუ იქ მოყვანილ ლობიოს, მა-გრამ ისეთი გემრიელი აღარასოდეს მიჭამია. დაგვიცხობდა ბიცოლა მჭადებს და იცოცხ-ლე, ვეძგერებოდით მთელი დღის ნარჩენ-ნა-თამაშევნი, დამშეულები. რა გემრიელი იყო ის პირველი ლუკმა, პირში რომ ჩაგვადნებოდა ხოლმე, ენერგიით გვასებდა, ისევ სათ-ამაშოდ განგვანყობდა. ჭამის დროსაც არ ვისვენებდით, ვღლაბუცობდით, ვღლაპარა-კობდით, ვხუმრობდით, ვხითხითებდით, და არც ბიცოლას რჩევა-დარიგება გვესმოდა, დაწყნარდით, ლუკმა არ გადაგცდეთო და არც ბიძაჩემის. მხოლოდ მეზობელი ქალის გამოჩენის მეშინოდა, ჭროლათვალება ქალბა-ტონისა, რომელზეც იძახოდნენ: ავი თვალი აქვს და თუ თვალი გკიდა, ე. ი. არასწორად შემოგხედა, დალუცულია შენი საქმეო. ერთხ-ელ ასეთ ამბავსაც შევვესწარი: ჩვენი ძროხა აღარ იწველებოდა. აფორიაქდა ბიცოლაჩე-მი ვენერა, ბევრი ეხვენა და ეფერა ძროხ-ას, რძეს ნუ დაგვიძირებ, ბავშვებმა რაღა ჭამონ, ყველი თუ ვერ ამოვიყვანეო. იქაურ ყველსაც საოცარი გემო ჰქონდა, ნამდვილი, იმერული. მერე თქვა, ნათელამ რომ ჩაიარა ძროხა ეზოში იყო, ნამდვილად მაგან გათვა-ლაო. არც აცია, არც აცხელა, წავიდა და სთხ-ოვა, ძროხას გამოულოცეო. მოვიდა ის ქალი, კარის ლრიჭოდან გამოვხედე. ერთხანს ძროხ-



ჭირდა. ვდგავარ და ვუცქერი. მომნუსხველი მზერით შემომხედა, — ვენერას მაზლიშვილი ხარო? — მკითხა და გულლიად გამიცინა. მაინც არ მჯეროდა მისი სიცილის, — კუდიანია, ამჯერად ლამაზ ქალად გადაიქცა-მეთქი. ნათელამ ხელი მომკიდა, ბუჩქნარიდან გამომიყვანა, — როგორ დაკანწრულხარ, პატარა, — ალერსიანად მითხრა, თავზე ხელი გადამისვა, ლოყებზეც მომითათუნა, მერე მაყვლით სავსე კალათიდან ჩემს კალათში მაყვალი

გადმომიყარა, გამივსო, — აპა შენა გქონდეს, ჭამეო, — და სიცილით გაუდგა გზას. ბიძაშვილებს აღარ დავლოდებივარ, გახარებული სახლში გავიქეცი, არაფერი მომივიდა-მეთქი, თან მაყვლით სავსე კალათაც მივიტანე, — არ ყოფილა ცუდი ქალი ნათელა, მაყვალი მომცა, — ვუთხარი ბიცოლას. რა თქმა უნდა, არავინ დამიჯერა. მაყვალი კი ბიძაშვილებმა გავინაწილეთ და გემრიელად მივირთვით, არ შემშინებია, კუდიანის დაკრეფილი რომ იყო.



მხატვარი სოფიო ჭელიძე



იური გურდა

თახმანი

ერთი ფურცელი – ის, რომელიც კატერინა ივანისამ გადასცა, შეწერსცოვამ შენახა, თუმცა თავადაზე უერთდა რისთვის ან რაჭობ. შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ, ეს პირველი შემთხვევა იყო, დედაზრდა ფურცელზე თარილი რომ არ დასვა. თითქოს მიხვდა, – პოეზიის მარატიულობის ფრთ ვერაფერს დაკლოებდა და ფრთ ჩვენი უძრავობური წხოვლების მარატიულობის წინაშე კი უძლური იქნებოდა...

ი. ბუიძა

თახმანი

პროზაიკოსი, უურნალისტი იური ბუიდა დაიბადა 1954 წელს დაბა ზნამენსკში. 1982 წელს დაამთავრა კალინიგრადის უნივერსიტეტი. 1991 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქვს: უურნალ „ოქტაბრის“ პრემია (1994), აპოლონ გრიგორიევის პრემია (1998), უურნალ „ზნამიას“ პრემია (1995, 1996, 2011), პრემია „დიდი წიგნი“ (2013).

ზღვაოსანი სიცდგადი

სიკვდილის წინ კატერინა ივანოვნა მომოტოვამ ინება, მასთან ექიმი შებერსტოვა მიეყვანათ, ქალს დამის მთელი ცხოვრება რომ მკურნალობდა. შებერსტოვა პენიაზე იყო გასული. დედაბერმა ექიმს, ოთხად გაკეცილ ქალალდში გახვეული, საკუთარი სახლის გასაღები გადასცა და სთხოვა, ფურცელი სხვა ფურცლებთან ერთად დაეწვა.

– ფურცლები სახლშია, – შეცბუნებულმა აუხსნა დედაბერმა. – ოღონდ, არავის არაფერი უთხრათ, გთხოვთ. მე თვითონ დავწვავდი... მაგრამ, ხომ ხედავთ – ყველაფერი როგორ შეტრიალდა...

ექიმმა კითხვის გამოსახატავად ცალი წარბი ასწია, დედაბერმა კი პასუხად დამნაშავესავით გაულიმა. ის ძალიან ცუდად იყო – სარკომასგან კვდებოდა. მკურნალმა ექიმმა შებერსტოვას უთხრა, რომ დილამდე ვერ გაატანდა.

საავადმყოფოს შესასვლელთან, სკამზე, უბნის ინსპექტორი ლიოშა ლეონტევი სიგარეტს ეწეოდა. უზარმაზარ შებერსტოვას გვერდით, მიღიციელის ფორმაში გამოწყობილი, ლიოშა მოზარდს ჰგავდა. მისი ძირგამომწვარი ფორმის ქუდი მოტოციკლის ეტლზე იდო.

– გასეირნებას ხომ არ ინებებ? – დაინტერესდა ექიმი, ლეონტევის თავს ზემოთ, ქუჩის ფარანს შესეულ ქინქლებს რომ შეჰყურებდა.

– ზღვაოსან სინდბადთან? თუ დედაბერი

უკვე მოკვდა.

– არა. – შებერსტოვამ უბნის რწუნებულს გასაღები აჩვენა. – მთხოვა მის სახლში შემეხედა. მე გამვლელი ვარ, შენ კი, რაც არ უნდა იყოს, ხელისუფლებას წარმოადგენ.

ლიოშამ პაპიროსის ნამწვი, წყლით სავსე, ქვის განიერ ლარნაკში მოისროლა, ამოიოხრა და წამოდგა:

– მგონი მალე დაზამთრდება...

ისინი, ფილებდაგებული ტროტუარით, წისქვილისკენ აუჩქარებლად გაემართნენ. წისქვილის გვერდით კატერინა ივანოვნა ცხოვრობდა. კატერინა მთელი ქალაქისთვის ცნობილი იყო თავისი სანიმუშო, მაგრამ არშემდგარი ცხოვრებით.

აქ, ყოფილ აღმოსავლეთ პრუსიაში, ის პირველ ახალმოსახლეებთან ერთად მოვიდა. მისი ქმარი ქალალდის ფაბრიკაში მუშაობდა, კატერინა ივანოვნა კი საავადმყოფოში – მრეცხავად. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ – ორი საკუთარი, ორიც ბავშვთა სახლიდან აყვანილი. მომცრო ტანის, ხმელ-ხმელი ქალი დიდ მეურნეობას უძლვებოდა – ბოსტანი, ძროხა, გოჭი, ორი ათეული ცხვარი, ქათმები, იხვები. უვლიდა ავადმყოფ ქმარს (ის ფრონტზე სამჯერ დაიჭრა) და შვილებს. ორმოცდაჩვიდმეტ წელს კატერინა ივანოვნამ ფეხი დაკარგა: საძოვრიდან მომავალ ხბოს რომ ხვდებოდა, მატარებლის ქვეშ მოჰყვა და ფეხი მუხლამდე მოჰკვეთეს. სამრეცხაოდან წასვლამ მოუ-





წია და საბავშვო ბალში დარაჯად მოეწყო. იმავე წელს, უფროსი ვაჟი ვასია მდინარეში დაიხრჩო. სამი წლის მერე კი ფეოდორ ფეოდოროვიჩი გარდაიცვალა – ჭურვის ნატეხით დაზიანებული გულის ოპერაცია ვერ გადაიტანა. გოგონები გაიზარდნენ და თავისი გზით წავიდნენ. უმცროსი ვერა ლოთს, ქურდსა და მანანნალას გაჰყვა. ერთხელაც, შვილი ბებიასთან დატოვა, ქმართან ერთად საშოვარზე ციმბირში წავიდა და თითქოს მიწამ უყო პირი. მშობლებისგან მიტოვებულ ბიჭს ტანი რომ აეყარა, კატერინა ივანოვნა, სანამ თითებს ართონტი დაუკრუნჩხავდა, შეკვეთით ქსოვდა. ცხვარსაც პარსავდა და მოსავლელად მიბარებულ საქონელს მწყემსავდა. ხის პროთეზით იოლი არ იყო საქონლის დევნა, მაგრამ კარგად უხდიდნენ, ხანდახან მინდორშიც აჭმევდნენ და ბედს არ უჩიოდა. ბიჭი გაიზარდა და ჯარში წავიდა, მერე დაქორწინდა და მხოლოდ იმვიათად – საახალწლოდ ან საპირველმაისოდ ბებიას ბარათებს უგზავნიდა, შრომასა და პირად ცხოვრებაში წარმატებებს უსურვებდა. მცირე პენსია ჰქონდა და კატერინა ივანოვნამ ცარიელი ბოთლების შეგროვება დაიწყო. დაუსახლებელ ადგილებში, პატარა, ყრუ შესახვევებში, მაღაზიებთან მეტოქე ბიჭებს ეჩხუბებოდა, რომლებიც მის დაახვაზე ყვიროდნენ და ბოთლებს ართმევდნენ. კატერინა ივანოვნა ბრაზდებოდა, იგინებოდა, თუმცა გულისწყრომას მალევე ივწყებდა. ბოლოს და ბოლოს გამოსავალი იპოვნა. დილით ადრე, მხარზე გადაკიდებული ტომრით ქალაქარეთ მიდიოდა და ბოთლებს ქუჩის თხრილებსა და გზისპირა ტყეებში ეძებდა. ფეხის ტკივილს არად აგდებდა და და ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრს გადიოდა, დალამებისას კი მთლად გაოფლილი და ჩაცვენილი თვალებით შინ მდიდრული ნადავლით ბრუნდებოდა. მერე ღრმა ჯამში პურს ჩაფშვნიდა, არაყს დაასხამდა, კოვზით ხერებდა და ზოგჯერ ჩუმი, უღრიალა ხმით ლილინებდა. „სხვა მის ადგილას დიდი ხნის წინ მოკვდებოდა, – ამბობდა ქალაქის ცნობილი დედოფალი ბუიანიხა. – ეს კი, საღად აზროვნებს“. ბოთლებზე შორეული ლაშქრობების გამო, კატერინა ივანოვნას, ზედმეტსახელად „ზღვაოსანი სინდაბიდი“ შეარქვეს.

ექიმმა შებერსტოვამ, რატომლაც აქეთიქით მიმოიხედა, სახლში შესასვლელი კარი გააღო და ლიოხას უესტით უბრძანა წინ წასულიყო. ლეონტევმა წინკარსა და სამზარეულოში სინათლე აანთო.

– რა უნდოდა დედაბერს? – გამოსახა თათახიდან. – რას ვეძებთ?

შებერსტოვამ არაფერი უპასუხა. მან

ოთხად გაკეცილი ქაღალდი გაშალა, კატერინა ივანოვნამ გასაღებთან ერთად რომ გადასცა და სახე წამოუჭარხლდა. გაბრაზებულ გულზე ქაღალდი სამზარეულოს მაგიდისკენ მოისროლა, თავი კარის წირთხლისთვის რომ არ აერტყა დაიხარა და ლეონტევის ზურგს უკან ქოშინით დადგა. უბნის ინსპექტორი ჩაფიქრებული ათვალიერებდა დედაბრის თახს. უაბაურო, მიმქრალი წათურა ქაღალდების უზარმაზარ გროვას ანათებდა. ოთახი ქაღალდებით იყო მოფენილი.

– დედაბერი რომანებს წერდა? – უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა ლეონტევმა. – შეხედე...

– მან იატაკიდან ფურცელი აიღო. – „მე თქვენ მიყვარდით... შესაძლოა, ეს სიყვარული...“ – გაოცებულმა შეხედა ექიმს: – ეს რას ნიშნავს?

შებერსტოვამ ჯოხი მეორე ხელში გადაიტანა და ლიოშა გზიდან ჩამოიცილა. მერე გაჭირვებით და ხვნეშა-ხვნეშით ვიწრო შესასვლელში შევიდა, სადაც მაგიდა და წელგაღუნული სკამი იდგა. დაჯდა, ქაღალდების გროვიდან ფურცლების შეკვრა გამოაძრო და კითხვას შეუდგა.

– ეს რას ნიშნავს? – გაიმეორა ლიოშამ, დაბენული რომ დაპურუებდა ბებრული ნაჯღაბნით სავსე ფურცელს. – ნუთუ ის...

შებერსტოვამ ლიოშას ქვევიდან ზევით გაბრაზებით ახედა.

– გგონია, სულს ეშმაკი ეპატრონება?

შებერსტოვი და ლიოშა ქაღალდებს გათენებამდე არჩევდნენ, რომელთა განადგურებაც „ზღვაოსანმა სინდაბადმა“ სთხოვა და რომელთაც ორმოცდათა წელი მალავდა. დაწყებული 1945 წლის 11 ნოემბრიდან, ის ყოველდღიურად, საკუთარი ხელით იწერდა პუშკინის ერთსა და იმავე ლექსს – „მე თქვენ მიყვარდით...“ თვრამეტიათას ორას ორმოცდათორმეტი სხვადასხვა ზომის ქაღალდის ფურცელი შემორჩა, თითოეულზე – რვა უკვდავი სტროფით, რომელთაც არ დაუკარგავთ სილამაზე სასვენი ნიშნების გარეშეც კი – დედაბერს ცამეტიდან არც ერთი სასვენი ნიშანი არასოდეს არ დაუსვამს. როგორც ჩანს, მეხსიერებით წერდა და შეცდომებსაც უშვებდა. მაგალითად: სიტყვას „შესაძლოა“ ბოლოში აუცილებლად სილბოს ნიშანს უსვამდა. სიტყვა „ლმერთს“ – მაშინდელი საბჭოთა ორთოგრაფიის საწინააღმდეგოდ მუდამ დიდი ასოთი იწყებდა. თითოეული ფურცლის ქვემოთ აუცილებლად თარიღს სვამდა – ძალიან იშვიათად – რამდენიმე სიტყვას უმატებდა: 1953 წლის 5 მარტი – „მოკვდასტალინი“, 1960 წლის 19 აპრილი – „მოკვდასტეოდორ ფეოდოროვიჩი“, 1961 წლის 12 აპრილი – „გაგარინი მთვარეზე გაფრინდა“, 1970



წლის 29 აგვისტო – პეტიას (მისი შვილიშვილი) გოგონა გაუჩნდა – ქსენია“... რამდენიმე ფურცელს გვერდები ჰქონდა მომწვარი, რამდენიმე – დახეულიყო. თვრამეტიათას ორას ორმოცდათორმეტჯერ გადაწერა ქალალზე ეს რვა სტროფი. რისთვის? რატომ მაინცდამაინც ეს სტროფები? და რაზე ფიქრობდა როდესაც ლექსს ასრულებდა – „ლმერთმა ინებოს სამუდამოდ სხვასაც უყვარდეთ“ – და გულდასმით გამოჰყავდა „მოკვდა სტალინი“ ანდა „მოკვდა ფეოდორ ფეოდოროვიჩი“.

გამთენისას, შებერსტოვამ და ლიოშამ ღუმელი დაანთეს და ქალალდები შეუკეთეს. ნახევარ საათში ღუმელი გახურდა. ოთახ-

ში დაცხა. რატომდაც, ორივე უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ როდესაც ლეონტევმა წაილულულა: „რა განსხვავებაა ადამიანს დაწვავ თუ აი, ამ...“ ექიმმა მხოლოდ გაბრაზებით ჩაიფრუტუნა. ერთი ფურცელი – ის, რომელიც კატერინა ივანოვნამ გადასცა, შებერსტოვამ შეინახა, თუმცა თავადაც ვერ გაეაზრებინა რისთვის ან რატომ. შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ, ეს პირველი შემთხვევა იყო, დედაბრმა ფურცელზე თარიღი რომ არ დასვა. თითქოს მიხვდა, – პოეზიის მარადიულობას დრო ვერაფერს დააკლებდა და დრო ჩვენი უბადრუკი ცხოვრების მარადიულობის წინაშეც კი უძლური იქნებოდა...



მხატვარი სოფიო ჭელიძე



გურამ დოჩანაშვილი – 80

29 მარტს თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში მწერალ გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ლიტერატურულ სალამოს სხვადასხვა თაობის მკითხველები, საბიბლიოთეკი გაერთიანების თანამშრომლები, მწერალთა კავშირის წევრები და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე გურამ დოჩანაშვილის ბიოგრაფიის და მისი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს:

„ნაკითხეთ გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებები და ნამდვილად გახდებით უკეთესი, ვიდრე იყავით გუშინ“ და „თუკი ჯერ არ ნაგიკითხავთ „სამოსელი პირველი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „მთის გადაღმა“, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კეუერაძე“, „თავფარავნელი ჭაბუკი“ და სხვები, მაშინ თქვენ წინ გაქვთ



პირველად ნაკითხვის ბედნიერება! – ამ სიტყვებით ლიტერატურის მოყვარულებმა მწერლის შემოქმედების გაცნობისას მიღებული პირადი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ერთმანეთს.


მხატვარ სერგო ასლანიშვილის საიუბილეო დონისძიება

19 თებერვალს თელავის საპატიო მოქალაქის, ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის დამაარსებლის, მხატვარ სერგო ასლანიშვილის 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

სამხატვრო სკოლის ფასადზე მხატვრის მემორიალური დაფა გაიხსნა, ხოლო თელავის ისტორიული მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში მისი


ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

ღონისძიებაზე შეკრებილმა თანაქალაქელებმა, ოჯახის წევრებმა, კოლეგებმა, მოსწავლეებმა და ახლობლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს სერგო ასლანიშვილის ცხოვრებისეული მომენტები და ისაუბრეს მშობლიური ქალაქისადმი მის მიერ განეული ღვანლის შესახებ.






მხატვარი ვანო გოცირიძე



ვასილ როინიშვილი



ვანო იანტბელიძე



უშო




ბააღურ ბალარვეიშვილი




შოთა ბერიშვილი



გეგა სულხანიშვილი, პაატა გულიაშვილი



ლევან ლაშესი



პაპა – ზურა ზაქარიაძე



15123995